კვირის პალიტრა

ალია

N15(200) 8/IV.-14/IV.2004.

ფასი 60 თ.

1168
2004

რა ხდება „უეიკში“

ტელევიზიებში დიდი რეფორმები დაიწყო?!

სასიძო: „ქუჩის ბიჭელი“ პაატა ხაჩიძე საცოლეს ეძებს

გემოვნება — ცისანა სეფიაშვილი: „ქალი, რომელიც უყვართ და რომელსაც უყვარს“

პანკები — თბილისური პეიზაჟის ახალი „სახე“

სიახლე!

მხიარული „ატრაქციონი" თქვენი პატარებისთვის

ყველაზე საბავშვო ჟურნალი

№15 (200)
8 - 14 აპრილი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ოლიმპიური სისტემა ქართულად ანუ „გადაიხადე – წადი!“ 3
ერთი კითხვა 4
ტელეინდუსტრია
● ყველაზე თავისუფალი ტელევიზია, რომელშიც ვარსკვლავთა ნაკრები იმუშავებს... 5
● რა ხდება „ყუთში“ – რესტრუქტურიზაცია თუ ლიკვიდაცია?! 7
თარიღი
9 აპრილის ტრაგედია და პასუხგაუცემელი კითხვები 8
კრიმინალი
● „ჩხაიძემ 3 მილიონი დოლარი თბილისში მიწებისა და ურეკში ადგილმამულების გაყიდვით მოაგროვა“ – აცხადებენ ბრალდებულის ადვოკატები 14
● „რა დრო დადგა? კალატოზაც კი დაიჭირეს!..“ 15
კასტა
პანკები – თბილისური პეიზაჟის ახალი „სახე“ 18
თემა
სისხლი და ეროტიკა ქართულ ტელეეკრანებზე ანუ „თუ ასეთია სექსი, მაშინ არ მინდა“ 22
ტესტი
ერთგული მკითხველი 24
ჭრელი მსოფლიო 25,41,55
პრობლემა
რით და როგორ ვუშველოთ ნარკომანს – სად არის გამოსავალი? 26
გზავნილები
მეგობარმა შეყვარებული წამართვა 29
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 30
გემოვნება
ცისანა სეფიაშვილი – შექსპირისეული ჯულიეტა, რომელსაც უყვარს და რომელიც უყვართ... 32
ტაძარი
აღდგომა 34

9 აპრილის ტრაგედია და პასუხგაუცემელი კითხვები

სასანგრე ნიჩბებით დაჩეხილი და გაზით მოწამლული ადამიანები მაშინ გმირებად შერაცხეს. დაღუპულების სახელების უკვდავსაყოფად მთავრობის სასახლის წინ „უსახური ქვა“ დადგეს, ისინი კი, ვინც სასწაულის წყალობით გადაურჩა სიკვდილს, მიივიწყესო, – მითხრეს „9 აპრილის საზოგადოებაში“

8

ყველაზე თავისუფალი ტელევიზია, რომელშიც ვარსკვლავთა ნაკრები იმუშავებს...

ამჯერად, ვნებათაღელვის ზენიტში ზაზა შენგელია და „I არხი“ იმყოფება. იქ დიდი რეფორმები დაიწყო. ტელეკომპანიაში, სადაც 3000 ადამიანი იყო დასაქმებული, შენგელიამ 1400 ადამიანი „პენსიაში“ გაუშვა და ამბობს, რომ ოპტიმიზაციის პროცესი გრძელდება...

5

სისხლი და ეროტიკა ქართულ ტელეეკრანებზე

როგორც მოსალოდნელი იყო, დღეს ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ ქართულ სერიალებზე. ზოგს მოსწონს, ბევრს კი აღიზიანებს. მაყურებლების უმრავლესობა აღნიშნავს – შიშველი ქალი და სექსუალური სცენა ბევრი გვინახავს უცხოურ ფილმებში, მაგრამ ქართველებს არ გამოსდითო...

22

პანკები – თბილისური პეიზაჟის ახალი „სახე“

დღეს რომელი ქალი არ ეწევა ან არ სვამს?! მაგრამ ეს ხდება მალულად: სახლში, ტუალეტში ან „სვეტსკი ზავედენიებში“. ჩვენი უბედურება თუ ბედნიერება, – არ ვიცი, – იცით, რაშია? – არ ვინიღბებით, არ ვთამაშობთ – ვერ ვეგუებით სიყალბეს...

18

ფავორიტები

„მეფის“ მიერ უნიჭიერეს ბრაგილიელ ფეხბურთელად აღიარებული კაკა 36

ასე უყვართ საქართველოში

„სიყვარული სიცოცხლეში განა ერთხელ მოდის...“ 39

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ავტო 46

ვარსკვლავი

ფანი არდანი: „მეშინოდა, რომ ქერარი მომკლავდა!“ 47

ბომონდი 48

სცენა

ქველმოქმედი მოღმერლები, ეთნომუსიკის პროექტი და საყვარელი მამაკაცისადმი მიძღვნილი სიმღერები 50

მარჩიელი

„ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად, შიში არც მისთვისაა უცხო“ 52

მოდა

„ჩვენი პოდიუმი დედამიწაა“ 53

ნამდვილი ამბავი

გამრავლება „სტახანოვურად“ 54

საკითხავი ქალებისათვის

არასოდეს თქვა „არასოდეს“ 55

ჯანმრთელობა

- მხოლოდ ქალებისთვის 56
- მხოლოდ მამაკაცებისთვის 56
- ბრონქიტი – როგორ დავიცვათ თავი 57
- შევებრძოლოთ ეგზემას 58

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (12-18 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

შერეკილები 62

ტესტი მამაკაცებისთვის

გაქვთ თუ არა იმის ნიჭი, რომ მილიონერი გახდეთ? 63

კალეიდოსკოპი 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

აღდგომა

უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს წმინდა ეკლესია წლეულს, 11 აპრილს აღნიშნავს. „აღდგომა უფლისა – დღესასწაულთა დღესასწაულია, ზეიმთა ზეიმია. იგი იმდენად აღემატება ყველა სხვა დღესასწაულს, თუნდაც საუფლოთ, როგორც მზე აღემატება ვარსკვლავებს“.

34

ასე უყვართ საქართველოში

მე ყველაფერი მისთვის მინდოდა და უზღვავ ენერგიასაც ვგრძნობდი. ძალიან ლამაზი იყო, არაჩვეულებრივი სახე და აღნაგობა ჰქონდა. სოფი ლორენს ადარებდნენ, მაგრამ მასზე უკეთესი იყო. ყველაფერ ამასთან ერთად, უცნაურად ლამაზ სულს ატარებდა. მამით ქართველი, დედით გერმანელი გახლდათ...

39

ფანი არდანი: „მეშინოდა, რომ ქერარი მომკლავდა!“

ძნელი სათქმელია, რა საფუძველი ჰქონდა ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოსდა ცნობილი მსახიობი ჟერარ დეპარდიე ფანი არდანის გამო მისი ამჟამინდელი მეგობარი ქალის, კაროლ ბუკეს მიტოვებას აპირებდა.

47

თავისუფალი თემა



მისაღებში შესულს, ლამაც მაშინვე ფეხდაფეხ მიჰყვა. ხელში კონვერტში ჩადებული რაღაც დოკუმენტები ეჭირა.

– სადა ხარ აქამდე?! – თვალები გადაუბრიალა მან გვანცას და თან, კაბინეტის კარი ოდნავ გამოაღო. – იცი, რა სტუმრები მყავს?! – ხმას დაუწია მან. – ახლავე ჩემთან შემოდი!..

42

ოლიმპიური სისტემა ქართულად ანუ „გადაიხადე – წადი!"

კარგა ხანია, ჩვენი ფინანსთა მინისტრი არ მინახავს. არადა, სულ დავკარგეთ ერთმანეთი და გადავწყვიტე, მომენახულებინა. თანაც, ხელფასი მქონდა ახალი აღებული და ვიფიქრე – ხომ არაფერი უჭირსმეთქი?.. ის-ის იყო, კაბინეტის კარზე უნდა დამეკაკუნებინა, რომ შიგნიდან საშინელი ყვირილი გავიგონე, რომელშიც სიხარული და ტკივილი ერთმანეთში ირეოდა.

თურმე ბიჭს კვარტალური შემოსავალ-გასავალი დაუანგარიშებია და რომ აღმოუჩენია, ბიუჯეტი 114 პროცენტით შესრულდაო, სულ დაუჩქმეტია საკუთარი სხეული – იქნებ, მძინავს და მესიზმრებაო?..

მიზეზი აღნიშვნად ღირდა და იმ ზედმეტი 14 პროცენტით ხინკლები და ლუდი „ჩავურტყით". ცოტა ხანში გენპროკურორი და შს მინისტრიც შემოგვესწრნენ და ჩვენს სუფრასთან მოვიწვიეთ – იმათი დამსახურებაც ხომაა ეს წარმატება?! ჰოდა, კაი პურიც ვჭამეთ, მაგრამ ბიუჯეტის 14 პროცენტი რას გვეყოფოდა ოთხ კაცს? ამიტომ თითომ 3-3 ლარიც წავუმატეთ და კმაყოფილებიც დავრჩით.

სწორედ იმ სუფრასთან დაიბადა ოლიმპიური სისტემის ქართული ვარიანტის იდეა – „გადაიხადე – წადი!" ხომ გვყავს ხალხი, რომელიც, ტროლეიბუსზე ანეკდოტისა არ იყოს (დაბმულია და როგორ დარბის! რომ აუშვა, რას იზამსო?!) ციხეში ზის და ამდენი ფული შეაქვს ბიუჯეტში. რომ გაუშვებ, რას იზამენ?!

თანაც, ერთი პატიმრის შენახვა თურმე მთავრობას დღეში 1 ლარი და 17 თეთრი უჯდება. ესეც იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი უპრეტენზიოა და მორჩილად მიირთმევს ციხის კერძებს. მაგრამ ჯიხვის მწვადსა და რძიან სულგუნს მიჩვეული მილიონერი „ბალანდას" შეგიჭამს?! მაგალითად, ის ყოფილი პატიმარი, ახლა რომ ერთ-ერთი სახელმწიფო მინისტრია, დღეში 100-120 ლარი უჯდებოდა თურმე ციხის ხელმძღვანელობას და „ნადზორს" თავისი ხელით გაუთხრია გვირაბი – იქნება გაიპაროსო...

„ოლიმპიური სისტემა" კი, ზედგამოჭრილია ჩვენთვის: რატომ უნდა ხარჯო პატიმარზე დღეში 1,17 ლარი, როცა მისი გაშვებით ამ ხარჯსაც ზოგავ, ბიუჯეტშიც მეტი შედის და არც იმ ცარიელ საკანს დატოვებ უხეიროდ. კომერციულ ჯიხურად გადააკეთებ და ჩაითა და კანფეტით ივაჭრებ პატიმრებთან, დახლს ქვეშ კი, იმ საქონელს დაიდებ, რაზეც მზარდი მოთხოვნილებაა: მოსაწევი, მობილური, იარაღი და ა.შ...

ასე რომ, „სვაბოდას" გილოცავთ, გადამხდელო პატიმრებო! თქვენთვის ხომ განვადებით გადახდის სერვისიც კი შემოიღეს: გადაიხადა კაცმა 11 მილიონიდან 3 მილიონი და თავისუფალია. დანარჩენს ნელ-ნელა დაფარავს, ძველ პროფესიას რომ დაუბრუნდება და მემანქანედ მოეწყობა სამტრედია-ბათუმის „ელექტრიჩკაზე".

ბიუჯეტი რომ შეივსება, პენსიონერებსაც ეშველებათ. ერთ პენსიონერს, კრწანისის რეზიდენციაში რომ ცხოვრობს, უკვე მოუმატეს და ახლა 14 ათასი ლარი აქვს პენსია, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა: – ეს რას შეეფოფა, როცა მარტო ჭამაზე ოჯახს 9 ლარი გვჭირდებაო... თანაც, ჩემს დროს რომ არ „მოტეხილიყო" ეს ფულები, ახლა რით შეავსებდით ბიუჯეტს, მაგასაც ვნახავდიო...

ასე რომ, მომავალი თვეების, კვარტალებისა და წლების ბიუჯეტიც უპრობლემოდ შეივსება – დასაჭერი ხომ კიდევ ბევრია. განსაკუთრებით, ვისაც ფული აქვს: ჩინოვნიკები, მსხვილი ბიზნესმენები, მერე საშუალო და წვრილი ბიზნესმენები და ბოლოს, ჩვეულებრივი მოქალაქეებიც ხომ შეიძლება ჩავრთოთ ამ სისტემაში – დავიჯერო, დენი მაინც არ ექნებათ კაი დროს მოპარული?! ჰოდა, „გადაიხადონ და წავიდნენ".

ოლიმპიური სისტემა – კარგი სისტემაა, ანუ, როგორც ფეოლა იტყოდა, „ვენაცვალე ბერძნებს!"

P.S. *„ბომჟი" გენერალური პროკურატურის შენობასთან გაჰყვირის:*

– ირაკლი!.. ირაკლი!..

– რა გინდა, წადი აქედან!.. – უღრიალა დაცვამ.

– აი, ნახევარი „ბულკი" მინდა დავაბრუნო... ნახევარსაც იქით თვეში მოგართმევთ...

– რა „ბულკი"?

– ბავშვობაში მოვიპარე და მეშინია, არ დამიჭირონ...

პროვოკატორი

„კიდევ ერთხელ გაიშიფრა სოროსის დაფინანსებული მთავრობის მიზნები“

— როგორც განათლების სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, ფინანსთა სამინისტროში მომზადებული „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები, სამეცნიერო ინსტიტუტების გაუქმებას არ ითვალისწინებს. რატომ ფიქრობთ, რომ ეს ინიციატივა კახა ლომაიას ინტერესებს უკავშირდება?

გურამ შარაძე, *პარლამენტის წევრი:*

— ეს კანონპროექტი არა მარტო სამეცნიერო ინსტიტუტების, არამედ მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებასაც ითვალისწინებს. ამ გეგმის განხორციელება მოხდება ეტაპობრივად. პირველ რიგში, მეცნიერებათა აკადემიაში აღარ შევა დღემდე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომელთა რიცხვი 60-ს აღწევს და სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა. კახა ლომაია კი, ავტომატურად მოახდენს მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ინტელექტუალური, ისე მატერიალური ქონების პრივატიზაციას. უზარმაზარი შენობები, რომლებიც დედაქალაქის პრესტიჟულ ადგილებშია განლაგებული, განათლების მინისტრის დაქვემდებარებაში გადადის. გარდა ამისა, ამ კანონპროექტის მიხედვით, აკადემიას აღარც პრეზიდენტი ეყოლება და აღარც პრეზიდიუმი. ლომაია სოროსის ფონდის პრეზიდენტის თანამდებობას რომ ითავსებდა, ვიცოდი, მაგრამ ნიკო მუსხელიშვილის მემკვიდრეობის მისაკუთრებასაც თუ გაბედავდა, ვერ წარმომედგინა. ამით კიდევ ერთხელ გაიშიფრა სოროსის დაფინანსებული მთავრობის მიზნები. მე მათი მოღალატეობრივი საქმიანობა არ მაკვირვებს, ჩემს გაოცებას იწვევს ქართული ინტელიგენციის დუმილი. როგორ წაართვა მათ შიშმა ხმის ამოღების სურვილი?!. რატომ არ აღუდგებიან წინ პრემიერ-მინისტრის გუნდის ასეთ დამღუპველ გადაწყვეტილებებს?.. თუ საერთო ძალისხმევით არ დავარწმუნეთ პრეზიდენტი, რომ კანონპროექტს ხელი არ მოაწეროს, მაშინ მონური პარლამენტი მას ტაშის გრიალით მიიღებს, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება. ■

„სიამოვნებით დავბრუნდები პარლამენტში“

— ბატონო გიგი, თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი უწყების მიმართ პრეზიდენტმა მკაცრი შენიშვნები გამოთქვა. სააკაშვილის კრიტიკამ პარლამენტში დაბრუნების სურვილი ხომ არ გაგიჩინათ?

გიგი წერეთელი, *ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის მინისტრი:*

— როცა ჩემმა თანამებრძოლებმა ამ სამინისტროს ხელმძღვანელობა შემომთავაზეს, ჩემთვის იოლი არ იყო გადაწყვეტილების მიღება, რადგან მაჟორიტარი დეპუტატი ვიყავი და ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულად ვგრძნობდი თავს, არ მინდოდა, მათთვის იმედი გამეცრუებინა. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამ თანამდებობიდან თითოეული მათგანისთვის, ისევე, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, არანაკლები სამსახურის გაწევა შემიძლია, იმ პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც უახლოეს პერიოდში ამოქმედდება. მე წავედი იქ, სადაც ჩემს გუნდს ვჭირდებოდი, მაგრამ თუ გამოიკვეთება ისეთი პერსონა, რომელიც უფრო მცირე დროში შეძლებს არსებული პრობლემების გადაჭრას, სიამოვნებით დავბრუნდები პარლამენტში. თუმცა, ჩემი აზრით, საკითხი ასე მწვავედ არ დგას. მე მესმის პრეზიდენტის კრიტიკის არსი, რადგან დღევანდელი სიტუაცია ნამდვილად მოითხოვს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტროს ძალზე მძიმე მემკვიდრეობა ერგო. რამდენიმე თვე ამ პრობლემების ანალიზისთვისაა საჭირო, რათა შემდგომში, ძირეული რეფორმები გატარდეს. მე პირველივე დღიდან აქტიურად ჩავერთე პრობლემების გადაწყვეტაში. მომიხდა საზღვარგარეთ წასვლა, რათა გადაგვერჩინა დიდი გრანტი, რომლის აღებაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა და რომელიც სოციალურად საშიში დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გამოყოფილიყო. პრიორიტეტები უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს. ამ ეტაპზე, დიდი დრო ეთმობა შეჩერებული პროექტების „გაცოცხლებას“, ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობას, რათა დონორების დახმარებით შევავსოთ მწირი რესურსები და შემოსული თანხა ხალხს მოვახმაროთ. ■

„პარტიზანებში შურისძიების წყურვილი აღარ არსებობს“

— შემორიგების პროცესის დაწყებასთან ერთად გაჩნდა გარკვეული უკმაყოფილება პასუხისმგებლობისგან მათი გათავისუფლების გამო, ვისაც მძიმე კრიმინალურ დანაშაულებში ედება ბრალი.

გურამ აბსანძე, *სახელმწიფო მინისტრი:*

— სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდში მომხდარი კრიმინალური დანაშაულების გამოძიება არ ჩატარებულა. მაშინდელი ხელისუფლება ხელმძღვანელობდა პრინციპით — გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. მათ ათასობით ადამიანი მოგვიკლეს, მაგრამ ამის გამო არავინ დასჯილა, სამაგიროდ, ზვიად გამსახურდიას მომხრეების მიმართ შეეთითხნა საქმეები და ვინც დაიჭირეს, ყველა, უმძიმესი ბრალდებით გაასამართლეს. ამ პროცესში მონაწილეობდა ყველა ნაძირალა, ვინც იმ პერიოდში, ძალოვან უწყებას ხელმძღვანელობდა. დაკავებულები არა სისხლის სამართლის დამნაშავეები, არამედ პოლიტპატიმრები იყვნენ. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას გვარდიის წევრებს, მათმა გარკვეულმა ნაწილმა ტყეს შეაფარა თავი და სამხედრო ოპერაციებს გეგმავდა უკანონო პრეზიდენტის წინააღმდეგ. მათ ამის უფლება ჰქონდათ, რადგან არ არსებობდა გვარდიის ფორმირებიდან მოხსნისა და გაუქმების ბრძანება. ისინი 12 წელი იბრძოდნენ შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ, ახლა კი გადაწყვიტეს, დადონ იარაღი და შეურიგდნენ იმ ხელისუფლებას, რომელმაც არსებული რეჟიმი დაამხო. მათში შურისძიების წყურვილი აღარ არსებობს, რადგან მხარს უჭერენ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს და ბრძოლას სააკაშვილის წინააღმდეგ არ აპირებენ. ხელისუფლებამ, თავის მხრივ, აღიარა, რომ ეს ადამიანები იდეისათვის იბრძოდნენ, კრიმინალები არ იყვნენ და მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა. ამ ეტაპზე მთავარია, შემორიგების პროცესი გაღრმავდეს, ვითარების შეცვლის გამო უკანონო პატიმრები პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ და მივცეთ მათ საშუალება, ცხოვრების ნორმალურ წესს დაუბრუნდნენ. ■

„საქართველო საცდელ პოლიგონად გადააქციეს“

— ბატონო გია, რევოლუციამდე თქვენ სააკაშვილთან და მის გუნდთან დაახლოებული პირი იყავით, ახლა მის პოლიტიკურ კურსს აკრიტიკებთ, რატომ გაიყარა თქვენი გზები?

გია მაისაშვილი, *ეკონომისტი:*

— ურთიერთობის რაღაც ეტაპზე, ჩვენ შორის აზრთა სხვადასხვაობა ჩამოყალიბდა და ამან გამოიწვია ჩვენი სხვადასხვა გზით წასვლა. მე მიმაჩნია, რომ პრეზიდენტს თავისი გარემოცვა არ აძლევს ნორმალური მუშაობის საშუალებას. მის გარშემო ბევრი ხელმოცარული ადამიანია, რომლებიც შეგნებულად ამღვრევენ წყალს იმისთვის, რომ პიროვნული სარგებელი ნახონ. მე საზოგადოებას შევთავაზებ ალტერნატიულ გზას, რომელიც ფართო განსჯის საგანი გახდება; მოსახლეობის აზრის ამ კუთხით ფორმირება ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენს მთავრობაზე და ეს უკანასკნელი იძულებული იქნება, უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგას. საქართველოს დღეს აქვს უნიკალური შანსი, რადიკალური ცვლილებების გზით თვისებრივად ახალი საზოგადოების მშენებლობისა. ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლება ამას ვერ აცნობიერებს. მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პრეზიდენტი ახლა შიშის დათესვასა და თვალების ბრიალს უნდა მოეშვას და ქვეყანა გაამთლიანოს. მაგრამ რა ხდება? პატარა, გამოუცდელი, აგრესიული ბიჭები მოვიდნენ ხელისუფლებაში და ცეცხლს ეთამაშებიან. უკიდურესად გამწვავებულია ურთიერთობა რეგიონთან, რასაც ემატება ყოველდღიური შეურაცხმყოფელი განცხადებები. ქვეყნის პირველი პირები, იმის ნაცვლად, რომ ეკონომიკური პროგრამის შემუშავებაზე ფიქრობდნენ, გაურკვეველ პოლიტიკას ახორციელებენ. საქართველო საცდელ პოლიგონად გადააქციეს, მოსახლეობა კი შედეგებს ელის. თუ მათ ვერც ახალ საქართველოში შეძლეს საკუთარი თავის რეალიზება, მაშინ საზოგადოება გაბოროტდება და ყველაფრის მიმართ დაკარგავს ნდობას. მე სწორედ ამის მეშინია, ამიტომ ვცდილობ პრობლემის აქტუალიზებას. ■



ყველაზე თავისუფალი ტელევიზია, როგორც ჩანს, ნაკრები იმუშავებს

ნანა ქიბიშაური

ბოლო დროს, საქართველოში მოქმედ ტელევიზიებში დიდი ვნებათაღელვა შეინიშნება. ქართული ტელეინდუსტრია ძირეულ ცვლილებებს განიცდის და უახლოეს მომავალში სხვადასხვა ტელეკომპანია მაყურებელს მრავალ სიახლეს შესთავაზებს. ჯერჯერობით კი, სურათი ასეთია: ვერ ვიტყვით, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, „იბერია“ საკუთარ ბედს შენატრის, „მე-9 არხის“ თანამშრომლებს, მაუწყებლობის შეწყვეტის გამო ჯერ ცრემლი არ შეშრობიათ თვალზე, „რუსთავი 2“ კი ამბობს – გამარჯვებული ხალხის ტელევიზია ვარო, – მაგრამ ბევრი უპასუხებს: გამარჯვებული ხალხის კი არა, უკვე, სახელმწიფო ტელევიზია ხარო, „იმედის“ იმედით შორს ვერ გავფრინდებით, „კავკასიასა“ და „ევრიკაზე“ საუბრით კი თავს არ შეგაწყენთ. კი „შემომელანდა“ თითქმის ყველა ტელეკომპანია, მაგრამ დიდი ამბავი – თვითონ ტელევიზიების ხელმძღვანელებს აღარ მოსწონთ თავიანთი ტელეკომპანიები და შედეგიც ცნობილია: ზოგი მაუწყებლობას წყვეტს, ზოგიც თანამშრომელთა რიცხვს ანახევრებს...

ამჯერად, ვნებათაღელვის ზენიტში ზაზა შენგელია და „I არხი“ იმყოფება. იქ დიდი რეფორმები დაიწყო. ტელეკომპანიაში, სადაც 3000 ადამიანი იყო დასაქმებული, შენგელიამ 1400 ადამიანი „პენსიაში“ გაუშვა და ამბობს, რომ ოპტიმიზაციის პროცესი გრძელდება...

— ბატონო ზაზა, ბევრმა ადამიანმა უკვე დატოვა ტელევიზია, ბევრიც მომავალში დატოვებს, რა კრიტერიუმით ხდება კადრების შერჩევა და ეს პროცესი როგორ აისახება „I არხის“ მუშაობაზე?

— ოპტიმიზაციის პროცესი „I არხზე“ კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს. სახელმწიფო ტელევიზიაში დღეს 1600 კაცი აკეთებს 600 კაცის გასაკეთებელ საქმეს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება მანამდე, სანამ თანამშრომელთა ოპტიმალურ რაოდენობას არ მივიღებთ. ერთ წელიწადში სახელმწიფო ტელევიზია საზოგადოებრივ ტელევიზიად უნდა გარდაიქმნას. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს მისი არსი, მართვის სისტემა, დაფინანსების წყარო, შიდასტრუქტურა და გადაცემების ფორმატი. პრეზიდენტმა სააკაშვილმა შექმნა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო, რომელიც რეორგანიზაციის პროცესს მეთვალყურეობას გაუწევს. თუ ახლა პრეზიდენტი ნიშნავს „I არხის“ ხელმძღვანელს, რეფორმის შემდეგ, პარლამენტი აირჩევს ცხრაკაციან საბჭოს, რომელიც ტელევიზიის მუშაობის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს და აღმასრულებელ დირექტორსაც ის დანიშნავს. საზოგადოებრივი ტელევიზია სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდება, ის ხალხმა უნდა შეინახოს. მაგრამ მისი შენახვა რომ არ გაუჭირდეს, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი თანამშრომელთა რიცხვის შემცირება. ჯერ მოსაფიქრებელია, რა სისტემით მოხდება ტელევიზიის გადასახადის აკრება. ყველაზე ძვირი ტელევიზიის გადასახადი დაწესებულია ისლანდიასა და დანიაში – წელიწადში 220 დოლარი. ბრიტანეთში ეს თანხა 105 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. საფრანგეთში გადასახადების ამოღებაში ტელევიზიას ფინანსთა სამინისტრო ეხმარება. თურქეთში კი, ტელევიზიის გადასახადსაც ელექტროენერგიის გადასახადთან ერთად კრებენ. ჩვენშიც ჩამოყალიბდება და დაიხვეწება ეს სისტემა, ამისთვის წინ მთელი წელი გვაქვს... ახლა კი, იმის შესახებ, თუ „I არხს“ თანამშრომელთა რა კატეგორია დატოვებს. ბევრი იმაში მადანაშაულებს, რომ აქცენტს ახალ სახეებსა და ახალგაზრდებზე ვაკეთებ და ხანში შესულებს ვათაკაცი აკეთებს 600 კაცის გასაკეთებელ საქმეს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება მანამდე, სანამ თანამშრომელთა ოპტიმალურ რაოდენობას არ მივიღებთ. ერთ წელიწადში სახელმწიფო ტელევიზია საზოგადოებრივ ტელევიზიად უნდა გარდაიქმნას. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს მისი არსი, მართვის სისტემა, დაფინანსების წყარო, შიდასტრუქტურა და გადაცემების ფორმატი. პრეზიდენტმა სააკაშვილმა შექმნა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო, რომელიც რეორგანიზაციის პროცესს მეთვალყურეობას გაუწევს. თუ ახლა პრეზიდენტი ნიშნავს „I არხის“ ხელმძღვანელს, რეფორმის შემდეგ, პარლამენტი აირჩევს ცხრაკაციან საბჭოს, რომელიც ტელევიზიის მუშაობის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს და აღმასრულებელ დირექტორსაც ის დანიშნავს. საზოგადოებრივი ტელევიზია სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდება, ის ხალხმა უნდა შეინახოს. მაგრამ მისი შენახვა რომ არ გაუჭირდეს, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი თანამშრომელთა რიცხვის შემცირება. ჯერ მოსაფიქრებელია, რა სისტემით მოხდება ტელევიზიის გადასახადის აკრება. ყველაზე ძვირი ტელევიზიის გადასახადი დაწესებულია ისლანდიასა და დანიაში – წელიწადში 220 დოლარი. ბრიტანეთში ეს თანხა 105 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. საფრანგეთში გადასახადების ამოღებაში ტელევიზიას ფინანსთა სამინისტრო ეხმარება. თურქეთში კი, ტელევიზიის გადასახადსაც ელექტროენერგიის გადასახადთან ერთად კრებენ. ჩვენშიც ჩამოყალიბდება და დაიხვეწება ეს სისტემა, ამისთვის წინ მთელი წელი გვაქვს... ახლა კი, იმის შესახებ, თუ „I არხს“ თანამშრომელთა რა კატეგორია დატოვებს. ბევრი იმაში მადანაშაულებს, რომ აქცენტს ახალ სახეებსა და ახალგაზრდებზე ვაკეთებ და ხანში შესულებს ვათა-

„I არხი“ იყო ძველი აზროვნების უკანასკნელი პლაცდარმი

მაგრამ რეფორმების შემდეგ, აქ ისეთი ატმოსფერო იქნება, რომ...

...ალბათ ყველა „პირველარხელი“ თავის „სახლში“ დაბრუნდება

ვისუფლებ. ეს სიმართლეს არ შეეფერება. ბევრი ადამიანი ახალგაზრდაა, მაგრამ უპერსპექტივო, ბევრი — ასაკოვანი, მაგრამ ენერგიით სავსე — ისეთი, როგორიც ნამდვილი „ტელევიზიონშიკი“ უნდა იყოს. მე ვხელმძღვანელობ მხოლოდ ერთი პრინციპით — პროფესიონალიზმით და ახალ სტანდარტებთან შესაბამისობით. ბევრს ჰგონია, რომ მისი გადაცემა მაღალრეიტინგულია, მაგრამ სამწუხაროდ, სინამდვილეში ამ გადაცემას მხოლოდ მისი ოჯახის წევრები უყურებენ. ყველა უნდა გათავისუფლდეს ილუზიებისგან და მათ ამაში მარკეტინგისა და რეიტინგის კვლევის სამსახური დაეხმარება. ვისაც ამ ეტაპზე მოუწია სამსახურის დატოვება, მინდა ვუთხრა, რომ მათთვის ტელევიზიის კარი საბოლოოდ დაკეტილი არ არის. სატელევიზიო ბადე ყოველწლიურად ახალი პროექტებით შეივსება. მათ საშუალება მეცემათ, კონკურსში მიიღონ მონაწილეობა და საკუთარი იდეები შემოგვთავაზონ. იმ ყოფილი „პირველარხელებისათვის“ კი, ვინც სოციალურად დაუცველია, ტელევიზიაში დარჩენილი თანამშრომლები სოციალური დახმარების ფონდს შექმნიან და ფინანსურად დაეხმარებიან — ეს ჰუმანური და კოლეგიალური ჟესტია და მიხარია, რომ ამ წინადადებას ყველა გაგებით შეხვდა.

— ბატონო ზაზა, ამბობენ, „რუსთავი 2“ „I არხის“ ერთ-ერთ პავილიონს ყიდულობს და იმასაც, რომ სხვა ტელეკომპანიებში გადასული ყოფილი „პირველარხელები“ კვლავ თქვენთან გადმოსვლაზე დაიყოლიეთ და ამით ტელეკომპანიების ხელმძღვანელები გაანაწყენეთ...

— მე ძალიან ბევრჯერ მატკინეს გული ჭორებით, ახლა კი ამ მოარულ ხმებს ყურადღებას აღარ ვაქცევ. საერთოდ, იქ ჭორაობენ, სადაც მეტი თავისუფალი დრო აქვთ, საქმიან გარემოში კი, მხოლოდ საქმეზე ფიქრობენ. აი, ასეთი გარემო მინდა შეიქმნას ახალ ტელევიზიაში. ვინც „I არხის“ ეთერში „დაიბევებს“ ადგილს, ზურგს უკან სუნთქვას უნდა გრძნობდეს: მოეშვება თუ არა, სხვა ადამიანით ჩანაცვლდება. საქართველოში არსებული ყველა ტელეკომპანია ჩვენს არხზე გაზრდილი ხალხით არის დაკომპლექტებული. ბევრმა უარი თქვა სხვების მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე და თავის არხს არ უღალატა, დასაფასებელია მათი ერთგულება. ბევრმა მიიღო შეთავაზებული წინადადება, მაგრამ მე მათიც მესმის. ჩემიც უნდა ესმოდეს ყველას — არაფერია უცნაური იმაში, რომ ტელევიზიაში დაბრუნების შემდეგ, მინდა, ჩემი ხალხი ისევ „I არხზე“ დაბრუნდეს. ბევრ მათგანთან 15-წლიანი თანამშრომლობა მაკავშირებს და ისინიც, იმის მიუხედავად, თუ ახლა სად მოღვაწეობენ, ვიცი, რომ „I არხის“ გულშემატკივრები არიან... „I არხი“ იყო ძველი აზროვნების უკანასკნელი პლაცდარმი, კუნძულივით გამოიყურებოდა სხვა ტელეკომპანიების ფონზე. მაგრამ რეფორმების შემდეგ, აქ ისეთი ატმოსფერო იქნება, რომ ალბათ ყველა „პირველარხელი“ თავის „სახლში“ დაბრუნდება. ეს ტელევიზია იქნება ყველაზე თავისუფალი და აქ იმუშავებს ტელევარსკვლავთა ნაკრები.

— რეფორმებს ფინანსები სჭირდება, ტელევარსკვლავებს — ვარსკვლავური ჰონორარები. მხოლოდ მაყურებლისგან აკრეფილი გადასახადები იქნება კი საკმარისი, რომ საზოგადოებრივმა ტელევიზიამ კონკურენტულ გარემოს გაუძლოს და წარმატებით იფუნქციონეროს?

— ყველა ქვეყანაში არის იმდენი ტელევიზია, რამდენსაც სწვდება სარეკლამო ბაზარი. ჩვენთან რეკლამისთვის იხარჯება 5 მილიონი დოლარი — ეს ძალიან ცოტაა. ეს თანხა საკმარისია მხოლოდ იმისთვის, რომ ორმა-სამმა ტელეკომპანიამ იმუშაოს, ჩვენში კი, მოგეხსენებათ, 10-ზე მეტი არხია. ისეთ ტელეკომპანიებთან მოგვიწევს კონკურენცია, რომლებმაც ტელეინდუსტრიაში ათეულობით მილიონი დოლარი ჩადეს. დღესდღეობით ჩვენი დაფინანსება 11 მილიონი ლარით შემოიფარგლება — ეს სასაცილო თანხაა. მაგრამ სამჯერ იმაზე მეტ საქმეს ვაკეთებთ, რაც შეიძლება ამ თანხით გაკეთდეს.

განახლებული ტელევიზია სარეკლამო ბაზარზე არ იქნება ორიენტირებული. თუ რეკლამა იქნება, ისე განთავსდება, რომ მაყურებლის უფლება არ შეილახოს. არც ერთი პროგრამა არ „გაიჭრება“ რამდენიმე ნაწილად. ვფიქრობ, კონკურენტულ გარემოსაც გავუძლებთ და ისეთი შემეცნებითი და კულტურულ-საგანმანათლებო გადაცემები მომზადდება, რომ მაყურებელი კმაყოფილი დარჩება. რაც მთავარია, მე ხელისუფლებიდანაც და ხალხისგანაც ვხედავ ერთსულოვან ნებას — შეიქმნას ნამდვილი საზოგადოებრივი ტელევიზია — და შევქმნით კიდეც! ■

ეს ხდება ყოველი —

რესტრუქტურიზაცია თუ ლიკვიდაცია?!

„მე-9 არხის“ დახურვის შემდეგ, 300-მდე თანამშრომელი უმუშევარი დარჩა. ტელეკომპანიის ხელმძღვანელები მაუწყებლობის შეწყვეტის კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებენ. პირველი განცხადებების თანახმად, მიმდინარეობდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, თუმცა, საბოლოოდ, ტელეკომპანიამ ლიკვიდაცია გამოაცხადა.

ხათუნა მაღრაძე

ამ ფაქტთან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია არსებობს, მათ შორის ყველაზე რეალურ მოტივად, ფინანსურ ფაქტორს ასახელებენ: მოარული ინფორმაციით, კომპანიის მფლობელს – ბიძინა ივანიშვილს, „I არხის“ დაფინანსება სთხოვეს, რაზეც მან უარი განაცხადა; ამასთანავე ამბობენ – ცნობილ ბიზნესმენს ახალი ხელისუფლება არ წყალობს და საქართველოში მის ყველა პროექტს ბოლო მოეღოო... ბიძინა ივანიშვილი ორთაჭალაში „მე-9 არხის“ განსათავსებლად უზარმაზარ შენობას აგებდა, მაგრამ ტელემაუწყებლობის შეწყვეტასთან ერთად, ეს მშენებლობაც გაჩერდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცნობილმა ბიზნესმენმა საკუთარი ტელეკომპანიის გაფართოებისთვის უკვე დიდი თანხა დახარჯა, ნაკლებსავარაუდოა, რომ უეცრად გადაწყვიტა „მე-9 არხის“ დახურვა, მისი არარენტაბელობისა და არარეიტინგულობის გამო, მით უმეტეს, რომ შარშან „მე-9 არხმა“ ტენდერში გაიმარჯვა და უახლოეს მომავალში, მისი ტელემაუწყებლობა მთელ საქართველოში უნდა გავრცელებულიყო.

„მე-9 არხის“ დახურვის ერთ-ერთ ვერსიად პოლიტიკურ მოტივსაც ასახელებენ: თითქოს ბიძინა ივანიშვილს „მე-9 არხის“ დახურვა „ურჩიეს“. ამ ვერსიის საფუძველს წარმოადგენს მოარული ხმები, თითქოს ქართულ ტელესივრცეში მხოლოდ სახელმწიფო ტელევიზია და „რუსთავი2“ უნდა დარჩეს და ყველა სხვა „რეორგანიზაციას“ შეეწირება...

როგორც „მე-9 არხის“ აწ უკვე ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი ***მაკა ლეონიძე*** *აცხადებს, მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება.*

— ქალბატონო მაკა, პირველ აპრილამდე თუ იყო საუბარი არხის აუცილებელ რესტრუქტურიზაციაზე?

— ერთი სიტყვაც არავის უთქვამს. ჩვენთვის მოულოდნელობის ეფექტი იმდენად ძლიერი იყო, რომ დღემდე გვიჭირს მომხდარის გაცნობიერება.

— საუბრობენ პოლიტიკურ მოტივზეც, თქვენ ამას გამორიცხავთ?

— ჩვენი ტელეკომპანია სკანდალებზე ორიენტირებული არასოდეს ყოფილა. ჩვენ მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყო გაწონასწორებული და ობიექტური, ამიტომ არა მგონია, ვინმეს დასჭირვებოდა პოლიტიკური მოტივით „მე-9 არხის“ მაუწყებლობის შეწყვეტა.

— მაშინ გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილმა უბრალოდ, უარი თქვა თქვენს დაფინანსებაზე...

— მე დეტალებში გარკვეული არა ვარ, მაგრამ ამ ეტაპზე, ვინაიდან მაუწყებლობა შეჩერებულია, დაფინასებაც შეწყდა.

— თანამშრომლების დათხოვნის პროცესში, შრომის კანონმდებლობა თუ იყო დაცული?

— კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პუნქტი შესრულდა. თანამშრომლებმა სრულად მიიღეს შრომის ანაზღაურება, დარღვევას ამ კუთხით ადგილი არ ჰქონია.

— ამ ეტაპზე რომელიმე ტელეკომპანიასთან გაერთიანებაზე ხომ არ არის საუბარი?

— გამორიცხული არ არის, რომ კონკრეტული გადაცემები სხვადასხვა არხზე გაგრძელდეს, თუმცა „მე-9 არხის“ სხვა ტელეკომპანიასთან გაერთიანების საკითხი არც დამდგარა.

„მე-9 არხის“ რამდენიმე გადაცემას სავარაუდოდ, ტელეკომპანია „იმედი“ იყიდის. ***გიორგი თარგამაძის*** *თქმით, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება არხის გაუქმებასთან დაკავშირებით, მის მომავალ ბიზნესგეგმებს უკავშირდება:*

— არა მგონია, რომ „მე-9 არხზე“ პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდებოდეს, რადგან ეს არხი მხოლოდ თბილისის მასშტაბით მაუწყებლობდა და საზოგადოებრივ აზრზე განსაკუთრებულ გავლენას არ ახდენდა.

— თქვენი აზრით, რა გახდა მისი დახურვის მიზეზი?

— დახურვა ალბათ, მისი დამფუძნებლისა და მეპატრონის სხვა სატელევიზიო ინტერესებს უკავშირდება. როგორც მე ვიცი, მისი მეპატრონე ახალი ტელეარხის დაფინანსებას აპირებს, თუმცა რომელ არხზეა საუბარი, ამის დაკონკრეტება არ მინდა.

— „იმედი“ თუ გეგმავს „მე-9 არხის“ პროგრამების ყიდვას?

— გამორიცხული არ არის, რამდენიმე პროგრამა ვიყიდოთ, მოლაპარაკება მიმდინარეობს გია რონინშვილის „მატარებელზე“. შესაძლებელია, რამდენიმე სხვა გადაცემამაც ჩვენს არხზე გააგრძელოს არსებობა.

გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს „მე-9 არხის“ კოლექტივი ტელეკომპანია „მზეს“ შეუერთდება, კატეგორიულად უარყოფს „მზის“ გენერალური დირექტორი ***ელდარ მდინარაძე:***

— არავითარი შეთანხმება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. „მე-9 არხის“ დახურვა ჩემთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც მისი თანამშრომლებისთვის. გარკვეული პერიოდი, მე ამ ტელეკომპანიაში ვმუშაობდი და ინტერესის დასაკმაყოფილებლად შევეცადე, გამერკვია, თუ რა ხდებოდა. მაგრამ იმდენი ვერსია გაჩნდა, რომ მათ შორის ყველაზე რეალურის დასახელება ძნელია. დასანანია, რომ ამდენი ხალხი უმუშევარი დარჩა.

— თქვენს ტელეკომპანიაში ხომ არ მიიღებთ უმუშევრებს?

— გადავხედავთ, შეგვიძლია თუ არა რამდენიმე ჟურნალისტი მაინც რომ მივიღოთ.

— გადაცემების ყიდვას არ აპირებთ?

— არაფერი ჰქონდათ ისეთი, რაც ჩვენ დაგვაინტერესებს. მათი გადაცემები სხვა არხებისთვის დაგვითმია. „პირველმა არხმა“ დილის გადაცემა შეისყიდა, გასართობი პროგრამების ყიდვას სხვა ტელეკომპანიებიც აპირებენ. ჩვენ ეს საკითხი არ გვაინტერესებს.

— ამბობენ, ქართულ ტელესივრცეში მხოლოდ ორი არხი უნდა დარჩესო, „მზე“ მათ შორის არ მოიაზრება...

— ვიღაც-ვიღაცებს ამის სურვილი ნამდვილად აქვთ, მაგრამ ვერ ეღირსებიან. ბუნებრივია, ორი არხის გაკონტროლება იოლია. მით უმეტეს იმ ტელეარხების, რომლებიც მათ მხარდამჭერებად მოიაზრებიან, მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

— თავიდან ასე ამბობენ, შემდეგ — „რეორგანიზაცია“ იწყება ხოლმე...

— გამორიცხულია. თუ გვესვრიან, თორემ, „მზე“ დახურვას ნამდვილად არ აპირებს.

■

თხუთმეტი წელი მიილია იმ ტრაგიკული 9 აპრილიდან, როდესაც თავისუფლების იდეით ანთებულ ადამიანებს უმოწყალოდ გაუსწორდნენ. ეს დღე საბჭოთა კავშირის სისხლიანი ისტორიის კიდევ ერთ შავ ლაქად დარჩა და თითოეული ქართველის გულსა და გონებაში მუდამ, სევდიან მოგონებებს აშლის და უსაზღვრო ტკივილს გამოიწვევს. სასანგრე ნიჩბებით დაჩეხილი და გაზით მოწამლული ადამიანები მაშინ გმირებად შერაცხეს. დაღუპულების სახელების უკვდავსაყოფად მთავრობის სასახლის წინ „უსახური ქვა“ დადგეს, ისინი კი, ვინც სასწაულის წყალობით, გადაურჩა სიკვდილს, დროის დინებასთან ერთად მიივიწყესო, — მითხრეს „9 აპრილის საზოგადოებაში“ და დასძინეს: თქვენც კი, ჟურნალისტებს, მხოლოდ მაშინ გახსენდებით, როდესაც ეს თარიღი ახლოვდებაო... მათი გულისწყრომის სამართლიანობაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ექიმ დათო გოგოლაძეს ვეესაუბრებოდი.

9 აპრილის ტრაგედია

და ჭეშმარიტი ფიზიკური ძალადობა

ემა ტუხიაშვილი

დათო გოგოლაძე:

– 1989 წლის 25 მაისის ბრძანებულებით გადაწყდა, რომ 1989 წლის 9 აპრილის დაზარალებულები მკურნალობას გაივლიდნენ №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში *(ყოფილი „ლენინკომბინატი“. – ავტ.)* სადაც შეიქმნებოდა სპეციალური განყოფილება ამ ადამიანებისთვის. თავდაპირველად ამ განყოფილებაში მუშაობდა სხვადასხვა პროფილის 12 ექიმი, ხდებოდა ავადმყოფების უზრუნველყოფა მედიკამენტებით და ა.შ. მაგრამ ეს მხოლოდ ორი-სამი წელიწადი გაგრძელდა და როდესაც მედიცინა ფასიან სექტორში გადავიდა, საერთოდ შეწყდა 9 აპრილის დაზარალებულებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა. 2002 წლის პირველ ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურსა და ჩვენს სამედიცინო ცენტრს შორის, რომლის თანახმადაც, უნდა გამოყოფილიყო ექიმის საშტატო ერთეული, პაციენტებისთვის რამდენიმე ანალიზის უფასოდ ჩატარებისა და ზოგიერთი სახეობის სამედიცინო შეღავათის გასაწევად საჭირო თანხა. ეს ხელშეკრულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და 2002 წლიდან დღემდე, აღნიშნული მიზნებისთვის ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურს ერთი თეთრიც არ გადმოურიცხავს.

— თუ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა — რამდენი ადამიანი დაზარალდა 1989 წლის 9 აპრილს?

– ჩვენი მონაცემებით, სულ 1900 ადამიანს ესაჭიროებოდა მკურნალობა. მაგრამ დღეისათვის, ამ რიცხვის დასახელება გვიჭირს, რადგან თხუთმეტი წლის განმავლობაში, ბევრი მათგანი ალბათ დაიღუპა, დანარჩენები კი – აღარ გვაკითხავენ.

— თუ არსებობს რაიმე სოციალური შეღავათები ამ ადამიანებისთვის?

– 1999 წლის 30 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებდა 9 აპრილს დაზარალებულებისთვის, როგორც სამედიცინო, ასევე სოციალური დახმარებისა და შეღავათების გაწევას, კერძოდ – ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, ტრანსპორტით სარგებლობისთვის. მაგრამ ელექტროენერგიის გარდა, სხვა შეღავათები არ სრულდება.

— ამჟამად თუ ფუნქციონირებს 9 აპრილის დაზარალებულთა სამედიცინო ცენტრი და დღეისათვის, როგორია ამ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– ეს ცენტრი აღარ არსებობს. მე ვარ ერთადერთი ექიმი იმ თორმეტიდან, რომლის საშტატო ერთეულიც ფორმალურად შემორჩა ამ ცენტრს. რაც შეეხება მათი ჯანმრთელობის მდგო-

> *არანაირი ფიზიკური ძალადობის ნიშანი მას სხეულზე არ ჰქონია, როგორც შემდეგ გაირკვა, მომწამლავი გაზი მისთვის პირდაპირ სახეში შეუსხამთ...*

მაკა ბაშალეიშვილი

მარეობას – ვიცით, რომ 200-მდე ადამიანს მიენიჭა სხვადასხვა ჯგუფის ინვალიდობა, ხოლო დაზარალებულთა გარკვეულ წრეს ამჟამად, ნამდვილად ესაჭიროება სამედიცინო დახმარება და ჩვენი მეთვალყურეობა, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია.

...უკვე თხუთმეტი წელია, ყოველი წლის ცხრა აპრილს, ბაშალეიშვილების სახლის აივანზე ორი დროშა ფრიალებს: ერთი – შავია და დაღუპული შვილის გლოვაზე მიგვანიშნებს, მეორე – შვინდისფერი ქართული ეროვნული დროშაა...

მაკა ბაშალეიშვილი, *ნათია ბაშალეიშვილის დედა:*

– მე და ჩემი მეუღლე შვილებს ბავშვობიდანვე ვუნერგავდით სამშობლოს სიყვარულს, ამიტომ ნათიასთვის მიტინგზე წასვლა და იქ ღამის გათენება არც დაგვიშლია. 1989 წლის 8 აპრილს მე და ნათია მიტინგზე ერთად წავედით, შემდეგ ის თავის მეგობარსა და თანაკლასელს – თამრიკო ჭოველიძეს უნდა შეხვედროდა: გვიან საღამოს, თამრიკოს დედის მეგობართან ერთად აპირებდნენ ისევ მომიტინგეებთან დაბრუნებას. როგორც შემდეგ გაირკვა, თამრიკოს დედის მეგობარი იმ საღამოს გოგონებთან ვერ მისულა. ეს რომ მცოდნოდა, ნათიას არ მივატოვებდი და შინ არ დავბრუნდებოდი... დილით, ოთხ საათზე კი, ჩვენს კარზე კაკუნი გაისმა. რომ გავაღე, ჩემ წინ ლია ანდღულაძე იდგა – ნათიას მეგობრის, ნინო ანდღულაძის დედა. მან მითხრა, რომ მომიტინგეები დაურბევიათ და ჩვენი შვილების საძებნელად გავემართეთ.

წვიმდა, ნესტიანი ამინდი იყო. ბავშვებს საავადმყოფოებში ვეძებდით, მაგრამ უშედეგოდ. ისე დაგვათენდა ის დღე, ნათიას სახელი და გვარი მიცვალებულთა და დაზარალებულთა სიებშიც ვერ აღმოვაჩინეთ. საღამოს კი, პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, იგი მეგობარმა ამოიცნო. ნათია უგონოდ იყო, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო შეერთებული და სხეული მთლიანად დანეკროზებული ჰქონდა. ექიმებმა არაფერი დაიშურეს მის გადასარჩენად, მაგრამ გამოყენებული იყო აკრძალული გაზი – „ქლორპიტრინი“, რომელმაც ნათიას სიკვდილი გამოიწვია. არანაირი ფიზიკური ძალადობის ნიშანი მას სხეულზე არ ჰქონია, როგორც შემდეგ გაირკვა, მოშწამლავი გაზი მისთვის პირდაპირ სახეში შეუსხამთ... ჩვენი ოჯახის ტრაგედია ამით არ დასრულებულა: ნათიას გარდაცვალებიდან ოთხი წლის თავზე, უკვალოდ დაიკარგა ჩემი მეუღლე. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მისი თევზებისგან დაზიანებული სხეული „ორთაჭალჰესთან“ აღმოაჩინეს. მაგრამ მისი სიკვდილის ზუსტი მიზეზი დღემდე არ ვიცით...

ლალი ღვინეფაძე შვილებთან ერთად

— ქალბატონო მაკა, იმის შეგნება, რომ თქვენი შვილი საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას შეეწირა, ალბათ მაინც გიმსუბუქებთ მისი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს...

— ჩემმა შვილმა უშურველად გაიმეტა თავისი სიცოცხლე ქვეყნის ბედნიერებისთვის. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული და თქვენ უნდა გაგიმხილოთ: იმ ავბედითი თარიღიდან ორი წლის შემდეგ, ყოფილი ბელინსკის ქუჩის ერთ ნაწილს ჭოველიძის ქუჩა უწოდეს და ძალიან მინდა, რომ ამ ქუჩის მეორე ნაწილს, ნათიას სახელის უკვდავსაყოფად, მისი სახელი ერქვას...

— ყოველი წლის 9 აპრილს, თქვენი სახლის აივანზე ორი დროშა ფრიალებს ხოლმე...

– ნათიას ორმოცზე ეს დროშები კომპანია „ქართული ფილმის“ დირექტორმა, ბატონმა რეზო ჩხეიძემ მოგვიტანა. მახსოვს, ეროვნული დროშა რომ გაეკეთებინა, ნათია შინდისფერი წიგნის ყდებს ეძებდა ხოლმე, თანაც, მისი სიცოცხლეც ხომ ამ დროშის ფრიალს შეეწირა. ამიტომ მიყვარს ეს დროშა და ყოველი წლის 9 აპრილს შავი დროშის გვერდით, მასაც ვფენ აივანზე.

1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა არმიის სამხედროების მიერ გამოყენებული მომწამვლელი ნივთიერების შედეგად დასნებოვნდა მთელი ოჯახი – ექიმი ლალი ღვინეფაძე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი – ოთხი წლის თამუნა ხინთიბიძე და რვა თვის დავით ხინთიბიძე.

ლალი ღვინეფაძე:

– როდესაც სამხედროებმა მომიტინგეების დარბევა დაიწყეს, ხალხი თავშესაფარს ეძებდა. მახსოვს, რომ ცოტა ხნით ადრე, ქართველმა მილიციელებმა კარდაკარ დაიარეს და გვაფრთხილებდნენ, რომ სადარბაზოს კარი არ დაგვეკეტა. ჩვენ „იმელის“ შენობის უკან ვცხოვრობთ და ისინი, ვინც მოახერხა, გამოჰქცეოდნენ ჯალათებს, სწორედ ამ მიმართულებით გამორბოდნენ. უამრავი ადამიანი შევიფარეთ, ბევრს ფეხზე არც

კი ეცვა... მახსოვს, იმდენმა ადამიანმა მოვიყარეთ თავი ოთახში, რომ დასაჯდომი ადგილი აღარც იყო და ყველანი ვიდექით... მაშინვე ვიგრძენი მძაფრი, არასასიამოვნო სუნი, რომელიც იმ ადამიანებს ასდიოდათ. ქუჩაში საშინელი გუგუნი ისმოდა... მინდა გითხრათ, რომ ქართულმა მილიციამ 9 აპრილის ღამეს ხალხის ერთგულება დაამტკიცა. ჩემს ბიძაშვილს რუსმა სამხედრომ თავში ნიჩაბი ჩაარტყა, სერიოზული ტრავმა ჰქონდა, მაგრამ წამოდგომა მაინც უცდია. მილიციელს გადაულაპარაკია მისთვის: არ გაინძრე, მკვდარი ჰგონიხარო! როგორც მიცვალებული, ისე გადაუყვანიათ პროზექტურაში და ამის წყალობით გადარჩენილა.

— მოწამვლის ნიშნები როდის აღმოგაჩნდათ?

— ცხრა აპრილს დილით, ნამძინარევი ბავშვები თვალებს ვეღარ ახელდნენ,

სუნთქვაც უჭირდათ. მე და ჩემს მეუღლეს კი, საშინელი თავის ტკივილი და ზოგადი მოდუნება აღგვენიშნებოდა. საჭირო გახდა ჩემი და ბავშვების სასწრაფოდ ჰოსპიტალიზაცია. ბავშვები ძალიან დამძიმდნენ, საჭმელს ვერ ირგებდნენ... გული მიკვდებოდა, როდესაც მანამდე სრულიად ჯანმრთელ ბავშვებს, გასაცოდავებულებს ვუყურებდი. წლები დაგვჭირდა, რომ ისინი სრულიად გამოჯანმრთელებულიყვნენ, პრობლემები ჰქონდათ ფილტვებში, მაგრამ ღვთის წყალობით, ახლა ყველაფერი კარგად არის...

თამუნა ხინთიბიძე:

— ოთხი წლის ვიყავი, მაგრამ მახსოვს, როგორი გუგუნით შემოვიდნენ ტანკები რუსთაველზე, ეს ხმაური დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში. კიდევ მახსოვს, საავადმყოფოში უცხოელმა ჟურნალისტებმა, როგორ დაგვაყენეს კედელთან, ვიდეოკამერით გვიღებდნენ და დედაჩემს გამუდმებით ეკითხებოდნენ რაღაცებს... ოჯახში ვინახავთ ჩემი საუბრის აუდიოჩანაწერს, როდესაც ოთხი წლის ბავშვი დეტალურად ვუყვები უფროსებს 1989 წლის 9 აპრილს განცდილს...

იმ დღეს გაზეთ „კვირის პალიტრის“ ფოტოკორესპონდენტი **ნესტან ლომიძე,** *როგორც აქციის მონაწილე და მაშინ, მოყვარული ფოტოგრაფი (ჟურნალის მე-9 გვერდზე სწორედ მის მიერ გადაღებული ფოტოებია), ასევე იმყოფებოდა მთავრობის სასახლის წინ:*

— როდესაც ჯარი შემოვიდა რუსთაველის გამზირზე, გაჩნდა ჭყლეტის საშიშროება. მთავრობის სასახლის წინ მდებარე გაზონები მაშინ მიწით არ იყო ამოვსებული და გვეშინოდა, რომ შიგ ჩავცვივდებოდით, მაგრამ ქართველი მილიციელები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ იქიდან ხალხი გამოეყვანათ. მამაკაცები გვიყვიროდნენ, რომ იქაურობას გავცლოდით... არ მახსოვს, როგორ, მაგრამ ხალხის ტალღამ კოლმეურნეობის მოედნისკენ გამომრიყა. ირგვლივ უცნაური ფერის ბურუსი ჩამოწოლილიყო, ერთმანეთში ირეოდა სხვადასხვა ხმა, გუგუნი, ქალების კივილი... დილით დაღუპულებს შორის ვეძებდი ჩემს მეგობრებს, სიონის ტაძარში რამდენიმე გვამი იყო დასვენებული. სახეზე ზეწრები ეფარათ და მხოლოდ ფეხებით მიხვდებოდი, გარდაცვლილი ქალი იყო თუ მამაკაცი. ისინი, ვინც დაღუპულში ნაცნობს ამოიცნობდა, მიცვალებულს იდაყვზე, შიდამხრიდან, გვარსა და სახელს აწერდნენ...

1989 წლის 9 აპრილი მოუშუშებელ იარად დარჩება ქართველი ერის ხსოვნაში. წელსაც უამრავი ადამიანი შეამკობს გაზაფხულის ყვავილებით, თხუთმეტი წლის წინ სასაკლაოდ ქცეულ ადგილს. თუმცა 9 აპრილის ტრაგედია დღემდე მაინც ბურუსითაა მოცული და ბევრი კითხვა კვლავაც უპასუხოდ რჩება... ■

ოთხი წლის ვიყავი, მაგრამ მახსოვს, როგორი გუგუნით შემოვიდნენ ტანკები რუსთაველზე

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაიელიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
ჟამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

მინისტრმა „სასიძომ“ ირაკლი რეხვიაშვილმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ბევრმა გოგონამ გამოთქვა მისი გაცნობის სურვილი. მათ დასაიმედებლად შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ ყველა „მესიჯს“, ტელეფონის ნომრიანად, ბატონ მინისტრს მივართმევ. რამდენად გამოძებნის ის დროს მათთან დასაკონტაქტებლად, ეს უკვე ჩემი შესაძლებლობის სფეროს სცილდება...

„თქვენს ანგარიშზეა 29 კოცნა და 89 ჩახუტება

გთხოვთ, დავალიანება დროულად დაფაროთ“

მარი ჯაფარიძე

„ირაკლი, სახლის ამრევი არავინ მყავს, რომ ჯავრობ, მიხმე და ელვის სისწრაფით გავჩნდები შენთან“.

„ეჰ, მარი, მარი... „ხანუმას“ რუბრიკა ნამდვილად ჩაგივარდა. სად „ამოთხარე“ ეგ სიტყვაძუნწი მინისტრი? კაცს ლაპარაკი ეზარება და ცოლს ხომ ქალწულად დააბერებს? ეკონომიკაც ამას ჰქვია!“

„მიმაჩნია, რომ ეკონომიკის მინისტრი, ირაკლი რეხვიაშვილი სავსებით მართალია, როდესაც თავის პირად ცხოვრებას აფიშირებას არ უკეთებს“.

„ირაკლი, ძალიან მინდა, ცოტა ხნით შენ გვერდით ვიყო და ხელი შეგახო... ყოველთვის შენზე ვიფიქრებ და ვიოცნებებ, ჩემო ძვირფასო. ნინო“.

„იცით, როგორ მიყვარს თქვენი ჟურნალი? დღეში მხოლოდ 2-3 ფურცელს ვკითხულობ, რომ მომდევნო ნომრის გამოსვლამდე „გამოვიზოგო“. თქვენი „სასიძოც“ ძალიან მომწონს. სულ ველოდი, როდის იქნება-მეთქი. ახლა, როცა ინტერვიუ წავიკითხე, კიდევ უფრო მომეწონა, მაგრამ წინასწარ ვიცი, არ მიპასუხებს, რადგან ძალზე მოუცლელი ჩანს. ისე, ჩემი კოლეგაა“.

„გამარჯობა, მარი, ვკითხულობ შენს „შედევრს“. აღფრთოვანებული ვარ ასეთი სერიოზული მინისტრით. იცი, მახსენდება ჭიპილიას ცოლი „ჩარი-რამადან“ და მინდა, გითხრათ: „აცალეთ კაცს მუშაობა!“ აბა, კარგად...“

„მინისტრი „სასიძო“ დანახვის დღიდანვე მომწონს, მაგრამ... დაგვიბარა ბაბუმ შვილებს, ნუ ენდობით რეხვიაშვილებს“.

„ძალიან კარგი „სასიძო“ გყავთ. იქნებ, დამეხმაროთ და ერთად შევცვალოთ მისი პირადი ცხოვრება. ისე, ძალზე საყვარელი ტიპია. სხვათა შორის, მე და ჩემი დაქალი დავნაძლევდით, რომელს შეგვეხმიანება. აბა, თქვენ იცით“.

„ბატონო ირაკლი, ვიცი, კარგი ადამიანი რომ ხართ. ჩემი ნათესავი თქვენს სამინისტროში მუშაობს. მინდა, გოგას ვუთხრა: გოგა, არ დაიღალატო, კარგად იმუშავე. ნინო ბეჭვაია“.

„ირაკლი, მე შემიძლია, დაუსრულებლად ვუყურო იმ გზას, რომელზეც ერთხელ მაინც უნდა გამოჩნდე. გელი. ნათია“.

„ირაკლის – „ხარ მაგარი ნაშა, „მევასები“ მაგრად, გელოდები ჩქარა, ჩემი სახლის კართან“. ირაკლი, მომწონხარ და მევასები. ვარ I კურსის სტუდენტი და მეც მაქვს თანამდებობა. ვარ სტუდენტური საბჭოს თავმჯდომარე. სიამოვნებით გაგიღებ გულის კარს. სიყვარულით, ინა ივანიშვილი. საჩხერე“.

„თქვენი რუბრიკის სტუმარი მართლაც სერიოზული ვინმე ყოფილა, საქმიანი და სიმპათიური. ძალიან მომწონს. ვუსურვებ წარმატებებს ყველანაირ საქმიანობაში. ვერონიკა“.

„თქვენი ახალი სასიძო „მაგარი არ დამევასა“... საწყალი ის ქალი, ვინც მაგის ხელში მოხვდება. მას მარტო სამსახური აინტერესებს... არა, არ მაწყობს... თათა“.

„ირაკლი, თქვენს ანგარიშზეა 29 კოცნა და 89 ჩახუტება. გთხოვთ, დროულად დაფაროთ დავალიანება, თორემ კოცნასა და ჩახუტებას უკან წავიღებ და აბონენტი მიუწვდომელი გახდება. პასუხის იმედი არ მაქვს. მია“.

„წარმოდგენილ „სასიძოს“ გთხოვთ, ურჩიოთ, დაუკავშირდეს ასეთსავე საპატარძლოს. მისი e-mail-ის მისამართია: LatsabidseMadona@hotmail.com“

„იკა, გევედრები, დამირეკე და სიამოვნებით გესტუმრები თბილისში. ვარ ბათუმელი, იმერელი, სტუდენტი. ველი შენს ზარს. ლანკა“.

„იმედის ფერი გინახავს? გულში რომ სათქმელს ინახავს, წვიმის წვეთივით წმინდა ხარ, მე კი უბრალოდ, მიყვარხარ...“

„როგორ გგონია, თავს რომ მანატრებ, უფრო გადამრევ? სანამ დროა და ღმერთს გადარებ, მოდი მანამდე...“

„ვფიქრობ, ირაკლის სიყვარული მისი სამსახურია. რა აზრი აქვს, გამოვხატო ჩემი სიმპათია მის მიმართ, თუკი დროის უქონლობის გამო ვერ გამომეხმაურება?! ნათია“.

„როგორც ჩანს, ირაკლის ჟურნალისტებთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ გამოსდის. ეს გამოუცდელობის ბრალია. გავა დრო და პირად საკითხებზეც ისევე სხაპასხუპით გასცემს პასუხს, როგორც „საქმიან“ შეკითხვებზე“.

„სულ სამსახური და სამსახური... ახალგაზრდა კაცი ხარ, მიდექი, მოდექი, შეაწუხე ხალხი, თვალს წყალი დაალევინე და სანამ დრო გაქვს, ცხოვრების სიამეზე უარს ნუ იტყვი, თორემ გახდები ჩემი ხნის და მერე ინანებ... „სესხბანკში“ სიარული კარგს არაფერს მოგიტანს, დამიჯერე... დათო“.

ამით დავასრულებთ ბატონ ირაკლის სახელზე მოსული გამოხმაურებების მიმოხილვას და მინისტრს ვუსურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებაში, აღორძინების გზაზე მდგარი საქართველოს ეკონომიკის ფონზე. ■

პაატა ხაჩიძეს ყოლოცა და მეცოლაკა ეარ უყვარს

როდესაც დღევანდელი „სასიძოს“ ვინაობას შეიტყობთ, წარმომიდგენია, რამდენი გოგონა დაიძახებს — ვა-ა! დღეს ჩვენი სტუმარი, „ქუჩის ბიჭი“, პაატა ხაჩიძე გახლავთ. კარგა ხანია, „ვემუქრები“ — უნდა დაგაქორწინო-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, დავიყოლიე „ეჟვანის შებმაზე“ და შეხვედრაც დავთქვით. ერთ-ერთი თბილისური კაფეს უზარმაზარ, ცარიელ დარბაზში ველოდი, პაატამ კი დათქმულ დროს ოცი წუთი გადააცილა. კიდევ ერთხელ შევეხმიანე და საპირველაპრილო ხუმრობაც „ვჭამე“: მითხრა — იცი, მარი, შეხვედრა გადავიფიქრე და მომავალ კვირაში შემეხმიანეო. ხმა გამებზარა... როგორც ჩანს, მიხვდა, განაწყენებული რომ დავრჩი და უცებ დამაიმედა — 5 წუთში მანდ ვიქნებიო. ჰოდა, ეს ინტერვიუ ასე ხუმრობა-ხუმრობაში ჩავწერეთ:

მარი ჯაფარიძე

— პაატა, გაგვაცანი შენი ოჯახი.

— ოჯახში ხუთნი ვართ: მე, ჩემი ორი ძმა, დედა და მამა. მაგრამ მე თბილისში ვარ, დედა — საბერძნეთში, მამა — მოსკოვში, ძმები — ბორჯომში. დედა მუშაობს მუსიკის მასწავლებლად. მამაჩემიც მუსიკოსია, მაგრამ ბიზნესმენობს, ოჯახის წევრები წელიწადში ორჯერ მოვიყრით ხოლმე თავს და მერე ვიშლებით. ვცდილობთ, ოჯახური იდილია შევინარჩუნოთ. მამა იმერელია, დედა — გურულ-მეგრელი. ამიტომ ჩემში ყველა ის თვისებაა თავმოყრილი, რომელიც ამ კუთხის წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი.

— ჰოროსკოპით ვინ ხარ?

— ქალწული. მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, ზოდიაქოსი არ მჯერა. ბევრი ჩემი ნაცნობი კითხულობს ჰოროსკოპს და მომავალ მეორე ნახევარსაც კი, ამის გათვალისწინებით არჩევს. მაგრამ ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პუნქტუალური, მოწესრიგებული და აკურატული ადამიანი ვარ.

— შენ სახლს თვითონ აწესრიგებ თუ როგორც მარტოხელა მამაკაცებს სჩვევიათ, ყველაფერი მიყრილ-მოყრილი გაქვს?

— არა, წესრიგი ძალიან მიყვარს. გარემო, რომელშიც ვცხოვრობ, ისე მაქვს მოწყობილი, რომ თავი კომფორტულად ვიგრძნო. მყავს დამხმარე ქალი, რომელიც ყველაფერს აწესრიგებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე დაუდევრად ვყრი ჩემს ნივთებს და მერე ის ალაგებს. ძალიან მიყვარს შინ ყოფნა. დილით ვიღვიძებ, ვსვამ ყავას, ვეწევი სიგარეტს და ვიწყებ თავის მოწესრიგებას. შემიძლია, საუზმეც მოვიმზადო, მაგრამ ძალიან კი მეზარება ხოლმე.

— თავის ქება გიყვარს?

— არა, მაგრამ ზოგიერთი საკუთარი თვისება მომწონს. ძალიან მიყვარს, როდესაც ადამიანი სადა და უბრალოა. ყველაზე დიდი სიმდიდრე სწორედ უბრალოებაშია. ზედმეტად ოპტიმისტი ვარ. ვფიქრობ, ეს ნაკლი უფროა... უკიდურეს გასაჭირშიც კი, ყველას ვეუბნები, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— ბუზღუნა თუ ხარ?

— კი, ბუზღუნი მიყვარს, მაგრამ გაჩნია სიტუაციას, დროსა და მომენტს. ისე, ამ ბოლო დროს გამოვსწორდი, იმდენს აღარ ვბუზღუნებ. როგორც ჩანს, გავიზარდე ან არავინ არის ისეთი, ვისაც ვებუზღუნები.

— ეჭვიანი ხარ?

— ეჭვიანი არ ვარ, მაგრამ ვაღიარებ, რომ ცოტ-ცოტა ეჭვები მეც მაწუხებს ხოლმე, ოღონდ, მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლებთან დაკავშირებით. მეგობრების მიმართ ეჭვი არასდროს მებადება. ასევე საეჭვო არ უნდა იყოს ჩემ მიერ გადადგმული არც ერთი ნაბიჯი. შემიძლია, ასჯერ გავზომო და ერთხელ გავჭრა...

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— საერთოდ, სასმელს კარგად ვიტან. სიმთვრალეც კარგი მაქვს, შარიანი არ ვარ. მიყვარს ქართული სუფრა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც საზღვარგარეთ გასტროლების დროს, ევროპულ რესტორანში ვახშმობისას, ქართული სუფრა მოგვნატრებია. განსაკუთრებით პატივს ვცემ ჩემი იმერელი ბაბუის მიერ დაყენებულ წითელ ღვინოს.

— გაბრაზებას როგორ გამოხატავ ხოლმე? გინება თუ გჩვევია?

— არასოდეს ვიგინები. საერთოდ, ვცდილობ, კონფლიქტი თავიდან ავიცილო, სიტუაცია განვმუხტო და სიმშვიდე შევინარჩუნო. თუ ეს ვერ შევძელი, ვცდილობ, გავეცალო ამ ადამიანს და თუ ესეც არ გამომივიდა, შესაძლოა, მუშტი-კრივზეც გადავიდე. ძალზე ბევრი მეგობარი მყავს და მათი დახმარების იმედიც მაქვს.

— წყენა მალე გავიწყდება?

— ძალზე იოლად შემიძლია, შევურიგდე იმ ადამიანს, ვინც მაწყენინა. შემიძლია, მივიდე, ხელი გავუწოდო და წყენა დავივიწყო.

— რამდენი წლის ხარ?

— 26-ის.

— რატომ ხარ უცოლო? ჯერ სიყვარული არ გწვევია?

— პირველ რიგში, იმიტომ, რომ ისეთ საქმეს ვემსახურები, რომელიც ბევრ დროს მოითხოვს, ამიტომ ვერ მოვახერხე ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც ჩემ გვერდით იქნება. რომ გითხრათ — მე პაატა ხაჩიძე ვარ და ჩემი შესაფერისი გოგო ვერ მოვძებნე-მეთქი, — ტყუილი იქნება... არავინ იცის, როდის მეწვევა სიყვარული და ვის მივიჩნევ ისეთ ადამიანად, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემთან უნდა იყოს.

— შეყვარებული, როგორი ხარ?

— ამ დროს, მეტისმეტად თავდაჯერებული, ამაყი და უფრო პუნქტუალური ვარ ხოლმე... თან ჩვეულებრივზე უფრო ბედნიერიც... დღეს ეს ყველაფერი ჩემგან შორს არის. დღესდღეობით შეყვარებული არ ვარ, მაგრამ უკვე გითხარით, რომ ვარ დიდი ოპტიმისტი და მჯერა, რომ ის დროც მალე მოვა, როდესაც ბედნიერი ვიქნები...

— თუ მიგაჩნია, რომ უკვე დროა, დაოჯახდე?

— კი, ხშირად მიფიქრია — ჩემ გვერ-

დით კარგი ბუნების გოგონა უნდა იყოს-მეთქი – და როცა ამაზე ვფიქრობ, მსიამოვნებს კიდეც. ვერ ვიტყვი, რომ გადაჭარბებული სილამაზის მქონე ცოლი მჭირდება. ჩემი რჩეული უნდა იყოს უბრალო, თბილი გოგონა, რომელიც ჩემს სულსა და გულში შემოვა. ის უნდა იყოს ქართული, ტრადიციული ოჯახიდან, კარგი მეოჯახე... ბევრს შესაძლოა, გაუკვირდეს კიდეც, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მეც ქართული, ტრადიციული ოჯახის შვილი ვარ და ასეთივე გოგონა მჭირდება. სასურველი ქალის ძებნას სწორედ ამ თვისებებით დავიწყებ... მინდა დავინახო გრძნობა, უნდა შემიყვაროს მე – როგორც პიროვნება და არა როგორც პოპულარული მომღერალი და ჩემი ცოლობა მას ამბიციების დასაკმაყოფილებლად კი არა, სიყვარულის წყურვილის მოსაკლავად უნდა სჭირდებოდეს. ამიტომ, ძალზე ვფრთხილობ. თუ დავრწმუნდები უანგარო გრძნობის არსებობაში, გოგონას ჩავჭიდებ ხელს და ერთად გავუყვებით ცხოვრების გზას...

— ...და მერე მთელი სოფელი თქვენ იქნებით, არა?

– კი, მერე მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით... ჯერ მურადა არ მყავს, მაგრამ ცოლს რომ მოვიყვან, გპირდებით – მურადაც აუცილებლად მეყოლება.

— უცხო საზოგადოებაში როგორი გოგონა მიიპყრობს შენს ყურადღებას?

– მშვიდი, წყნარი და სასიამოვნო გარეგნობის. შესაძლოა, უამრავ ხალხში გოგონა თავისთვის, კუთხეში იჯდეს, მე შევნიშნო, მომინდეს მასთან მისვლა და გაცნობა...

— განათხოვარ ქალზე თუ დაქორწინდები?

– ამაზე არ მიფიქრია... ვფიქრობ, არა. მაგრამ არასოდეს თქვა „არასოდეს“: შესაძლოა, სიყვარულმა ასეთი გადაწყვეტილებაც მიმაღებინოს.

— სიდედრს დედას დაუძახებ?

– არა, სიდედრს არავითარ შემთხვევაში არ დავუძახებ დედას. მას სახელით მივმართავ.

— ვის დაეკითხები რჩევას, ცოლის მოყვანას რომ გადაწყვეტ?

– ვფიქრობ, მეგობრებს. მხოლოდ მათ აზრს მივანიჭებ მნიშვნელობას. ყველა ქართველი მამაკაცის ბუნებაში ზის ის, რომ მისი ცოლი უნდა იყოს განსაკუთრებული, კარგი მეოჯახე, იცოდეს ხაჭაპურის ცხობა. როდესაც მეგობრები სტუმრად მეწვევიან, ჩემმა ცოლმა ისეთი კერძები უნდა მოამზადოს, რომ სულ თითებს იკვნეტდნენ. შესაძლოა, თავიდან სულაც არ იცოდეს, მაგრამ გამიხარდება, თუ შევნიშნავ, რომ შეეცდება, ყველაფერი ისწავლოს. კაცი შინიდან რომ გავა, ისე დადებითად უნდა იყოს დამუხტული, რომ ბევრი საქმის გაკეთება შეძლოს. ქალმა უნდა მისცეს ეს მუხტი, შეავსოს და შინიდან ისე გაისტუმროს, რომ კაცი ბედნიერად გრძნობდეს თავს.

— ოდესმე თუ ყოფილხარ ისეთ სიტუაციაში, რომ გითქვამს: ამ ქალმა ყოფა მიტირაო?

– კი, ყოფილა. მაშინ 16-17 წლის ვიყავი. ბორჯომში ერთი ბათუმელი გოგო ისვენებდა. ძალიან მომეწონა. შემდეგ შემიყვარდა და ჩემი ცხოვრების აუხდენელ ოცნებად დარჩა... ორი წელი გვიყვარდა ერთმანეთი. ბათუმში ჩავდიოდი ხოლმე მის სანახავად. შემდეგ დაამთავრა სკოლა და მისმა მშობლებმა მასთან მიახლოების საშუალება არ მომცეს. მერე გაათხოვეს. ძალიან განვიცადე, გული დამწყდა... დღესაც, ძალზე სასიამოვნო მოგონებად დარჩა ჩემს ცხოვრებაში. მას შემდეგ არ მინახავს... ღმერთმა ბედნიერად ამყოფოს!..

— როგორც ჩანს, ერთგული კავალერი ხარ, არა?

– ამ ეტაპზე, ვერ ვიტყვი, რომ ერთგული ვარ. არ არსებობს ადამიანი, ვის მიმართაც ერთგულებას გამოვიჩენ... შევქმნი ოჯახს და შემდეგ, ცოლის ერთგული ნამდვილად ვიქნები. მაქსიმალურად ვეცდები, რომ ყველაზე კარგი და იდეალური ქმარი ვიყო, შევქმნა ნამდვილი ქართული, თბილი, პატიოსანი ოჯახი და მყავდეს საყვარელი პატარები.

— ახლა ისიც გვითხარი — როგორი არ უნდა იყოს გოგონა, რომელიც შენი მეუღლე გახდება?

– არ უნდა იყოს კეკლუცი, მეტიჩარა, არ მიყვარს მძიმე ხასიათის გოგონები... არ ვიცი, რატომ, მაგრამ არ მომწონს ისეთი გოგონები, რომლებიც სულ დიეტაზე არიან. ხომ შეუძლიათ, დიეტას ვარჯიში შეუნაცვლონ?!. შესაძლოა, გოგონას მთელი ღამის განმავლობაში, წვეულებაზე ჩემთან ერთად მოუწიოს ყოფნა. სუფრასთან არ უნდა იპრანჭებოდეს, გემრიელად უნდა ჭამოს მთელი ქეიფის მანძილზე.

— შესაძლებელი თუა, ისე გიყვარდეს ქალი, რომ ღალატი აპატიო?

– კითხვას დაგიბრუნებთ: შეიძლება, ისე მიყვარდეს ქალი, რომ ღალატი ვაპატიო? არავითარ შემთხვევაში! ეს დაუშვებელია. არ არსებობს ისეთი ძლიერი გრძნობა, რომელიც ღალატის პატიებას შემაძლებინებს.

— ამ ინტერვიუს გამოხმაურებები მოჰყვება. დაინტერესდები, ვინ გამოიჩენს შენი გაცნობის სურვილს?

– აუცილებლად. თუ გამომეხმაურება და თქვენი საშუალებით ამ „მარათონშიც“ ჩაებმება, შესაძლოა, ერთ-ერთს გაუმართლოს კიდეც... დასაშვებია, რომ ერთ დილით გავიღვიძო, „მესიჯები“ წავიკითხო, მომეწონოს, დავუკავშირდე, გავიცნო და... გამორიცხული არაფერია...

პაატასთან დაკავშირების მსურველებმა კი, დამირეკეთ ან „დამიმესიჯეთ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61 ვინ იცის, იქნებ, გაიღვიძოს, წაიკითხოს და სწორედ თქვენი „მესიჯი“ მოეწონოს?..

■

„როდესაც მეგობრები სტუმრად მეწვევიან, ჩემმა ცოლმა ისეთი კერძები უნდა მოამზადოს, რომ სულ თითებს იკვნეტდნენ“ („ქუჩის ბიჭები“)

„ჩხაიძემ 3 მილიონი დოლარი თბილისში მიწებისა და ურეკში აღგილმამულების გაყიდვით მოაგროვა“, — აცხადებენ ბრალდებულის ადვოკატები

პროკურატურის მიერ ბიუჯეტის კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში ბრალდებული, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი — აკაკი ჩხაიძე ერთი კვირაა, რაც პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გადაწყვეტილება ამის თაობაზე 31 მარტს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მიიღო. მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა ბიუჯეტს 3 მილიონი დოლარი გადაურიცხა. ქალაქის სატრანსპორტო პროკურატურაში საგანგებოდ შექმნილი საგამოძიებო ჯგუფის ინფორმაციით, მხარეები აღმკვეთი ღონისძიების — პატიმრობის გაუქმების სანაცვლოდ, ბიუჯეტისთვის 6 მილიონ 40 ათასი ლარის გადახდაზე შეთანხმდნენ, რადგან გამოძიებამ რკინიგზის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფოსთვის მიყენებულ ჯერჯერობით სავარაუდო ზარალად სწორედ ეს თანხა დაასახელა.

ჩხაიძის ადვოკატები აცხადებენ, რომ ამ თანხის გადახდა ბრალის აღიარებას ან სახელმწიფოსთვის მოპარული ფულის დაბრუნებას სულაც არ ნიშნავს. ისინი ასევე კატეგორიულად უარყოფენ საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციებს ჩხაიძის ქონებისა და საბანკო ანგარიშების შესახებ და ყოველივე ამას, გამოგონილ ლეგენდებსა და ჭორებს უწოდებენ.

„აღნიშნული თანხა აკაკი ჩხაიძემ საკუთარი სიცოცხლის გამოსახსნელად გადაიხადა და არა იმიტომ, რომ თავს დამნაშავედ ცნობს. მოგეხსენებათ, ის მეცნიერი, აკადემიკოსი კაცია და ცხოვრებაში, ყაჩაღობაში, მკვლელობასა და ნარკოტიკების გასაღებაში მხილებული პირების გვერდით ჯდომას ძალზე მტკივნეულად აღიქვამდა. მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდა, რამაც მის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა და ამიტომაც საახლობლო წრემ მას სადავო თანხის გადახდა ურჩია. ყველამ იცის, ჩხაიძე უფულო კაცი არ არის, მაგრამ რომ ამბობენ, მილიონები საბანკო ანგარიშებიდან მოხსნაო, ტყუილია. მეგობრები და ახლობლები დაეხმარნენ, ამას გარდა, რაც გააჩნდა, ყველაფერი გაყიდა. როგორც თვითონ მითხრა, თბილისში კუთვნილი მიწები და ურეკის სანაპიროზე საგვარეულო მამულებიც გაასხვისა. ამას, თავისთავად, დრო სჭირდებოდა, ამიტომაც დაყო ციხეში მთელი თვე. ეს ფული ბანკში რომ ჰქონოდა, მისი პატიმრობა 3 დღეზე მეტხანს არ გაგრძელდებოდა“, — განაცხადა ჩვენთან საუბრისას ჩხაიძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა — ზაზა ხატიაშვილმა.



აკაკი ჩხაიძე

იურისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ფულის გადახდით აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას არ ითვალისწინებს. თუმცა, ხელისუფლების განცხადებით, დაკარგული თანხების ბიუჯეტში ჩარიცხვა უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, ვიდრე მხილებულ ჩინოვნიკთა წინასწარი პატიმრობა. ადვოკატები აქცენტს საპროცესო ნორმების დარღვევაზე ამახვილებენ და აღნიშნავენ, რომ მუხლი, რომელიც პროკურატურამ ჩხაიძეს წაუყენა, აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას არ ითვალისწინებს.

ზაზა ხატიაშვილი:

„საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ადამიანის უფლებების შესახებ ევროკონვენციის თანახმად, პიროვნების დაკავება ეჭვის საფუძველზე იკრძალება. ადამიანის დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე ხარისხის დანაშაულისთვის, რაც თავისუფლების აღკვეთას 5 წელზე მეტით ითვალისწინებს. მუხლი, რომელიც ჩხაიძეს წაუყენა პროკურატურამ, 0-დან 5 წლამდე მოითხოვს პატიმრობის შეფარდებას. აქედან გამომდინარე, ჩხაიძის დაპატიმრება კანონის უხეში დარღვევა იყო“.

თუმცა, სასამართლოში ტრანსპორტის პროკურატურის წარმომადგენლის, გამომძიებელ კახა ჯუმბაძის განცხადებით, ამ შემთხვევაში, სხვა გამოსავალი არ არსებობდა, რადგან დიდი რისკი იყო იმისა, რომ ჩხაიძე გამოძიებას თავს აარიდებდა და საქართველოს ტერიტორიას დატოვებდა. პროკურატურის ინფორმაციით, თავდაპირველად, სადავო თანხას 700.000 ლარი წარმოადგენდა, თუმცა გამოძიების მიერ შემდგომ ეტაპზე მოპოვებული მასალების საფუძველზე, ბიუჯეტისთვის მიყენებულმა ზარალმა 5 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა. თუმცა, სავარაუდო ზარალის განსაზღვრისას, აღნიშნულ თანხას კიდევ 800.000-ზე მეტი დაუმატეს.

ზაზა ხატიაშვილი:

„ამჟამად წინასწარი გამოძიება დახურულად მიმდინარეობს. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როცა სასამართლოში საქმის საჯარო განხილვა დაიწყება, ყველაფერი გაირკვევა და საზოგადოებისთვის აშკარა გახდება, რომ ჩხაიძე წაყენებულ ბრალდებებში უდანაშაულოა. პროცესს მოვიგებთ და რამდენიმე დღის წინ გადახდილი თანხაც უკან დაგვიბრუნდება“.

ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მთავრობა დაკავებული ჩინოვნიკებისგან ბიუჯეტში შესული ფულის გადარიცხვას აპირებს უპატრონოთა და მიუსაფართა თავშესაფრებისთვის, პარალელურად კი ჩხაიძის ადვოკატები საქმის მოგებასა და მისთვის ზემოთ ხსენებულიი 3 მილიონი დოლარის დაბრუნებას გეგმავენ. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

„რა დრო დადგა? კალატოზაც კი დაიჭირეს!..“



– ასე ამბობენ საქვეყნოდ ცნობილ რეკეტიორზე, აქამდე დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთ „ხელშეუხებელ“ ლიდერზე – 36 წლის დავით ზურაბის ძე ქარსელაძეზე. მიმდინარე წლის 1-ელ აპრილს იგი თანამზრახველთან ერთად სპეცოპერაციისას, გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში დააკავეს. სპეცოპერაციაში გენერალ გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი, შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროსა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ. ქარსელაძეს და მის თანამზრახველს – 37 წლის ზვიად გურამის ძე ჩხარტიშვილს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

კალატოზა, რომელიც წლების მანძილზე „შავ საქმიანობას“ არ ღალატობდა და საკმაოდ უსაფრთხოდაც გრძნობდა თავს, შს სამინისტრომ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ამოიღო მიზანში. მისი აყვანა აქამდე ვერ მოახერხეს, რადგან როგორც სამართალდამცავები ამბობენ, კალატოზა ბოლო დროს იმალებოდა და რაიონებში, სხვადასხვა სოფელს აფარებდა თავს. ბოლოს, მის ადგილსამყოფელს სოფელ სართიჭალის მკვიდრ ტარიელ ცალუღელაშვილის საცხოვრებელ სახლში მიაგნეს. წინასწარი გამოძიების ინფორმაციით, ცალუღელაშვილის სახლში ქარსელაძე და ჩხარტიშვილი შემთხვევით მოხვდნენ და ამიტომაც მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.

როგორც ამბობენ, კალატოზა მალვას შეჩვეული კრიმინალი არ იყო, პოლიციასთან მას წინათ პრობლემები არასდროს ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე სამართალდამცავებისა და საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი. ამის მიზეზად მისი ძმა – რეგიონალური პოლიციის უფროსის მოადგილე – ვასილ ქარსელაძე სახელდება. ამბობენ, რომ სამართალდამცავებთან ძმას სწორედ ის მფარველობდა. პოლიციის ინფორმაციით, კალატოზას კანონიერი ქურდის სტატუსი არ ჰქონია, თუმცა კრიმინალურ სამყაროში ავტორიტეტად ითვლებოდა და ქურდებთანაც მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებდა. მის სამოქმედო ასპარეზს ძირითადად დედაქალაქი, შემოსავლის უწყვეტ წყაროს კი, თბილისში მოძრავი 6000-მდე სამარშრუტო ტაქსიდან მიღებული უკანონო წილები და მსხვილი ბიზნესმენებისთვის შეწერილი ფული წარმოადგენდა. შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კალატოზას სახელი რამდენიმე უმძიმეს დანაშაულს უკავშირდება. საუბარია მკვლელობებზე, ადამიანთა გატაცებებზე, თანხების გამოძალვაზე, „საქმის გარჩევებზე“. სამართალდამცავთა თქმით, ამ მხრივ ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს, რათა დადასტურდეს ეჭვი აღნიშნულ დანაშაულებთან კალატოზასა და მის თანამზრახველთა კავშირის შესახებ. მანამდე კი კონკრეტული ფაქტები და დეტალები გამოძიების მიერ არ ხმაურდება.

დავით ქარსელაძეს პირადი ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი (1 მჭიდითა და 4 საბრძოლო ვაზნით) აღმოაჩნდა. ამასთან, მას მობილური ტელეფონი და დაკავების მომენტში ჯიბეში ნაქონი თანხა – 430 ლარი ჩამოართვეს. ჩხრეკა სოფელ გამარჯვებაში მდებარე მის საცხოვრებელ სახლშიც ჩატარდა. იქიდან სამართალდამცავებმა „აკს“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 7.000 დოლარი ამოიღეს.

რაც შეეხება მეორე დაკავებულს – ზვიად ჩხარტიშვილს, ჩხრეკისას მას „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა, ორი მობილური ტელეფონი და დანა აღმოუჩინეს.

დაკავებულები თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. სპეცოპერაციის დასრულებისთანავე შს მინისტრმა – გიორგი ბარამიძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა და ოპერაციას წარმატებული უწოდა.

გიორგი ბარამიძე, შს მინისტრი:

„ამ პირების დაკავება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. ეს ადამიანები შიშის ზარს სცემდნენ არა მარტო ბიზნესმენებს, არამედ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებსაც კი. ვფიქრობთ, რომ ქარსელაძისა და მისი თანამზრახველის დაკავებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენი საზოგადოების უსაფრთხოებისა და სიმშვიდის განმტკიცების მიზნით. ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში უნდა აღიკვეთოს კრიმინალების, ქურდებისა და ყაჩაღების თარეში“.

ქარსელაძის ახლობლები ამჟამად თბილისში არ იმყოფებიან. როგორც კალატოზას ერთ-ერთმა ნათესავმა გვითხრა, მათ ჟურნალისტებთან საუბრის სურვილი არა აქვთ. მობილურ ტელეფონს არ პასუხობს არც კალატოზას ძმა – ვასილ ქარსელაძე. როგორც შევიტყვეთ, პოლიციის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან ის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაათავისუფლეს.

■

მეზობელმა მეზობელი დედის თვალწინ მოკლა

ბორჯომის რ-ნის სოფელ წაღვერის მკვიდრს, 35 წლის ლევან ლოტოევს უზენაესი სასამართლო მეზობლის — 31 წლის დავით გოგოლაძის განზრახ მკვლელობისთვის ასამართლებს. პროკურატურა მის გარდა ამ დანაშაულში კიდევ ორ პირს — პეტრე არბოლიშვილსა და ალექსი ხაჩიძეს ადანაშაულებს. ისინი დაკავებულები არ არიან, რადგან როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, მათ ადგილსამყოფელს თითქმის ერთი წლის ძებნის მიუხედავად ვერ მიაგნეს.

დანაშაული 2003 წლის 29 ივლისს, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მეგობარი გოგონას გამო შელაპარაკებას მოჰყვა. კამათი, რომელშიც ლოტოევი, არბოლიშვილი, ხაჩიძე და გოგოლაძე მონაწილეობდნენ, მალე ჩხუბსა და ერთმანეთის ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ამ დროს ლოტოევმა ორჯერ დაარტყა დანა გოგოლაძეს და სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ლოტოევმა სამართალდამცავებს აუხსნა, რომ იმ დღეს არბოლიშვილთან და ხაჩიძესთან ერთად დილიდან სვამდა ალკოჰოლურ სასმელს, მოგვიანებით კი, საქეიფოდ სადგურის ქუჩაზე მდებარე სალიანდაგო დისტანციის შენობაში გადაინაცვლეს, იქ ბათუმელ სტუმრებს, მათ შორის ქალებს შეხვდნენ. ლოტოევის თქმით, სუფრასთან იყო მისი თანასოფლელი დავით გოგოლაძეც (დედასთან ერთად), რომელმაც უტაქტო ლაპარაკი წამოიწყო და კამათიც ამან გამოიწვია. *„...ჩხუბი ქუჩაში გავაგრძელეთ. გოგოლაძემ ხელი გულმკერდზე დამარტყა, თან დანის მაგვარი რაღაც საგანი ეჭირა. წინააღმდეგობის გაწევის მიზნით შევეჭიდე და ხელი დავუჭირე. სწორედ ამ დროს ტკივილი ვიგრძენი. ტკივილისგან გონება დავკარგე. გონს მაშინ მოვედი, როცა სოფელ ცემის გადასახვევთან პოლიციის თანამშრომლებმა დამაკავეს“*, — წერს თავის ჩვენებაში ლოტოევი. იგი პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და აღნიშნავს, რომ გოგოლაძის მოკვლის განზრახვა არასდროს ჰქონია.

მოკლულის დედის თქმით, დანა ხელში არბოლიშვილსაც ეკავა. *„...მას ხელებით ტანზე მოვეჭიდე, ვცდილობდი, ჩემი შვილისთვის მომეცილებინა, მაგრამ მაინც იწევდა დანის დასარტყმელად. ამ დროს გავიგონე ჩემი შვილის ყვირილი — დამჭრაო. მაშინვე მისკენ შევბრუნდი. ხელი გულმკერდზე, მარცხენა მხარეს მიედო, რამდენიმე წამში მიწაზე დაეცა. თავზე ადგა ლოტოევი, რომელსაც ხელში სისხლიანი დანა ეკავა... არბოლიშვილის დანა უფრო ფართე იყო, ლოტოევისა კი წვრილპირიანი“*, — აღნიშნავს დავით გოგოლაძის დედა — მანანა ბლიაძე. ■

ბრალდებული ექსპერტებმა შეურაცხადად გამოაცხადეს

უზენაესი სასამართლო ცოლის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობაში ბრალდებულ გ. ნაფეტვარიძის საქმეს განიხილავს. სასამართლო პროცესი, მხარეების მოთხოვნის საფუძველზე, დახურულად მიმდინარეობს, განსასჯელი კი სხდომებზე წარმოდგენილი არ გახლავთ, რადგან სასამართლო-ფსიქიატრიული დასკვნის თანახმად, იგი შეურაცხადია და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წევს.

საქმის მასალების მიხედვით, ქმარმა ცოლი შვილებთან წარმოქმნილი შელაპარაკების დროს დანით მოკლა.

მალხაზ თევდორაძე, განსასჯელის ადვოკატი:

„განსასჯელი 50 წლის კაცია, წლების მანძილზე დალაქად მუშობდა და ასე არჩენდა ცოლსა და სამ შვილს. ოჯახში უსიამოვნება მოუხდა, ცოლთან ურთიერთობა დაეცა და ბოლოს საქმე განქორწინებამდეც მივიდა. უფროსი შვილი მამასთან დარჩა საცხოვრებლად, შუათანა (არასრულწლოვანი) და უმცროსი (მცირეწლოვანი) დედას გაჰყვნენ ხონში. მამა შვილების მოსანახულებლად ხშირად მიდიოდა ყოფილი მეუღლის ოჯახში, იქ კი ყოველი შეხვედრა სიმამრთან და ცოლთან ჩხუბით სრულდებოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შელაპარაკების დროს მოხდა მკვლელობაც. ჩხუბისას სიმამრმა სახრე მოუქნია ყოფილ სიძეს, მაშინ ამ უკანასკნელმა ჯიბიდან ჯაყვის ტიპის დანა ამოიღო, სიმამრსაც მოუქნია და ცოლსაც. სიმამრი მსუბუქად დაჭრა, ცოლმა კი გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიიღო“.

ბრალდებულს პირველი ექსპერტიზა ხონში ჩაუტარდა. თბილისში ჩატარებულმა ექსპერტიზამ ბრალდებულის შეურაცხადობა დადასტურა, თუმცა საგულისხმოა, რომ ნაფეტვარიძეს წარსულში ფსიქიკური შერყევის გამო არ უმკურნალია. ეს განსასჯელის ადვოკატმა ასე აგვიხსნა: — *„კერძო ექიმებთან შინ მკურნალობდა, რადგან ოჯახს მისი ავადმყოფობის გახმაურება არ სურდა“.* მოკლულის მამა სასამართლოში დაბარების მიუხედავად, ვერვერობით არ გამოცხადებულა. ■

ნიკა უჩანეიშვილის საქმეს პროკურატურა გადასინჯავს

ასეთი მითითებით გენერალური პროკურატურის წარმომადგენელს — სახელმწიფო ბრალმდებელს უზენაესი სასამართლოს კოლეგიის მოსამართლემ ლენგერ ბოჭორიშვილმა მიმართა. კოლეგია ბოჭორიშვილის თავმჯდომარეობით ლევან პირველის დაცვის უფროსის — გიორგი რჩეულიშვილის მკვლელობის საქმეს განიხილავს (აღნიშნულ საქმეზე ვრცლად „გზის“ ფურცლებზე უკვე ვწერდით). მოგეხსენებათ, რომ აწ გარდაცვლილი რჩეულიშვილი 1999 წელს თბილისში, რესტორან „თამარიონში“ 20 წლის ნიკა უჩანეიშვილის მკვლელობისთვის გახლდათ დაკავებული. კოლეგიის განცხადებით, აღნიშნული საქმის გადასინჯვა აუცილებელია იმის გასარკვევად, აქვს თუ არა რაიმე კავშირი „თამარიონში“ მომხდარ დანაშაულთან რჩეულიშვილის მკვლელობაში ბრალდებულ სიხარულიძეს.

ამ ფაქტის გამო პროტესტი გამოთქვა დაზარალებულის მხარემ, კერძოდ — რჩეულიშვილის ქვრივმა თამარ გარიშვილმა, რომელმაც თქვა: „ამ ორ მკვლელობას ერთმანეთთან კავშირი არა აქვს. ეს არის სიხარულიძის მხრიდან უსუსური მცდელობა, როგორმე თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა და სასამართლოს ყურადღება სხვა, უსაფუძვლო ვერსიებისკენ განგებ მიმართოს. საქმის მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ მან ჩემი ქმარი ჯიპის გამო

ლევან პირველი

მოკლა და მომხდარ მკვლელობას „თამარიონის“ ფაქტთან კავშირი არა აქვს“.

შეგახსენებთ, რომ რჩეულიშვილმა უჩანეიშვილის მკვლელობაში ბრალდებულის სახით ციხეში 6 თვე დაყო. ამ ხნის განმავლობაში, იგი დუმილის უფლებით სარგებლობდა. პროკურატურა მკვლელობაში მას ამხელდა, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული და ფაქტის თვითმხილველი, უჩანეიშვილის მეუღლე დანაშაულის დროს რესტორანში მყოფ პარლამენტარ ლევან პირველს ადებდა ხელს და კატეგორიულად აცხადებდა, რომ მის ქმარს ტყვია სწორედ მან ესროლა.

ლევან პირველი პროკურატურას სადეპუტატო იმუნიტეტის გამო არ დაუკავებია. 6 თვის უშედეგო გამოძიების შემდეგ, რჩეულიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არასაკმარისი მტკიცებულებების მოტივით შეწყდა და ის ციხიდან გაათავისუფლეს.

ბანდის 17 წლის წევრი უცხოელ დამკვირვებლებსა და ექსპერტებს ძარცვავდა

30 მარტს, სამართალდამცავებმა მთაწმინდის ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი დანაშაულებრივი ბანდის ერთ-ერთი წევრი – 17 წლის ლევან მარტიაშვილი დააკავეს. ეჭვმიტანილის დაკავება, როგორც საგამოძიებო სამსახურისა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლები ამბობენ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. მარტიაშვილი მათ ოქროყანაში აიყვანეს.

ლევან მარტიაშვილი ოქროყანაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ცხოვრობდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მიმდინარე წლის 25 მარტს ის რამდენიმე თანამზრახველთან ერთად, ყაჩაღურად დაესხა თავს საქართველოში საპარლამენტო არჩევნების დამკვირვებლებს, ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატებს – ფრედერიკ დრაპსსა და ედუარდ არტურ დისკს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, თავდასხმის დროს, მარტიაშვილი დანით იყო შეიარაღებული. მან დანარჩენ თავდამსხმელებთან ერთად, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დრაპსსა და დისკს, წაართვა მათ ვიდეოკამერა, ორი ციფრული ფოტოაპარატი, მობილური ტელეფონები, ძვირფასეულობა და ფული.

სამართალდამცავები მარტიაშვილის მიერ მანამდე ჩადენილ სხვა დანაშაულებზეც საუბრობენ. სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაადგინეს, რომ მიმდინარე წლის 21 მარტს მარტიაშვილმა თანამზრახველებთან ერთად მთაწმინდის ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაიდინა ყაჩაღური თავდასხმა. ბანდის მსხვერპლი ამჯერადაც უცხოელი – საქართველოში ეუთოს ოფისის კოორდინატორი, გერმანელი ფოლკერ იაკობსი აღმოჩნდა. დანით შეიარაღებული თავდამსხმელები მას მოკვლით დაემუქრნენ, მობილური ტელეფონი და ფული წაართვეს.

ორივე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ბანდის სხვა წევრების დასაკავებლად და მათი ვინაობის დასადგენად, ასევე სხვა დანაშაულების გამოსავლენად საგამოძიებო ღონისძიებები ტარდება. მათივე თქმით, ბანდის მთავარ სამოქმედო ადგილს მთაწმინდის ტყე-პარკი წარმოადგენდა. ბანდის წევრები სწორედ იქ ესხმოდნენ თავს მოქალაქეებს, მათი გაძარცვის მიზნით. ლევან მარტიაშვილმა პოლიციაში ჩადენილი დანაშაულები აღიარა. ყაჩაღური თავდასხმების დროს გატაცებული ნივთები ამოღებულია და ისინი კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდათ.

ყაჩაღები მსხვერპლს უთოს საშუალებით იმორჩილებდნენ

წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტაში მცხოვრები, 1946 წელს დაბადებული ანზორ ივანაური და ხუთჯერ ნასამართლევი, თბილისელი, 1962 წელს დაბადებული დავით შევარდნაძე ავტომანქანის გატაცებისთვის დააკავეს. ოპერაცია 2 აპრილს, გლდანის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ჩაატარეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ივანაური ავტომანქანების გამტაცებელთა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი გახლდათ, ხოლო შევარდნაძე – ამ ჯგუფის აქტიური წევრი. მათ ჯერჯერობით დაუდგენელ პირებთან ერთად 2004 წლის 31 მარტს, საღამოს, დაახლოებით 11 საათზე, თემქის დასახლების 112-ე მიკრორაიონში მცხოვრებ რომან გაბენაძეს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მოსტაცეს ავტომანქანა „ოპელ-ომეგა“. დაყაჩაღებული ავტომანქანა ამოღებულია. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური იძიებს.

სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს ასევე დედაქალაქში მოქმედი, განსაკუთრებით საშიში ბანდის წევრები. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ისინი არიან – ქუთაისელები, დროებით თბილისში მცხოვრებნი 28 წლის აკაკი არიშვილი, 27 წლის ავთანდილ გეგენავა და წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის მკვიდრი, 28 წლის გიორგი (გოგიტა) ჟორჟოლიანი.

ოფიციალური ცნობებით, ბანდის წევრები წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი იყვნენ. მათ ბრალი ედებათ 2004 წლის 4 მარტს, წინასწარი შეთანხმებითა და განსაკუთრებული ცინიზმით განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში. წინასწარი გამოძიების ინფორმაციით, ბოროტმოქმედები ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულები. მათ მოტყუებით შეაღწიეს მოსკოვის გამზირზე მცხოვრები იოსებაშვილების ოჯახში და დააყაჩაღეს იგი. ოჯახის წევრთა დასამორჩილებლად ბოროტმოქმედებმა ფიზიკური ძალა და უთო გამოიყენეს, გაიტაცეს „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი 2 მჭიდითა და 12 ვაზნით, დიდი რაოდენობით ოქროს სამკაულები, „სიმენსის“ ფირმის მობილური ტელეფონი, „სონის“ ვიდეოკამერა, 1.000 დოლარი, 100 ლარი და სხვა საოჯახო ნივთები. ნივთმტკიცებების უმეტესი ნაწილი ამოღებულია. გამოძიების ინფორმაციით, იგივე ბანდა 2004 წლის 30 იანვარს თავს დაესხა თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე მცხოვრებ ნანა ჯინჭარაძის ოჯახს, საიდანაც დიდი რაოდენობით ოქროს სამკაული და 4.000 დოლარი გაიტაცეს. ■

მარცხნიდან: ვინი, სპირგი, ცოი და ვადიმი

pankebi

თბილისური პეიზაჟის ახალი «სახე»

ელენე ხირსელი

XX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის ქალაქებში გამოჩნდა ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფები, რომლებიც თავიანთი უცნაური გარეგნობითა და არაორდინარული ქცევით მოსახლეობის საყოველთაო განკიცხვასა და აღშფოთებას იწვევდნენ. რკინის ჯაჭვებით მკერდდამშვენებული გოგო-ბიჭები, ნახევრად გადაპარსული თავებით, მამლის ბიბილოს მსგავსი ვარცხნილობით ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ან დაქროდნენ მოტოციკლეტებით და თავიანთ თავს პანკებს, როკერებს, მეტალისტებს უწოდებდნენ. ახალგაზრდები აცხადებდნენ, რომ სურდათ, ხმაურიანად გამოეხატათ თავისუფლებისკენ სწრაფვა, საკუთარი „მე“ წარმოჩენა და ამით, ე.წ. საბჭოური უძრაობის ხანის სტერეოტიპების მსხვრევა... საბჭოთა კავშირში ამგვარი მოძრაობების ბუმი 80-იან წლებზე მოდის და დიდი ხანია, რაც აქტუალურობა დაკარგა. ამ ცოტა ხნის წინ კი შევიტყვე, რომ თურმე თბილისშიც ყოფილან პანკები. სიმართლე გითხრათ, თავიდან არც დავიჯერე, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მძლია და მაინც მივედი იქ (ოპერის თეატრთან), სადაც, ისინი იკრიბებოდნენ. იქ მითხრეს – პანკები აქედან გაძევეს და ახლა ფილარმონიასთან იკრიბებიანო. – თან გამაფრთხილეს – ისეთი უზრდელები და თავხედები არიან, შეიძლება შეურაცხყოფა მოგაყენონ და თუ მოეხუშტურათ, ყველას თვალწინ შარვალიც ჩაიხადონო...

ბევრს აღარ გავაგრძელებ, ჯობს, სიტყვა თავად ამ კასტის წარმომადგენლებს გადავცეთ.

— პანკებზე იმდენი უცნაური და დაუჯერებელი რამ მიამბეს, ვიფიქრე — ასჯერ მოსმენილს, ერთხელ ნანახი სჯობს-მეთქი და პირდაპირ თქვენკენ გამოვემართე. რას წარმოადგენს თქვენი ერთობლიობა: მოძრაობას თუ ორგანიზაციას?

მოლი, *18 წლის, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი:*

– ეს უბრალოდ, „ტუსოვკაა“, რომელიც დაყოფილია ცალ-ცალკე „სასტავებად“. ვერ ვიტყვი, რომ მათ შორის სრული ერთსულოვნებაა. ზოგიერთ „სასტავთან“ არცთუ ისე მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს, ზოგი აწვება „სვეტობას“, ზოგი – მაგალითად, ჩვენ – უფრო ბუნებრიობაზე ვართ ორიენტირებული: არიან ისეთი ტიპებიც – ე.წ. „კრუტოი ჩუვაკები“, რომლებიც რადიკალიზმით გამოირჩევიან. ფიქრობენ, რომ რაც მეტ ჯაჭვს დაიკიდებენ და რაც უფრო ბინძურები ივლიან, მით უფრო მაგრები იქნებიან. ალბათ, ეს უფრო ასაკობრივია და შეიძლება, მაქსიმუმ 2 წელი გასტანოს. ზოგი ოპერასთან „აბირჟავებს“, ზოგი – მაღაზია „პლუსბოქსთან“, ზოგი – სახლში. ჩვენ, მაგალითად, ფილარმონიასთან ვიკრიბებით. თავიდან ოპერასთან ვიყავით, მაგრამ პოლიციელებმა გამოგვყარეს – არაესთეტიკურად გამოიყურებითო. სხვათა შორის, მათი გემოვნება ე.წ. „კაი ბიჭების“ გემოვნებას ემთხვევა, რომლებიც არანაკლებად გვდევნიან...

— რამდენი ადამიანია თქვენს „სასტავში“ და ძირითადად, რა ასაკის?

– ფილარმონიასთან მაქსიმუმ 30 კაცი ვიკრიბებით, 11-დან 45 წლამდე ასაკის. ჩვენს კონცერტებზე კი, შეიძლება 100 კაცზე მეტი მოვიდეს.

ნინო, *20 წლის:*

– სხვათა შორის, თუ მიაქციეთ ყურადღება, პანკური მოდა შემოვიდა: ჯაჭვები, სპორტული კედები, ზოლიანი გეტრები – ეს სუფთა პანკური ატრიბუტებია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ვინც ყველაფერ ამას მოდის გამო ატარებს, მათ 100-დოლარიანი და მინიმუმ 50-ლარიანი კედები აცვია, ჩვენ კი – 5 ან 3-ლარიანი.

— როგორია თქვენი ძირითადი ლოზუნგი?

– ლოზუნგები პარტიებში მოიკითხეთ. ჩვენ კი მხოლოდ შეხედულებები და პრინციპები გვაქვს, რომლებსაც ერთი მიზნისკენ – პიროვნული თავისუფლებისკენ მივყავართ და პლუს როკმუსიკის თაყვანისცემა. ჩვენ არავის ვეხებით, არავის ვაყენებთ შეურაცხყოფას და იმავეს მოვითხოვთ სხვებისგან. მართლაც, გამაღიზიანებელია, როდესაც ადამიანები, რომელთა ინტელექტიც ნულის დონეზეა, მოდიან და გეუბნებიან: „რას ჰგავხარ?!“ „ეს რა გაცვია?!“, „აქ რატომ ზიხარ?!“ მე შეიძლება ნაგვის ბუნკერში დავჯდე და დავლიო, ვისი რა საქმეა? ქალაქი ყველასია და ვისაც სად უნდა, იქ დაჯდება, ვისაც რა უნდა, იმას ჩაიცვამს; შეიძლება, მეც ბევრი რამ არ მომწონს მათში, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ჩემი საქმე არ არის და საკუთარ აზრს თავზე არავის ვახვევ.

ვახო, *21 წლის, სტუდენტი:*

– ბიჭებზე გრძელი თმა არ მოსწონთ – არამამაკაცურიაო. თუ ვაჟკაცობა მაინცდამაინც თმის სიგრძით იზომება, მაშინ გადახედონ ისტორიას – ძველი რაინდები ხომ სულ გრძელ თმას ატარებდნენ!.. ისე უხეშად და აგრესიულად მოგვმართავენ, ჩვენში ორმაგი აგრესია იღვიძებს. ყოველ წუთას შეურაცხყოფას გვაყენებენ, გვაღიზიანებენ, მერე კი ყველა ჩვენ გვამტყუნებს – თავზეხელაღებულები და აგრესიულები არიანო. ცხოვრებაში ერთადერთი რამ მინდა: არავის ეკითხებოდეს, მე რას გავაკეთებ და თუ ვინმეს შევაწუხებ: – ეს უკვე სხვა საკითხია.

პოლინა, *15 წლის, მოსწავლე:*

– მოსახლეობის 99%-ში ანტიპათიას ვიწვევთ. ქუჩაში წყნარად ვერ გაგივლია, მოსვენებას არ გვაძლევენ: „ჰიპი ხარ თუ სატანიკოსი“, „მეტალისტი“ თუ „ნირვანას“ წევრი? გამვლელები თვალს გვაყოლებენ. ისე გვიყურებენ, როგორც უცხოპლანეტელებს.

ანა, *17 წლის, უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი:*

– მრავალჯერ ვარ ნაცემი ეგრეთ წოდებული ძველი ბიჭების მიერ. მხ-

ოლოდ იმიტომ, რომ დახეული ჯინსი მეცვა, ცხვირსა და წარბზე კი საყურე მეკეთა. „რა საზიზღარი ხარ?!“ – მეუბნებიან და საშინელი სიტყვებით მლანძღავენ. ახლა ისე ვარ შეშინებული, ქუჩაში რომ დავდივარ, უკან-უკან ვიყურები, ასე მგონია, ვიღაც მომვარდება და ყელში მწვდება. თავიანთ საქციელს იმით ხსნიან, რომ ჩვენ ვითომდა, ქართველი ქალის სახელს ვარცხვენთ.

— თვითონ არ არცხვენენ ქართველი კაცის სახელს, ქალებს რომ სცემენ?

– ჩვენ ხომ ქალებად არც გვთვლიან. ალბათ იმიტომ, რომ ვეწევით და ხანდახან ვსვამთ. დღეს რომელი ქალი არ ეწევა ან არ სვამს?! მაგრამ ეს ხდება მალულად: სახლში, ტუალეტში ან „სვეტსკი ზავედენიებში“. ჩვენი უბედურება თუ ბედნიერება, – არ ვიცი, – იცით, რაშია? – არ ვინიღბებით, არ ვთამაშობთ – ვერ ვეგუებით სიყალბეს. ძალიან ბევრ კარგმანერებიან, ზრდილობიან გოგონას ნიღაბი რომ ჩამოხსნა – აბსოლუტურ სიცარიელეს დაინახავ. ღმერთმა დამიფაროს, ვამტკიცებდე, ვინმეზე უკეთესი ვარ-მეთქი, უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ „ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს“.

ᲛᲐᲠᲘᲙᲐ, *24 წლის:*

– ცხოვრება ბევრად უფრო იოლია, როცა ზიხარ ჩარჩოებში. თუ საზღვრებს სცილდები, გიჩნდება უამრავი პრობლემა. მასების აზროვნება სტერეოტიპებზეა აგებული და ნებისმიერი გადახვევა მიღებული ნორმებიდან, აუცილებლად ნეგატიურ მოვლენად აღიქმება.

ᲐᲜᲐ:

– ჩვენზე ამბობენ, რომ ლოთები და ნარკომანები ვართ, რომ ბიჭები ყველანი ცისფრები, გოგონები კი ლესბოსელები არიან. მამაჩემს პირში უთხრეს – შენი შვილი ბოზი და ნარკომანიაო...

— მერე რა რეაქცია ჰქონდა?

– არ დაიჯერა, რადგან ძალიან კარგად მიცნობს.

ᲛᲝᲚᲘ:

– ჩემზე კი მეზობლებმა თქვეს – ძაღლებს ჭამსო. სახლში ორი ძაღლი მყავს და თურმე მათ ლეკვებს მივირთმევ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ, *25 წლის:*

– მე არც პანკი ვარ და არც „სასტავის“ წევრი – უბრალოდ, აქ ბევრი მეგობარი მყავს და მათთან მოვდივარ ხოლმე. ურთიერთობა მაქვს სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან, ამიტომ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ აქ ერთი ნარკომანიც არ არის და „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ დაცულია 99%-ით. ძალიან ბევრი, გარეგნულად მოწესრიგებული ადამიანი, რომელიც მათ უსაქციელობაზე ხმამაღლა საუბრობს, ისეთ ამორალურ ცხოვრებას ეწევა, ამათ მხოლოდ ფილმებში თუ უნახავთ.

— მშობლები როგორ რეაგირებენ თქვენი ცხოვრების წესზე?

ᲛᲝᲚᲘ:

– თავიდან მქონდა პრობლემები. მერე მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და პირიქით – უკურეაქციას იწვევდა. ახლა, ერთადერთი, რასაც მთხოვენ – ბევრს ნუ დალევ და შინ მაინცდამაინც ღამის 2 საათზე ნუ მოხვალო. მშობლებს არაფერს ვუმალავ, ყოველთვის ვუყვები, სად დავდივარ და რას ვაკეთებ.

— ერთმანეთი სად გაიცანით?

– ძირითადად, როკკონცერტებზე.

— შეყვარებულები მხოლოდ „სასტავიდან“ გყავთ თუ სხვაც შეიძლება შეგიყვარდეთ?

ჩვენ არავის ვეხებით, არავის ვაყენებთ შეურაცხყოფას და იმავეს მოვითხოვთ სხვებისგან



...ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ სიყვარულის თემას იგნორირებას ვუკეთებთ

– ძირითადად, „სასტავიდან“, მაგრამ გამონაკლისიც არის, რადგან სიყვარული ისეთი რამ არის, პირობით ფარგლებში რომ ვერ მოაქცევ.

— რამ გიბიძგათ საერთოდ, „ტუსოვკაში“ მოსვლა?

– ბევრი ჩვენგანი მუშაობდა. მაგალითად, მე, მიუხედავად ასაკისა (18 წლის ვარ), ბევრი რამ მოვასწარი. ვმუშაობდი მაღაზიებში: „ბატა“, „ინკოგნიტო“ და ა.შ., ვიყავი კონსულტანტ-გამყიდველი, ადმინისტრატორის თანაშემწე, მიმტანი. ვცხოვრობდი რობოტივით: სამუშაო-სახლი-ძილი. სამსახურიდან რომ მოვდიოდი, 2 საათში ვიძინებდი. დეპრესიაში ჩავვარდი. საშინელებაა, როცა ახალგაზრდა კვირაში 7 დღე მუშაობს. შენი ცხოვრების არეალი ვიწროვდება და თანდათან ჩლუნგდები... მერე ეს ხალხი გავიცანი და ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. ვიფიქრე, ეს რამდენი ვყოფილვართ-მეთქი?! მაგრამ ახლა ვხვდები – მთელ სამყაროსთან შედარებით, ძალიან ცოტანი ვართ – სულ ერთი მუჭა.

ᲞᲝᲚᲘᲜᲐ:

– 14 წლამდე, საშინელი კომპლექსი მჭირდა. არსად არ დავდიოდი, საკუთარ ნაჭუჭში ვიჯექი. ერთ დღესაც (შარშან), როკკონცერტზე წამიყვანეს. მას შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა. შევიძინე უამრავი მეგობარი: როგორც იქნა, საკუთარი თავი ვიპოვე.

— იმ მუსიკას, რომელსაც თქვენ ეთაყვანებით, უმრავლესობა ძნელად აღიქვამს, ამბობენ — ადამიანებში აგრესიას იწვევსო.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ *(ცოი), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, ჯგუფის – Kairmorchen წევრი:*

– პოპმუსიკის მოყვარულთათვის

ᲑᲔᲕᲠᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲛᲝᲣᲠᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ: ᲛᲘᲡᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲟᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐᲝ

მუსიკა მხოლოდ გართობაა, ჩვენთვის კი – მთელი ცხოვრება. ხშირად გვსაყვედურობენ, აგრესიულ მუსიკას უკრავთო, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ასეთი მუსიკა სასარგებლოც კია, რადგან ადამიანებს უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლებაში ეხმარება. აგრესია, როგორც ასეთი, ყველა ადამიანში ზის და სხვადასხვა ფორმით აუცილებლად გადის გარეთ – უმეტესად, ძალადობის სახით (ხულიგნობა, მკვლელობა, გაუპატიურება). ჩვენ კი შინაგანი აგრესია მუსიკაში გადაგვაქვს, რის შემდეგაც ჩვენს სულებში საოცარი სიმშვიდე ისადგურებს...

— კონკრეტულად რა მუსიკას უკრავს თქვენი ჯგუფი?

– გოტიკურ პანკ-როკს.

— ქართულ პოპმუსიკასთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

– სულ სიყვარულზე როგორ უნდა იმღერო? სულ ერთი და იგივე სიტყვები ტრიალებს: მიყვარხარ, მენატრები, გელოდები, ნუ დამტოვებ... ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ სიყვარულის თემას იგნორირებას ვუკეთებთ. როკმუსიკაში სიყვარულზე შედევრებია დაწერილი – მაგალითად, მეტალიკაში შექმნილია ბრწყინვალე რომანტიკული ბალადები... ჩვენ მხოლოდ ცოცხალ მუსიკას ვასრულებთ. ფონოგრამა – კომპიუტერზე გასწორებული ხმები, ჩემი აზრით, მსმენელის მოტყუებაა და მეტი არაფერი. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია.

— რატომ შეგარქვეს ცოი?

– ეს სახელი ბავშვობიდან მაქვს. ვიქტორ ცოი რუსულ ჯგუფ „კინოს“ წევრი (აწ გარდაცვლილი), მუსიკაში „ანარქიული“ მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელია. ანარქია ყოველგვარი პიროვნული შეზღუდვის საწინააღმდეგო მოძრაობაა. ადამიანი საკუთარი თავის ბატონ-პატრონია. მისი „სამფლობელოს“ საზღვრები, მისი ცხვირის მიღმა მთავრდება. სხვათა შორის, რუსეთში იმდენად ძლიერია „ანარქიული“ მოძრაობა და იმდენად დიდ პატივს სცემენ ცოის, რომ იქ მისი სახელის დარქმევისთვის შეიძლება, კარგადაც გცემონ...

— კონცერტებს სად ატარებთ? გყავთ თუ არა სპონსორი?

– სხვადასხვა კლუბსა და დარბაზში. ჩვენ არც ერთი სპონსორი არ დაგვაფინანსებს, რადგან საქართველოში მძიმე მუსიკას ძალიან ცოტა მსმენელი ჰყავს, აპარატურის შეძენა, დარბაზის დაქირავება ძალიან ძვირი ჯდება. თანხას ჩვენი ფულით და ჩვენი მეგობრების შემოწირულობით ვისტუმრებთ. კონცერტებიდან ერთი თეთრიც კი არ გვრჩება. ჩვენ უბრალოდ, მეგობრები გვინდა, ვასიამოვნოთ – მუსიკის დღესასწაული მოვაწყოთ. ჩვენს კონცერტებზე საოცარი ერთსულოვნებაა, ყველა, წარმოდგენის მონაწილეა – შემსრულებელიც და მსმენელიც. ამ კონცერტების ვიდეო და აუდიოკასეტები კი ხელიდან ხელში გადადის.

— მუსიკის გარდა, კიდევ რითი ხართ დაინტერესებული?

ᲐᲜᲐ:

– ყველას ჰგონია, რომ გაუნათლებელი, უწიგნური, ტლუ ადამიანები ვართ. მე პირადად, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, საკმაოდ მრავალფეროვანი ინტერესები მაქვს: ვწერ, ვხატავ, გატაცებული ვარ ფოტოხელოვნებით. ძალიან მიყვარს კითხვა, ტელევიზორს კი საერთოდ არ ვუყურებ. დიდი სურვილი მაქვს, მოვაწყო ფოტოსურათების გამოფენა, მაგრამ თბილისში ისეთი ფოტოების გამოფენა, როგორსაც მე ვაკეთებ, წარმოუდგენლად მიმაჩნია. ძალიან ბევრს, ვისაც ჩემი ფოტოები უნახავს, მოურიდებლად უთქვამს: ამის ავტორი გიჟი იქნებაო... ვერ გამიგია, ასე რატომ ფიქრობენ, მე ხომ უბრალოდ ჩემი განსხვავებული ხედვა მაქვს, როგორც ხეზე ორი ერთნაირი ფოთოლი არ არის, ისევე ორი იდენტურად მოაზროვნე ადამიანი არ არსებობს. ადამიანები უბრალოდ ცდილობენ, ხელოვნურად დაემსგავსონ ერთმანეთს.

ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ ᲘᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ...

ᲛᲝᲚᲘ:

– თითქმის ყველანი შემოქმედებით საქმიანობას ვეწევით. ზოგი ხატავს, ზოგი წერს, ზოგი მღერის, ზოგი უკრავს... სპონსორი რომ გვყავდეს, ალბათ გაცილებით მეტს შევძლებდით. ახლა ვფიქრობ, როგორ შევაგროვო ფული, რომ ვიყიდო გიტარა, სხვას უნდა, რომ იყიდოს ფუნჯები და საღებავები და ა.შ.

ჩვენ გვერდით საკმაოდ შეძლებული ოჯახების შვილებიც არიან, მათაც უნდათ საკუთარი ფული ჰქონდეთ. ამიტომ ჩვენ საკმაოდ ძველ და კარგად ნაცნობ ხერხს მივმართავთ – ამას „პაპაბნიკობას“ ვეძახით: ვაჩერებთ გამვლელებს და ვთხოვთ: „უკაცრავად, 20 თეთრი ხომ არა გაქვთ?“ პასუხად ხშირად გვესმის: რა კარგი ბავშვები ხართ და რატომ მათხოვრობთო?.. – ხან კი, თავიდან ფეხებამდე აგვათვალიერებენ და ისე ამპარტავნულად გადმოგვხედავენ, ჰგონიათ, ჩვენ გვამცირებენ, სინამდვილეში კი თვითონ იმცირებენ თავს. სხვათა შორის, კარგად „დავამუღამე“, ვისგან რა რეაქციას უნდა ველოდო. მაგალითად, პარლამენტის შენობიდან გამოსული კაცისთვის 20 თეთრი რომ მითხოვია, ისეთი სახე მიუღია, თითქოს გეუბნებოდა – ჯანდაბას შენი თავი, ჰა, 40 თეთრი და თავი დამანებეო, – მერე კი, გასისინებულ „მერსედესში“ ჩამჯდარა. გაცრეცილპალტოიან კაცს კი 2-ლარიანი გამოუმეტებია...

P.S. გამომშვიდობებისას ერთ-ერთმა გოგონამ იმედით სავსე თვალებით მკითხა: ცოტათი ხომ შეგეცვალა ჩვენზე წარმოდგენაო?..

■

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38

დაახლოებით 15-16 წლის წინ, საბჭოთა ტელესივრცეში ახალი ხილი — ლათინურამერიკული ტელესერიალი შემოიჭრა. ქალები აცრემლებული ადევნებდნენ თვალს „მონა იზაურას“ ამბავს და მახსენდება, ჩემი მეგობრის 70 წლის იმერელი ბებია, ტელევიზორთან მიმჯდარი როგორ წყევლიდა ლეონსიოს — შენ მეისპე და არ გეიხარე ისე, რაფერც მაგი ანგელოზივით გოგო არ გაახარეო...

სისხლი და ეროტიკა ქართულ ტელეეკრანებზე

ანუ „თუ ასეთია სექსი, მაშინ ახ მინდა“

ნათია თენიეშვილი

ამას მოჰყვა „მარიანა“, „უბრალოდ, მარია“ და იმ დროს, როცა ტელევიზორში სერიალი გადიოდა, ქმრები შიმშილისგანაც რომ დახოცილიყვნენ, ცოლები მათ საჭმელს მაინც არ გაუმზადებდნენ. ნელ-ნელა კაცებიც მიეჩვივნენ სერიალების ყურებას და ზოგიერთი მათგანი ჩუმად იცრემლებოდა კიდეც, თუმცა ამას ყოველთვის უარყოფდა. საბჭოთა კავშირი დაიშალა, სატელევიზიო არხებმა საგრძნობლად იმატა და მათი ეთერის საკმაოდ დიდი ნაწილი ტელესერიალებმა დაიკავა. იქიდან მოყოლებული, ყველა იმას აღნიშნავს, რომ ეს მდარე კინოპროდუქციაა. მაგრამ ამავე დროს მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი სწორედ სერიალების გმირთა ცხოვრებით ცხოვრობს და მოუთმენლად ელის შემდგომ სერიაში იპოვის თუ არა დედა 15 წლის წინ დაკარგულ შვილს, გაიხსენებს თუ არა ამნეზიით შეპყრობილი გმირი თავის სახელსა და გვარს... რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს მოთხოვნილება სერიალებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ჟანრი ქართულ ტელესივრცეშიც შემოიჭრა. ალბათ გახსოვთ, წლების წინ, პირველმა ავთო ვარსიმაშვილმა გადაიღო „სახლი ძველ უბანში“ — მისტიკური სერიალი, რომელიც საკმაოდ განსხვავდებოდა ლათინურამერიკული სერიალებისაგან. გარკვეული პერიოდით, ქართულ ტელეეკრანზე კვლავ მხოლოდ კოლუმბიურ-ბრაზილიურ-ვენესუელური და ზოგჯერ ამერიკული სერიალები გადიოდა. ბოლო დროს კი, ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით ქართველმა რეჟისორებმა რამდენიმე სერიალი გადაიღეს და მათი ჩვენება ამავე ტელეეზიის ეთერით ახლაც მიმდინარეობს.

მარინა კახიანი

თუ ლათინურამერიკული სერიალების უმრავლესობა მელოდრამული ჟანრისაა და მასში ძირითადიდ აქცენტი სენტიმენტებზე კეთდება, ქართული სერიალების უმეტესი ნაწილი დეტექტიური ჟანრისაა, მასში ბევრია სისხლი, ეროტიკა და ნელ-ნელა სექსუალური სცენების რაოდენობა მატულობს.

ცოტა ხნის წინ დასრულდა რეჟისორ დათო ჯანელიძის „მტვრის გემოს“ ჩვენება, სადაც მთავარ როლებს მარინა კახიანი და ჯაბა კილაძე ასრულებენ. მათი გმირები საყვარლები არიან და ფილმი ე.წ. ლოგინის სცენებითაც, რომ იტყვიან, უხვადაა გაჯერებული... ამ სერიალს რეჟისორ ლევან ერისთავის „თენდება გვიან“ მოჰყვა, სადაც მთავარი როლის შემსრულებლის — სოსო ჯაჭვლიანის გვერდით, ბევრი სრულიად შიშველი ქალი გამოჩნდა ეკრანზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა უცნობი მსახიობია: როგორც ჩანს, ქართველი მსახიობი ქალების უმრავლესობას მაინც აქვს კამერის წინ გაშიშვლების კომპლექსი. როგორც მოსალოდნელი იყო, დღეს ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ ამ სერიალებზე. ზემოთ აღნიშნული ზოგს მოსწონს, ბევრს კი აღიზიანებს. მაყურებლების უმრავლესობა აღნიშნავს — შიშველი ქალი და სექსუალური სცენა ბევრი გვინახავს უცხოურ ფილმებში, მაგრამ ქართველებს არ გამოსდით, თან იხდიან, თან კომპლექსი ეტყობათ და ეს ყველაფერი გამაღიზიანებელიაო. როგორც დათო ჯანელიძე ამბობს — რადგან სერიალის თაობაზე ბევრს ლაპარაკობენ და მსჯელობენ, ე.ი. სერიალი შედგაო.

დათო ჯანელიძე:

— სერიალის მთავარი დანიშნულებაა, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა უყუროს და ამაზე ბევრი ილაპარაკონ. თუ „მტვრის გემოზე“ ლაპარაკობენ, ე.ი. რეიტინგისთვის მიუღწევია და კარგი გამოსულა.

— რატომ გადაწყვიტეთ ამ სერიალის გადაღება? სცენარმა დაგაინტერესათ თუ კარგი პირობები შემოგთავაზეს?

— სცენარიც კარგად იყო დაწერილი, პირობებიც ნორმალური გვქონდა და ისიც მაინტერესებდა, თუ რამდენად შევძლებდი შეკვეთილ ფილმზე მუშაობას. ძალიან საინტერესო და სახალისო იყო გადაღებების პროცესიც. მსახიობებიც არ იყვნენ ურიგო. თვითონაც კმაყოფილები იყვნენ და მეც კმაყოფილი ვარ მათი მუშაობით. რაც შეეხება ეროტიკას — ერთ-ერთი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ ფილმში ეროტიკა ყოფილიყო. თუმცა, მე ყველანაირად ვეცადე, რომ ასეთი სცენები შედარებით უფრო კულტურულად ყოფილიყო გაკეთებული. აქ არც იყო შიშველი მსახიობი: თქვენ ვერც ერთ კადრში ვერ ნახავთ შიშველ მარინა

კახიანს. აქ არ არის ნაჩვენები სხეულის სიშიშვლე. ყველა სექსუალური სცენა, რომელიც ფილმშია შესული, უბრალოდ, საჭირო იყო სიუჟეტის მიხედვით. რაც შეეხება დეტექტიურ ჟანრსა და ბევრ სისხლის ღვრას — დღეს მთელ მსოფლიოში ასეა — სისხლი და ეროტიკა ეკრანზე, ყველაზე მომგებიანია, კომერციული თვალსაზრისით.

როგორც ბატონმა დათომ აღნიშნა, რამდენიმე მსახიობს, უარი უთქვამს მსგავსი სცენების გამო ამა თუ იმ როლის შესრულებაზე. როცა მარინა კახიანთან მივედი იმაზე სასაუბროდ, თუ რამდენად საინტერესო იყო მისთვის ამ როლზე მუშაობა, ის ტელესერიალს — „კლონს“ — უყურებდა.

მარინა კახიანი:

— ხანდახან, როცა დრო მაქვს, ვუყურებ ხოლმე ამ სერიალს. სხვებთან შედარებით საინტერესოა, თან მე მაინტერესებს განსხვავებული კულტურა და მუსლიმანური წეს-ჩვეულებები.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა ქართულ სერიალებზე უნდა ვილაპარაკოთ...

— კი, ბატონო. ამ საქმეში გამოცდილება მაქვს: მე ჯერ კიდევ პირველ ქართულ სერიალში — „სახლი ძველ უბანში“ — ვმონაწილეობდი და ძალიან მიყვარს ის როლი. მერე ვითამაშე რუსულ სერიალში — „დონგო“. ამას მოჰყვა „ცხელი ძაღლი“ და „მტვრის გემო“.

— თქვენ ისეთი როლები გაქვთ შესრულებული, რუსთაველის თეატრის თუ სხვა თეატრების სცენებზე, რომ ალბათ ყველა როლზე თვალდახუჭული არ თანხმდებით. „მტვრის გემოში“ შესრულებული როლი რითი იყო თქვენთვის საინტერესო?

— „ქართულ ფილმებში მსახიობი ქალებისთვის არცთუ ისე ხშირია ასეთი მნიშვნელოვანი როლის შემოთავაზება. რატომღაც აქცენტი უფრო მამაკაცებზე კეთდება. მე მგონი, საკმაოდ საინტერესო იყო ჩემი გმირის, ირინას სახე და არ არის გასაკვირი, რომ მე ამ როლით დავინტერესდი. ამ სახეში გაერთიანებული იყო ფსიქოლოგიური მხარე, ტრაგიზმი, სახასიათო შტრიხები და მარადიული თემა — სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ სერიალია, ძალზე საინტერესო იყო მასზე მუშაობა. საოცრად კარგი გადამღები ჯგუფი ჩამოყალიბდა და ყოველი გადასაღები დღე მახარებდა. გადაღება დამთავრდა, სერიალმა დამოუკიდებლად ცხოვრება დაიწყო, ვიღაცას შეიძლება, მოსწონს, ვიღაცას — არა, მაგრამ ის უკვე ჩემი ცხოვრების ნაწილია.

— როცა დასრულებული სერიალი ნახეთ, მოგეწონათ?

— მიუხედავად იმისა, რომ სცენარი წაკითხული მქონდა, მაინც ჩამითრია და ზედიზედ ვუყურე ერთ დღეში რვავე სერიას. რაღაცები მომეწონა, რაღაცები — არა...

— მაყურებლის გარკვეული ნაწილი ეროტიკულმა ეპიზოდებმა გააღიზიანა. თქვენ რას იტყვით, ამის შესახებ?

— მე ვფიქრობ, რომ „მტვრის გემოში“ საკმაოდ მცირე რაოდენობითაა ისეთი მომენტი, რაც ჩემთვის სასიამოვნოა. ისევე, როგორც მაყურებელს, მეც არ მიყვარს ეროტიკული ფილმების ყურება. არის მხატვრული ფილმები, სადაც რაღაც დოზით, სიუჟეტიდან გამომდინარე, აუცილებელია მსგავსი სცენები. ჩვენს ფილმში ეროტიკის სიჭარბე არ არის, იმაში კი, რაც ნაჩვენებია, რეჟისორს ვეთანხმები. აუცილებელი იყო, მცირე დოზით გვეჩვენებინა ამ ორი ადამიანის სიყვარულის

სოსო ჯაჭვლიანი

ნაწილი. თუმცა, ამან მე რაღაც პრობლემები გამიჩინა. როგორც ყველა ქართველი, მეც არა ვარ თავისუფალი ჩვენი მენტალიტეტისაგან და ამან ნაწილობრივ შემიშალა კიდეც ხელი მუშაობაში. მინდა, ისიც გითხრათ, რომ რამდენიმე წლის წინ, ამდენსაც ვერ გავბედავდი. ამის გამო, ძალიან ბევრჯერ მითქვამს უარი ფილმში გადაღებაზე. მაგრამ ადამიანის ფსიქიკა იცვლება, პროფესიონალიზმიც ალბათ, იხვეწება, თან ძალიან მომეწონა ირინას სახე და უარი აღარ ვთქვი.

— თუმცა, თქვენი გმირი ერთ სცენაში სრულიად შიშველი ჩანს...

— მიმაჩნია, რომ ეს აბსოლუტურად არ იყო საჭირო. მაყურებელი კარგად მიხვდა, რომ ის მე არა ვარ. ამ სცენის არსებობა არც ვიცოდი, როცა გადაღებები დამთავრდა, მონტაჟის დროს ვნახე. დათოს ვუთხარი კიდეც — ასე რომ არ მიყვარდე და საქართველოში რომ არ ვცხოვრობდეთ, გიჩივლებდი-მეთქი. მაგრამ საქართველოში ამის პრაქტიკა არ არსებობს და ეს საკითხი ღიად დარჩა... რაც შეეხება მეორე სერიალს — „თენდება გვიან“ — მხოლოდ ნაწყვეტები მაქვს ნანახი და რაც ვნახე, ვფიქრობ, გადაჭარბებულია. მართალი გითხრათ, ვერ ვხვდები, რისთვის არის ეს საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი ვარ, ამ შემთხვევაში მეც საზოგადოების იმ ნაწილს მივეკუთვნები, რომელსაც მიაჩნია, რომ ეროტიკის სიჭარბე საჭირო არ არის. ეს მეც მაღიზიანებს.

— გრძნობდით თუ არა თავს უხერხულად ლოგინის სცენების გადაღებისას? თუნდაც იმიტომ, რომ ჯაბა კილაძე ასაკით ბევრად პატარაა თქვენზე...

— რა თქმა უნდა, გარკვეული უხერხულობა ამას თან ახლავს. ჯაბა, გარდა იმისა, რომ ასაკით ჩემზე პატარაა, ჩემი მეგობრების შვილია და ვთქვი კიდეც, რომ ეს მუშაობაშიც მიშლიდა ხელს, მაგრამ მსახიობმა ყველანაირი როლის შესრულება უნდა შეძლოს — ისეთისაც კი, რომელიც მის პიროვნებას ეწინააღმდეგება. ეს არის ჩვენი პროფესიის მთავარი ხიბლი.

როგორც რეჟისორი ლევან ერისთავი ამბობს, მის სერიალში არც სექსია და არც ეროტიკა. „ამას, როგორც რუსები ამბობენ, გჯცნტკმყსტ ცწტყს ჰქვია. ვერასდროს ვერაფერს გააკეთებ ისეთს, რომ ყველას მოეწონოს. ყველაფერი, რაც სერიალში ხდება, რეალურია, აქ ყურით მოთრეული არაფერია. დღეს თბილისში რეალურად ხდება მკვლელობები, ფულის შეწერები, დაყაჩაღებები და ა.შ. რაც შეეხება ეროტიკას — მე ის უფრო მაღიზიანებს, ლოგინის სცენებს ჩაცმულ-დახურულები რომ თამაშობენ. ან ის, ლათინურამერიკულ სერიალებში გაუთავებელი, 15-წუთიანი კოცნა რომ არის, ლამისაა, შეჭამონ ერთმანეთი...

როცა სოსო ჯაჭვლიანს დავურეკე და ჩვენი საუბრის თემა ვუთხარი, გაეცინა და — მრცხვენიაო, — მითხრა. თუმცა, ინტერვიუზე მაინც დამთანხმდა.

სოსო ჯაჭვლიანი:

— სერიალი კარგად არც მინახავს, აქა-იქ შევხედე და ვერ ვიტყვი, კმაყოფილი ვარ-მეთქი. მაქსიმალისტი ვარ და იმიტომ. ლევან ერისთავი ჩემი მეგობარია, მისი ფილმი რომ ნახოთ, რომელიც სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გადაიღო, მიხვდებით, როგორი კარგი რეჟისორია. როცა სერია ერთ კვირაში უნდა ჩაბარო, ბევრს ვერაფერს გააკეთებ...

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვის მიუძღვნა გრიგოლ როგაძიძემ „გველის პერანგი“?

ა) სტალინს;
ბ) გოეთეს;
გ) შექსპირს.

2. რამდენი ცოლი ჰყავს ოფიციალურად სადამ ჰუსეინს?

ა) ოთხი;
ბ) ერთი;
გ) ექვსი.

3. სადაური ბავშვი ჰყავს ნაშვილები ანჯელინა ჯოლის?

ა) კამბოჯელი;
ბ) იტალიელი.
გ) ვიეტნამელი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— საერთოდ, თუ უყურებთ ხოლმე სერიალებს?

— არა. იმიტომ კი არა, რომ მაგარი ბიჭი ვარ — უბრალოდ, დრო არა მაქვს. ისე, ვფიქრობ, რომ ადამიანმა ყველაფერი უნდა ნახო, რომ გაარკვიო, რა არის კარგი და რა — ცუდი. რამდენიმე წლის წინ, ორივე ფეხზე მენისკის ოპერაცია გავიკეთე და ვიწექი. იმ დროს, „დინასტია“ გადიოდა. აგარაკზე ვიყავი, სადაც მხოლოდ იმ არხს აჩვენებდა, ამიტომ ჩემდა უნებურად მომიწია ყურება. იქ იყო ბლეიქ ქერინგტონი, რომელსაც ჰყავდა „მესაჯდომე“ ვაჟი. ეს ჩემი მოგონილი სიტყვაა, თორემ, მასეთ კაცებს ცისფრებს ეძახიან... ამ „მესაჯდომეს“ თავისი „მესაჯდომე“ მოუკვდა და სამი სერია იმას ვუყურებდი, თუ როგორ დასტიროდა. მერე მამამისი მივიდა და შვილს პატიება სთხოვა — აქამდე შენი არ მესმოდა და მაპატიეო... მე ორი ვაჟკაცი მყავს — ლუკა და გიორგი; მაინტერესებს, მათ როგორ ავუხსნა ეს სიტუაცია. ეს ხომ, საშინელებაა!.. ასეთი შინაარსის ფილმებს ქართველები არასდროს გადაიღებენ. რაც შეეხება ეროტიკას — შეიძლება, ქალის შიშველი მხარი აჩვენო და ის უფრო ეროტიკული იყოს, ვიდრე მთლად შიშველი ქალი. ისე, მე იმის მომხრე უფრო ვარ, რომ საერთოდ არაფერი გამოიჩინონ...

— მიუხედავად ამისა, მაინც ითამაშეთ სერიალში, სადაც ბევრი შიშველი ქალია...

— მე ხომ არა ვარ გახდილი?! მე ნაღდი ვიყავი და ეს არის მთავარი.

ახლა კი ვნახოთ, რა მოსაზრება აქვთ ქართული სერიალების შესახებ იმ მსახიობებს, რომლებიც არ მონაწილეობენ მათში და უბრალოდ, მაყურებლები არიან, ასე ვთქვათ — პროფესიონალი მაყურებლები.

მურმან ჯინორია

მურმან ჯინორია:

— კარგი ის არის, რომ ეს საქმე დაიძრა, ხარისხი ნელ-ნელა დაიხვეწება. კარგია იმ მხრივ, რომ ხალხი დასაქმდა — ოპერატორები, მსახიობები, ტექნიკური პერსონალი... ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ. ეს პირველი ნაბიჯებია და დარწმუნებული ვარ, მომავალში უკეთესი გახდება. ცოტა არ მომწონს ის, რომ ყველა, დეტექტიური ჟანრისაა. ვფიქრობ, მეტი მრავალფეროვნება უნდა იყოს. რაც შეეხება ეროტიკას — არ ვარგა; მე მგონი, ამასაც თავისი ოსტატობა სჭირდება. რაღაც დოზაა საჭირო. არ შეიძლება, ასე „მიტყეპება“ — თითქოს არ არის ამის აუცილებლობა და უბრალოდ, არის იმიტომ, რომ იყოს...

თაზო თოლორაია:

— არ მომწონს ის, რომ მკვლელობაზე, ნარკოტიკებზე და გამოძიებაზეა. ამ თემებს ვერ გასცდნენ. გადასარევი ქართველი მწერლები გვყავს, რომელთაც აქვთ ბრწყინვალე პატარ-პატარა ნაწარმოებები. არ ჯობს, ის გადაიღო, რა არის ეს ხოცვა-ჟლეტა?!. რაც შეეხება სექსუალურ სცენებს — ეგეც ზედმეტია. უნახავთ რაღაც, უცხოურ ფილმებში და რახან დემოკრატიაა და თავისუფლებაა, მოდი, სექსი ვაჩვენოთო — გადაწყვიტეს!.. მინახავს ფილმები თავიდან ბოლომდე სიყვარულზე, მაგრამ იქ სექსი არ ყოფილა. ზედმეტად მიმაჩნია. ეგ არ არის ხელოვნება, პირიქით — გამაღიზიანებელია.

ნიკო გომელაური:

— ხშირად ვუყურებ-მეთქი, ვერ გეტყვი. რაც ვნახე, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, დეტექტიური ჟანრი თითქოს მაყურებლის მისაზიდად არის საჭირო. მთავარია, საინტერესო იყოს, აქ კი საინტერესო არაფერი ჩანს. სქელგავიანი ქალები რომ იარაღით დარბიან, ეს ჩემთვის სასაცილოა. ეს ყველას არ ეხება, რა თქმა უნდა... საშინელებაა, როცა „პატიოსან ქართველ ქალბატონს“ თან უნდა, რომ ითამაშოს სექსი, თან უტყდება და ვერ აკეთებს. ეგეთი ქალი რომ შემხვდეს ცხოვრებაში, ნაღდად არ მინდა. თუ ეგეთია სექსი, ეგ ქალები რომ თამაშობენ, მაშინ მე უარს ვამბობ მასზე... პრაქტიკის

თაზო თოლორაია

და ტრენაჟის მხრივ, ძალიან კარგია, ამდენი ხალხის დასაქმება სერიალებში. აპრილის ბოლოს, ავთო ვარსიმაშვილი იწყებს „ქალი კამელიებით“ – გადმოქართულებული ვარიანტის გადაღებას. „ღამის პეპლები“ – ასე ერქმევა. მთავარ როლს თქვენი მონა-მორჩილი ითამაშებს და მერე ვნახავთ, როგორ უნდა სერიალებში თამაში!..

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კომენტარისთვის ბევრ მსახიობ ქალს დავურეკე. ზოგმა კომენტარისგან თავი შეიკავა, ზოგს ნანახი არ ჰქონდა სერიალი; რეჟისორმა **ძეთი დოლიძემაც** მითხრა – თავს შევიკავებ კომენტარისგანო, – თუმცა მერე, მაინც გამიზიარა საკუთარი შეხედულება:

– სულ ცოტა ხნის წინ დავბრუნდი ამერიკიდან და ვერ გეტყვით, ყველაფერი ნანახი მაქვს-მეთქი. რაც ვნახე, შემიძლია გითხრათ, რომ არ მომწონს. დრამატურგია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თუ სერიალი კარგ ინტერიერში გადაღებული არ არის, მასში კარგი სასიყვარულო ამბავი (ე.ი. მელოდრამა) არაა გადმოცემული – მას სიცოცხლე არ უწერია. ვფიქრობ, ჩვენი მსახიობების გამოყენება ბევრად უფრო კარგად შეიძლება. ჩვენ ძალიან კარგი სატელევიზიო სპექტაკლები გვქონდა, მიშა თუმანიშვილის, თემურ ჩხეიძის და სხვების მიერ გადაღებული. რამდენიმე ძველი სატელევიზიო სპექტაკლი წავიღე პოლონეთში და მითხრეს – ტექნიკურად ნორმალური ხარისხი რომ იყოს, აუცილებლად ვიყიდდითო... სერიალის გადაღებას თავისებური განათლება და ოსტატობა სჭირდება. ამ საქმით დაკავებულ ერთ ადამიანს ველაპარაკებოდი და ჭკუის სწავლება დამიწყო, მეუბნებოდა – მთავარი Action – ე.ი. მოქმედებაო. რაც მისთვის აღმოჩენა იყო, მე საბავშვო ბაღში ვისწავლე. მქონდა რაღაც პროექტები. ამერიკაში ვისაც ვაჩვენე, ხუთბალიანი შეფასება მისცეს. ჩვენში კი, სამწუხაროდ, არც მომისმინეს... თუ პოლიციურ სერიალს იღებენ, მაშინ ნამდვილი პოლიციელი გვაჩვენონ – ამ სერიალებში მოგონილი პოლიციელები არიან. რაც შეეხება ეროტიკასა და სექსს – ეს პროვინციალიზმის პირველი ნიშანია. სიშიშვლეც ლამაზი უნდა იყოს. მე უბრალოდ, გული მწყდება, რომ იმ ადამიანების თანხა, ვინც ფულს დებს ამ საქმეში – არასწორად იხარჯება. ერთი პერიოდი, ვხუმრობდი: თბილისში სულ ერთი და იგივე ქალები თხოვდებიან-მეთქი. ახლა ვამბობ, რომ ეს საქმეც რაღაც გარკვეულ ჯგუფს აქვს ხელში ჩაგდებული და გული მწყდება, რომ ჩვენთვის ყველა კარი დაკეტილია.

ასე და ამგვარად, ბევრს ლაპარაკობენ, მსჯელობენ, კამათობენ; ზოგს მოსწონს, ზოგს – არა და მიუხედავად ყველაფრისა, წინ კიდევ ბევრი ახალი

ნიკო გომელაური

სერიალი გველის. დათო ჯანელიძისა არ იყოს – რადგან ლაპარაკობენ, ე.ი. უყურებენ და რადგან უყურებენ – ე.ი. საჭიროა...

■

„სიმახთლისმთქმელი“ სათვალე

მატყუარას პირველი დანახვისთანავე ამოცნობა ნებისმიერი ჯაშუშის ოცნებაა და აი, ის რეალობად შეიძლება იქცეს – ისრაელელი ინჟინრების წყალობით. მათ შეიმუშავეს და სპეცსამსახურებს სთავაზობენ თავიანთ ახალ გამოგონებას – სიცრუის დეტექტორით აღჭურვილ სათვალეს, რომელიც ადამიანის მეტყველების ანალიზის შედეგად (საამისოდ, მისი ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა 8 ათასამდე ალგორითმის გამოყენებით ხდება) დაადგენს – ცრუობს თუ არა იგი. როგორც კი ხმას სიყალბის ნიშანი შეეპარება, აპარატი შუქის სიგნალს გამოსცემს, რაც სათვალის ჩარჩოში ჩამონტაჟებული დიოდის მეშვეობით ხორციელდება. დადგენილია, რომ ახალი ხელსაწყო გაცილებით დახვეწილია, ვიდრე აქამდე არსებული, სიცრუის ჩვეულებრივი დეტექტორი. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მალე, ბევრი ამერიკელი პოლიციელი ახალი „საუწყებო“ სათვალით აღიჭურვება, რადგან, მასმედიის ცნობით, აშშ-ის პოლიციამ პირველმა შეუკვეთა მის მწარმოებლებს ათასობით ახალი ხელსაწყო. ■

ხანძახსაწინააღმდეგო სიგარეტი

თამბაქოს მწეველთათვის ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საკუთარ საწოლში დაწვის შესაძლებლობა, რადგან ბევრ მთგანს სჩვევია, მწოლიარე მდგომარეობაში სიგარეტის გაბოლება. ჩინელმა სონ იუანმინმა მავნე ჩვევით გამოწვეული უბედურება საკუთარ თავზე გამოსცადა: ერთხელ, მწეველის გამო გაჩენილმა ხანძარმა მისი 70 თანასოფლელი დააზარალა. ტრაგედიამ იმდენად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სონზე, რომ მან გადაწყვიტა, მწეველთა დამზღვევი რაღაც საშუალება გამოეგონებინა. იუანმინმა სიგარეტში, თამბაქოსა და ფილტრს შორის კალის ფოლგის ჩადება სცადა და ამით, სიგარეტისგან ალის გაჩენის შესაძლებლობა მინიმუმამდე შეამცირა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ჩინელის ნოუ-ჰაუ თამბაქოს მწარმოებელმა კომპანიებმა არ აიტაცეს – იმ მოტივით, რომ ამგვარი „საფენი“ თითოეული სიგარეტის ფასს საშუალოდ 1,5 ცენტით გაზრდის. ■



„ნარკოტიკით გაბრუებული ადამიანი სულელურად გამოიყურება: სახეზე უაზრო გამომეტყველება და წითელი, ჩასისხლიანებული თვალები აქვს. თავბრუდახვეულივით ბარბაცებს და უმიზეზოდ იცინის, ხშირად თავზარდამცემი შიშის გრძნობა იპყრობს. იძულებული ხდება, დღითი დღე გაზარდოს მიღებული ნარკოტიკის დოზა, ამას აიძულებს ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილება, რომელიც ადამიანს ნარკოტიკის 4-5-ჯერ გასინჯვის შემდეგ უყალიბდება“ — ეს ნარკომანიის პროფილაქტიკის მიზნით გამოცემული ბროშურიდან ამოღებული ციტატაა. იქ აღწერილი მდგომარეობა კი, ბევრისთვის ნაცნობია...

რით და როგორ ვუშველოთ ნარკომანს – სად არის გამოსავალი?

ნანა ქიბიმაური

ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ აღრიცხვაზე 15 ათასამდე ნარკომანი იმყოფება, მაგრამ ეს სტატისტიკური მონაცემები შორს დგას სინამდვილისგან. ექსპერტთა აზრით, არასამედიცინო დანიშნულებით ნარკოტიკების მომხმარებელთა რეალური რაოდენობა ოფიციალურ მონაცემზე 10-15-ჯერ მეტია. ნარკომანიამ სწრაფად მოიკიდა ფეხი სკოლებშიც. სკოლის სარდაფები აქამდე თუ მაკულატურით იყო სავსე, ახლა შპრიცებით აივსო. ყოველდღიურად მატულობს ზედოზირების მსხვერპლთა რიცხვიც...

რა უბიძგებს ადამიანს ნარკოტიკის მოხმარებისკენ? ნარკომანები სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ: ცნობისმოყვარეობა, უმუშევრობა, რეალობისგან გაქცევისა და მოწყენილობისგან თავის დაღწევის სურვილი. ნარკომანიის პრობლემაზე მომუშავე მეცნიერები კი ამბობენ, რომ ნარკოტიკული საშუალებით გატაცების რეალური მიზეზი ადამიანის ქვეცნობიერში უნდა ვეძიოთ.

როგორ მოვიქცეთ, თუკი შევიტყვეთ, რომ ჩვენი ახლობელი – შვილი, ქმარი, ძმა – ნარკოტიკის მომხმარებელია? იმისათვის, რომ ნარკომანიით დაავადებულ ადამიანს დავეხმაროთ, ბევრი რამ უნდა ვიცოდეთ, როგორც ზოგადად ნარკომანიის, ისე კონკრეტულად იმ ნარკოტიკული საშუალებების შესახებ, რომლებითაც შავი ბაზარი უხვადაა გავჯერებული. და კიდევ ერთი: უნდა მოვემზადოთ იმისათვის, რომ ზედოზირების შემთხვევაში (ასეთ მდგომარეობაში კი, ადრე თუ გვიან, ყველა ნარკომანი ხვდება), ახლობელ ადამიანს პირველადი დახმარება აღმოვუჩინოთ. შემდეგ კი, მასთან ერთად, ნარკომანთა რეაბილიტაციის ცენტრს მივაკითხოთ.

ის, რაც ნარკოტიკების შესახებ უნდა ვიცოდეთ

6000 წლის წინათ, შუმერები (თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები) თესდნენ ოპიუმის ყაყაჩოს და მას „სიამოვნების მცენარეს“ უწოდებდნენ. ძველი ეგვიპტის უძველეს ხელნაწერებში ოპიუმი აღწერილია, როგორც „ყველა სატკივრის წამალი და საწამლავი“. XII საუკუნეში კოკაინს იყენებდნენ ძველი ინკების ბელადები, რომლებიც სამხრეთ ამერიკის ანდებში ცხოვრობდნენ. უძველესი ხალხი მცენარეული წარმოშობის ნარკოტიკს სარიტუალო და სამკურნალო მიზნებისთვის იყენებდა. XIX საუკუნეში ქიმიური ტექნოლოგიის განვითარებამ სინთეტიკური ნარკოტიკის წარმოებას შეუწყო ხელი, ნარკოტიკული ნედლეული ათასგვარი მინარევით „გამდიდრდა“ – და სიცოცხლისთვის ორმაგად საშიში გახდა.

თანამედროვე ნარკოტიკული საშუალებები, ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების ეფექტით სამ ჯგუფად იყოფა: დეპრესანტები, სტიმულატორები და ჰალუცინოგენები. დეპრესანტებს მიეკუთვნება ოპიუმის ყაყაჩოსგან მიღებული ნივთიერებები და მათი სინთეტიკური ანალოგები (ჰეროინი, მორფინი, მეტადონი, კოდეინი და ა.შ.), ალკოჰოლი და ტრანკვილიზატორები. მათგან საქართველოში ყველაზე გავრცელებულია ჰეროინი, რომელსაც ძალზე სწრაფად ეჩვევა ადამიანი. საკმარისია მისი სამჯერ გასინჯვა და ადამიანს უკვე აბსცინენცია („ლომკა“) ეწყება; აქვს ზედოზირების გამოწვევის დიდი უნარი. ზედოზირების მაღალი რისკით გამოირჩევა ნარკოტიკი ალკოჰოლიც, რომლის დროსაც, ადამიანს აღენიშნება პირღებინება და მასში სისხლის კვალი. ამ შემთხვევაში, არ შეიძლება ადამიანის კვება, სითხის ან წამლის მიცემა. სხვადასხვა დეპრესანტის ერთად მიღება კი, სიკვდილით მთავრდება. სტატისტიკური მონაცემებით, ჰეროინის ზედოზირებით სიკვდილიანობის შემთხვევათა უმრავლესობა გამოწვეულია ჰეროინთან ერთად ბარბიტურატების (საძილე საშუალებების), ტრანკვილიზატორების ან ალკოჰოლის მიღებით.

სტიმულატორები (კოკაინი, ამფეტამინი, ეფედრინი, ვინტი, ექსტაზი) თავისი თვისებებით დეპრესანტების საწინააღმდეგოა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთის ეფექტი შეიძლება, მეორის გამოყენებით მოიხსნას. სტიმულატორებს შორის, ყველაზე მაღალი ზედოზირების რისკი აქვს ვინტს. მისი ზემოქმედება 24 საათის განმავლობაში გრძელდება. სტიმულატორით ზედოზირების შემთხვევაში, დაანწვინეთ ადამიანი ისე, რომ თავი და ფეხები ერთ სიბრტყეზე ჰქონდეს, მაგრად შეუკარით თავი ცივ წყალში დასველებული პირსახოცით, დაალევინეთ მაგარი ჩაი შაქრით ან ლიმონით და გაუკეთეთ 40%-იანი გლუკოზის ინიექცია.

ჰალუცინოგენების ჯგუფის ნივთიერებები იწვევს ჰალუცინაციებს და ცალკეული პრეპარატის მოქმედების აღწერა საკმაოდ ძნელია. ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჰალუცინოგენია LSD: მისი მიღებისთანავე, ჩნდება ვიზუალური ილუზიები, საგნები ღებულობს არამკაფიო ფორმებს, LSD-ს მომხმარებლებს ჰალუცინაციები, როგორც დახუჭული, ასევე

გახელილი თვალებით ეცხადება. შეიძლება, პიროვნება ძლიერმა შიშმა შეიპყროს და ის ფსიქიკურ შეშლილობამდე მიიყვანოს. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება პრეპარატი PCP, რომელსაც ასევე ახლავს შიშის ეფექტი. ზედოზირების შემთხვევაში რეკომენდებულია, რომ მომხმარებელი უზრუნველყოფილი იყოს „სენსორული იზოლაციით“ – ანუ არ მივცეთ მას საშუალება, აღიქვას მხედველობითი ან სმენითი ინფორმაცია. იგი უნდა გადავიყვანოთ ჩაბნელებულ ოთახში, სადაც არ ისმის მუსიკა და არაა ის ნივთები, რომელთა გამოყენებითაც ნარკოტიკის ზეგავლენის ქვეშ მყოფმა შეიძლება, საკუთარ თავს მიაყენოს ზიანი.

კანაბისიც მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებაა. ის საქართველოში უფრო ცნობილია ჰაშიშის, ანაშის (პლანის) სახელით. ის მოქმედებს ფერის, გემოს, სმენის და სუნის შეგრძნებებზე. ირღვევა საგნის ზომებისა და მათ შორის მანძილის აღქმა. ჰალუცინოგენების ჯგუფის ნივთიერებებიდან, სიკვდილიანობის ყველაზე მეტი შემთხვევა მოდის ექსტაზის მომხმარებლებზე, რადგან შავ ბაზარზე ეს პრეპარატი სუფთა სახით თითქმის არ არსებობს. ეფექტის გასაძლიერებლად მასში კეტამინს, ჰეროინს და ვირთხის საწამლავს ურევენ. ექსტაზის ძირითადი მომხმარებლები ახლაგზარდები არიან. ის განსაკუთრებით პოპულარულია დისკოთეკებზე, სადაც მთელი დღის განმავლობაში თითქმის შეუსვენებლად ცეკვავენ: ექსტაზი ახ-

შობს დაღლილობის, ტკივილის, წყურვილის შეგრძნებებს, ადამიანი ველარ გრძნობს, როგორ იფიტება, შრება და სითხისგან იცლება მისი სხეული. ამას ორგანიზმის დეჰიდრაცია ეწოდება და იგი ხშირად ხდება სიკვდილის მიზეზი. ზედოზირების შემთხვევაში, აუცილებელია, ექსტაზის მომხმარებელმა რაც შეიძლება მეტი სითხე მიიღოს.

ვინ გრუნავს ნარკომანთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე?

მას შემდეგ, რაც ახლობელს პირველად დახმარებას აღმოვუჩენთ, იწყება მეორე ეტაპი – ზრუნვა მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე. რა უნდა გავაკეთოთ, იმისათვის რომ ნარკომანს ნარკოტიკზე დამოკიდებულება მოვუხსნათ? პასუხი ასეთია: რჩევისთვის უნდა მივმართოთ კომპეტენტურ პირს. კომენტარისთვის, ნარკომანიის პროფილაქტიკის სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ხელშემწყობი ორგანიზაცია „სასოების“ ხელმძღვანელს, გურამ მამაცაშვილს და იმ ფსიქოლოგებს ვესაუბრეთ, რომლებიც უშუალოდ ნარკომანებთან მუშაობენ.

გურამ მამაცაშვილი:

– ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ნარკოტიკზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლდეს, საამისოდ მზად უნდა იყოს – როგორც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, ისევე ფინანსურად. ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრში რომ მოხვდეს, ნარკოტიკის მომხმარებელმა ჯერ დეზინტოქსიკაციის 10-დღიანი კურსი უნდა გაიაროს. ამის შედეგად, ის ნარკოტიკზე ფიზიკური დამოკიდებულებისგან გათავისუფლდება და ე.წ. „ლომკა“ აღარ შეაწუხებს. ეს კურსი 700-800 ლარამდე ღირს. ამის შემდეგ აუცილებელია ექვსთვიანი ფსიქოთერაპიული კურსის გავლა, რომელიც უფასოა და სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებს. ნარკოტიკზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულების მოხსნა უფრო ხანგრძლივი პროცესია. ყოფილ ნარკომანზე, რომელსაც ნარკოტიკზე ფიზიკური მოთხოვნილება აღარ აქვს, იმ სახლთან გავლა, სადაც ის „წამალს“ იღებდა ან ერთად თავშეყრილი ყოფილი ამფსონების დანახვა, ისე მოქმედებს, რომ ხშირად, დეზინტოქსიკაციისთვის გაღებული ხარჯები წყალში გადაყრილი აღმოჩნდება. ავადმყოფთან ურთიერთობისას სწორი სტრატეგიის არჩევისთვის, ნარკომანის ახლობლებს აუცილებლად სჭირდებათ ფსიქოლოგის რჩევა. იქ, სადაც „წამალზე“ დამოკიდებული ადამიანი ცხოვრობს, ყოველთვის დაძაბულია ოჯახური ურთიერთობები, არადა, ნარკომანისადმი აგრესიული დამოკიდებულება არასოდეს ამართლებს.

— აზრთა სხვადასხვაობაა ნარკოტიკის, მეტადონით ჩანაცვლების საკითხში. იწვევს თუ არა ის შეჩვევას და რამდენად ეფექტურია მკურნალობის მიზნით მისი გამოყენება?

– როგორც ნარკოლოგები ამბობენ, ის ეფექტურია ოპიატებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობისთვის. ხანგრძლივი დროით მეტადონის თხევადი სახით მიღებისას, მასზე მოთხოვნილება არ იზრდება და დოზა სტაბილური რჩება. მეტადონის მოქმედება 24-36 საათის განმავლობაში გრძელდება, დეტოქსიკაციის კურსი კი – 1-დან 6 თვემდე. საწყის ეტაპზე, ის დოზა ინიშნება, რომელიც აბსტინენციის სინდრომს ხსნის. ის იწვევს შეჩვევას, მაგრამ მეტადონის დოზის შემცირებისას, პაციენტი ძალზე მსუბუქი ფორმის „ლომკას“ განიცდის. მასზე ზოგიერთ ნარკომანს მხოლოდ იმიტომ აქვს უარყოფითი შეხედულება, რომ მეტადონს სახელმწიფო სთავაზობს. მკვლევართა ნაწილი ამბობს, რომ ჰეროინსა და მეტადონს შორის თითქმის არ არსებობს განსხვავება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მეტადონს ე.წ. „პრიხოდი“ არა აქვს. მაგრამ ის ჰეროინზე დიდი ხნით ინარჩუნებს „კაიფის“ მდგომარეობას. რადგან ეს პრეპარატი ჯერ კიდევ კვლევის სტადიაშია, პირადად მე, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ნარკოტიკის, მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში 25-30 წლამდე ახალგაზრდების მონაწილეობა.

— ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება ალბათ, ნარკოტიკული საშუალებების ფასის ზრდას გამოიწვევს და ეს გახდება იმის მიზეზი, რომ ნარკოტიკზე დამოკიდებულმა ბევრმა ადამიანმა მკურნალობა დაიწყოს.

– მას შემდეგ, რაც გია ბარამიძემ აქტიურად დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით, სარეაბილიტაციო ცენტრებს ბევრმა პოლიციის თანამშრომელმა მიაკითხა. ყაყაჩოს თესლმა, რომელიც ჩვენში თავისუფლად იყიდებოდა და საკმაოდ იაფი ღირდა, ბევრი უკვე გამოსწორებული ადამიანი დააბრუნა ნარკომანიის ჭაობში. მაგრამ მარტო შავ ბაზართან

ბრძოლა სიკეთეს ვერ მოგვიტანს. აუცილებელია, უფრო მოქნილი და ეფექტური პროგრამის შემუშავება, რათა ამ სენისგან დავიხსნათ ჩვენი ახალგაზრდობა.

მაია ძვაჭრელიშვილი, *ფსიქოლოგი:*

— ის მონოლოგები, რომლებსაც ჩვენთან პირველად მოსული ნარკომანები ამბობენ, გაჭრილი ვაშლის ნახევრებივით ჰგავს ერთმანეთს: „რამე მიშველეთ, მეტი აღარ შემიძლია“... ყოველი მათგანი ღრმა დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფება, უჩივის უძილობას, აქვს ყოველდღიური კონფლიქტი ოჯახის წევრებთან... ზოგიერთი მათგანი კი, ჩვენთან შიშს მოჰყავს. სარეაბილიტაციო ცენტრში განიკურნა ერთი ტოქსიკომანი, რომელიც ამბობდა, რომ ჰალუცინაციის დროს, ეშმაკს ესაუბრებოდა და ამან ისე შეაშინა, რომ გადაწყვიტა, არასოდეს გაჰკარებოდა ნარკოტიკს. ძალიან აღელვებული იყო, ამ ჰალუცინაციის მოყოლის დროსაც კი, ერთიანად კანკალებდა. სხვათა შორის, ეშმაკი ხშირად ეჩვენება მათ, ვინც ჰალუცინოგენებს იღებს და შიშისგან დაზაფრული, სიგიჟის ზღვართან მყოფი მოდის ჩვენთან. მანაგუა არის ნარკოტიკი, რომელიც შეიძლება, მხოლოდ ერთხელ მიიღო, ჰალუცინაცია კი, რამდენიმე თვის შემდეგ გამოიწვიოს(!). პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ნარკოტიკის სტაბილურად მომხმარებლები ძალიან მატყუარები არიან, ფანტაზიორობენ, თავიანთ გამოგონილ სამყაროში ცხოვრობენ, გვიყვებიან უამრავ ტრაგიკულ ამბავს... არსებობს მრავალი ფსიქოლოგიური ტესტი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია, ნამდვილი ამბავი გამოგონილისგან გავარჩიოთ და კონკრეტულ პიროვნებასთან მუშაობის სწორ ტაქტიკას მივმართოთ. ნარკომანთა ოჯახის წევრების მონათხრობიც ძალზე ჰგავს ერთმანეთს: საუბარს ყველა, იმით იწყებს, რომ არ უნდა, მის ოჯახში არსებული პრობლემის შესახებ ხალხმა გაიგოს... და კიდევ ერთი: გვეუბნებიან, რომ მათი შვილი, ძმა ან ქმარი — ნარკოტიკების მომხმარებელია, მაგრამ გიჟი არ არისო: ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ფსიქოლოგსა და ფსიქიატრს ერთმანეთისგან ვერ არჩევს... ვურჩევ მათ, ვისი ოჯახის წევრიც ნარკომანია, შეიგნონ: ამ პრობლემის მიჩქმალვით საქმეს არაფერი ეშველება, ჯობს, სიმართლეს გაუსწორონ თვალი და „რას იტყვის ხალხის“ პრინციპით კი არ იხელმძღვანელონ, არამედ ახლობლის გადარჩენისთვის ცივილიზებული მეთოდით იბრძოლონ.

ეკა ბაძაღუა, *ფსიქოლოგი:*

— ყოფილი ნარკომანი 5-6 თვის განმავლობაში, რემისიაში მყოფად ითვლება. ზოგიერთი მკვლევარი, ვინც ნარკოლოგიის განხრით მუშაობს, ამბობს — განკურნების მსურველი ნარკომანი უკვე განკურნებული ყოფილი ნარკომანის ერთ სიტყვას უფრო ენდობა, ვიდრე ფსიქოლოგის ერთსაათიან მონოლოგსო, — მაგრამ აქ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი — გაჩნია, ვინ უფრო ძლიერი პიროვნებაა: შეიძლება, განკურნებული ნარკომანი მოექცეს ავადმყოფის გავლენის ქვეშ და ის ხელახლა გახდეს წამალდამოკიდებული... ამით იმის თქმა მინდა, რომ მკურნალობის ამ მეთოდის გამოყენების დროსაც აუცილებელია, გამოცდილი ფსიქოლოგის ზედამხედველობა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მკურნალობა ყველაზე ეფექტური მაშინ არის, როცა მკურნალობის საწყის სტადიაზე, ავადმყოფი იმ გარემოს მოსცილდება, რომელშიც წამალდამოკიდებულების პერიოდში იმყოფებოდა. დროთა განმავლობაში კი, ის შეძლებს, დაუბრუნდეს ნაცნობ გარემოს ისე, რომ აღარ ექნება სურვილი ძველ ცხოვრებასთან დაბრუნებისა. გამოცდილებამ გვიჩვენა ისიც, რომ თუ ნარკომანი ამბობს — იმიტომ მინდა ნარკოტიკზე უარი ვთქვა, რომ აღარ შემიძლია, ვუსმინო დედისგან ტვინის ბურღვასო, — ფსიქოლოგის მუშაობა ნაკლებად ეფექტური იქნება. მაგრამ თუ ის ამბობს — აღარ მინდა, ვიყო ისეთი, როგორიც ახლა ვარო, — ჩვენი მუშაობა შედეგიანია.

„შეეშვით ნარკოტიკს, სანამ დედა ცოცხალია...“

დათო დ. სწორედ იმ პაციენტთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომელთაც საკუთარი თავი აღარ მოსწონდათ. მისი აღსარება კი, ერთდროულად გულის მომკვლელიც და იმედის მომცემიცაა:

— დედისერთა ვიყავი და მეც ისევე მზრდიდა დედა, როგორც საქართველოში ზრდიან ქალები ერთადერთ შვილს. პირველად ნარკოტიკი 21 წლისამ გავსინჯე და მას შემდეგ, მისი აქტიური მომხმარებელი გავხდი. ვფიქრობდი, როცა მოვინდომებდი, მაშინვე შევძლებდი თავის დანებებას, მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, ცდება... 24-ის ვიყავი, როცა გავიგე, რომ დედა, რომელიც ჩემ გამო ყოველ ღამე ტიროდა, ავად იყო. ორი წლის შემდეგ, ის ლოგინად ჩავარდა. მე და დეიდაჩემი ვუვლიდით. ექიმს და წამლებს ფული სჭირდება და მეც სახლიდან გავიტანე და გავყიდე ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნდა. დედას ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი სჭირდებოდა... მოკლედ, მორფს, ორივე, საზიაროდ ვიკეთებდით. ბოლოს, ჩემს წილ წამალს მას ვუთმობდი და როცა ის „ლომკაში“ მყოფს მხედავდა, კვნესოდა: მოგიკვდეს დედაო, — მეუბნებოდა, — მე გავუძლებ ტკივილს, ჩემზე ნუ დარდობ, შენს თავს მიხედეო... ერთხელაც, წავედი წამლის მოსატანად და დედა ტკივილისგან ატირებული დავტოვე. მაგრამ შინ მისვლამდე ვერ მოვითმინე და მისთვის მისატანი წამალი მე თვითონ გავიკეთე. შინ დაბრუნებულს, აცრემლებული დეიდა დამხვდა, გულში ჩამიკრა — დედა აღარ გყავსო... ერთი კვირის შემდეგ, მან დედის დანატოვარი კონვერტი გადმომცა. შიგ ერთი ამპულა მორფი და პატარა წერილი იდო. წერილის მეორე გვერდზე, გაკრული ხელით ეწერა: ამ ამპულას შენ გინახავდი, მაგრამ თუ დედა გიყვარს, დაიფიცე, რომ ეს იქნება ბოლო და ამის შემდეგ, ნარკოტიკს აღარასოდეს გაეკარებიო... მე დედის ანდერძი შევასრულე. მისი დანატოვარი ამპულა ხელუხლებელია. მე უკვე ვიცი, რომ ნარკოტიკი არ

არის ადამიანზე ძლიერი, დედაშვილობასა და სიყვარულზე ძლიერი. ამიტომ ვთხოვ ყველას, ვისაც ჭირნია, რომ წამლის გარეშე ვერ გაძლებს: შეეშვით ნარკოტიკს, სანამ დედა ცოცხალი გყავთ. არ ღირს დედის ცრემლებად ის შხამი, რომლითაც სისხლს იბინძურებთ.

ღმერთი შეგეწიოთ!

მარი ჯაფარიძე

ვეგოზარდა ვეყვარებული ნაგარდა



„ლელა დღემდე დაქალს აბრალებს ჩვენს დაშორებას, მაგრამ ის არაფერ შუაშია“...

მიუხედავად იმისა, რომ ქალისა და მამაკაცის უფლებები კონსტიტუციურად გათანაბრებულია, ბევრი რამ გახლავთ ისეთი, რაც კაცს ეპატიება, ქალს კი – არა. თუ კაცი ქალებში დადის და ცოლს ღალატობს, ეს „კაი ტიპობაა“ და სირცხვილად სულაც არ ითვლება. ქალი რომ იმავეს აკეთებს, რა სახელითაც ნათლავენ, თავადაც კარგად მოგეხსენებათ. არსებობს ისეთი ქმედებებიც, რომელსაც ქალს ქარაფშუტობაში უთვლიან, კაცს – ღალატსა და არაკაცობაში... ამ შემთხვევაში სწორედ იმ საქციელს ვგულისხმობ, რომელიც ჩვენი „გზავნილების“ თემა გახლავთ. უამრავი „მესიჯი“ მივიღე მკითხველებისგან. მათ შორის, ბევრი მამაკაციც გამოგვეხმაურა. მათი უმეტესობა დაზარალებულია – ანუ ის, ვისაც მეგობარმა საყვარელი ქალი წაართვა. მართალია, უმეტესობა ასეთ შემთხვევაში ქალს ადანაშაულებს, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ, „დამნაშავეები“, ანუ ისინი, ვინც მეგობრის საცოლეს მიისაკუთრა. ახლა სწორედ ასეთი „მოღალატე“ მეგობრის „მესიჯს“ გთავაზობთ. მაშ ასე, გვესაუბრება 40 წლის მალხაზი:

„ის ქალია, სულელი და ქარაფშუტა...“

„ამბავი, რომელიც მინდა მოგიყვეთ, 15 წლის წინ მოხდა. მაშინ უნივერსიტეტიც დამთავრებული მქონდა და განაწილებით საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში გაგვიშვეს სამუშაოდ. ჩემთან ერთად, ჩემი მეგობრებიც გახლდნენ. სულ შვიდნი ვიყავით. ჩვენ შორის კი ერთი შეყვარებული წყვილი იყო. საერთო საცხოვრებელში ერთად ვცხოვრობდით. გოგონები ცალკე ოთახში, ბიჭები მათ გვერდით, მეორე ოთახში. გელას და მაიას ყველა შევხვაროდით და დღე-დღეზე მათ ქორწილს ველოდით. ერთ-ერთი ჩვენი მეგობრის დაბადების დღე ახლოვდებოდა. გადავწყვიტეთ, ფული შეგვეგროვებინა, პურმარილი კი იქვე, ჩვენს ოთახში გაგვეწყო. გადაწყდა, რომ იმ დღეს ყველა სამსახურში წავიდოდა, მე – ბაზარში, მაია კი შინ დარჩებოდა და კერძებს მოამზადებდა. ბაზრიდან რომ დავბრუნდებოდი, მეც მას მივეხმარებოდი. მე და მაია ერთად ვსაქმიანობდით, თან, რადიო გვქონდა ჩართული საკმაოდ მაღალ ხმაზე და სიცილ-კისკისითა და ხუმრობა-ხუმრობით ვემზადებოდით საღამოსთვის. უცებ, მაიამ ისეთ უხერხულ და ინტიმურ თემაზე ჩამოაგდო საუბარი, რომ სად წავსულიყავი, აღარ ვიცოდი. დაინტერესდა, ქალებში თუ დავდიოდი, როგორი სიხშირით, ბოლოს ისიც მკითხა, საინტერესოა, როგორი მოვერება იციო?.. ვედროს წამოვავლე ხელი და წყლის ამოსატანად ქვევით ჩავედი. გონზე რომ მოვსულიყავი, ონკანს თავი შევუშვირე და უკან სველი თმით დავბრუნდი. მაიამ პირსახოცი გამოარბენინა და თავი გამიმშრალა, მერე ნიკაპში ხელი ამომდო, თავი ამიწია, თვალებში ჩამხედა და მკითხა: რა იყო, ბიჭო, ხომ არ შეგეშინდაო? თვალებდაჭყეტილი ვუყურებდი. სახე მომიახლოვა, ტუჩებზე ოდნავ შემახო ტუჩები და გამშორდა. კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. მთელი საღამო ვდუმდი, ხმას ვერ ვიღებდი, დანარჩენები მხიარულობდნენ... მათ შორის, მაიაც... ამის შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად გაგრძელდა... რამდენიმე ხნის შემდეგ, მოხდა ისე, რომ შინ გვიან ვბრუნდებოდი და ფეხით მიმავალს მაია წამომეწია. გზა ერთად განვაგრძეთ. ხელკავი გამომდო და აშკარად ვგრძნობდი, მკერდზე როგორ იკრავდა ჩემს ხელს. ცეცხლი მომეკიდა. ვცადე, ხელი გამეთავისუფლებინა, მაგრამ ისევ დამამუნათა: ქალებს ასე რატომ გაურბიხარ? რა იყო, ხომ არავინ გვიყურებსო? სადარბაზოში რომ შევედით, უცებ, კედელზე მიმახეთქა და ისე მაკოცა, დღესაც რომ ვიხსენებ, ტანში ჟრუანტელი მივლის. ერთი კვირის მერე ავად გავხდი. ბიჭებმა წამლები, თერმოსით – ჩაი და კომპოტი იქვე, საწოლის თავთან მდგარ ტუმბოზე დამიტოვეს და ყველანი გაიკრიფნენ. ერთი საათის შემდეგ მაია დაბრუნდა და ოთახში შემოსული რომ დავინახე, ვიყვირე: გადი! აქედან გაეთრიე და ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს-მეთქი. ის ღიმილით მომიახლოვდა, საწოლზე ჩამომიჯდა და მითხრა: დაწყნარდი, მხოლოდ მოგივლი, პირობას გაძლევ, აღარ გაკოცებო. მართლაც, ახლოს არ გამკარებია. მასაუზმა, წამლები დამალევინა და ცოტა ხნით ოთახიდან გავიდა. ამასობაში ჩამეძინა. ხელის შეხებამ გამაღვიძა. თვალი რომ გავახილე, შიშველი მაია გვერდით მეწვა და მკერდზე მეფერებოდა. წამოვიწიე, მან ხელით შემაკავა და ყურში ჩამჩურჩულა: სულელო, ნუ გეშინია, ქალწული არ ვარ, ვერავინ ვერაფერს გაიგებსო. ჭკუიდან გადამიყვანა. ჩემი სიგლახე ის გახლდათ, რომ უარი არ ვთქვი მის ალერსზე და ავყევი... შემდეგ ადგა, ჩაიცვა და კვლავ სამსახურში წავიდა. შემდეგ გელა დავიმარტოხელე და საუბარი მაიაზე ჩამოვუგდე. ვუთხარი, ერთ ოთახში გადადით, მაინც საცოლეა-მეთქი. იუარა: – რას ამბობ, ქორწილამდე ხელს როგორ დავაკარებო? მივხვდი, მაია ჩემს მეგობარს ატყუებდა და მანამდე სხვა კაცი ჰყოლია. ავდექი და გელას ყველაფერი ვუამბე... იმავე დღეს გელამ გუდა-ნაბადი აიკრა და თბილისში დაბრუნდა. დღემდე უცოლოდ დადის. მაიაც გასათხოვარია და რამდენადაც ვიცი, დღეს ერთ-ერთი ცნობილი ადამიანის საყვარელი გახლავთ. იცით, მე თავს არ ვიმართლებ. ის ქალია, სულელი და ქარაფშუტა. მე კი თავის მოთოკვა უნდა შემძლებოდა. რომ არა ეს დღე, შესაძლოა, ისინი დაქორწინებულიყვნენ და ბედნიერი ოჯახიც შეექმნათ“.

ახლა კი „მესიჯი“, რომელიც 38 წლის ელზამ გამოგვიგზავნა:

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. წათი საბრძოლო კეტია.
2. უცხიმო ფლავს ჩლავი ჰქვია.
3. რვაფეხას ცისფერი სისხლი აქვს.
4. დუქნების ადგილს ძველად საქულბაქე ერქვა.
5. კარლ იუნგი სიგარას ფალოსურ სიმბოლოდ მიიჩნევდა.
6. ცელის ერთი მოსმით მოთიბულ ბალახს ნაფთევი ჰქვია.
7. მოსკოვის მეტროს წრიული ხაზი 12 სადგურს მოიცავს.



8. ბორის ელცინი ურალში, სოფელ ბუტკაშია დაბადებული.
9. „ცეზარიუ ცეზარევო, სლესარიუ სლესარევო“, — ამბობენ რუსები.
10. მაიას ტომის დამწერლობა პირველად იური კნოროზოვმა გაშიფრა.
11. ჟირაფსა და ზაზუნას ერთნაირი რაოდენობის კისრის მალები აქვთ.
12. პოპულარული ტელეწამყვანი ტატიანა ვედენეევა თბილისელ სომეხს გაჰყვა ცოლად.
13. ფირდოუსის პოემა „შაჰ-ნამეს“ თითოეულ სტრიქონში შაჰმა თითო თუმანი გადაუხადა.
14. II მსოფლიო ომის დროს, ოსკარის ფიგურებს ეკონომიის მიზნით, თაბაშირისგან ამზადებდნენ.
15. XI-XIII საუკუნეებში წიგნი ისეთ იშვიათობას წარმოადგენდა, რომ შთამომავლობას მას ანდერძით გადასცემდნენ.
16. „ხატელი კაკ ლუჩშე, ა პალუჩილოს კაკ ვსეგდა“, — ვიქტორ ჩერნომირდინის ეს ფრაზა ფრთიან გამოთქმად იქცა.
17. აშშ-ის პრეზიდენტ ენდრიუ ჯონსონისთვის იმპიჩმენტის გამოსაცხადებლად სენატს მხოლოდ ერთი ხმა დააკლდა.
18. ჩაის სმის იაპონური რიტუალი ოთხ პრინციპს ითვალისწინებს: პატივისცემა, მოკრძალება, სისუფთავე და სიჩუმე.
19. XIX საუკუნის დასასრულს ერთმა მეწარმემ, გვარად სიმენსმა, კავკასიაში სპილენძის საბადოების ათვისება დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობა უარს ამბობდა შახტებში მუშაობაზე, რადგან სოფლის მეურნეობიდან იღებდა ყველაფერს, რაც ცხოვრებისთვის სჭირდებოდა და ფულის შოვნას არ ხარბდებოდა. მაშინ სიმენსმა სოფლებში გახსნა

„თვალს გაუშტერებდა და ტუჩებს აცმაცუნებდა...“

„სტუდენტობის დროინდელი ამბავი უნდა მოგიყვეთ. მოხდა ისე, რომ სტუდენტობის პირველივე დღიდან რამდენიმე გოგო დავმეგობრდით. ყველანი რაიონიდან ვიყავით ჩამოსული და ქალაქში ქირით ვცხოვრობდით. ამიტომ ხშირად, დასაძინებლად ხან ერთ მეგობართან ვრჩებოდით, ხან მეორესთან. ჩვენ შორის ერთ-ერთი გოგონა, ლაურა გახლდათ, რომელიც ყველაზე შეუხედავი იყო. ძალიან გვეცოდებოდა, სულ ვურჩევდით, დიეტაზე დამჯდარიყო, ეპილაცია გაეკეთებინა, ისეთი ტანისამოსი შეერჩია, რომელიც მისი სხეულის დეფექტებს დაფარავდა, მაგრამ ყურს არ გვიგდებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნეთ, რომ თაყვანისმცემლების ნაკლებობას სულაც არ უჩიოდა და თანაც ეს ბიჭები ყველანი ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ. ვინმესთან ერთად მოსეირნეს რომ დავინახავდით, ერთმანეთს გაოცებული ვეკითხებოდით, ნეტავ, რა მოსწონს ლაურასიო? იმის მოწმენიც ხშირად ვყოფილვართ, მამაკაცს მუხლზე დაჩოქილს მისთვის სიყვარული რომ უთხოვია. თუ ჩვენთან ერთად, სტუმრად ვინმე უცხო მამაკაცი გამოჩნდებოდა, მის მოპირდაპირე მხარეს ჯდებოდა, თვალს გაუშტერებდა, ისე, რომ ხმასაც არ ამოიღებდა, მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა და ხელში რაღაც ჭუჭყიან (ჩვენ ასე გვეგონა) ძონძს ათამაშებდა, რომელიც სულ თან დაჰქონდა და ხელიდან არ უშვებდა. ის კაცი უკვე მისი იყო. ვხედებოდით, რომ რაღაც, ისეთ ძალას ფლობდა, რომლითაც კაცებს სიყვარულს აიძულებდა. ერთხელ, ულამაზესი მამაკაცის ყურადღების ცენტრში მოვექეცი. ჩვენი ურთიერთობა კარგად აეწყო. ბუნებრივია, მეგობრებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, შეყვარებული რომ ვიყავი, მაგრამ ჩემს დიტოს არავის ვაცნობდი. გულახდილად გეტყვით, მეშინოდა, ლაურას მისთვის თვალი არ დაედგა. აღმოჩნდა, რომ ჩემი შიში უსაფუძვლო სულაც არ ყოფილა. ჩემს დაბადების დღეზე, იძულებული გავხდი, დიტო მეგობრებისთვის გამეცნო. იმ დღიდან ვეღარ ვცნობდი ჩემს შეყვარებულს. გაცივდა, თავს მარიდებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი გამომიტყდა, რომ ლაურა უყვარდა. კინაღამ გავგიჟდი, თვალები რამ დაგიბრმავამეთქი, — ვუთხარი. — რითი ხარ მასზე მეტი? — მიპასუხა, — მას ხომ უამრავი ღირსება აქვსო. დიტო ლაურას გვერდიდან აღარ შორდებოდა, ჩვენ თვალწინ ბევრჯერ უტირია, ის რომ ხელს ჰკრავდა. ლაურა თვალებს მიამიტურად აფახულებდა და — რას გადამეკიდაო? — ამბობდა. ერთ დღეს, გოგონებმა გადავწყვიტეთ, ლაურას საიდუმლოსთვის ფარდა აგვეხადა. ყავაში ძილის წამალი ჩავუყარეთ, დავაძინეთ და მედალიონი, რომელსაც სულ თან დაატარებდა, გავხსენით. იქ გველის ტყავი აღმოვაჩინეთ. ის ძონძიც, რომელიც სულ ხელში ჰქონდა, გველის ტყავი აღმოჩნდა. ბუტბუტით კი, როგორც ჩანს, რაღაც შელოცვას იმეორებდა ხოლმე. არც დავფიქრებულვარ, დავავლე ამ „ჯადოებს“ ხელი და დავწვი. მეორე დღეს, დანაკარგი რომ აღმოაჩინა, საშინელი დღე დაგვაწია, კარი გაიჯახუნა და წავიდა. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემს შეყვარებულს, დიტოს თავი მოუკლავს. სიკვდილის წინ დატოვებულ წერილში კი დაუწერია, რომ თავს იმის გამო იკლავდა, რომ ლაურას მისთვის ცოლობაზე უარი უთქვამს. არ ვიცი, რა ბედი ეწია მის მიერ მონუსხულ დანარჩენ თაყვანისმცემლებს, არც ლაურას შესახებ გამიგია რაიმე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ ამას წაიკითხავს, თავის თავს უეჭველად ამოიცნობს. ეს ხომ ყველაზე დიდი ცოდვაა ქრისტიანი ადამიანისთვის. ჯადოქარი კი დაუსჯელი არასოდეს დარჩება. აი, ის, რისი მოყოლაც მინდოდა. პატივისცემით, თქვენი მუდმივი მკითხველი“.

სიყვარულში მესამე ყოველთვის ზედმეტია, მაგრამ საქმე ის არის, ვინ არის ზედმეტი. თუ ორი მამაკაცი ეცილება ერთმანეთს, ამ შემთხვევაში არჩევანს, ვფიქრობ, ქალი გააკეთებს, მაგრამ თუ ორი ქალი ცდილობს მამაკაცის გულის დაპყრობას, როგორ უნდა მოიქცეს ნამდვილი ვაჟკაცი?

„სახე ისე ჩამოკაწრა, გაშველება ვეღარ მოვასწარი...“

„მე ვარ ლაშა, 24 წლის. კარგი გარეგნობა და საკმაოდ შეძლებული ოჯახიც მაქვს. სწორედ ამიტომ, ქალები ბუზებივით მახვევიან გარს. მე კი ერთი გოგონა მომეწონა. გარეგნობით ლამაზი, ბუნებითაც თბილი და მიამიტი ჩანდა. 16 წლის იყო, ვიფიქრე, ჩემს ჭკუაზე გავზრდი-მეთქი და საკმაოდ სერიოზულად დავიწყე ოჯახის შექმნაზე ფიქრი. მის შესახებ გავიკითხე და მითხრეს, შეყვარებული ჰყავსო. გული დამწყდა. როგორც ჩანს, მის ყურამდე მივიდა, მისით დაინტერესებული რომ ვიყავი და თავად დამირეკა. დაიწყო პაემნები, შეხვედრები... თან ვშიშობდი, ვაითუ არ ვუყვარვარ და ანგარება ამოძრავებს-მეთქი? — მაგრამ ვცდილობდი, თავი შემეყვარებინა. არასოდეს ვანებივრებდი ძვირფასი საჩუქრებითა და ფულით. არც ძვირად ღირებულ ბარებსა და რესტორნებში ვეპატიჟებოდი იმის გამო, რომ მხოლოდ ამის გულითვის არ ყოფილიყო ჩემ გვერდით. მე ყურებამდე ვიყავი შეყვარებული და მინდოდა, საპასუხოდ იგივე, წრფელი გრძნობა მიმეღო. ერთხელ მისმა

მეგობარმა გოგონამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა – საქმე მაქვსო. უარი არ მითქვამს. თავის თაყვანისმცემელზე მითხრა – მაწუხებს და იქნებ, თავიდან მომაშოროო. მოვაშორე. მეორედაც დამირეკა – გვიანია, მეგობართან შემოვრჩი, შინ ვერ მივდივარ და იქნებ, მანქანით გამიყვანოო. გავიყვანე. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. ვატყობდი, რომ ამ გოგოს სხვა მიზანი ამოძრავებდა, მაგრამ არ ვიმჩნევდი. მეგობრულად ვექცეოდი და ორაზროვნად ნათქვამი ფრაზების პასუხად ვეუბნებოდი, როგორ მიყვარდა მისი დაქალი. ლელას ამის შესახებ არაფერს ვეუბნებოდი. არ მინდოდა, მეგობრებს შორის შუღლი ჩამომეგდო, მაგრამ ლელას მასთან დაქალობას ვუშლიდი. ერთხელ გადამეკიდა – მითხარი, რატომ არ უნდა ვიმეგობრო ნატოსთან და დაგივჯერებო. ავდექი და ვუთხარი. მაშინვე გადაურეკა მობილურზე და სთხოვა, ჩვენთან მოსულიყო. ბარში ვისხედით. ნატო რომ მოგვიახლოვდა, ლელა წამოხტა და თვალის დახამხამებაში სახე ისე ჩამოკაწრა, გაშველება ვერ მოვასწარი... იმ დღიდან მტრებად იქცნენ. სადაც კი შეხვდებოდნენ, უცერემონიოდ სცემდნენ ერთმანეთს. ნატომ დამირეკა და მიამბო, როგორ ხვდებოდა ლელა ძველ შეყვარებულს. ლელა მიამბობდა, როგორ დადიოდა ათ კაცთან ნატო და ყველასთან სექსი ჰქონდა გაჩაღებული. თვალი ამეხილა. ლელა სულ სხვა თვალით დავინახე. ერთსაც სამუდამოდ დავემშვიდობე და მეორესაც. ლელა დღემდე დაქალს აბრალებს ჩვენს დაშორებას, მაგრამ მინდა ვუთხრა, რომ ის არაფერ შუაშია. მას რომ ასეთი საშინელი თვისებები არ გამოემჟღავნებინა და გვერდით დამდგომოდა, ჩვენ ერთ „კამანდას“ შევქმნიდით და ვერაფერს დაგვაკლებდა „მესამე“.

მკითხველებს შორის, ამ თემაზე საუბრის სურვილი არც ერთ ტინეიჯერს არ გამოუთქვამს. როგორც ჩანს, ისინი ნაკლებად მტკივნეულად განიცდიან მსგავს შემთხვევებს ან სულაც არ ართმევენ ერთმანეთს შეყვარებულებს.

ახლა კი მოკლე „მესიჯები“ თემასთან დაკავშირებით და საერთოდ, ყველაფრის შესახებ, რაც ჩვენს მკითხველებს აწუხებთ:

„არ ვაპირებ, ჩემს დაქალს დავუთმო შენი თავი...“

„ჩემი შეყვარებული წინათ ჩემს დაქალთან დადიოდა, მაგრამ ეს სულაც არ გვიშლის ხელს იმაში, რომ ერთმანეთი გვიყვარდეს. თავის დროზე იყო ნერვიულობა, ჩხუბი, შურისძიება, მაგრამ როგორღაც ყველაფერი გადავიტანეთ. მე თვითონაც მიკვირს, როგორ... ახლა უზომოდ ბედნიერი ვარ. მინდა, მთელი ცხოვრება ასე გაგრძელდეს. „კოწიკო“, შენთვის ვინმეს აუხსნია სიყვარული „გზის“ ფურცლებიდან? არა, ხომ? უზომოდ მიყვარხარ, ჩემო სიხარულო. გკოცნი, შენი სოფი“.

„მეგობარმა არა, მაგრამ მეზობელმა წამართვა შეყვარებული. სამაგიეროდ, არც მას შეხვდა და არც მე. მე მაინც გიოს ვეტყვი: ძალიან მიყვარხარ, სულ მეყვარები. შენი ანანო“.

„ვიყავით სამი დაქალი. ერთმა დააპირა, ჩვენთვის, ორივესთვის „აეხია“ შეყვარებულები, მაგრამ ჩანაფიქრს მივუხვდით და ახლა დარჩა უდაქალოდ, მარტო“.

„დამბო“, ძალიან მიყვარხარ და არ ვაპირებ, ჩემს დაქალს დავუთმო შენი თავი. ისე, არჩევანი შენზეა. იმედია, არ დავმარცხდები. გაიგე? ანუკა“.

„მეგობარმა არა, მაგრამ შეყვარებული საკუთარმა დამ წამართვა“.

„კაცი რომ მეგობარს შეყვარებულს, ცოლს ან საყვარელ ქალს წაართმევს, ის არაკაცია და ჩასაქოლია. ივა, 60 წლის“.

„დაქალმა შეყვარებული რომ წამართვა, თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ გადამარჩინეს. მერე, გავიდა დრო და მათ ქორწილში ისეთი დრო ვატარე...“

„მე წავართვი ჩემს ძმაკაცს შეყვარებული. ვნანობ. მირზა, მაინც არ გამოგადგებოდა, მაგარი უნდო და „სტერვა“ აღმოჩნდა. გადაგარჩინე, მაგრამ მაინც ბოდიშს გიხდი. იმ გოგოს გულისთვის ჩვენი ძმობის დაკარგვა არ ღირს. მერაბ გოგოლაძე“.

„სალომე ყვავაძე, ძალიან მიყვარხარ. შენზე ლამაზი გოგო უბრალოდ, არ არსებობს. გიგა“.

„ნიკო, ჩემი ატირება მხოლოდ შენ შეძელი. მიყვარხარ უზომოდ და უიმედოდ. შენი „ლამაზი“.

„მამუკა არველაძე, მიყვარხარ. გელოდები. მიშველეთ! უცნობი“.

„ფატი ასანიძე, ან გათხოვდი, ან ცოლად გამომყევი, თორემ, თუ თავზე ხელი ავიღე, მერე ჩემზე გული არ დაგწყდეს. „თავზეხელაღებული“.

„სურამელო გიო, მგონი, შემიყვარდი, დამიბრუნდი. ლომიძე“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვასრულებთ. მომდევნო თემად კი გთავაზობთ – რაში ვხედავ ცხოვრების ხიბლს... მოგვწერეთ, გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

ნა ქალის სამკაულებითა და სხვა აქსესუარებით მოვაჭრე დახლები, სადაც მხოლოდ ფულზე ვაჭრობდნენ. ამ ხერხმა გაჭრა: ქალებმა აიძულეს თავიანთი ქმრები, ამ სამკაულების შესაძენად ფული შახტებში მუშაობით ეშოვათ.



20. ამერიკულ ბაზარზე გამოჩნდა კბილის ჯაგრისი, რომლის ტარი კბილების ხეხვის ხანგრძლივობის მიხედვით იცვლის ფერს. ასეთ ჯაგრისებს მშობლები ბავშვებისათვის ყიდულობენ, რათა შეძლონ იმის შემოწმება, მართლა გაიხეხა ბავშვმა კბილები თუ იტყუება.

21. დალაი ლამა, მწერალი ოქტავიო პასტი, ჟერარ დეპარდიე, ჯეკ ნიკოლსონი, კალათბურთელი მეჯიქ ჯონსონი – ეს იმ მამაკაცთა ჩამონათვალია, რომელთაც ყველაზე მეტად სცემს პატივს შერონ სტოუნი.

22. 1515 წელს, მოძღვარს ბართოლომე დე ლას კასასს ისე შეეცოდა ანტილიის ოქროს საბადოებზე მომუშავე ინდიელები, რომ იმპერატორ კარლოს მეხუთეს შესთავაზა, ამერიკაში მათ ნაცვლად, მონებად ზანგები შეეყვანათ.

23. თუ ციფრს ჯერ 10%-ით შევამცირებთ და შემდეგ 10%-ით გავზრდით, იგი ერთი პროცენტით შემცირდება. და თუ ციფრს ჯერ 10%-ით გავზრდით და შემდეგ შევამცირებთ 10%-ით იგი კვლავ ერთი პროცენტით შემცირდება.

24. ინგლისელებთან მებრძოლ ამერიკის არმიას 1812 წელს კონტრაქტი ჰქონდა დადებული ყასაბ სემ უილსონთან, რომელსაც ხორცით უნდა მოემარაგებინა ამერიკელი ჯარისკაცები. დამარილებული ხორცის კასრებს სემ უილსონი საკუთარ დამღას US (Uncle Sam) ასვამდა. მალე ეს ნიშანი პოპულარული გახდა არა მარტო ჯარში, არამედ მთელ ქვეყანაში. აქედან მოდის ცნობილი გამოთქმა – „ბიძია სემი“.

25. თავისი ექსცენტრიკულობით სახელგანთქმულმა გერმანელმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა საკუთარი ვაჟის ნათლობის დროს, ჯიბიდან თერმომეტრი ამოიღო და ნაკურთხი წყლის ტემპერატურის გასაზომად ემბაზში ჩაყო. ამის შემდეგ, მის მეუღლეს დიდი ხვეწნა-მუდარა დასჭირდა, რათა აღშფოთებულ მღვდელს წყალი ხელახლა ეკურთხებინა.

■



ცისანა სეფიაშვილი და სოსო ზაქარეიშვილი არაყიშვილის ქუჩაზე ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობენ და ნელ-ნელა, თავიანთი გემოვნებით აწყობენ. შემოსასვლელიდან ხელმარჯვნივ — მისაღებია, სადაც რბილი ავეჯი, პატარა კატოს მანეული და ტელევიზორი დგას. მისაღებიდან კატოსა და მისი ძიძის სამფლობელოში მოხვდებით. ამ ოთახის გვერდით ცისანას უფროსი შვილის — გიორგის საძინებელია, რომელსაც ცოლ-ქმრის საძინებელი ემიჯნება. უფრო დაწვრილებით კი, თავად მომღერალი მოგვითხრობს.

შექსპირისეული ჯულიეტა, რომელსაც უყვარს და რომელიც უყვართ...

ნინო ჯავახიშვილი

— როდესაც დავქორწინდით, ორი თვე ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. მერე გადაწყდა, რომ არაყიშვილზე უნდა გვეცხოვრა და აქ გადმოვსახლდით. ეს ბინა სოსოს მშობლებს ეკუთვნოდა, მაგრამ თვითონ სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად და ჩვენ დაგვითმეს. რემონტი არ გამიკეთებია, მაგრამ ჩემი გემოვნებით ბევრი რამ შევცვალე, მაგალითად — მისაღების ინტერიერი. ამაში სოსოსაც დიდი წვლილი მიუძღვის. ბინის კომფორტულად მოწყობის სურვილი მას ალბათ დაქორწინებამდეც ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთად ვართ, მეტი ინტერესი გაუჩნდა... დაუზარებლად მომყვება მაღაზიებში, როდესაც სახლისთვის რაიმე ახალი ნივთის შეძენა მსურს, თუმცა, ჩემს გემოვნებასაც ენდობა. ახლახან კატოს დაბადების დღე ჰქონდა და მამაჩემმა მითხრა -- მაღაზიაში გამომყევი და რაც შენ მოგეწონება, კატოს სახელზე ის ვიყიდოთო. ავეჯი შევარჩიე და სოსოს ვთხოვე — ასეთი და ასეთი რამის ყიდვა მინდა და იქნებ, შენც ნახო-მეთქი?! იუარა: რადგან შენ მოგეწონა, ეი. მეც მომეწონებაო... ასე რომ, ეს კედელი ახალი შენაძენია. კიდევ ბევრი რამის შეძენასა და შეცვლას ვაპირებ. არ მეგულება ადამიანი, რომელსაც არ აღელვებს, როგორ სახლში ცხოვრობს. ძალიან მიყვარს კომფორტი. როდესაც ფული მაქვს, ახალი სამოსის ყიდვას მირჩევნია, რაიმე საოჯახო ნივთი ვიყიდო და ბინის ინტერიერი გავალამაზო.

— როგორ სახლზე ოცნებობთ?

— ძალიან მინდა, მქონდეს ორსართულიანი სახლი ეზოთი. სახლში აუცილებლად იქნება ერთი ძალიან, ძალიან დიდი ოთახი, რომელსაც კარგად მოვაწყობ — თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავეჯით გადავტვირთავ... ერთ ოთახს ბავშვებს დავუთმობდი, სადაც თავიანთ მეგობრებს მიიღებდნენ. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე ხის იქნება და იქ მხოლოდ საძინებლები განლაგდება. სახლს მთლიანად თანამედროვე ავეჯით გავაწყობ — ძველებური და ანტიკვარული არაფერი მომწონს.

ჩემთვის საყვარელი და აუცილებელი ნივთია მობილური

— სამზარეულოში რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს?

— სამზარეულო საკმაოდ ფართოა და პრაქტიკული, რადგან რაც დიასახლისს სჭირდება, ყველაფერი მაქვს, ჭურჭლის სარეცხი მანქანის გარდა. ჯერჯერობით სამზარეულოში არაფერი შემიცვლია. მისაღებისა და საძინებლების ინტერიერის გაახლებას რომ მოვრჩები, მერე ალბათ სამზარეულოსაც მოვუხერხებ რამეს.

ჩვენი საუბრის დროს, კატო თავის პატარა მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდა და გაურკვეველი სტილისა და მიმდინარეობის მუსიკას გვთავაზობდა... როგორც ცისანამ გვითხრა, ეს პიანინო კატოსთვის დაბადების დღეზე უჩუქებიათ მშობლებს, როცა ის ერთი წლის გახდა და მას შემდეგ ქცეულა მის საყვარელ ნივთად.

— ცისანა, რომელია თქვენი საყვარელი ნივთი ამ სახლში?

— ასეთი ბევრი ნივთი მაქვს, თუნდაც — ეს ორიგინალური ღამის ნათურა, რომელიც ჩემმა მეჯვარემ — ბასა ფოცხიშვილმა, სხვა რაღაცებთან ერთად, ქორწილში მაჩუქა. ჩემსა და სოსოს საძინებელში დგას ადამიანის სილუეტის მქონე ტანსაცმლის საკიდარი და ძალიან მომწონს. ჩემთვის საყვარელი და აუცილებელი ნივთია მობილური ტელეფონიც, რომელიც სოსომ დაბადების დღეზე მაჩუქა.

— როგორ ფიქრობთ — ადამიანს გემოვნება რომ დაეხვეწოს, ამაში ყველაზე დიდი როლი ვინ ან რამ უნდა შეასრულოს?

— გემოვნება, ჩემი აზრით, დროთა განმავლობაში ყალიბდება და იხვეწება. ხშირად მინახავს, პატარა ბავშვებს მშობლები უგემოვნოდ რომ აცმევენ. ასეთ შემთხვევაში,

ცეცხლის დასანთებად ამოშენებული ადგილი ოთახში	არადამაკმაყოფილებელი შეფასება სკოლაში	მწერალი ემილ ...	ფიზიკაში ცნობილია ტერმინი: „... სიცარიელე“	გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი	უფულოდ წამოღებული საქონელი მაღაზიიდან	მ
ბ ე ხ ა ო ო ხ ი ა ნ ა ზ ო ლ ა ს ი ა			ჩ ე ლ ი ს ნ ბ ო ნ ხ ი ა ბ ი			
ღამის ფრინველი	„შენ ... ვენახი“	მდინარე აღმ. საქართველოში	... ფული, ... სული	ნივთიერება, რომელიც არ აგარებს დენს	ერნესტო ... გევარა	პორტუგალიის დედაქალაქი	ტაილანდის ძველი სახელწოდება

ბავშვი უგემოვნოდ ჩაცმას ეჩვევა და მერე გასაკვირი აღარ არის, ვინმემ მასზე რომ თქვას — გემოვნების ნატამალიც არა აქვსო. ვცდილობ, ბავშვებს სახლშიც ლამაზად ეცვათ. ამიტომაც არის, რომ გიორგის უკვე დახვეწილი გემოვნება აქვს, 8 წლისაა და უკვე იცის, რა უხდება და რა — არა. ვენდობი და აღარ ვერევი იმაში, თუ რა ჩაიცვას... მოკლედ, მშობლების როლი გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდია. თუნდაც მუსიკალური გემოვნება ავიღოთ. გიორგის არ ვასმენინებ ყველანაირ მუსიკას, არ მინდა, რომ მისი ყური უმელოდიო, უშინაარსო სიმღერებს შეეჩვიოს. ვეცდები, მას ყოველთვის კარგი მუსიკა, კარგი წიგნი შევთავაზო, არჩევანი კი მასზე იქნება.

— თქვენი მშობლები თუ ერეოდნენ ამ საკითხში?

— არ მახსოვს, პირდაპირ ჩარეულიყვნენ და ეთქვათ — ეს კარგია და ეს ცუდია, — მაგრამ ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი მათ აზრს. დღესაც არსად არ წავალ ისე, დედაჩემს რომ არ დავურეკო და არ ვკითხო — რა ჩავიცვა, რა უფრო მომიხდება-მეთქი? სოსოსაც ხშირად ვეკითხები, როგორ გამოვიყურები და მის აზრს ყოველთვის ვითვალისწინებ.

— თქვენს ჩაცმულობასთან დაკავშირებით პრეტენზიები თუ აქვს ხოლმე?

— ერთადერთი, რაზეც შეიძლება, უკმაყოფილება გამოხატოს, ეს გამომწვევად ჩაცმაა. მეც არ მიყვარს გამომწვევად ჩაცმა — ზომაზე მეტად მოკლე კაბა და დეკოლტირებული ტანსაცმელი. ამიტომაც, ჩაცმულობის გამო პრობლემებს არ ვქმნით.

— სცენაზე ყოველთვის გამორჩეულად გაცვიათ, ზაფხულშიც კი, ჩექმა თქვენი გარდერობის განუყოფელი ნაწილია. ამაზე რას იტყვით?

— ჩექმაში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. ჩემს გარდერობში არის საზამთრო და საზაფხულო ჩექმები. ხშირად მეკითხებიან — ზაფხულში ჩექმით რომ დადიხარ, არ გცხელაო? ეს პრობლემა არ მაწუხებს, არ მცხელა: ინტიმური ნიუანსია, მაგრამ შეიძლება, იმის გამოც, რომ ხელ-ფეხი ყოველთვის ცივი მაქვს, თანაც, ხომ გაგიგონიათ — სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს — და ამ შემთხვევაში, გამონათქვამს ვამართლებ.

— ცოლ-ქმარი კარგად იცნობთ ერთმანეთის გემოვნებას?

— ხშირად, ერთმანეთისთვის შეგვიძენია ტანსაცმელი და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ან მე დამეწუნებინოს მისი საჩუქარი, ან სოსოს — ჩემი.

— რაც შეეხება მუსიკალურ გემოვნებას: როგორ მუსიკას უსმენთ და კიდევ — შესასრულებლად სიმღერის არჩევისას, პრეტენზიული ხომ არ ხართ?

— ძირითადად, სოულს ვუსმენ, მეტალი და როკი არ მიყვარს. რაც შეეხება სიმღერის შერჩევას — ბავშვობიდან, მელოდიურ და კარგ მუსიკას ვუსმენდი, ამიტომაც მიჭირს ახალი სიმღერის შერჩევა და ჩაწერა. ისეთ სიმღერას კი, არ ჩავწერ, რომელიც მხოლოდ ერთი თვის მანძილზე იქნება ჰიტი და მერე ყველას მიავიწყდება.

— როდესაც „არტ-იმედი“ გთავაზობთ სიმღერას და ის თქვენს გემოვნებაში არ ჯდება, მაინც თანხმდებით?

— უკვე ორი წელია, რაც „არტ-იმედთან“ ვთანამშრომლობ და ორად ორი სიმღერა მაქვს ჩაწერილი. გემოვნების დამთხვევა-არდამთხვევის პრობლემა არც გვქონია. ხელმძღვანელობა გამოიცვალა და იმედი მაქვს, რაღაც სასიკეთოდ შეიცვლება...

— ვინ ზრუნავდა თქვენი ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე და რომელია თქვენი საყვარელი წიგნი?

— ბავშვობისას — მშობლები, შემდეგ უკვე, მეგობრები ვთავაზობდით ერთმანეთს წიგნებს. ახლა კოელიოს „11 წუთს“ ვკითხულობ. სოსომ მირჩია, წაიკითხეო. ადრეულ ასაკში, გამორჩეულად მიყვარდა „რომეო და ჯულიეტა“. ამასთან დაკავშირებით ერთ კურიოზს გავიხსენებ: 4-5 წლის წინ, ფსიქოლოგთან დავდიოდი. მუშაობის პროცესში, წინა ცხოვრებაში „დავბორიალებდით“... ახლა ამაზე მეცინება, მაშინ კი, დაინტერესებული ვიყავი ამგვარი რამეებით... მოკლედ, ერთხელ, წინა ცხოვრებაში ბორიალის შემდეგ, ფსიქოლოგს განვუცხადე — მე ჯულიეტა ვიყავი-მეთქი.

საძინებელში დგას ადამიანის სილუეტის მქონე ტანსაცმლის საკიდარი და ძალიან მომწონს

მიპასუხა — ალბათ ნაწარმოები ადრეულ ასაკში წაიკითხე და იმდენად განიცადე, რომ შენს ცნობიერებაში დარჩა და ახლა ამოტივტივდა, ასე რომ, შეიძლება, მართლაც იყავი ჯულიეტაო...

— ბოლოს, ისიც მითხარით, როგორია თქვენი მოსაწონი მამაკაცი?

— პირველ რიგში, ძალიან უნდა ვუყვარდე — ეს ყველაზე მთავარია. უნდა იყოს მამაკაცური არა მარტო გარეგნობით, არამედ ქცევითაც. უნდა იგრძნო, რომ შენ გვერდით დგას კაცი და ბედნიერი ხარ, რომ მას ყველანაირი პრობლემის გადაჭრა შეუძლია. გარეგნულად უშნოს ვერ შევიყვარებდი, მაგრამ პიროვნული თვისებები უფრო გადამწყვეტია...

— ყველა ეს თვისება აქვს სოსოს?

— რასაკვირველია, აქვს და ამიტომაც გავყევი ცოლად. მის გვერდით თავს კარგად ვგრძნობ. ვარ ქალი, რომელიც უყვართ და რომელსაც უყვარს. თვითონ სოსოსაც არაერთხელ უთქვამს დედამისისთვის — ხომ იცი, აქამდე არავინ მყვარებია, ვეძებე, ვეძებე და ბოლოს მაინც ვიპოვე ყველაზე საუკეთესო... მოკლედ, ჩვენი გემოვნება ამაშიც დაემთხვა ერთმანეთს. ■



შვილიშვილი	ბრინჯის შეჭამანდი	გამარჯვების შეძახილი	დედა ნახე, მამა ნახე, ... ისე გამონახე	ქალაქი აფხაზეთში	მარილებით მდიდარი წყალი, ხამი წყალი	იაპონური სამოსი
						
მწყემსის მოსასხამი	„... შეიქმს სიყვარულსა“	ვულკანური მასა	მგალობელი ფრინველი	საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება	სურამის ქედი, ანუ იგივე ... ქედი	თხის ტყავისაგან დამზადებული ჭურჭელი	სიტყვის ნაწილი, აღნიშნავს ერთს

უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს წმინდა ეკლესია წლეულს, 11 აპრილს აღნიშნავს. „აღდგომა უფლისა — დღესასწაულთა დღესასწაულია, ზეიმთა ზეიმია. იგი იმდენად აღემატება ყველა სხვა დღესასწაულს, თუნდაც საუფლოთ, როგორც მზე აღემატება ვარსკვლავებს“ — წერს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი.

აღდგომა

_მორენა მერკვილაძე

დღესასწაულთა დღესასწაული

ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს პასექიც ეწოდება. ბერძნულ ენაზე სიტყვა „პასექი“ გამოხსნას ნიშნავს. მას „ძველი აღთქმის“ პერიოდშიც აღნიშნავდნენ. პასექი ისრაელის შვილთა ეგვიპტიდან გამოსვლისა და მონობიდან გათავისუფლების აღსანიშნავად იყო დაწესებული. „ახალი აღთქმის“ ეკლესიებში კი – პასექის დღესასწაულს მაცხოვრის მიერ ეშმაკის მონობიდან და მარადიული სიკვდილისგან ადამიანთა გამოხსნის აღსანიშნავად ზეიმობენ.

წმინდა „სახარება“ ზუსტად არ გვაუწყებს თვით უფლის აღდგომის დროს. მახარებელთა მონათხრობის თანახმად: შაბათის შემდეგ პირველ დღეს, დილით ადრე მოხდა მიწისძვრა, რაც მაცხოვრის საფლავიდან უფლის ანგელოზის მიერ ლოდის გადაგორებას მოჰყვა, ამან ძალიან შეაშინა და დააფრთხო საფლავის მცველები, რომლებიც გაიქცნენ და იყვნენ უნებლიე მახარებლები ქრისტეს აღდგომისა. იმავე დღეს – გამთენიისას, ქრისტეს საფლავთან მივიდა მენელსაცხებლე დედა მარიამ მაგდალინელი, რათა მაცხოვრის სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხო, რადგან ამის გაკეთება ვერ მოხერხდა მისი დამარხვის დროს. როდესაც მარიამი ქრისტეს დაბეჭდილ საფლავს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ლოდი გადაგორებული იყო. იმ დროს ებრაელებისათვის ლოდი, რომლითაც დაკეტილი იყო მიცვალებულის სამარხი, ხელშეუხებლად, წმინდად ითვლებოდა. გამოქვაბულის შესასვლელიდან გადაგორებული ლოდი მოწმობდა, რომ უფლის სხეულს რაღაც განსაკუთრებული შეემთხვა. მარიამ მაგდალინელს გაუჩნდა ეჭვი, რომ მაცხოვრის სხეული მტრებმა მოიპარეს და ამის საუწყებლად, იერუსალიმში გაიქცა, რათა მოციქულებისთვის – პეტრესა და იოანესთვის შეეტყობინებინა ეს ამბავი და მათი დახმარებით ქრისტეს სხეულის აღმოჩენა მოეხერხებინა. „აღიღეს უფალი საფლავისაგან და არა უწყი, სადა დადვეს იგი“ (იოანე 20; 2). – ეუბნება იგი მოციქულებს. მზე რომ ამოიწვერა, ქრისტეს საფლავთან სხვა მენელსაცხებლე დედებიც მივიდნენ: სალომე, მარიამ იაკობისა და სხვები. მათ იხილეს უზარმაზარ ლოდზე მჯდომი ანგელოზი უფლისა, რომლისგანაც ეუწყათ: „ნუ კრთებით! თქვენ ეძებთ ჯვარცმულ იესო ნაზარეველს, იგი აღდგა, აქ არ არის, აჰა ადგილი, სადაც ის დაასვენეს“ (მარკოზი 16; 2). სულ მალე პეტრემ და იოანემაც მიირბინეს, შევიდნენ სამარხში და იხილეს ის ტილო, რომელშიც შეხვეული იყო იესოს სხეული, იქვე იდო სუდარაც, რომელიც ებურა მაცხოვარს...

მოციქულები მომხდარი შემთხვევით გაოგნებულნი და განცვიფრებულები ტოვებენ გამოქვაბულს და უკან ბრუნდებიან. მარიამ მაგდალინელი კი, უბრუნდება მაცხოვრის საფლავს და მწარედ ტირის. მას ნათლით მოსილი ორი ანგელოზი ეცხადება: „დედაკაცო! რაისა სტირ?“ – ეკითხებიან ისინი – „აღიღეს უფალი ჩემი საფლავით და არა უწყი, სადა დადვეს იგი“ (იოანე 20; 13) – პასუხობს მარიამი განუზომელი მწუხარებით და ვერ ამჩნევს, რომ მის წინაშე ანგელოზები დგანან, რომლებსაც ადამიანის სახე მიუღიათ; სხვა მენელსაცხებლე დედებისგან განსხვავებით, უფლის ანგელოზები მარიამ მაგდალინელს არ უმჟღავნებენ რომ ის, ვისაც ასე თავგამოდებით დაეძებს, თვითონ უნდა გამოეცხადოს და თვითონვე აუწყოს თავისი მკვდრეთით აღდგომის სასიხარულო ამბავი. მაცხოვარს სურს, მარიამ მაგდალინელი, ქრისტეს აღდგომის უშუალო მაცნედ იქცეს...

უფლის მკვდრეთის აღდგომამ ადამიანებს მარადიული უკვდავება მოუტანა. ამ მოვლენის შემდგომ, განიღო სასუფევლის კარი, რომელიც მაცხოვრის აღდგომამდე დახშული იყო; მისმა ჯვარცმულმა სიკვდილმა და შემდეგ მკვდრეთით აღდგომამ აღასრულა ჩვენი გამოსყიდვა, გამოხსნა. სწორედ ამიტომ ეწოდება აღდგომის დღესასწაულს პასექი ანუ – გამოხსნა. წმინდა იოანე ოქროპირი, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით წერს: „დადგა დღე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომისა, დღე სანატრელი, დღესასწაული ჩვენი გამოხსნისა. აღდგომამ უფლისა მოგვანიჭა მშვიდობა; იესო ქრისტემ ღმერთს შეარიგა დაცემული კაცობრიობა, განაშორა სოფელს ძველი ადამის სიმძიმე, დათრგუნა სიკვდილი, სძლია სატანას... დღეს ქრისტემ შემუსრა ჯოჯოხეთის კარიბჭე და თვით სიკვდილიც. ქრისტეს აღდგომის შემდეგ სიკვდილს აღარ ჰქვია სიკვდილი, არამედ მიძინება და განსვენება“.

როგორ მიმდინარეობს სააღდგომო ღვთისმსახურება?

– სააღდგომო ლიტურგია იწყება ღამით – 12 საათზე: საკურთხევლის წინ მდგარი მღვდელმსახურნი და მლოცველები ტაძარში ანთებენ სანთლებს. ზუსტად თორმეტ საათზე, საკურთხევლის დახშულ კარში ღვთისმსახურნი ჩუმად გალობენ: „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა...“ ამის შემდეგ იხსნება კრეტსაბმელი (ფარდა სამეუფო კარისა) და მღვდელმსახურნი ამ საგალობელს შედარებით ხმამაღლა გალობენ; ბოლოს კი იხსნება სამეუფო კარი და სამღვდელოება უკვე ხმამაღლა გალობს ამ საგალობელს; შემდეგ იწყება ლიტანიობა. სააღდგომო ლიტანია – ესაა ეკლესიის სვლა მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის შესახვედრად; სამღვდელოება საკურთხევლიდან გამოასვენებს ხატებს და ბაირაღებს და მრევლთან ერთად გალობით სამჯერ შემოუვლის ტაძარს; სამგზის შემოვლა სრულდება მაცხოვრის სამი დღე დაფვლის აღსანიშნავად. მსვლელობა ჩერდება ტაძრის დასავლეთ კართან; წყდება ზარების რეკვა; ტაძრის წინამძღვარი დიაკვანს ჩამოართმევს საცეცხლურს და ასრულებს კმევას. მღვდელმსახურნი კი გალობენ: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნელი“. იხსნება ტაძრის დაბეჭდილი კარი (რაც სიმბოლურად მაცხოვრის დაბეჭდილ საფლავს განასახიერებს) და ლიტანიის მონაწილენი ქრისტეს აღდგომის სასიხარულო ცნობით შედიან ტაძარში. ამის შემდეგ იწყება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა, რომელიც დილამდე გრძელდება. სადღესასწაულო მსახურების დასრულების შემდეგ, ჯერ ხორციანი საკვების, შემდეგ კი ყველისა და კვერცხის კურთხევა ხდება – ე.ი. სააღდგომი მარხვა ხსნილდება სადღესასწაულო ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ.

რატომ ვღებავთ სააღდგომოდ კვერცხს?

სააღდგომო კვერცხი არის სიმბოლო უფლის აღდგომისა: როგორც კვერცხის, უსიცოცხლო ნაჭუჭიდან იბადება სიცოცხლე, რომელიც იყო საკვებით დამალული, ასევე საფლავში მყოფი ქრისტეც აღდგა სიკვდილისა და ხრწნილების საუფლოდან. ამასთანავე, სააღდგომო კვერცხი არის სიმბოლო მიცვალებულთა მკვდრეთი აღდგომისა და მომავალ ცხოვრებაში ჩვენი აღდგომა-განახლებისა; კვერცხის წითელი ფერი მიგვანიშნებს, რომ კაცობრიობის გამოხსნა და ჩვენი ახალი ცხოვრება მოპოვებულია ჯვარცმული მაცხოვრის უწმინდესი სისხლით. არსებული გადმოცემის თანახმად, იესო ქრისტემ აღდგომის შემდეგ – ზეცად ამაღლებამდე, თავისი მოწაფეები დაგზავნა დედამიწის ყველა კუთხეში, რათა ყველასთვის ეხარებინათ უფლის აღდგომის შესახებ. საქადაგებლად წავიდა მარიამ მაგდალინელიც, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდა უფლის მკვდრეთით აღდგომას. რომში ის იმპერატორ ტიბერიუსის წინაშე წარდგა, შეხვედრისას კვერცხი გაუწოდა სიტყვებით: ქრისტე აღდგა! – ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდეს, – უთხრა იმპერატორმა; მოულოდნელად კვერცხმა მართლაც იწყო გაწითლება... ამ შეხვედრას უკავშირდება კვერცხის ურთიერთგაცვლის წესიც. როცა მარიამმა იმპერატორს კვერცხი გაუწოდა, ტიბერიუსს არ გაჰკვირვებია ეს ძღვენი, რადგან უძველესი ჩვეულების თანახმად, აღმოსავლეთში, ასევე იუდეაში, როდესაც უმაღლეს პირთან პირველად ცხადდებოდნენ, პატივისცემის ნიშნად ისეთი საჩუქარი უნდა მიერთმიათ, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა... როდესაც იმდროინდელმა ქრისტიანებმა შეიტყვეს, თუ რაოდენ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მარიამ მაგდალინელმა ტიბერიუსზე, კვერცხის ბოძებით და სიტყვებით – „ქრისტე აღდგა!“ – მას მიჰბაძეს და იქიდან მოყოლებული, ყოველი აღდგომის დღესასწაულზე, წითლად შეღებილ კვერცხებს გადასცემდნენ ერთმანეთს სიტყვებით – „ქრისტე აღდგა!“ ასე თანდათან გავრცელდა ეს ჩვეულება ყველგან და ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანისთვის საყოველთაოდ მიღებულ წესად გადაიქცა.

აღდგომა დღეს მისალმებისა და ურთიერთამბორის შესახებ

სააღდგომო მსახურების დასრულების შემდეგ, მღვდელმსახურნი საკურთხეველში ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას შემდეგი სიტყვებით ულოცავენ: „ქრისტე აღსდგა!“ – „ჭეშმარიტად აღსდგა!“. შემდეგ გამოდიან საკურთხევლიდან და მორწმუნეებს ამბიონიდან სამგზის მიმართავენ: „ქრისტე აღსდგა!“ მრევლი კი პასუხობს: „ჭეშმარიტად აღსდგა!“ ასევე ესალმებიან ერთმანეთს ერისკაცნიც. აღდგომის სადღესასწაულო დღეებში ურთიერთმისალმების ქრისტეს აღდგომის სასიხარულო მისალმება მოგვაგონებს მოციქულთა ისეთ მდგომარეობას, როდესაც მოულოდნელად გაისმა უწყება უფლის აღდგომის შესახებ; ისინი განცვიფრებულნი ახარებდნენ ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა!“ და ერთმანეთსვე პასუხობდნენ: „ჭეშმარიტად აღსდგა!“ – ამ სააღდგომო მისალმებას უკავშირდება ურთიერთამბორიც: ის სიყვარულისა და ურთიერთშერიგების გამოხატვას წარმოადგენს, რაც მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომის წყალობით, ღმერთის მიერ საყოველთაო შენდობას და შერიგებას მოგვაგონებს.

რატომ იკურთხება სააღდგომოდ არტოსი?

განსაკუთრებულ საპასექო ჩვეულებად ითვლება არტოსის კურთხევა – „საოდიდებლად და მოსაგონებლად უფალ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა“? არტოსი ეწოდება სეფისკვერს, რომელზეც გამოსახულია ჯვარი და ეკლის გვირგვინი, როგორც სიკვდილზე ქრისტეს გამარჯვების ნიშანი, ან გამოსახულია აღმდგარი მაცხოვარი. სიტყვა „არტოსი“ ბერძნულად „პურს“ ნიშნავს; იგი არის ნაკურთხი პური ეკლესიის ყველა წევრისათვის, რომელიც იკურთხება სპეციალური ლოცვისა და ნაკურთხი წყლის სხურებით. არტოსს აღდგომა დღეს დააბრძანებენ აღსავლის კარის წინ მისთვის სპეციალურად მომზადებულ მაგიდაზე.

არტოსი ქრისტიანობის პირველივე ხანებიდან გამოიყენება: მაცხოვრის ზეცად ამაღლების შემდეგ, მოციქულები და ქრისტეს მიმდევრები, ნუგეშს მაცხოვრის მოგონებასა და გახსენებაში პოულობდნენ. როდესაც საერთო ლოცვისთვის იკრიბებოდნენ, ყოველთვის იხსენიებდნენ საიდუმლო სერობას; ეზიარებოდნენ და ამზადებდნენ ტრაპეზს; პირველ ადგილს ყოველთვის უთმობდნენ იქ უხილავად მყოფ მაცხოვარს და იმ ადგილზე პურის ნაჭერს დებდნენ; ტრაპეზის დასრულების შემდეგ, უფლისადმი მადლიერების გამოხატვის ნიშნად, პურის ამ ნაჭერს მაღლა სწევდნენ და ამბობდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ ის, რაც დააწესეს წმინდა მოციქულებმა, შემდგომ საუკუნეებში ეკლესიის მამებმა ქრისტეს აღდგომის დღესასწაულისთვის დააწესეს, რათა ეკლესიაში სამუდამოდ შემონახულიყო მოციქულთა წეს-ჩვეულება.

■

«მეფის» მიერ უნიჭიერეს ბრაზილიელ ფეხბურთელად აღიარებული კაკა

ალექსი რეხვიაშვილი

ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალი (თუ გნებავთ – უკვე გაბრწყინებული) ვარსკვლავი, კაკა მსოფლიომ პირველად, 2002 წლის მუნდიალზე იხილა. კორეა-იაპონიის მოედნებზე რიკარდო იზეკსონ დუს სანტუშ ლეიტეს გამოჩენამ ალბათ, ყვითელმაისურიანთა არაერთი ქომაგი გაკვირვებული დატოვა, რაც სავსებით ბუნებრივია: ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ხომ ნაკრებს მიღმა დატოვა ასაკოვანი, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ კარგ ფორმაში მყოფი რომარიო. მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაუყვანიათ საქვეყნოდ ცნობილი კიდევ რამდენიმე ბრაზილიელი, ხოლო მათი ადგილი ტყავის ბურთის ჯადოქართა რიგებში სხვა მოთამაშეებმა დაიკავეს. ახალწვეულთა შორის გახლდათ 20 წლის კაკაც, რომელმაც გუნდთან ერთად დიდი გამარჯვება იზეიმა.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კაკა მოედანზე ძირითადად, შეცვლაზე გამოჰყავდათ, თუმცა ფეხბურთის სპეციალისტები და ქომაგები მას უკვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მართლაც, დღეს ბრაზილიელი ნახევარმცველი არა მარტო თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების, არამედ „მილანის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა და დღითი დღე ხვეწს თავის ოსტატობას.

ბრაზილიური „სან-პაულუსაგან“ კაკა

მინიდოსიე

სრული სახელი: **რიკარდო იზეკსონ დუს სანტუშ ლეიტე**

დაბადების თარიღი: **1982 წლის 22 აპრილი**

დაბადების ადგილი: **ქ. ბრაზილია**

სიმაღლე: **186 სმ**

წონა: **77 კგ**

კლუბები: **„სან-პაულუ“ (2000-2003); „მილანი“ (2003 წლიდან დღემდე).**

„მილანმა“ მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დასაწყისში 8,5 მილიონ ევროდ შეიძინა. „დიდებულ კლუბს შევუერთდი და ვიმედოვნებ, რომ მის ისტორიაში ჩემს კვალს დავტოვებ, – დასძინა მაშინ ახალგაზრდა სამხრეთამერიკელმა. – ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემი პარტნიორები ხომ ჩემპიონები იქნებიან და მათთან ერთად თამაშით ოცნებას ავისრულებ“.

ბრაზილიელი გამთამაშებლის შეძენით კმაყოფილი გახლდათ „მილანის“ მთავარი მწვრთნელი, კარლო ანჩელოტიც: „კაკა ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა. მას ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად სერიოზული ბრძოლა მოუწევს და ამასთანავე, ისეთი სახელოვანი ფეხბურთელების გვერდით თამაშით აიმაღლებს ოსტატობას, როგორებიც რუი კოშტა და რივალდო არიან. თუმცა ვფიქრობ, რომ კაკა მხოლოდ მათი შემცვლელი არ იქნება – იგი თანაგუნდელებს კონკურენციას გაუწევს“.

„მილანის“ თავკაცი ნამდვილად არ შემცდარა. იტალიური გრანდის შემადგენლობაში კაკას ჩარიცხვიდან ცოტა ხნის შემდეგ, რივალდომ საერთოდ დატოვა სილვიო ბერლუსკონის კუთვნილი კლუბი, რუი კოშტას კი, ბრაზილიელი გამთამაშებელი მართლაც, დიდ კონკურენციას უწევს. „ამჟამად მე ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე არ გახლავართ, იმიტომ, რომ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებს თავის საქმეს. სათადარიგოთა სკამზე ჯდომის ღირსი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ იძულებული გახლავართ, ბედს შევურიგდე ახალგაზრდა დიდებული ნახევარმცველის გამო, რომელსაც „ოქროს ბურთის“ მომავალ მფლობელად მიიჩნევენ. ისე კი, ჩვენ შორის არავითარი დაპირისპირება არ არსებობს. „დეპორტივოსთან“ პირველ მეოთხედფინალურ მატჩში კაკას ვურჩიე, რომ თამაშის სადავეები ხელში აეღო. ვფიქრობ, იგი ჭკვიანი და ინტელექტუალურია. რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ იმით, რომ „მილანში“ ვთამაშობ. სწორედ ამგვარი მიდგომაა გუნდისათვის სასარგებლო“, – განაცხადა რამდენიმე დღის წინ პორტუგალიელმა ნახევარმცველმა.

რიკარდო იზეკსონ დუს სანტუშ ლეიტე 22 წლის წინ, ბრაზილიის დედაქალაქში დაიბადა. კაკას ოჯახი საშუალო ფენას მიეკუთვნება. მამამისი, ოსკო ინჟინერია, დედა, სიმონა კი, პროფესორი. რიკარდოს ჰყავს სამი წლით უმცროსი ძმა, როდრიგო.

როდესაც კაკა 7 წლის იყო, მისი ოჯახი სან-პაულუში გადავიდა საცხოვრებლად. „მილანის“ მომავალი ვარსკვლავი რესპექტაბელურ უბან მორიმბუში, სტადიონის მახლობლად იზრდებოდა, სადაც დაიწყო კიდეც მისი საფეხბურთო გზა. რიკარდოს კაკა მისმა ძმამ შეარქვა. „როდესაც როდრიგო პატარა იყო, იგი ჩემს სახელს ზუსტად ვერ წარმოთქვამდა და რიკარდოს ნაცვლად, ყოველთვის Cocoa-ს ამბობდა. მალე როდრიგოს მშობლებმა და მეგობრებმაც მიჰბაძეს. საბოლოო სახე ჩემმა მეტსახელმა „სან-პაულუში“ მიიღო, სადაც თამაშის პერიოდში, მაისურზე Cocoa მეწერა, შემდეგ კი, თანაკლუბელებმა C, K-თი შეცვალეს“, – იხსენებს ბრაზილიელი პლეიმეიკერი.

კაკა ფეხბურთელობაზე ბავშვობიდანვე ოცნებობდა. მშობლებსაც მის-

თვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და ვაჟიშვილი საფეხბურთო სკოლაში მიიყვანეს. პირველად რიკარდოს მონაცემები სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს აღმოუჩენია. გასაკვირია, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების მომავალი ნახევარმცველი მაშინ დაბალი და გამხდარი ყოფილა. 15 წლის ასაკში იგი 163 სმ სიმაღლისა გახლდათ და მხოლოდ 50 კგ-ს იწონიდა. სწორედ მაშინ, მასწავლებელმა მას ურჩია, რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო საერთო ფიზიკური მომზადებისა და ძალისმიერი ვარჯიშებისთვის. სულ მალე, რიკარდო სიმაღლითა და ფიზიკური განვითარებით უკვე აღემატებოდა კიდეც თანატოლებს. რაც შეეხება მის სისწრაფეს – ეს ფეხბურთელისთვის ბუნებისგან ნაბოძები საჩუქარია.

12 წლის ასაკში კაკამ თავისი სკოლის გუნდთან Objective-სთან ერთად Reebok-ის ტურნირზე გაიმარჯვა. მანამდე, ის სკოლათა შორის გამართული ჩემპიონატის ფინალურ მატჩში დამარცხდა, თუმცა რიკარდო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. სულ მალე, ნიჭიერი ნახევარმცველი „სან-პაულუს“ ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხა და 15 და 17 წლის ასაკში ბრაზილიის ჩემპიონიც გახდა. ამასთან, კაკა არც ზოგად განათლებას ივიწყებდა და იმისთვის, რომ თანატოლებს არ ჩამორჩენოდა, გაკვეთილების მოსამზადებლად დილით მათზე ორი საათით ადრე იღვიძებდა. რიკარდოს განსაკუთრებით ფიზიკა იტაცებდა. მას ბავშვობიდანვე, განსაზღვრული ჰქონდა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, მამის მსგავსად, ინჟინრის პროფესიას უნდა დაუფლებოდა. მაგრამ სკოლის დამთავრებისთანავე, კაკამ ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

ფეხბურთელი რელიგიურ ოჯახში იზრდებოდა და მას რთულ ცხოვრებისეულ მომენტებში დიდად ეხმარებოდა რწმენა. ერთ-ერთი ასეთი გამოცდა რიკარდომ 2000 წლის ოქტომბერში გადაიტანა. კვირა დღეს მისი ოჯახი აკვაპარკში იმყოფებოდა, სადაც რიკარდო დიდი სიმაღლიდან დაეშვა და წყალში ჩახტომის ნაცვლად, ჯებირს მიეჯახა. რატომღაც კაკა მაშინვე არ წაუყვანიათ ექიმთან, ორი დღის შემდეგ კი, მან ვარჯიშზე ძლიერი ტკივილისგან გონება დაკარგა. საავადმყოფოში ახალგაზრდა ფეხბურთელს ტვინისა და ხერხემლის დაჟეჟილობის დიაგნოზი დაუსვეს, უფრო მეტიც – ექიმები ვარაუდობდნენ, რომ შესაძლებელი იყო, რიკარდო სამუდამოდ პარალიზებული დარჩენილიყო. საავადმყოფოში ფეხბურთელმა ორი თვე დაყო. თვითმხილველნი ამტკიცებენ, რომ განსაცდელისგან თავის დაღწევა მან სწორედ ღრმა რწმენის დახმარებით შეძლო. ვერაფერს ამბობენ მედიკოსები, რომელთა აზრითაც, მართლაც სასწაული მოხდა. პარალიზებული ახალგაზრდა, რომელსაც კეფის არეში ტვინის შეშუპება ჰქონდა, ლოცულობდა და ღმერთს შესთხოვდა, რომ კვლავ შესძლებოდა მოედანზე გასვლა...

კაკა კვლავაც დადგა ფეხზე და საყვარელი საქმიანობაც გააგრძელა. წლების წინ მომხდარი ტრაგედია ფეხბურთელს დღესაც კარგად ახსოვს და ყოველი გოლის გატანის შემდეგ, იგი ღმერთს მადლობას სწირავს.

2001 წლის დასაწყისში, რიკარდო „სან-პაულუს“ ახალგაზრდული გუნდიდან კლუბის ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხა, უკვე რამდენიმე თვის შემდეგ კი, მისი სახელი მთელმა ბრაზილიამ გაიგო.

2001 წლის 7 მარტს, კაკა მოედანზე იმ მომენტში შეუშვეს, როდესაც ერთ-ერთი ტურნირის ფინალურ მატჩში მისი გუნდი „ბოტაფოგოსთან“ აგებდა. რიკარდომ ორ წუთში ორი გოლის გატანა მოახერხა და „სან-პაულუს“ გამარჯვება მოაპოვებინა. ამის შემდეგ, იგი ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. თავად ბრაზილია კი, ნამდვილმა კაკამანიამ მოიცვა. ქომაგებს ახალი კერპი გამოუჩნდათ – რიკარდინიო, კაკაზეტესი...

კაკას უსაზღვრო პოპულარობა მხოლოდ მისი საფეხბურთო ნიჭით არ უნდა ავხსნათ. რიკარდინიო ბრაზილიელებმა შეიყვარეს, როგორც უაღრესად წესიერი და დადებითი თვისებების მქონე პიროვნება. მიუხედავად თაყვანისმცემელთა დიდი არმიისა, რომელთა შორისაც სუსტი სქესის უამრავი წარმომადგენელია, „ძილანის“ ნახევარმცველი მაინც მორცხვ ბავშვად რჩება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კაკა რელიგიური ადამიანია. აღმსარებლობით იგი ევანგელისტია. ბრაზილიაში, ფეხბურთელის მშობლების სახლში რიკარდოს ოთახის კარზე დღესაც ნახავთ პლაკატს – „ბედნიერი ბავშვები იესოს გულში ცხოვრობენ“. კაკა არ სვამს, არ ეწევა და არასოდეს ხმარობს უცენზურო სიტყვებს. ამასთან, ის ყოველთვის პასუხობს თაყვანისმცემელთა წერილებს, რითიც ადამიანთა მიმართ თავის გულისხმიერებას ამტკიცებს. ფეხბურთელს სახეზე მუდმივად ღიმილი დასთამაშებს, ის განრისხებული და წონასწორობიდან გამოსული ჯერ არავის უნახავს. კაკა ჯენტლმენია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

„მომწონს კარგ ადამიანად ყოფნა“, – ხშირად ამბობს ფეხბურთელი, რომელიც სწორედ ისეთი პიროვნებაა, როგორსაც ნებისმიერი მშობელი ინატრებდა. „ახალგაზრდობას მოსწონს ცხოვრების ჯანსაღი წესი; დრო, როდესაც „ცუდი ბიჭები“ იყვნენ მოდაში,

წარსულს ჩაჰბარდა“, – ამგვარად ხსნის რიკარდო თავის დიდ პოპულარობას მოსახლეობაში. ის მართლაც, მისაბაძი, სამაგალითო ადამიანია – მორცხვი, ალალი დიდი ბავშვი, რომელიც მოედანზე ნამდვილი მატადორია. კაკა ჩინებულად ფლობს ბურთს, კარგად ურტყამს ორივე ფეხით, უბადლოდ ხედავს მოედანს. „მილანის“ ნახევარმცველი ყოველთვის გოლის გასატანადაა მომართული და ნებისმიერ მომენტში მზადაა შეტევის ორგანიზებისთვის. „ამჟამად კაკა ბრაზილიაში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია“, – უთქვამს რიკარდინიოს ბავშვობის კერპს, რაის.

რიკარდო ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებში პირველად, 2001 წელს მიიწვიეს. მალე იგი გუნდის კაპიტანი გახდა. იმავე წელს, კაკამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი „ოქროს ბურთი“ მიიღო. 2002 წელს კი, საზოგადოების ზეწოლის შედეგად, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლუიზ ფელიპე სკოლარიმ ახალგაზრდა ნახევარმცველი კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანა. მუნდიალზე რიკარდოს დებიუტი კოსტა-რიკის ნაკრებთან მატჩში შედგა. იგი მოედანზე შეცვლაზე შეიყვანეს. სულ ცოტა ხანში კი, კაკა მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ახალგაზრდა ნახევარმცველი დიდებულად ათამაშდა იტალიურ „მილანშიც“. ბრაზილიაში კი, კაკამანია ნამდვილ სახალხო ისტერიაში გადაიზარდა. სტატისტიკური გამოკითხვების შედეგების თანახმად, სამშობლოში რიკარდინიო რონალდოზე, რივალდოსა და რონალდინიოზე უფრო პოპულარულია. „ტყავის ბურთის აღიარებული ჯადოქრები“ კი, მისი დიდებული თამაშით აღფრთოვანებას ვერ ფარავენ. „იგი ფეხბურთის გენიაა“ – ეს სიტყვები თავად პელეს ეკუთვნის.

თაყვანისმცემელთა რიცხვის ტოტალური ზრდა უარყოფითად როდი მოქმედებს ახალგაზრდა ბრაზილიელ გამთამაშებელზე. იგი კვლავაც მორცხვი და გულისხმიერია, ყველაზე კარგად თავს შინ, ოჯახურ გარემოში გრძნობს და ხმაურიან ელიტურ საღამოებს გაურბის. სან-პაულუში ცხოვრების დროს, მას ძალიან უყვარდა მეგობრებთან ერთად მყუდრო რესტორნებში სიარული, სადაც თაყვანისმცემლები ვერ მიაგნებდნენ. ფეხბურთელის ერთ-ერთი მეგობარი სიცილით იხსენებს თავშესაქცევ შემთხვევას: ერთხელ, კაკასა და მის კომპანიას ჩინურ რესტორანში ვახშმობა გადაუწყვეტიათ, მაგრამ ბრინჯის ეგზოტიკური კერძების, ჩხირებით მირთმევა ვერაფრით მოუხერხებიათ. „ჩვენებურად მომზადებული ხორცი მომიტანეთ, თორემ, აქედან ალბათ მშიერი მომიწევს წასვლა“, – უთქვამს იმედგაცრუებულ რიკარდოს.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, საკლუბო გრანდებმა კაკაზე ნამდვილი ნადირობა დაიწყეს. ტურნირის დასრულებისთანავე, ნახევარმცველის სანაცვლოდ „მანჩესტერმა“ „სან-პაულუს“ საკმაოდ დიდი თანხა შესთავაზა, მაგრამ ბრაზილიელებმა ამმავალი ვარსკვლავის გასხვისება არ ისურვეს. მოგვიანებით კი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „მილანმა“ რიკარდო გაცილებით იაფად შეიძინა. თავად ფეხბურთელი იტალიურ კლუბში გადასვლის შემდეგ სიხარულს ვერ ფარავდა. „სან-პაულუდან“ მხოლოდ „მილანში“ თუ გადავიდოდი. ამ გუნდით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი“, – განაცხადა სილვიო ბერლუსკონის კომპანიაში ჩარიცხვის შემდეგ, სამხრეთამერიკელმა, რომელმაც სერიოზულად ფეხბურთის თამაში მხოლოდ 1990 წელს დაიწყო.

იტალიელები კაკამ თავის სადებიუტო მატჩშივე მოხიბლა. ბრაზილიელი პლეიმეიკერის მისამართით საქებარ სიტყვებს არ იშურებდა პრესა. ფეხბურთის სპეციალისტები და ქომაგები განსაკუთრებით ანდრეი შევჩენკოსა და რიკარდოს თამაშით დარჩნენ კმაყოფილი, თუმცა ისინი მოედანზე პირველად იმყოფებოდნენ ერთად. საინტერესოა ისიც, რომ „არმანის“ სახე ბრაზილიაში სწორედ კაკა გახლდათ, ხოლო იტალიაში – შევჩენკო. „ანკონასთან“ გამართული მატჩის შემდეგ, უკრაინელი ფორვარდი და ბრაზილიელი ნახევარმცველი ერთიმეორის მიმართ სიმპათიას ვერ ფარავდნენ. „ძალიან მიადვილდება შევჩენკოსთან ერთად თამაში! იგი სწრაფი, გონიერი ფეხბურთელია და ისეთივე სტილში თამაშობს, როგორშიც მე“, – დასძინა შეხვედრის შემდეგ რიკარდომ, რომელიც წარმატებულად იასპარეზებს ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებშიც.

აი, კიდევ ზოგიერთი ფაქტი ახალგაზრდა ვარსკვლავის შესახებ. კაკა ახლომხედველია; ცხოვრებაში ის სათვალით სარგებლობს, თამაშზე კი, კონტაქტური ლინზებით გადის. ერთხელ, მატჩის მსვლელობისას, ფეხბურთელი მეტოქეს შესჯახებია, რის შედეგადაც, ცალი ლინზა დაუკარგავს. „ცალი თვალით თამაში არცთუ ისე მოსახერხებელია...“ – უთქვამს შეხვედრის შემდეგ ბრაზილიელს.

კაკას რამდენიმე სამაჯური აქვს წარწერით – Jesus. გარდა ამისა, ნახევარმცველმა ფირმა adidas-ს ბუცებზე სპეციალური წარწერა – „ღმერთი მოწყალეა“ – გააკეთებინა. რიკარდო ამბობს, რომ რთულ სიტუაციებში იგი ყოველთვის უსვამს საკუთარ თავს შეკითხვას: „რას გააკეთებდა ჩემს ადგილზე იესო ქრისტე?“ ამასთან, „მილანის“ პლეიმეიკერი არასოდეს გავა შინიდან ისე, თუ არ მოისმინა დედისგან: „ღმერთი გფარავდეს“. ამიტომ, გასაკვირი არავისთვის იქნება ის, რომ კაკას უპირველესი კერპი იესო ქრისტეა, ხოლო საყვარელი წიგნი – „ბიბლია“. ალბათ სწორედ მის რწმენასა და ნებისყოფას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ ფეხბურთელი პრობლემების გაჩენისას, უკან არასოდეს იხევს და ყოველთვის დიდ ნებისყოფას იჩენს. „ის, რაც არ მკლავს, უფრო მაძლიერებს“, – ეს რიკარდოს ცხოვრებისეული დევიზია.

კაკა კარგად თამაშობს ჩოგბურთს, აგრეთვე გოლფით, ვინდსერფინგით, ბოულინგით, ვიდეოთამაშებითა და კინოხელოვნებითაა გატაცებული. ფეხბურთელის საყვარელი სპორტსმენები, ზიკო, რაი და აირტონ სენა არიან. მას ძლიერ უყვარს ცხოველებიც და ჰყავს პუდელი რენი. ფეხბურთელი მომღერლებიდან და ჯგუფებიდან უპირატესობას ალინ ბაროსს, Resgate-ს და Renascer Praise-ს ანიჭებს, ხოლო ავტომობილებიდან – Audi-ს. კაკა ოცნებობს მოსიყვარულე მეუღლეზე, რომელიც ორ შვილს გაუჩენს... ■

«სიყვარული სიცოცხლეში გვნა ერთხელ მოდის...»



ხომ გაგახსენდათ? — ეს სიტყვები ერთი მშვენიერი სიმღერის პერიფრაზია. თეთრი გედისაგან განსხვავებით, თუ ღმერთმა ინება, თურმე ადამიანი რამდენჯერმეც შეიძლება, იყოს ბედნიერი და შეყვარებული...

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი თენგიზ ზაალიშვილი — საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ანსამბლ „ფიროსმანის“ სოლისტი, კასპისა და ამერიკის ქალაქ ატლანტის საპატიო მოქალაქე, კეთილი, თავმდაბალი, გულისხმიერი ადამიანი გახლავთ. გულში ჩამწვდომი, ხავერდოვანი, ლირიკული ხმის პატრონს ვანო სარაჯიშვილს ადარებდნენ და სიმღერად ქცეულ კაცს ეძახდნენ.

თამარ კაპანაძე

— ჩერქეზოვზე, დღევანდელ „მალაკნების“ ბაზართან ვცხოვრობდი. მამა, დიმიტრი ზაალიშვილი რეპრესიების უმიზეზო მსხვერპლი გახდა, რაც გაგვაჩნდა, ყველაფერი ჩამოგვართვეს, ამიტომ საცხოვრებლად კასპის მამაპაპისეულ კერას დავუბრუნდით. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცარიელ-ტარიელი, უსახსრო და უბინაო, თბილისში კანდიდ ჩარკვიანის მიერ დაარსებულ ნიჭიერ ბავშვთა მუსიკის სკოლა-ინტერნატის ბინადარი გავხდი. საოცარი სკოლა იყო. მარტო წელიწადში ორჯერ მთელი ცეკა გვისმენდა, ამიტომაც აღიზარდნენ მის კედლებში თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი, ნიჭიერი მუსიკოსები, ვოკალისტები, პიანისტები თუ კომპოზიტორები. პირველ სიყვარულსაც აქ შევხვდი — უზომოდ, უსაშველოდ ბედნიერ ადამიანად ვიქეცი, სიცოცხლეს, სიმღერას, წარმატებებს — ყველაფერს აზრი მიეცა. მე უკვე ყველაფერი მისთვის მინდოდა და უზღვავ ენერგიასაც ვგრძნობდი. ძალიან ლამაზი იყო, არაჩვეულებრივი სახე და აღნაგობა ჰქონდა. სოფი ლორენს ადარებდნენ, მაგრამ მასზე უკეთესი იყო. ყველაფერ ამასთან ერთად, უცნაურად ლამაზ სულს ატარებდა. კეთილი, მიმტევებელი, ჭკვიანი და ალერსიანი იყო, — *თქვა და მაგიდაზე, ჩარჩოში ჩასმული სურათი ფრთხილად აიღო.* — მამით ქართველი, მაჭავარიანი, დედით გერმანელი, ფრაიტაკი გახლდათ. მათი ოჯახი ორჯონიკიძეში *(ახლანდელი ვლადიკავკაზი. — ავტ.)* ცხოვრობდა. დედა ექიმი ჰყავდა, მამა — სამხედრო პირი. ძალიან ლამაზი ხმა ჰქონდა. კონსერვატორიაში სწავლისას, „ევგენი ონეგინში“ ტატიანას როლი შეასრულა დიდი წარმატებით და რომ მოენდომებინა, მისი გარეგნობისა და ხმის პატრონი უთუოდ ბევრს მაღწევდა.

— დანახვისთანავე შეგიყვარდათ?

— ნელი იმდენად მომხიბვლელი იყო, მართლა დანახვისთანავე გადავეშვი სიყვარულის მორევში. მე უკვე კონსერვატორიის მეხუთე კურსზე ვიყავი, იგი — ათწლედის მოსწავლე.

— თვითონაც მაშინვე გიპასუხათ გრძნობაზე თუ ხანგრძლივი ბრძოლა დაგჭირდათ მისი გულის მოსაგებად?

— ნამდვილ სიყვარულს ბრძოლით მოპოვება არ სჭირდება. გულები უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები სწორედ პირველივე შეხვედრაზე ხვდებინა, არიან თუ არა ერთმანეთისთვის გაჩენილები. ჩვენ ორივეს გავვიმართლა. ინტუიციით ვიგრძენით, რომ ერთმანეთი გვჭირდებოდა და არც შევმცდარვართ; ბოლომდე ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემაში ვიყავით. მთელი ათარბევოვი, სადაც ჩვენი ბინა და სასწავლებელი მდებარეობდა, მთელი ვერა და რუსთაველი ულამაზეს წყვილად გვთვლიდა. დავდიოდით ქუჩებში და ღიმილსა და კეთილგანწყობას ვაფრქვევდით. ყველას აშკარად უხაროდა, რომ ვარსებობდით და ერთმანეთს ვავსებდით.

— ყველაზე მეტ დროს სად ატარებდით?

— ალექსანდრეს ბაღი იყო ჩვენი ყველაზე საყვარელი ადგილი. საკუთარი სკამიც გვქონდა იქ და მასზე თითქმის არასოდეს არავინ ვჯდებოდა. საკმარისი იყო, ბაღში გამოვჩენილიყავით, რომ ჩვენი სკამი მყისვე თავისუფლდებოდა. ვისხედით, ვსაუბრობდით. სუფთად, მართლა პლატონურად გვიყვარდა ერთმანეთი. ხედმეტ მიახლოებასაც კი ვეკრძალებოდით, თუმცა გვიანობამდე ვრჩებოდით, ვიდრე ჭიშკარს არ ჩაკეტავდნენ.

— როგორ თუ ჭიშკარს?

— დიდი, მაღალი გალავანი ერტყა ადრე ალექსანდრეს ბაღს და 12-ის ნახევარზე კეტავდნენ. ჩვენც მხოლოდ ამ დროს მივდიოდით შინ. ასე ვიარეთ სამი წელიწადი. მერე, როცა უკვე გრძნობებმა პიკს მიაღწია და ნელიც მოიზარდა, 19-ისა გახდა, დაქორწინება გადავწყვიტეთ. დედას, გიმნაზიადამთავრებულ, ჭკვიან, ნაკითხ ქალს, ანა გელაძეს არ მოეწონა ჩემი გადაწყვეტილება, ჯერ ფეხზე მყარად დადექი, უბინაომ, უხელფასომ ოჯახი როგორ უნდა არჩინოო, მითხრა. მართალი იყო, მაგრამ ახალგაზრდულ მაქსიმალიზმსა და მგზნებარებას წინ რა დაუდგება? ვისესხე 25 მანეთი და ყოველგვარი მეჯვარეების გარეშე, „ზაგსში“ *(მმართველობითი. — ავტ.)* წავედით. ხელის მოწერაში 15 მანეთი გადავიხადეთ, დარჩენილი ათით რუსთაველში რაღაც ახალი ფილმი ვნახეთ და გარეთ გამოსულებმა ბინის ძებნა დავიწყეთ. ბედად გზაში ბიძაჩემს, სანდრო გელაძეს გადავეყარეთ. რომ გაიგო, ბინას ვეძებდით, თავისთან წაგვიყვანა — ბიცოლაშენი ბაბულია ბიჭთანაა მოსკოვში, მე შუშაბანდშიც კარგად მოვთავსდებიო, — და ოთახი ჩვენ დაგვითმო. ერთი გენახა, ბიცოლაჩემი რომ ჩამოვიდა, კარი გააღო და საწოლში დაგვინახა, რა ამბავი ატყდა: ეგონა, სანდროს დანაშაულზე წავუსწარიო და კივილი ატეხა... როცა თავი მე ამოვყავი საბნიდან, გულიანად იცინა, მოგვეფერა და კიდევ კარგა ხანს დაგვტოვა თავისთან, მერე ერთი ახლობლის დახმარებით ვიქირავეთ პატარა ოთახი სხვენში. შეზლონგს რომ გაშლიდი, კარი აღარ იღებოდა, მაგრამ რაც იქ მეგობართა შეხვედრები და ქეიფები ეწყობოდა, ვინ უჩიოდა სივიწროვეს?! ეგ კი არა, გარკვეული ხნით დედაჩემიც ჩამოვიყვანე სამკურნალოდ და მეორე შეზლონგი რომ გაგვეშალა, მაგიდის აღება გახდა საჭირო... რა ვიცი, ეტყობა, სიყვარული ის ძალაა, ყვე-

„ნელის სოფი ლორენს აღარებდნენ, მაგრამ მასზე უკეთესი იყო.“

ლაფერს რომ ატანინებს კაცს და არც ჩვენ ვწუხდით. ჩემი საქმეც აეწყო. ოპერის თეატრის სოლისტი და ბევრი სპექტაკლის მთავარი პარტიის შემსრულებელი გავხდი. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ცეკას მაშინდელმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ ჩემი იტალიაში გამგზავრების შესახებ რომ მამცნო, მერე საბინაო პირობებითაც დაინტერესდა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გივი ჯავახიშვილს და ქალაქის თავს, გიორგი გეგეშიძეს დაავალა საცხოვრებლით ჩემი უზრუნველყოფა. ასე გავხდით კამოს ორ ნომერში ერთოთახიანი ბინის მფლობელები. პირველი ნივთი რა ვიყიდეთ, არ იკითხავთ? ნელის სურვილის თანახმად, დიდი სარკე შევიძინეთ და ჰოლში დავკიდეთ. უბედნიერესი იყო, აბა, როგორ მეთქვა უარი. სხვათა შორის, სულ ვუთმობდი, რაც შემეძლო, ყველა სურვილს ვუსრულებდი. იმიტომაც გაუძლო დროს ჩვენმა სიყვარულმა. მამაკაცი ძლიერია, სუსტზე გამარჯვებას რა უნდა?! მაგრამ ვაჟკაცობაც სწორედ ეგ არის, სუსტს რომ არ დაჩაგრავ და ძალის დემონსტრირებას შენი ნება-სურვილისამებრ რომ არ გამოხატავ... მერე ნახმარი „სამეულიც“ შევიძინეთ და ოჯახიც ნელ-ნელა ავაწყეთ. შემდეგ ზაზა გაჩნდა. მე რევაზ გაბიჩვაძის „ნანას“ გენერალურ რეპეტიციაზე ვიყავი და როცა ნელის მუცელი ასტკივებია, რამაზ ჩხიკვაძის მეუღლე, ნატაშა გაჰყოლია სამშობიაროში. როცა შემატყობინეს, ბიჭი უკვე დაბადებული იყო. მე თვითონ არ მახსოვს, მეგობრები მეუბნებოდნენ — გიჟს ჰგავდი, იცინოდი, ტიროდი, დახტოდი, კაცმა არ იცის, რას სჩადიოდიო. ეტყობა, ჭიპლარის შემოხვევით გაგუდული პირველი შვილის დაღუპვის შემდეგ, ასწილად სასიხარულო იყო ზაზას დაბადება. ნელიც გიჟი დედა აღმოჩნდა, ყველაფერზე უარი თქვა და საკუთარი მომავალი ბავშვს შესწირა. დამხმარე ქალი კი გვყავდა, მაგრამ თვითონ უფრო მეტს აკეთებდა.

— კამათი თუ მოგდიოდიათ?

— ერთადერთი, რის გამოც რამდენიმე საათით გავებუტებოდით ხოლმე ერთმანეთს, ის გახლდათ, რომ ძალზე მკაცრი შემფასებელი იყო. ყველა რომ აღფრთოვანებული მილოცავდა — დღეს არაჩვეულებრივი იყავიო, — ის მეტყოდა — დღეს საერთოდ ვერ იმღერე, შენს თავს არ ჰგავდიო. გაოცებული ვრჩებოდი: ყველა მაქებს, ეს მაკრიტიკებს, რაშია საქმე-მეთქი? — ვფიქრობდი და მერე, როცა ყველაფერს კარგად ჩავუღრმავდებოდი, გავაანალიზებდი, ვხვდებოდი, რომ ნელი მართალი იყო. უბრალოდ, ის მაქსიმუმს მოითხოვდა და რაკი ჩემი შესაძლებლობები კარგად იცოდა, ამით კიდევ უფრო „მზრდიდა“, მეტის კეთების სურვილს მინერგავდა და ის, რაც თავად დაიკლო, მთლიანად ჩემით უნდოდა, აენაზღაურებინა...

— ის შინ ივჯდა, თქვენ გასტროლებზე, სპექტაკლებზე, რეპეტიციებზე დადიოდით. გარდა იმისა, რომ კარგი მომღერალი ბრძანდებით, მომხიბვლელი მამაკაციც იყავით. არაფერზე ეჭვიანობდა?

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ მხრივაც ზომიერი იყო. ისე სასხვათაშორისოდ, იმდენად უბრალოდ, გაკვრით იტყოდა რამეს, იფიქრებდი, მნიშვნელობას არც ანიჭებსო და პრინციპში, ჰქონდა კიდეც ამის საბაბი. ჩვენ კაცნი ვართ და არა ფრთიანი ანგელოზები, მაგრამ იცოდა — იმდენად მიყვარდა, უბრალოდ ფლირტის დონეზე არსებული ურთიერთობანი ღელვად, მით უფრო — ჩხუბად და სცენების გამართვად ნამდვილად არ ღირდა.

— ნიჭიერი ტენორის, ზაზა ზაალიშვილის მომავალი ეტყობა, მშობლების გენმა განაპირობა?

— როგორც ჩანს, ნიჭი და გენი მართლაც, თავისას შვრება, თორემ თავიდან „გე-პე-ი“ში“ ჩაბარა. მონაწილეობდა სტუდენტურ ოლიმპიადებში, გატაცებული იყო ჯაზით, ვირტუოზულად უკრავდა გიტარაზე, მღეროდა კიდეც. მერე, როცა კონსერვატორიაში ჩაბარა და ნოდარ ანდღულაძის მოსწავლე გახდა, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ დიდ ტალანტთან გვქონდა საქმე... ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტმა, დიდი წარმატებით შეასრულა დონ ბაზილიოსა (მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“) და ჰერცოგის (ვერდის „რიგოლეტო“) პარტიები;

— გამიგონია, ბატონი ნოდარ ანდღულაძის შეფასება: ზაზამ ხმის ტემბრის სიძლიერე დედისაგან მიიღო, სილამაზე — მამისგან. თუ ამას დავუმატებთ მის განსაკუთრებულ მუსიკალურ კულტურას, განსწავლულობას, ეს საკმაოდ მდიდარი ფენომენია მუსიკალურ კულტურაშიო. ამ ყველაფერმა ერთად განაპირობა კანადაში გამართულ ვოკალისტთა კონკურსში მისი გამარჯვება?

— ალბათ ასეა. ძალზე შრომისმოყვარეცაა. ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე. დღეს ის კანადაში ცხოვრობს და სხვადასხვა თეატრში (ტორონტო, ოტავა, კვებეკი, ნიუსლონდონი) მღერის. ამავე დროს, ზაზა მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორია. ჰყავს მენეჯერი და როგორც სოლისტი, მთელი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს. მომღერალია (სოპრანო) მისი მეუღლეც. იგი ნიჭიერი ქალია, აქვს ლამაზი ხმა და საოცარი სცენური მომხიბვლელობა, რაც ხმაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. სოლო კონცერტებით გამოდის სხვადასხვა ქალაქში.

— ბებოს სეხნია, პატარა ნელიკოზე რას იტყვით?

— იგი ჩემი ყველაზე სუსტი წერტილია. უსაზღვროდ მიყვარს და სულ მენატრება. ბებიამისიც მის გარეშე არსებობას ვერ შეეგუა. ზაზას წასვლა, რო-

ბებიას სეხნია ნელიკო

გორც იყო, გადაიტანა, მაცაცო (ასე ვეძახით ნელიკოს) აძლებინებდა, დაქალებივით იყვნენ. მერე, როცა უბავშვოდ მათაც გაუჭირდათ და წაიყვანეს, ნელის დეპრესია დაეწყო. კარგა ხანს იავადმყოფა. მერე ინსულტი მოუვიდა. სამი თვე იწვა ნევროლოგიის ინსტიტუტში. ერთი

ღამეც არ მოვცილებივარ. სულ მასთან ვიყავი. არც არავის იკარებდა, მე ვიყავი მისი იმედი. ექიმების დახმარებით და დიდი ძალისხმევით ფეხზე წამოვაყენეთ. 10 აპრილს დაბადებული, ის ნამდვილი ვერძი იყო, ნამდვილი ცირცელი — საოცრად ფაქიზი, გემოვნებიანი, ჩაცმა-დახურვის, წესრიგის მოყვარული. როცა საავადმყოფოდან გამოგვწერეს ცალკე ოთახში ისურვა დაწოლა. ჩაკეტავდა ოთახის კარს და იძინებდა. ყოველ დილით, 8 საათზე მომიკაკუნებდა და ყავის დაფქვას მთხოვდა: ხელს ვეღარ ხმარობდა, თორემ ვიცი, არც ამაზე შემაწუხებდა. ერთ საშინელ დილას აღარ გამაღვიძა და როცა შეშფოთებულმა, მეზობლების დახმარებით შევაღწიე ოთახში, იგი გარდაცვლილი დაგვხვდა.

— ძალიან გაგიჭირდებოდათ უმისოდ...

— ოთხი წელიწადი სახლს აღარ გავკარებივარ — აქ, ოპერის თეატრში, ამ პატარა ოთახში ვათენ-ვაღამებდი. ყველაფერმა აზრი დაკარგა. აღარ მყავდა ადამიანი, რომელიც ყველაფერი იყო ჩემთვის და რომლის მსგავსად არავინ არასოდეს მყვარებია. მერე ის ბინა გავყიდე და დიღმის მასივში გადავედი საცხოვრებლად. საწოლთან მისი გადიდებული სურათი ჩამოვკიდე და ისევ იმ წლებით, წუთებით გავაგრძელე ცხოვრება, რომელიც ნელისთან მაკავშირებდა.

— ...მაგრამ თქვენ მაინც შეძელით ძალების მოკრება, სევდას, მწუხარებას აჯობეთ და შემდგომ, ახალი სიყვარულიც პოვნაც მოახერხეთ...

— დიახ, ასე მოხდა. მართალია, ჩემი მგზნებარება, ჩემი რომანტიკა დასრულდა, მაგრამ არ დასრულებულა წყურვილი სიყვარულისა, თანადგომისა, თანაზიარობისა. ძნელია იყო მარტოსული და იცხოვრო მხოლოდ წარსულით, რეალობა მკაცრია და თუ გძლია, უსათუოდ წელში გაგტეხს, დაგამსხვრევს... როგორც ჩანს, ადამიანში თავდაცვის ძლიერი ინსტინქტია ჩაბუდებული. როცა მივხვდი, რომ შეიძლება, ყველაფერი უაზროდ დასრულდეს, დავემორჩილე ახლობელთა დაჟინებულ თხოვნას და რუსთაველის, შედგომში მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნათელა გოდერძიშვილი გავიცანი. მის სახლში სტუმრობისას ერთი უცნაური ფაქტის წინაშეც აღმოვჩნდი. დავათვალიერე ალბომი, რომელშიც ჩემი ისეთი ფოტოებიც კი აღმოჩნდა, რომელიც თავადაც არ მქონდა. თურმე ჩემზე, როგორც მომღერალზე, შეეკვარებული ყოფილა და ფოტოებსაც აგროვებდა. ძალიან კულტურული, განათლებული, ღრმა ინტელექტის მქონე ქალბატონი აღმოჩნდა. ჩვენ ძალიან მალე დავუახლოვდით

„როცა მივხვდი, რომ შეიძლება, ყველაფერი უაზროდ დასრულდეს, დავემორჩილე ახლობელთა დაჟინებულ თხოვნას და ნათელა გოდერძიშვილი გავიცანი“

ერთმანეთს და მივხვდი — სიყვარულიც ისევ მოვიდა, მართალია, ცოტა სხვა ფორმით, მაგრამ მაინც სასურველით. ეს უფრო მშვიდი, წყნარი გრძნობაა, ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული, სულიერებაზე, ინტელექტზე დამყარებული.

— პირველ შემთხვევაში, თქვენ 10, მეორეში — 12 წლით უმცროსი მეულლე გყავთ. ორივეჯერ ბედის კმაყოფილი ხართ. როგორ ფიქრობთ — რა მნიშვნელობა აქვს ასაკობრივ სხვაობას?!

— მიმაჩნია, რომ მამაკაცი აუცილებლად უნდა იყოს ქალზე უფროსი. ამ შემთხვევაში უფრო ადეკვატურად, ზუსტად ხდება ურთიერთშეცნობა, მეუღლეებმა ზუსტად იციან ერთმანეთის ჭეშმარიტი ფასი, ხოლო როცა გვერდით მდგომის ღირებულება ზედმიწევნით კარგად იცი, მაშინ მიმტევებელიც ხარ, დამთმობიც. ეს კი ოჯახური სითბოს, მყუდრო გარემოს შექმნის აუცილებელი წინაპირობაა. ასეთ დროს, სიყვარულიც უზომოდ ძლიერია, ჭარბი და სასურველიც. ყოველ შემთხვევაში, ჩემმა დაკვირვებამ ამაში ცხადად დამარწმუნა... წელიწადზე მეტია, ერთად ვართ მე და ნათელა. ჩემებს ჯერ არ უნახავთ, მაგრამ ხშირი სატელეფონო საუბრები გვაქვს, უკვე ძალიან უყვართ ერთმანეთი. განსაკუთრებით ნელიკოს სიტყვებმა გამახარა: არ მეგონა, ბებიამისის მერე თუ ვინმე მოეწონებოდა, მაგრამ ეს რა კარგი ვინმეაო, — გამუდმებით მეჩურჩულება ხოლმე ყურმილში... რაც მთავარია, ორჯერვე გამიმართლა; ჩემში სიყვარულს ეძებდნენ და არა ფულიან კაცს, რომელიც არც არასოდეს მქონია... მეჩვენება, რომ ის სიკეთე, რაც ცხოვრებაში შეძლებისდაგვარად მიკეთებია, უფალმა იმ ჯილდოს სახით დამბრუნა, რასაც დიდი სიყვარულით ცხოვრების ბედნიერება ჰქვია. ამაზე მეტი კი რა უნდა ინატროს კაცმა?!.

■

მსმენელები მახტოსფერთათვის

მრავალმილიონიან ტოკიოს სულ უფრო მეტი მცხოვრები ძალზე მარტოსულად გრძნობს თავს, რაც იმითაა განპირობებული, რომ თანამედროვე ცხოვრების თავბრუდამხვევი ტემპი ადამიანებს ერთმანეთთან საურთიერთობოდ აღარ უტოვებს დროს. ამ დეფიციტის შესავსებად, იაპონიის დედაქალაქში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს მსმენელებს უწოდებენ. დღევანდელი ტოკიოს ქუჩებში თურმე, ხშირად შეხვდებით ასეთ წარწერიან აბრას — „მზად ვარ, მოგისმინო“, რომლის ქვეშაც „მსმენელი“ ზის და ნებისმიერი თანაქალაქელის სატკივრის მოსმენისას, მოთმინებასა და გულისხმიერებას იჩენს. აღსანიშნავია, რომ „მსმენელები“ ამას უფასოდ აკეთებენ. მათი თქმით, ეს „პროფესია“ ძალზე საჭიროა, რადგან მათთვის გულის გადასაშლელად, ყველა კატეგორიისა და პროფესიის ადამიანები მოდიან — პოლიციელით დაწყებული, ფსიქოლოგით დამთავრებული.

■

ვენესუელა — ლამაზმანთა „სამჭედლო"

ლათინურ ამერიკაში კოსმეტიკური პროდუქციის შეძენისთვის პირველ ადგილზე მყოფი ვენესუელელი ქალები საოჯახო ბიუჯეტის 25%-ს ხარჯავენ. ექსპერტები ამას იმ გარემოებით ხსნიან, რომ ბოლო წლებში ვენესუელამ ლამაზმანთა „სამჭედლოს“ რეპუტაცია დაიმკვიდრა: ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა არაერთგზის გაიმარჯვეს კონკურსებში — „მის დედამიწა“ და „მის მსოფლიო“.

■

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-14)



თავისუფალი თემა

გვანცა ჩოხელი, რომელიც ბებია-ბაბუასა და ძმასთან ერთად ცხოვრობს, სკოლის დამთავრებისას მასზე ბევრად უფროს მამაკაცს — მხატვარ ირაკლი იაშვილს შეხვდება და იმდენად დაუახლოვდება, რომ ცოტა ხანში, მის ლოგინშიც აღმოჩნდება. ამით დასრულდება მისი მეგობრობა თანაკლასელ ლუკასთან, რომელსაც გვანცა უყვარს. თბილისში სამოქალაქო ომი იწყება და ირაკლი უგზო-უკვლოდ დაიკარგება. მალე გვანცა აღმოაჩენს, რომ ფეხმძიმედაა. მის ბებია-ბაბუას ბავშვის მამა, ლუკა ჰგონია. ამას არც ლუკა უარყოფს, თუმცა, ბავშვის გაჩენამდე ცოტა ხნით ადრე, აფხაზეთის ომში მიდის და გვანცას ეუბნება — არ დამელოდოო. გვანცას ბიჭი შეეძინება და ბაბუის დაჟინებული თხოვნით, ლუკას დაარქმევს... მალე გვანცა ლუკას ტყვედ ჩავარდნის ამბავს შეიტყობს და მისი კვალის ძებნისას, პარლამენტში ირაკლის ნახევარძმას გადაეყრება, რომელიც გვანცას გერმანიაში სასწავლებლად წასვლაში დაეხმარება. იქიდან გვანცასა და მის ორ მეგობარ გოგონას ვინმე ალი თურქეთში ჩაიტყუებს და ადამიანებით მოვაჭრეებს ჩაუგდებს ხელში, სადაც გოგონა საკმაო ხანს დაყოფს და რის ვაი-ვაგლახით გამოაღწევს და დიდხანს ვერ გამოდის დეპრესიიდან... ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ქალი წარსულის მოგონებებს თავს დააღწევს, ერთ დღეს კი, საგანგებოდ გამოეწყობა და ირაკლის ძმას — პარლამენტარ ლაშა რჩეულიშვილს მიაკითხავს. ის გვანცას კარგ სამსახურსა და ცხოვრების მოწყობასაც დაპირდება. ლაშასგან წამოსვლისას, გვანცა ირაკლის ახსენებს და იმაზეც არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ პატარა ლუკა მისი ძმისშვილია... გვანცა ლაშასთან მუშაობას იწყებს და ერთ დღეს, მისი თხოვნით, საჩვენებლად ლუკას მიუყვანს. ამის შემდეგ განსაკუთრებით დამტკბარი ლაშა გვანცას სულ უფრო მეტ მნიშვნელოვან დოკუმენტზე მუშაობას ანდობს და თან, ხშირ-ხშირადაც აფრთხილებს — სხვებთან არაფერი თქვაო. გვანცა ხვდება, რომ ლაშა ბევრ უკანონო საქმეშია ჩართული, მაგრამ ხმამაღლა მაინც ვერაფერს ეუბნება...

ამასობაში, თბილისში რამდენიმე მოსკოველი ბიზნესმენი ჩამოდის. მათგან ლაშა, განსაკუთრებით, ვინმე გიორგი ჩადუნელით დაინტერესდება და გვანცას იმაზეც გადაუკრავს სიტყვას — იქნებ, შენი უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმრის ახლობელიც კი აღმოჩნდეს და მაშინ ნამდვილად ავშენდებითო. ლაშას აღტყინება გვანცას სრულიად უსაფუძვლო ჰგონია, თუმცა, ერთ საღამოს, სრულიად მოულოდნელად, ლუკა ჩადუნელი გამოეცხადება...

უცბად ლუკამ კარისკენ გამოიხედა და ხელი ჰაერში გაუშვშდა: ზღურბლზე ქანდაკებასავით მდგარი გვანცა მას ისეთი გაკვირვებით ათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავსო. თუმცა, დიდად ალბათ, არც გაემტყუნებოდა, რადგან ლუკა საოცრად იყო შეცვლილი: თმა თითქმის სულ გასჭაღარავებოდა, მარჯვენა ლოყაზე ღრმა ნაიარევი მოუჩანდა, ერთ დროს ნათელ და სითბოთი სავსე თვალებში კი, უცნაური და უცხო სიცივე ჩასდგომოდა.

კარისკენ ზურგით მჯდარ, ლაპარაკში გართულ ამირანს გვანცას შემოსვლა არ გაუგია, მაგრამ ლუკას უცნაურ რეაქციაზე ისიც შეცბა და მაშინვე უკან გაიხედა:

— მოხვედი, ბაბუ?.. — შვილიშვილის დანახვაზე გაიბადრა ამირანი.

— მოვედი, — მოკლედ მოუჭრა გვანცამ და მაგიდას მიუახლოვდა. — გამარჯობა, — ხელი უხალისოდ გაუწოდა მან ლუკას. — როგორა ხარ?

— გაგიმარჯოს... — ჭიქა მაგიდაზე დადგა და ხელი სასწრაფოდ შეაგება მას ფეხზე წამომდგარმა ლუკამ. — თავად როგორ ხარ?

— როგორც მკითხულობ... — ხმაში სიცივე გამოურია გვანცამ. შემდეგ სკამი ხმაურით გამოსწია და მოწყვეტით დაჯდა.

— მე ნამდვილად გულით გკითხულობ... — სკამზე ნელ-ნელა დაეშვა გვანცას ცივი შეხვედრით დაბნეული ლუკაც.

— მართლა? — ირონიულად იკითხა გვანცამ. — ცოტა ხომ არ დაგაგვიანდა?!.

— გვანცა, ბაბუ! აბა, ეგ რა ლაპარაკია?!. — სასწრაფოდ საუბარში ჩაერთო და სიტუაციის განმუხტვა სცადა ამირანმა. — მე და ბებიაშენს ლუკას დანახვაზე სიხარულით კინაღამ ცა გავვეხსნა, შენ კი ისე იქცევი, თითქოს...

— სათქმელი ვერარ დაასრულა მან, რადგან სწორედ იმწუთას, ოთახში პატარა ლუკა შემოვარდა და უმალვე თავისი მოსახელის კალთაში მოკალათდა.

— ა, ბატონო! — შეთქმულივით დაუწია ხმას ამირანმა. — ამ ბავშვისგან მაინც აიღე მაგალითი! ხედავ, მამას როგორ უცბად გაუშინაურდა?!.

— მაგის ტოლი რომ ვიყავი, ყველა დაუპატიჟებელ სტუმარს მეც უცბად ვუშინაურდებოდი. ეტყობა, მეცოდებოდა, დაუპატიჟებლები რომ იყვნენ და იმიტომ... — ენა საბოლოოდ წაიმწარა გვანცამ.

— ლუკა დაუპატიჟებელი სტუმარი კი არა, ჩვენი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია! — მოულოდნელად მაგიდას მუშტი გამეტებით დაჰკრა ამირანმა. — ასე რომ, მორჩი სისულელეებს და თუ სხვას ვერაფერს იგონებ, „კუხნაში“ მაინც გადი და სუფრას რამე ცხელი შემატე!

— ცხელი იქ მარტო ტაფაღა დარჩა!.. — უცბად ოთახში შემოქოთქოთდა ლამარა, ცხელი ხაჭაპურებით სავსე თეფში ლუკას წინ ამაყად დაუდგა და თან, საქმიანად მოავლო სუფრას თვალი: — პური შემოგკლებიათ. წავალ, მოვიტან...

— მოიცა! — შეაჩერა ცოლი ამირანმა. — პურს გვანცა მოიტანს. შენ კი, ცოტა ხანს დაჯექი და დაისვენე...

— მერედა, ვინ გითხრა, რომ დავიღალე?.. — მაინც კარისკენ გაიწია ლამარა, მაგრამ ამირანმა ხელში ხელი წაავლო და მთელი ძალით დაქაჩა:

— გითხარი, დაჯექი-მეთქი!

ქმრის ბრძანებებს შეუჩვეველი ლამარა უსიტყოდ დაჯდა და დანარჩენებს გადახედა:

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით? — იკითხა მან. — მოხდა რამე?

— მოხდა! — უცბად ღვინით სავსე ჭიქას წამოავლო ხელი ლუკამ და ამირანს მიუბრუნდა: — თქვენი ნებართვით, ერთ სადღეგრძელოს მეც ვიტყვი...

— ბრძანე, ჩემო ლუკა, გისმენ, — ჭიქა მაშინვე ასწია ამირანმა.

— მოდით, ამ ჭიქით... — დაიწყო ლუკამ და თან, გვანცას თვალი თვალში გაუყარა. — ...აუცილებლად გადასახდელ ვალს გაუმარჯოს, ადრე თუ გვიან, ადამიანებს ერთმანეთთან რომ გვაბრუნებს...

— ვალს თუ მოვალეობას? — ჩაეკითხა ამირანი და თან, ჭიქა მიუჭახუნა.

— ვალს, — მშვიდად მიუგო ლუკამ.

— გაუმარჯოს, ჩემო ლუკა, მაგრამ მთლად კარგად რომ ვერ გაგიგე?.. — მობოდიშებასავით დაიწყო ამირანმა.

— მაშინ ჯერ დავლიოთ და მერე აგიხსნით, — კვლავ მშვიდად უპასუხა ლუკამ. შემდეგ პირთან მიტანილი ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა და მაგიდაზე ხმაურით დადგა.

ამირანმა ლუკას ცარიელ ჭიქას ერთი გვერდულად გახედა, შემდეგ ღვინო დინჯად დალია და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე ფრთხილად დადგა:

— გისმენ, ჩემო ლუკა...

ლუკამ მის კალთაში გატრუნულ პატარა ლუკას ჯერ თავზე ხელი ალერსით გადაუსვა, შემდეგ დაბლა ფრთხილად ჩამოსვა და ფეხზე წამოდგა.

— რას შვრები, კაცო? მიდიხარ? — შეიცხადა ამირანმა.

— ჯერ არა, — უპასუხა ლუკამ და ოთახიდან სწრაფად გავიდა. პატარა ლუკა მას მაშინვე უკან გამოუდგა.

— რა სჭირს ამ ბიჭს? — ჩურჩულით იკითხა ლამარამ. — რა ვალზე ლაპარაკობს?

— აზრზე არა ვარ... — ჩურჩულითვე უპასუხა ამირანმა.

— ნეტავ, აფხაზებთან ტყვეობისას, ცოტა ხომ არ... — საფეთქელთან მიტანილი თითი რამდენჯერმე ენერგიულად დაიტრიალა ლამარამ. — ისე, ჩვენი ბედი რომ ვიცი, ძალიან კი არ გამიკვირდება...

— ჩუმად! არ გაიგონოს! — სასწრაფოდ გააჩერა ცოლი ამირანმა...

ლუკა სასტუმრო ოთახში მალევე შემობრუნდა და თან ძვირფასი კეისიც შემოიტანა. პატარა ლუკა მას ისევ ფეხდაფეხ მიჰყვა და გვერდშიც საქმიანად ამოუდგა.

— გეთქვა, შე კაცო, და მაგ პორტფელს აგერ, მიშიკო შემოგიტანდა, — დაამუნათა ამირანმა ლუკა და მთელი ამ ხნის მანძილზე მაგიდის ბოლოში უსიტყვოდ მჯდარ შვილიშვილს ამაყად გადახედა: — კაცია უკვე!

— კაცი რომაა, ასეთი წვრილმანებით იმიტომაც აღარ შევაწუხებ, — მიშიკოს თვალი ჩაუკრა ლუკამ და მაგიდაზე მოთავსებული კეისი ხმაურით გახსნა.

— ღა ალის? — ფეხის წვერებზე აიწია პატარა ლუკა, მაგრამ კეისში მაინც ვერ ჩაიხედა.

— საშენო ნამდვილად არაფერი... — ბავშვს თავზე ხელი ისევ ალერსიანად გადაუსვა ლუკამ, მერე კეისიდან პატარა თეთრი კონვერტი ამოიღო და ამირანს გაუწოდა: — აი, ესეც ვალი, რომელზეც წელან მოგახსენებდით...

— რა ვალი, კაცო?.. — კონვერტი უხერხულად ჩამოართვა მას ამირანმა და ფრთხილად გახსნა. — ეს რაღაა? — დაბნეულად იკითხა მან და კონვერტიდან გაცრეცილი ათმანეთიანი ამოიღო.

— მართლა აღარ გახსოვთ? — გაეღიმა ლუკას. — ეს ათმანეთიანი რამდენიმე წლის წინ, თქვენ მომეცით... უფრო სწორად — მასესხეთ...

— ა-ა... — შუბლზე ხელი იტკიცა გამხიარულებულმა ამირანმა. — მეც არა ვთქვი — რა ვალზე მელაპარაკება-მეთქი?! — შემდეგ ფული კიდევ რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა და თან, თვალები ეშმაკურად მოჭუტა: — მართლა ის ათმანეთიანია თუ...

— მართლა, — მშვიდად უპასუხა ლუკამ. — როცა ეგ ფული ხელში ჩამიკუჭეთ, ოჯახში ერთი დღის პურის ფულიღა გვქონდა დარჩენილი. ამიტომაც, დიდად ნამდვილად არ მიუარია. მაგრამ მერე, თქვენ და გვანცას რომ დაგცილდით, ძალიან, ძალიან შემრცხვა და მაშინვე გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ის ათმანეთიანი მაინც არ დამეხარჯა და ოდესმე, ისევ თქვენთვის დამებრუნებინა...

— შენ რა გითხარი... — ფული ფაქიზად დაკეცა და ისევ კონვერტში ჩააბრუნა ამირანმა. — კი, მაგრამ მაშინ, პურის ფული სადღა იშოვე?

— ნავთლუღის ბაზარში... — უპასუხა ლუკამ. — ორი ღამე კარტოფილით სავსე ტომრებს ვზიდავდი...

— შენ რა გითხარი... — კიდევ ერთხელ გაიმეორა ამირანმა და ლუკას მხარზე შინაურულად მოუთათუნა ხელი: — დამისხი ერთი, კაიბიჭობის სადღეგრძელო უნდა დავლიო...

ლუკამ ჭიქები დინჯად შეავსო. ამირანმა თავისი ჭიქა ხელში ამაყად ასწია:

— შენ გაგიმარჯოს, ჩემო ლუკა!..

— ჩემს სადღეგრძელოს ვსვამთ თუ კაიბიჭობის?.. — ჩაეძია ლუკა.

— განა შენ კი, ცუდი ბიჭი ხარ?! — ჭიქა მხიარულად მიუჭახუნა მას ამირანმა.

— რა ვიცი... — გაეღიმა ლუკას. — ალბათ, მთლად ცუდიც არ უნდა ვიყო...

— კარგი ბიჭი ხარ, კარგი! — გააწყვეტინა ამირანმა. — ასე რომ, არ გვინდა, რა, ამდენი იწილო-ბიწილო — ისე გაგიმარჯოს!

— გმადლობთ!.. იცოცხლეთ!.. — როგორც იქნა, დანებდა ამირანს ლუკა და თან, ქვეშ-ქვეშ გახედა გვანცას.

ამირანი ლუკას ფარულ სურვილს

იოლად მიუხვდა და მაშინვე შვილიშვილს მიუბრუნდა:

— შენ არ დალევ, ბაბუ, ლუკას და საერთოდ, ყველა კაი ბიჭის სადღეგრძელოს?

— არა, — კვლავ ცივად უპასუხა გვანცამ. — მე არც ერთ კარგ ბიჭს არ ვიცნობ...

— მით უარესი შენთვის!.. — თვალები გადაუბრიალა შვილიშვილს ამირანმა და ისევ ლუკას მიუბრუნდა: — ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჩემო ლუკა! მოდი, ეს ვაზის ცრემლი სულ მარტო მე და შენ დავლიოთ და ამ ცუდ გოგოს კი, ნერწყვები ვაყლაპვინოთ...

— დავლიოთ!.. — ისევ ქვეშ-ქვეშ გახედა ლუკამ გვანცას და ჭიქები კიდევ ერთხელ შეავსო.

— მოიცა, მოიცა! — თითი დაუქნია უცბად მას ამირანმა. — ისე, მთლად კარგი ბიჭი მგონი, არც შენ უნდა იყო...

— რატომ? — გაეღიმა ლუკას.

— იმიტომ, რომ ამხელა კაცი ბავშვივით გამაცუცურაკე! — ხმას აუწია ამირანმა.

— ვერ გავიგე, მაინც, რას გულისხმობთ, — უცბად დასერიოზულდა ლუკა.

— როგორ თუ რას?! — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ამირანმა. — ახლა გამახსენდა, რომ მაშინ, ის ათმანეთიანი მე სულ სხვა პირობით გასესხე...

— მაინც, რა პირობით?

— რა პირობით და, უკან მხოლოდ მაშინ უნდა დაგებრუნებინა, როცა დიდი კაცი გახდებოდი...

— თუ დიდკაცობაში დიდი ფულის შოვნასაც გულისხმობდით, მაშინ ვალი სწორედ რომ დროულად დამიბრუნებია... — გაეღიმა ლუკას.

— კარგი ერთი... — დაიბნა ამირანი. — მართლა დიდი ფული იშოვე?

— საკმაოდ.

— რას მეუბნები?! კი, მაგრამ სად? როგორ?..

— როგორ თუ — სად?.. — ამირანის გულუბრყვილო კითხვებმა წონასწორობიდან საბოლოოდ გამოიყვანა გვანცა. — არ გაგიგონია — აფხაზები ქართველ ტყვეებს თითო ტომარა ოქროს რომ ურიგებენ და ისე უშვებენ?..

— გვანცა! — მაგიდას მუშტი უწინდელივით გამეტებით დაჰკრა ამირანმა. — ვერ ხვდები, რომ უკვე ძალიან ზედმეტი მოგდის? ახლავე გაქრი აქედან, თორემ, შენს თავს ხელიდან ვერავინ გამომგლეჯს!..

გვანცა ადგილიდან მაინც არ დაძრულა.

— ვერ გაიგე, რა გითხარი?! — ხმას აუწია ამირანმა.

— წავალ, ბავშვს დავაძინებ... — სიტყვა ბანზე აუგდო გვანცამ ამირანს და როგორც იქნა, ფეხზე წამოიმართა. — ისე, ცნობისთვის, ცემა მორევაზეა, ბატონებო... — მაინც წაისისინა მან ბოლოს და ოთახიდან დემონსტრაციულად გავიდა...

ემოციებისგან აფორიაქებული პატარა ლუკა გვანცამ გვიან ღამით ძლივსღა მიაძინა და ის იყო, თავადაც უკვე ძილბურანში იყო, რომ მხარზე ვიღაცის ხელი მსუბუქად შეეხო.

— გეხვეწები, რა, ლუკა, ცოტა მეც დამაძინე... — შვილს თავზე ხელი ინსტინქტურად გადაუსვა ბალიშში თავჩარგულმა გვანცამ, მაგრამ ცოტა ხანში, ვიღაცამ უკვე უხეშად შეანჯღრია და მაშინვე ლამარას უკმაყოფილო ხმაც გაიგონა:

— გვანცა, გაიღვიძე! ასეთი რა ძილქუში დაგეცა?!

— რა იყო? ამ შუაღამისას, რა ცეცხლი მოგეკიდა? — ლოგინზე უკმაყოფილოდ წამოჯდა გვანცა.

— ცეცხლი და ნავთი შენ! რამდენჯერ გაგაფრთხილე, ლოგინზე ტანსაცმლით არ მიწვე-მეთქი?! — ისევ ბრაზიანად აჩურჩულდა ლამარა და მძინარე შვილიშვილს ოფლიან შუბლზე მზრუნველად გადაუსვა ხელი.

— გასაგებია. აღარ მივწვები, — თვალები მოისრისა გვანცამ. — კიდევ გინდა რამე?

— კი! — გაწიწმატდა ლამარა. — შენი არგადარჩენა!.. რომ შემომატოვე ის ბიჭი, ან დაწოლა აღარ უნდა, ან მოსვენება?!. თუ ამირანს მივუწვინო გვერდით?..

— ვისაც გინდა, იმას მიუწვინე! — გაცოფდა გვანცა. — მე ეგ აქ ნამდვილად არ მომიწვევია...

— სისულეებს თავი დაანებე და ახლავე გარეთ გადი, თორემ, არ ვიცი, რას გიზამ! — დაემუქრა შვილიშვილს საძინებლ კართან მისული ლამარა. — ბაბუაშენს უკვე ზეზეულად სძინავს, ამდენი კი აღარ შეუძლია...

გვანცა ცოტა ხანს უძრავად იჯდა საწოლზე, შემდეგ სწრაფად წამოდგა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ოთახიდან გამეხებული გავიდა.

სასტუმრო ოთახის გრძელ მაგიდას ამირანი და ლუკა ისევ ძველებურად ესხდნენ და რაღაცაზე ხმადაბლა საუბრობდნენ. გვანცა მაგიდას მიუახლოვდა და ამირანის გვერდით მდგარი სკამი ხმაურით გამოსწია.

— გამოხვედი, ბაბუ?.. — შვილიშვილის გამოჩენა ამჯერად მართლა გაუხარდა ამირანს. — მაშინ მე წავალ და დავიძინებ, ხომ, ჩემო ლუკა? — ისევ ლუკას მიუბრუნდა იგი. — შენ კი, აგერ, ა, გვანცა მოგივლის და დაგაბინავებს. ხომ მიხედავ, ბაბუ?

— აბა, რას ვიზამ?! — მშვიდად უპასუხა გვანცამ ამირანს და მერე მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ლუკას.

ამირანი ფეხზე წამოდგა და სვენებსვენებით კარისკენ გაემართა. წელში მოხრილ ამირანს ლუკამ თვალი დანანებით გააყოლა და შემდეგ, გვანცას მიუბრუნდა:

— მაგრად მოტეხილა ბაბუაშენი...

— ჰო, — ამოიოხრა გვანცამ. — დაგვიბერდა...

— ისე, უკეთესი დღე არც მე მადგას, ხომ?.. — სევდიანად გაეღიმა ლუკას.

— არა, რატომ? — ლუკას ასაკისთვის სრულიად შეუფერებლად შევერცხლილ საფეთქლებს თვალი დანანებით შეავლო გვანცამ. — ჭაღარა მგონი, ცოტა გიხდება კიდეც... აი, ნაჭრილობევი კი...

— ჰო-ო... — ლოყაზე აკანკალებული ხელი ჩამოისვა ლუკამ. — ამით ტყვეების ბანაკში „დამასაჩუქრა“ ერთმა ახვარმა აფხაზმა...

— ტყვეობაში დიდხანს იყავი? — დაინტერესდა გვანცა.

— ნახევარი წელი.

— მერე, ალბათ, რომელიმე აფხაზ ტყვეში გაგცვალეს, ხომ?

— არა, ფულში.

— მართლა?

— ჰო. მამაჩემმა ლამის ჩემი წონა ფული ჩაუტანა აფხაზებს და ისე გამოაშვებინა ჩემი თავი.

— მამაშენს ამდენი ფული ვინ მისცა?

— ნაწილი თვითონ ჰქონდა, ნაწილი მეგობარმა ბიზნესმენებმა მოუგროვეს...

— მგონი, მამაშენიც ბიზნესმენია, ხომ?

— კი, მოსკოვში სოლიდური ბიზნესი აქვს... მეორე წელია, მეც მასთან ვმუშაობ...

— მართლა დიდი ფული იშოვე?

— იმდენი არა, რამდენიც მამაჩემმა, მაგრამ უფულობას ნაღდად არ ვუჩივი... ხანდახან კი, ზომაზე მეტიც მაქვს და უაზროდ ვხარჯავ კიდეც...

— თბილისშიც ზედმეტი ფულის დასახარჯად ჩამოხვედი?..

— არა. შენს სანახავად...



— მე მართლა გეკითხები.

— მეც მართლა გეუბნები, — უკან მაინც არ დაიხია ლუკამ. — ოფიციალურად კი, მამაჩემს ჩამოვყევი: საქმიანი ვიზიტი აქვს, რამდენიმე მოსკოველ ბიზნესმენთან ერთად. თქვენი პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა შეხვდეს და რაღაც პროექტებზე მოილაპარაკონ...

— მოიცა, მოიცა! — გააწყვეტინა უცბად გვანცამ. — მამაშენი ის მოსკოველი ბიზნესმენი გიორგი ჩადუნელი ხომ არ არის, თბილისში დათქმულზე ორი დღით ადრე რომ ჩამოვიდა და მაშინვე უკვალოდ გაუჩინარდა?

— შენ ეგ ამბავი საიდან იცი? — გაუკვირდა ლუკას.

— „ტუმბოჩკიდან“... — თავადაც რომ ვერ მიხვდა, ისე მოულოდნელად წამოისროლა ეს სიტყვა გვანცამ და მაშინვე ენაზე იკბინა. — გეხუმრე, რა თქმა უნდა, — სასწრაფოდ განაგრძო მან. — ბიზნესმენების მაგ ჯგუფს პარლამენტში ჩემი უფროსი მასპინძლობს და იქიდან ვიცი... სხვათა შორის, ლაშას მამაშენის ნახვა განსაკუთრებით უნდოდა...

— ლაშა შენს უფროსს ჰქვია?

— ჰო, ირაკლის ნახევარძმაა.

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა ლუკამ და შემდეგ, გვანცას თვალი თვალში გაუყარა. — თავად „ტუმბოჩკისგან“ რა ამბები ისმის? ცოცხალია ის ვაჟბატონი?

— კი, ცოცხალია.

— თბილისში როდის ჩამოდის?

— სანამ ეს ხელისუფლება იქნება, თბილისში ვინ ჩამოუშვებს?!

— აბა, დარჩენილა უცხოეთში და ეგაა... თუმცა, მაგაზე ყველაფერი ახია! ეგ რომ არა, არც შენ იქნებოდი ასეთი გაუბედურებული და არც — მე...

— შენი არ ვიცი და მე თავს უბედურად ნამდვილად არ ვგრძნობ, — იწყინა გვანცამ. — რაც არ უნდა იყოს...

— ბედნიერი თუ ხარ? — გააწყვეტინა ლუკამ.

— ნუ, ახლა... — დაიბნა გვანცა. — ნაწილობრივ ალბათ, ვარ... კარგი სამსახური მაქვს, უნივერსიტეტს ვამთავრებ... და რაც ყველაზე მთავარია, შვილი მეზრდება...

— რომელი შვილი? — ისევ გააწყვეტინა ლუკამ. — მთელი ცხოვრება სხვა კაცის გვარსა და სახელს რომ უნდა იყოს ამოფარებული?!.

— მე ჩემი შვილისთვის გვარის მიცემა არავისთვის მითხოვია! — გამწარდა გვანცა. — მათ შორის, არც შენთვის...

— სახელი?.. — თავისას მაინც არ იშლიდა ლუკა. — ჩემი სახელი მაინც რატომღა დაარქვი? სხვა სახელი გაწყდა ამ ქვეყანაზე თუ რა იყო?

— აი, ეგ კი ნამდვილად ჩემი, უფრო სწორად კი — ბაბუაჩემის ბრალია. — აღიარა გვანცამ. — აიჩემა — ლუკა მეცოდება, შვილის გაჩენას რომ ვერ დაესწრო და გინდა თუ არა, ბავშვს მისი სახელი დავარქვათო...

— და ასე მოევლინა ქვეყანას მეორე ლუკა ჩადუნელი, რომელსაც პირველთან პრაქტიკულად არაფერი აკავშირებს, ხომ?..

— ჰო... — ხელები უმწეოდ გაშალა გვანცამ. — ასე მოხდა და რა ვქნა? ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ ხდება ჩვენი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ! აი, თუნდაც შენი მოულოდნელი გამოჩენა ავიღოთ. მე შენი ნახვა ნამდვილად აღარ მინდოდა, მაგრამ შენ მაინც გამოჩნდი. რა ვქნა ახლა? თავი მოვიკლა? ან იქნებ, სულაც შენ მოგკლა და მოვისვენო?..

— თუ ჩემი სიკვდილით საქმეს უშველი?!.

— ნამდვილად ვეღარ ვუშველი... — ხელი უმწეოდ ჩაიქნია გვანცამ. — მოსახდენი უკვე მოხდა. ჩემს ბებრებს ხელახლა გაუჩნდათ იმედი და მგონი, ბავშვსაც მოეწონე... კიდევ კარგი, რომ ლუკა ჯერ მაინც ძალიან პატარაა და იოლად დაგივიწყებს.

— სამაგიეროდ, მე ვეღარ დავივიწყებ... — თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა ლუკამ. — ის კი არა და, ლამის უკვე მეც დავიჯერო, რომ ეს პატარა მაიმუნი მართლა ჩემი შვილია...

— არ გინდა, რა, ლუკა, გეხვეწები... — გააწყვეტინა გვანცამ.

— სულ ტყუილად მეხვეწები! — მოულოდნელად ხმა გაიმკაცრა ლუკამ. — ბავშვი ოფიციალურად ნამდვილად ჩემი შვილია და ბოლომდეც ასე იქნება!

— გესმის, რა სიგიჟეს ამბობ?! — თვალები გაუფართოვდა გვანცას. — ამ ბავშვს ნამდვილი მამა ცოცხალი ჰყავს. ხომ შეიძლება, დღეს არა და — ხვალ, გამოჩნდეს კიდეც?! მერე რაღას იზამ? იმასაც ოფიციალურ დოკუმენტებს აუფრიალებ?

— ვინც აქამდე უფრიალებდა რაღაცრაღაცებს, ისევ იმან აუფრიალოს... — ბოღმიანად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— ლუკა! — ხელისგულები ყურეებზე გამეტებით მიიჭირა გვანცამ. — გეხვეწები, გაჩუმდი!

— კი, ბატონო. გავჩუმდები, — ფეხზე წამოხტა ლუკა. — უკვე ისედაც საკმაოდ გასაგებად აგიხსენი ყველაფერი. ასე რომ, მერე არ დამიწყო — არ ვიცოდი, რას აპირებდიო... ახლა კი, წავედი...

მეორე დილით, გვანცამ ლოგინიდან ძლივსღა აითრია წელი და სამსახურშიც დაგვიანებით მივიდა. მისაღებში შესულს, ლაშაც მაშინვე ფეხდაფეხ მიჰყვა. ხელში კონვერტში ჩადებული რაღაც დოკუმენტები ეჭირა.

— სადა ხარ აქამდე?! — თვალები გადაუბრიალა მან გვანცას და თან, კაბინეტის კარი ოდნავ გამოაღო. — იცი, რა სტუმრები მყავს?! — ხმას დაუწია მან. — ახლავე ჩემთან შემოდი!.. თუმცა, არა — ჯერ სამი ყავა მოგვიდუღე.

— ასეთი მაინც რა სტუმრები გყავს?!. — უხალისოდ ჰკითხა გვანცამ და კარადიდან მადუღარა გამოიღო.

— ბიზნესმენი გიორგი ჩადუნელი და მისი ვაჟიშვილი! — ამაყად უპასუხა ლაშამ და კაბინეტში გაუჩინარდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Opel Tigra-ს მეოხე „გამოცემა“

ამერიკული კორპორაცია General Motors-ის ქვედანაყოფმა – გერმანულმა კომპანია Opel-მა ცოტა ხნის წინ ჩატარებულ ჟენევის ავტოსალონზე ორადგილიანი კუპე-კაბრიოლეტი – Tigra Twin Top (TTT) წარმოადგინა. ეს მიკროკლასის პირველი გერმანული ავტომობილია, რომელსაც ელექტროჰიდრავლიკური ამძრავით აღჭურვილი, ფოლადის დასაკეცი სახურავი აქვს. ძირითადი ამოცანა, რომელიც კუპე-კაბრიოლეტის შემქმნელთა წინაშე დგას, იმაში მდგომარეობს, რომ სახურავი დაკეცვის შემდეგ, საბარგულის დიდ ნაწილს იკავებს. „ოპელის“ ინჟინრებმა ორიგინალურ გადაწყვეტილებას მიაგნეს: სახურავი ჯერ ორად იკეცება, შემდეგ საგანგებო დანაყოფში იმალება. ამის შედეგად, მაშინაც, როცა სახურავს საბარგულის ნაწილი უკავია, ამ უკანასკნელის მოცულობა 250 ლ-ს აღწევს. გარდა ამისა, სავარძლების უკან მოთავსებულია 70 ლ მოცულობის უჯრა. კუპეს (თავახდილი) ვარიანტის საბარგული 440 ლ მოცულობისაა და ამ მაჩვენებლით Opel TTT გაბარიტებით მასზე უფრო დიდ VW Golf-საც ჯაბნის (350 ლ).

კუპე-კაბრიოლეტი ორნაირი ბენზინის ძრავათი იქნება აღჭურვილი: 1,4 ლ-იანი (90 ცხ.ძ.) და 1,8 ლ-იანით (125 ცხ.ძ.). მას 5-სიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი ექნება. Opel TTT firma Henri Heuliez S-ის საფრანგეთში მდებარე საწარმოში აიწყობა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ ფირმის სპეციალისტებს აქვთ შემუშავებული დასაკეცი სახურავის მექანიზმი, რომლითაც „პეჟო-206“-ის სახურავია აღჭურვილი. სარეალიზაციო ქსელებში ახალი სერიული მანქანა წლეულს ზაფხულში გამოჩნდება. ცნობები მისი ფასის შესახებ ჯერ-ჯერობით არ გამოცხადებულა. ■

Hyundai-ს ახალი ყველგანმავალი

წლის დამდეგს გამართულ ჩიკაგოს ავტოსალონზე კორეულმა კომპანია „ჰიუნდაიმ“ საზოგადოების სამსჯავროზე ახალი ჯიპი – Tucson გამოიტანა. გაბარიტებით ეს მანქანა სხვა სრულამძრავიან მოდელზე – Hyundai Santa Fe-ზე რამდენადმე მომცროა. საბაზო კომპლექტაციაში Tucson აღჭურვილი იქნება 2 ლ სამუშაო მოცულობის, 4-ცილინდრიანი, 140 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი. 2,7 ლ მოცულობის 6-ცილინდრიან აგრეგატს ჩაუდგამენ კომპლექტაციებს – GLX და LS, რომლებიც ავტომატურ გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი. გათვალისწინებულია აგრეთვე 2 ლ-იანი დიზელის ვარიანტი. თუმცა, ის მხოლოდ კორეის საშინაო ბაზრისთვისაა განკუთვნილი. Tucson-ის სტანდარტულ კომპლექტაციაში, 16-დუიმიანი, მსუბუქშენადნობიანი საბორბლე დისკები, კონდიციონერი, მინების ელექტროამწეები, უსაფრთხოების გვერდითი და ფრონტალური ბალიშები და ცენტრალური საკეტი შედის. ავტომობილის სიგრძე 4,325 მ, სიგანე – 1,795 მ, სიმაღლე – 1,680 მ-ა. საწვავის ავზი 58 ლ-ს (4-ცილინდრიანი ვარიანტისთვის) და 65 ლ-ს (6-ცილინდრიანი ვარიანტისთვის) იტევს.

ამ მანქანის რეალიზაცია წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება. სერიული ვერსია სრული ამძრავის ელექტრონული სისტემით – Electronic InterActive Torque Management აღიჭურვება. ელექტრონული ბლოკის გარდა, გათვალისწინებულია აგრეთვე სრული ამძრავის ხელით ჩართვის შესაძლებლობა; საამისოდ, ხელსაწყოთა პანელზე სპეციალური ღილაკია მოთავსებული. ■

ბრაზილიური „ნამცეცა“

ევროს კურსის ზრდის გამო, კონცერნი Volkswagen მანქანების რეალიზაციის სფეროში სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა. პრობლემის გადასაჭრელად, ფირმის მესვეურებმა გადაწყვიტეს, ბრაზილიაში მდებარე თავის მსხვილ ფილიალში წარმოებული ზოგიერთი მოდელის იმპორტირებას მიჰყონ ხელი. ერთ-ერთი ამ მოდელთაგანია „ნამცეცა“ VW Fox, რომელიც შარშანდელი წლის დამლევიდან გამოდის. „ფოქსის“ ევროპული ვერსია 2005 წელს, ჟენევის ავტოსალონზე იქნება წარმოდგენილი. გარეგნულად „ბრაზილიელი“, VW Polo-ს ჰგავს, ოღონდ, მასზე 9 სმ-ით მოკლეა (სულ 3,8 მ სიგრძისაა); ამასთანავე, ის „პოლოზე“ 8 სმ-ით მაღალია, რაც მძღოლისთვის უკეთეს ხილვადობას უზრუნველყოფს. ბრაზილიური VW, 3-ცილინდრიანი (1,2 ლ-იანი, 55 ცხ.ძ-იანი) და 4-ცილინდრიანი (1,4 ლ-იანი, 75 ცხ.ძ-იანი) ბენზინის ან 1,4 ლ-იანი, 70 ცხ.ძ-იანი დიზელის ძრავათი იქნება აღჭურვილი. ეს უკანასკნელი ყოველ 100 კმ გარბენზე სულ 4 ლ საწვავს დახარჯავს. იმის გათვალისწინებით, რომ „ფოქსს“ 50-ლიტრიანი ავზი აქვს, ერთ შეკვეთაზე, მანქანა 1000 კმ-მდე გაივლის. ევროპული ვერსიის კომპლექტაციაში შედის: მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, უსაფრთხოების ფრონტალური ბალიშები და საჭის გამაძლიერებელი. ბრაზილიურ ვერსიას გაძლიერებული საკიდარი აქვს, რადგან სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდ ქვეყანაში გზების მხოლოდ 20%-ია მოასფალტებული.

კონცერნის მესვეურთა თქმით, მათი მიზანია, რომ ევროპაში Fox 8.000 ევროზე ძვირი არ ღირდეს: „ფოლკსვაგენი“ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს, დაიბრუნოს „სახალხო ავტომობილის“ მწარმოებლის სახელი. ■

მსახიობი, რომელსაც 22 მარტს 55 წელი შეუსრულდა, ცოტა ხნის წინ ჟერარ დეპარდიეს ახალ სატრფოდ შერაცხეს, თუმცალა, მისმა ძველმა მეგობარმა ეს ინფორმაცია უარყო.

ფანი არდანი:
„მეშინოდა, რომ ჟერარი მომკლავდა!“

ფანი არდანი კვლავინდებურად მომხიბლავად გამოიყურება!

ძნელი სათქმელია, რა საფუძველი ჰქონდა ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოსდა ცნობილი მსახიობი ჟერარ დეპარდიე ფანი არდანის გამო მისი ამჟამინდელი მეგობარი ქალის, კაროლ ბუკეს მიტოვებას აპირებდა. მართალია, არდანმა და დეპარდიემ ერთად ითამაშეს ეროტიკულ ფილმში – „ნატალი“, მაგრამ მსგავსი დასკვნისათვის განა ეს საკმარისი მიზეზი იყო? თანაც, ვარსკვლავებს ხომ 23-წლიანი მეგობრობა აკავშირებთ და ეს ყველასათვის ცნობილია...

ფანი არდანის კინოკარიერა ფრანსუა ტრიუფოს გახმაურებული სურათით – „მეზობელი ქალი“ – დაიწყო. ფილმში დეპარდიე და არდანი (მაშინ ის 31 წლის გახლდათ) ყოფილი საყვარლების როლებს ასრულებდნენ და ხელახალი შეხვედრისას მათ შორის უკვე მივიწყებულმა ვნებამ ხელახალი ძალით იფეთქა. ფილმის გადაღებებისას ისეთი მომენტებიც იყო, როცა დებიუტანტი ფანი ყველაფრის მიტოვებას და გაქცევას აპირებდა: „მეშინოდა, რომ ჟერარი მომკლავდა. ის, ისე იჭრებოდა როლში და ისე აენთებოდა ხოლმე, რომ რეალობასა და თამაშს შორის ზღვარი მისთვის აღარ არსებობდა“.

მაღალ საზოგადოებასთან კონტაქტები მას მომავალში სასიკეთოდ წაადგა

ოცი წლის შემდეგ, დეპარდიესთან ერთად „ნატალიზე“ მუშაობისას არდანმა განაცხადა: „ჟერარი სულაც არ შეცვლილა. ალბათ ის იმ ყველაზე დიდებულ და იშვიათ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებშიც მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ“. თავის დიდი ხნის მეგობარსა და ფილმის პარტნიორზე დეპარდიემ დაახლოებით იგივე სიტყვები გაიმეორა. როგორც ჩანს, ძველი მეგობრების გულწრფელობამ ჟურნალისტები შეცდომაში შეიყვანა, ვინაიდან ზემოთ ხსენებული ჭორის აგორება სწორედ მათ ამ განცხადებებს მოჰყვა.

არაფერია უჩვეულო იმაში, რომ პრესაში დაბეჭდილმა ცნობამ იმის თაობაზე, თითქოსდა მას და არდანს მხურვალე რომანი ჰქონდათ, ძალზე აღაშფოთა ცნობილი მსახიობი. ის ამ პუბლიკაციას გამოეხმაურა და ეს უსაფუძვლო ჭორი უარყო. ზემოხსენებულ პუბლიკაციას ფანი არ გამოხმაურებია... თუმცა სავარაუდოა, რომ ცნობილ მსახიობთან სასიყვარულო კავშირზე გავრცელებული ჭორი, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა, 55 წლის იუბილესათვის ცუდი საჩუქარი სულაც არ უნდა ყოფილიყო.

...ფანიმ ბავშვობა მეგობრულ და მოსიყვარულე ოჯახში გაატარა. მამამისი, პოლკოვნიკ-კავალერისტი გახლდათ და მონაკოს სამეფოს გვარდიელებს მეთაურობდა. მას მთავარსარდლის სტატუსი ჰქონდა და აქედან გამომდინარე, ოჯახი საკმაოდ უზრუნველყოფილად ცხოვრობდა. ამის წყალობით ბავშვებმა კარგი განათლება მიიღეს. არდანმა წარმატებით დაამთავრა კათოლიკური კოლეჯი. მას დიდი თავადის რენეს სასახლეში ყოფნაც უხდებოდა ხოლმე. გოგონა მაღალი საზოგადოების ქალბატონების მანერებს სიამოვნებით აკვირდებოდა და ითვისებდა კიდეც დახვეწილ მიხრა-მოხრას. აი, საიდან აქვს არდანს ასეთი უზადო ჩაცმის გემოვნება, თანამოსაუბრის მოსმენის უნარი, საოცრად დახვეწილი მანერები... მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობამ, მოგვიანებით მას უდიდესი სამსახური გაუწია არისტოკრატი ქალების როლების ბრწყინვალედ შესრულებაში.

17 წლის ფანიმ მშობლებს გამოუცხადა, რომ მსახიობობა სურდა. მამამ მოკლედ მოუჭრა: „ჯერ სათანადო განათლება მიიღე, შემდეგ კი, რაც გინდა, ის ქენი!“ მამის განაჩენს გოგონა უდრტვინველად დაემორჩილა, პარიზის უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა და კეთილსინდისიერადაც სწავლობდა. თუმცა არც თავისი ოცნება დავიწყებია: უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, მან ჟან პერიმონის დრამატული კურსებიც გაიარა, რომლის დამთავრების შემდეგაც იმ დასს შეუერთდა, რომელიც გასტროლებით მთელ საფრანგეთში მოგზაურობდა. არდანი მსახიობად სწორედ თეატრში ჩამოყალიბდა და ის დღემდე მოღვაწეობს სცენაზე, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პოპულარობა მას თეატრმა კი არა, კინემატოგრაფმა მოუტანა.

...რეპორტიორები არც კი ცდილობენ მსახიობისთვის მისი ცხოვრების ინტიმურ მხარეზე შეკითხვების დასმას. მათ კარგად იციან, რომ ეს აკრძალული თემაა. არდანს მხოლოდ ერთხელ წამოსცდა: „ორგანიზებული და მოწესრიგებული ცხოვრება არასდროს მხიბლავდა. შესაძლოა, ჩემი გოგონების ქვეყნად მოვლინების მიზეზი სწორედ ეს გახდა, მაგრამ მთელ ამ ქაოსში იყო ერთი კანონზომიერება – მე მათი მამები მიყვარდა“. ფანის სამი ქალიშვილი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ორი მათგანი უკვე ზრდასრულია, სამივე გოგონა დედასთან ცხოვრობს, რომელიც მათთვის უცილობელი ავტორიტეტია. უფროსი – ლიუმირი, ხელოვნებათმცოდნეა. შუათანა – ჟოზეფინა, ფრანსუა ტრიუფოსთან სამოქალაქო ქორწინების ნაყოფი, კრიმინალისტიკის პროფესიას ეუფლება. შესაძლოა, უმცროსი – ბალანდინი მაინც გაჰყვეს დედის კვალს.

„ნატალი“ – ამ ფილმში არდანმა და დეპარდიემ ცოლ-ქმრის როლი შეასრულეს

ის მხოლოდ თხუთმეტი წლისაა, ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლობს და მთელ თავისუფალ დროს მუსიკას უთმობს. ბავშვების აღზრდისას ფანი უფრო ინტუიციას ენდობოდა: ცდილობდა, არ გამხდარიყო მათი მეგობარი, რათა გოგონებს ყოველგვარი ცელქობა გასვლოდათ, მაგრამ არც ის სურდა, რომ ზედმიწევნით უფროსის როლში ყოფილიყო, რათა მათთვის საკუთარი ღირსების გრძნობა არ ჩაეხშო.

ჟურნალისტებისათვის კარგად ცნობილი, მსახიობის ერთადერთი სასიყვარულო ამბავი

ერთი პერიოდი გოგონებს ძალზე ეჭვიანი დამოკიდებულება ჰქონდათ იმ ეკრანული ეპიზოდების მიმართ, სადაც მათი დედა მამაკაცებს კოცნიდა. რჩევისათვის ფანიმ ცნობილ მსახიობს ჟანლუი ტრენტინიანსაც კი მიმართა, რომელსაც შვილებთან მსგავსი პრობლემა ჰქონდა. ამის შედეგად ტრენტინიანმა უარიც კი თქვა ისეთ ფილმებში მონაწილეობაზე, სადაც მეტისმეტად გულახდილ სასიყვარულო სცენებში მოუწევდა თამაში. არდანი დაფიქრდა და გადაწყვიტა, სხვაგვარად მოქცეულიყო: ის დიდხანს და მოთმინებით უხსნიდა გოგონებს, რომ ეს მისი სამუშაოს ნაწილი იყო და ის ვალდებული გახლდათ საკუთარი სამუშაო შეესრულებინა. სხვათა შორის, ამან გაჭრა და ოჯახში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა. თუკი ფანის ცხოვრებაში პირველ ადგილზე ყოველთვის შვილები იყვნენ, მეორე ყოველთვის კინოს ეკავა. მას არაერთგზის გაუმეორებია ფრაზა: „კინოს გულისთვის მე მამაკაცის მიტოვება შემეძლო, მაგრამ მამაკაცისთვის კინოს მიტოვება – არასოდეს“.

მსახიობმა ოდესღაც ფრანსუა ტრიუფოს სახით, სატრფოსთან ერთად მოძღვარიც შეიძინა. ტრიუფო არდანზე 17 წლით უფროსი გახლდათ. თუმცა ძლიერი გრძნობის წარმოშობაში ასაკობრივ სხვაობას მათთვის ხელი არ შეუშლია. ისინი რეჟისორის ნაადრევმა სიკვდილმა დააშორა ერთმანეთს: ფრანსუამ ფანისთან ერთად მხოლოდ სამი წელი იცხოვრა და 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. მსახიობი დიდი რეჟისორის უკანასკნელი მუზა გახლდათ – ტრიუფოს შემოქმედების უკანასკნელი წლები ფანის სილამაზითა და მდიდარი შინაგანი სამყაროთი იყო შთაგონებული. „დღე, როცა შენი თვალები არ მიღიმის, ჩემთვის დაკარგულია,“ – არწმუნებდა არდანს სატრფო... ეს ძველი სასიყვარულო ამბავი ერთადერთია, რომელიც ვარსკვლავების ცხოვრების პერიპეტიებით დაინტერესებული ჟურნალისტებისათვის კარგადაა ცნობილი.

ფანი არდანი დღესდღეობით თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს შინ ატარებს და აღიარებს, რომ განმარტოებული ცხოვრების სტილი ხიბლავს. დიდად გულღია ურთიერთობებით მსახიობი არც მუშაობის დროს გამოირჩევა. მაგალითად, რუმინეთში ყოფნის დროს, სადაც ფილმის „კალასი სამუდამოდ“ გადაღებები მიმდინარეობდა, არდანის პარტნიორმა ჯერემი აირონსმა მხოლოდ ერთადერთხელ მოახერხა მსახიობის რესტორანში დაპატიჟება. ფანი მთელ თავისუფალ დროს საკუთარ ნომერში ატარებდა და როლზე აქტიურად მუშაობდა. თუმცა, ყოველივე ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსახიობმა

მისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიყვარული – ფრანსუა ტრიუფო

პირად ცხოვრებას ჯვარი დაუსვა. ის კვლავინდებურად ძალზე მომხიბლავად გამოიყურება და ისევ აღაფრთოვანებს მამაკაცებს. არავის გაუკვირდება, თუ ფანი არდანი საკუთარი სილამაზისა და ტალანტის შესაფერ მამაკაცს შეხვდება და მასთან რომანი ექნება. ოღონდ საეჭვოა, რომ ეს მამაკაცი ჟერარ დეპარდიე იყოს...

■

ჯაილი „ჯაზინოემის დედაქალაქში“ იმღერემს

ავტრალიელი მომღერალი კაილი მინოუგი მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ კონცერტში – VH1 Divas – რომელიც ლას-ვეგასში გაიმართება. მასთან ერთად სცენაზე გამოვლენ დები ჰარი Blondie-დან, ჯოს სტოუნი, ჯესიკა სიმფსონი, პატი ლაბელი და სინდი ლოპერი. კონცერტი რომელიც პირდაპირი ტელეეთერით გადაიცემა, იმავდროულად საქველმოქმედოც იქნება: ჩვენების დროს შეწირული თანხა ორგანიზაციის – Save the Music ანგარიშზე გადაირიცხება და მუსიკალურ სკოლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას მოხმარდება. კონცერტი 19 აპრილს ჩატარდება. კაილის ბოლო ალბომი – Body Language აშშ-ში არცთუ ისე კარგად გაიყიდა. დისკი მაღაზიებში გამოჩენიდან ორიოდე კვირაში, საუკეთესო ასეულიდან გამოვარდა, ხოლო მისმა ტირაჟმა ძლივს მიაღწია 100000-ს, რაც ხუთჯერ ნაკლებია საიმისოდ, რომ თუნდაც „ოქროს“ სტატუსი მიენიჭოს. მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნულ შოუზე მომღერლის მიწვევა იმაზე მეტყველებს, რომ ოდენ ტირაჟს როდი მოაქვს წარმატება... ■

უინსლეტმა შესაძლოა, ჰარი პოტერზე გადაღებულ მორიგ თილმში ითამაშოს

კეიტ უინლეტს ჰარი პოტერზე მორიგ ფილმში ჯადოქრის – ფლერ დელაკურის როლი შესთავაზეს. კეიტის მეუღლეს სემ მენდესს დიდი სურვილი აქვს, ცოლი როლზე დაიყოლიოს, თუნდაც მათი შვილების გამო, რომელთაც ძალზე ესიამოვნებათ ზღაპრული გმირის ამპლუაში დედის ხილვა. „რამდენიმე კვირის წინ, კეიტი კრის კოლამბუსსა და ფილმის სხვა პროდიუსერებს შეხვდა, – თქვა მენდესმა, – მას ცენტრალურ როლს სთავაზობენ, მაგრამ კეიტი ჯერ კიდევ ფიქრობს. არა მგონია, მან ჩემს შეგონებებსა და ბავშვების ინტერესებს ანგარიში არ გაუწიოს. ■

„ბეტმენი“ ვარსკვლავემს აგრძელემს

რუტჰერ ჰაუერი და ტომ უილკინსონი – შეუერთდებიან მსახიობთა ჯგუფს, რომელსაც რეჟისორი კრისტოფერ ნოლანი ფილმში – „ბეტმენი იწყება“ – 2005 წელს გადაიღებს. რუტჰერ ჰაუერი შეასრულებს ბეტმენის მამის მოღალატე-მეგობრის როლს, რომელიც ცდილობს, ხელში ჩაიგდოს Wayne Industries-ზე კონტროლი. უილკინსონი კი გოტემ-სიტის მაფიის თავკაცს განასახიერებს. ამჟამად ჰაუერი მინისერიალში Salem's lot-ის გადაღებებს ასრულებს, ახლო მომავალში კი, დრამატულ სერიალში – Alias და შექსპირის „ქარიშხლის“ მიხედვით გადაღებულ ფილმში გამოჩნდება. ახალ „ბეტმენში“ როლებზე უკვე დამტკიცებული არიან მსახიობები: ლაიამ ნისონი, გერი ოლდმენი, მორგან ფრიმანი, მაიკლ კეინი. ■

რობი უილიამსი ქვედაკამას მოირგემს



ბრიტანელი მომღერალი რობი უილიამსი, რომელმაც უკვდავ მეომარზე – დუნკან მაკლაუდზე უამრავი ზღაპარი წაიკითხა, შოტლანდიის მთებში სახლის ძიებას შეუდგა. როგორც რობიმ აღნიშნა, ეს აზრი მას სკიბოს კოშკში საკუთარი 30-წლიანი იუბილეს ხუთდღიანი აღნიშვნის დროს დაებადა. თვითმხილველების თქმით, საზეიმო ღონისძიების მზადებისას უილიამსი სასახლის მიმდებარე ტერიტორიას ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ათვალიერებდა და პეიზაჟით აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. ბოლო დროს, რობი სისტემატურად ლაპარაკობს პოპვარსკვლავის ბობოქარი ცხოვრების მიტოვებასა და სრულფასოვანი ოჯახის შექმნაზე – ცოლის შერთვასა და შვილების აღზრდაზე. თუ არა შოტლანდიაში, სად შეიძლება ადამიანმა მყუდრო ბინა დაიდოს?!. ასე რომ, გამორიცხული არ არის, რობიმ მალე, ჯინსის ნაცვლად, კილტი ჩაიცვას და სტვირზე დაკვრის სწავლასაც მიჰყოს ხელი. ■

ოზი ოსბორნი ელჩად აირჩიეს

მას შემდეგ, რაც მარსზე წყალი აღმოაჩინეს, კომპანია Yahoo-მ ინტერნეტით ჩაატარა გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ ვის აირჩევდა მკითხველი ელჩად მარსელებთან შესახვედრად. ინგლისურენოვანი სამყაროს პოპულარულმა ადამიანებმა – სუპერმოდელმა ჯორდანმა, ჯორჯ ბუშმა, ტონი ბლერმა გამოკითხულთა ნდობა ვერ დაიმსახურეს. მარსელებს მიესალმება „დიადი“ და საშინელი 55 წლის როკმომღერალი, ტელეწამყვანი და უბრალოდ, სახელგანთქმული ოზი ოსბორნი. Yahoo News-ის რედაქტორი გარეტ ბელამი მათი არჩევანით კმაყოფილია. „ოზი – შესანიშნავი არჩევანია. თუმცა, ეჭვი მეპარება, მარსელებმა რაიმე გაუგონ მის თავისებურ ინგლისურს. თუკი ისინი ვერ დაძლევენ მომღერლის ლექსიკას, ოზის ყოველთვის შეუძლია, მათთან მუსიკით დაამყაროს კონტაქტი“. – დასძინა ბელამიმ. ■



ქვეყნიერებული მომღერლები, ეთნომუსიკის პროექტი და საყვარელი მამაკაცისადმი მიძღვნილი სიმღერები

სულ ცოტა ხნის წინ, ღამის კლუბ „აჭარა მუზიკ-ჰოლში“ ქართველმა მომღერლებმა საქველმოქმედო კონცერტი „მუსიკოსები მუსიკოსებისთვის“ გამართეს, რომლის მთლიანი შემოსავალიც კომპოზიტორსა და საქსოფონის უბადლო შემსრულებელ ჭაბუკა ამირანაშვილს გადაეცა. თუ რატომ დასჭირდა მუსიკოსს ეს თანხა, ამ და სხვა საკითხებზე კონცერტის იდეის ავტორი და ორგანიზატორი, ქალბატონი ირმა სოხაძე გვესაუბრება.

ნათია ქივიძე

— ერთი თვის წინ სწორედ აქ, ტელევიზიის ე.წ. ბარში ვისხედით, სადაც ჭაბუკა ძალიან შეშფოთებული სახით შემოვიდა. მანამდე ვიცოდით, რომ გულმკერდის არეში ტკივილები აწუხებდა, თურმე ექიმთან ყოფილა და აღმოჩნდა, რომ საკმაოდ კრიტიკული მონაცემები ჰქონია და მისთვის ოპერაცია აუცილებელი იყო, რომელიც 4.000 დოლარი ჯდება. დიაგნოზი რომ მაჩვენა, მეც ძალიან შევშფოთდი და მაშინვე ვუთხარი, ფულზე არ ინერვიულო, ყველა ერთად გალა-კონცერტს გავმართავთ და დაგეხმარებით-მეთქი. მაშინვე ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა 1.000 დოლარი უშოვა. დანარჩენი თანხა კი ამ კონცერტის შედეგად მოგროვდა. რასაკვირველია, ყველა ჩემი კოლეგა თანახმა იყო, რომ კონცერტში მონაწილეობა მიეღო. ვისაც ვერ დავუკავშირდით, თვითონ მირეკავდნენ, ჩვენც გვინდა რამის გაკეთებაო. ყველა ძალიან ერთსულოვანი იყო. ტყუილად გვაბრალებენ ქართველ მომღერლებს, რომ ერთმანეთი არ გვიყვარს ყოველ შემთხვევაში, გაჭირვების დროს გვერდზე დგომა ჯერ კიდევ შეგვიძლია.

— თავად ჭაბუკა თუ მონაწილეობდა ამ კონცერტში?

— არა, მისთვის დაკვრა არ შეიძლება. სცენაზე ამოვიდა და მადლობა გადაგვიხადა. იმ დღეს კონცერტზე თეთრი ტანსაცმელი ეცვა და განსაკუთრებით სიმპათიური იყო. ვუთხარი კიდეც — მგონი, გვატყუებ და ავად არ ხარ-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა. მას მართლა ძალიან სჭირდებოდა ჩვენი თანადგომა და მიხარია, ეს რომ მოვახერხეთ.

— რაც შეეხება მაყურებელს, იყო იმდენი ხალხი, როგორც ეს „აჭარა მიუზიკ-ჰოლს“ სჩვევია?

— ეს უკვე სხვა თემაა. პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ტელევიზიებს, რომლებმაც სრულიად უსასყიდლოდ, დღეში რამდენჯერმე ატრიალეს ჩვენი რეკლამა, თუმცა ცოტა დრო გვქონდა, რადგან გამოცხადებიდან ერთ კვირაში უნდა გაგვემართა კონცერტი. ასე რომ, მაყურებლების სიმცირეს რეკლამის ნაკლებობას ნამდვილად ვერ დავაბრალებ. აქვე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო „აჭარა მიუზიკ-ჰოლის“ მესვეურებს, რომლებმაც ასევე უსასყიდლოდ დაგვითმეს დარბაზი, თუმცა თავიდანვე გაგვაფრთხილეს, რომ ცოტა ხალხი მოვიდოდა, რადგან ქართველი მომღერლების კონცერტებზე მაყურებელი აღარ დადისო. ეს ჩემთვის ძალიან საგანგაშო და სიმპტომატური იყო. ჩვენ თვითონ ისე გავუტეხეთ საკუთარ თავს სახელი და იმდენის უფლება მივეცით ყველას — ჩვენზე ეხუმრა და ეშაყირა, რომ მართლა დაეკარგათ ახალგაზრდებს ჩვენი მომღერლების მიმართ ინტერესი. ამ დროს კი ვიღაც „მეხუთეხარისხოვანი“ რუსი მომღერალი რომ ჩამოდის, ვერ შეხვალთ „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ — გადაჭედილია იქაურობა. არადა, როგორ გვიხაროდა, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა ქართული სიმღერების მოსმენა დაიწყეს, ყოველ შემთხვევაში, რუსულ ესტრადას აღარავინ უსმენდა. მე ვფიქრობ, კრიტიკა გადაჭარბებულად მოგვივიდა და ჩვენივე მაყურებელს ვკარგავთ. ჩვენს თავს ცოტა პატივი ჩვენ თვითონვე უნდა ვცეთ. რა თქმა უნდა, ცოტა ხარისხიც რომ ავამაღლოთ, ურიგო არ იქნება... მიუხედავად ამისა, ამ კონცერტის ბილეთებით 1.500 დოლარი მოგროვდა, დანარჩენი თანხა კი, იქ მოსულმა ხალხმა დამატებით გაიღო. მათ შორის იყო კომპანია „მელოდიაარტი“. ორ-სამ დღეში, მთელი თანხა შეგროვდა. ყველაზე მეტად ის გვეამაყება, რომ არც ერთი ბიზნესმენი ან ბანკი არ შეგვიწუხებია. მართლა მხოლოდ საკუთარი ძალებით შევძელით თანხის შეგროვება — ამიტომაც ერქვა ჩვენს აქციას — „მუსიკოსები მუსიკოსებისთვის“. სხვათა შორის, უახლოეს მომავალში ამავე სახელწოდების ფონდის ჩამოყალიბებასაც ვაპირებთ. ახლა

ტყუილად გვაბრალებენ ქართველ მომღერლებს, რომ ერთმანეთი არ გვიყვარს (ჭაბუკა ამირანაშვილთან ერთად)

მთავარია, ჭაბუკა იყოს კარგად. 25 აპრილს შვეიცარიელები ჩამოდიან თბილისში და მეორე დღესვე მას ოპერაციას გაუკეთებენ.

— ადრე ძალიან ხშირად მართავდით საქველმოქმედო კონცერტს. ამ კონცერტამდე კი საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა გქონდათ. რა იყო ამის მიზეზი?

— ისევ პაუზა მექნება, რადგან ხალხს ერთი და იმავე პრობლემითა და ფორმით თავი არ უნდა მოაბეზრო. ადრე შვიდი ტელემარათონი ჩავატარეთ და ამ ფორმამ საკუთარი თავი ამოწურა: ბოლო მარათონზე მხოლოდ 200 ლარი შეგროვდა... ყოველ მარათონს სხვადასხვა კატეგორიის გაჭირვებულ ადამიანებს ვუძღვნიდით, ძირითადად — ბავშვებს. ირგვლივ იმდენი გაჭირვებულია, დაბნეულები ვართ და აღარ ვიცით, უპირველესად რომელს უნდა დავეხმაროთ.

— როგორც „მუსიკალური ოქტაგონის“ წამყვანს, რა შეგიძლიათ ქართულ ესტრადაზე გვითხრათ?

— ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ, ერთს დავამატებ — ბევრ მოვლენას ქართულ ესტრადაზე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებდი, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ მივხვდი, რომ არც ისე ცუდად არის საქმე. ჩვენს ქვეყანაში, პრაქტიკულად, თითქმის ყველა წარმოება გაჩერებულია, მუსიკალური ინდუსტრია კი, ასე თუ ისე, მუშაობს. ქართულ ესტრადას ძალიან ბევრი ცუდი მოუტანა ქართულ სიტყვასთან უდიერად მოპყრობამ, ამაზე ალბათ, სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ თანამედროვე კომპოზიტორებიც და რემიქსების ავტორებიც. გემოვნებიანი, კარგი რემიქსების არაჩვეულებრივი პოტენციალი გვაქვს, ნებისმიერ თაობაში; კარგი მომღერლების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა... როგორც „ოქტაგონის“ წამყვანი, ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე გეტყვით — მეამაყება და მიხარია, რომ სწორედ „ოქტაგონმა“ დაანგრია ერთგვარი მითი იმის შესახებ, თითქოს ტელესტუდიიდან, ცოცხალი შესრულების დროს შეუძლებელია ხმის ხარისხის შენარჩუნება. ამ 4 წლის განმავლობაში, 80-ზე მეტი შოუ გავიდა ეთერში და ჩემი კოლეგების აბსოლუტური უმრავლესობა „ოქტაგონის“ სტუმარი იყო. რაც დრო გადის, ისინი სულ უფრო მეტი სიამოვნებით მოდიან გადაცემაში. „ოქტაგონი“ მათ აძლევს უნიკალურ შანსს, პირდაპირ ეთერში გამართონ პატარა სოლო კონცერტი — დღეს კი, მოგეხსენებათ, სოლო კონცერტის გამართვა უამრავ სირთულესთან არის დაკავშირებული და ბევრს ამის საშუალება არა აქვს. ბოლოს კი, მათ რჩებათ რეჟისორ ნუგზარ ჩხაიძის მიერ გადაღებული ულამაზესი მუსიკალური ნომრები — მათ საკონცერტო კლიპებსაც უწოდებენ.

— კლიპებს რატომ არ იღებთ?

— ბევრი ფული სჭირდება და რომც მქონდეს, კლიპის გადაღებას,ისევ კონცერტის გამართვა მირჩევნია. ახლა ხუთი ათასი დოლარი მჭირდება ერთი პროექტისთვის — სხვადასხვა ქვეყნის ეთნომუსიკა თანამედროვე ჟღერადობით ცოცხალ ჯგუფთან ერთად მინდა გავაკეთო. ჯგუფის წევრები უკვე ვიპოვე და ამ მუსიკას სტუდია „ორფეოსში“ ჩავწერთ, ხოლო შემდეგ, კონცერტს გავმართავთ. მოკლედ, ყველაფერი მაქვს, ფულის გარდა, რომელსაც ვიშოვი თუ არა, მაშინვე ამ პროექტს განვახორციელებ. სულ ახლახან დავამთავრე ახალ ალბომზე მუშაობა, მას ორ-სამ კვირაში „სანო-რეკორდსი“ გამოუშვებს. ალბომს „შეგირიგდები“ ჰქვია და მასში კიდევ რამდენიმე ახალი სიმღერაა. ძალიან მინდა ამ ალბომში შესული ერთ-ერთი ახალი სიმღერის კლიპი ზაზა ორაშვილმა გადაიღოს. ვნახოთ, იქნებ, „ძმაკაცურად“ კლიპის ფულიც თვითონ იშოვოს *(იცინის)*...

— როგორც ვიცით, თქვენი თითქმის ყველა სიმღერა თქვენს მეუღლეს ეძღვნება...

— ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. სიმღერის ტექსტის წერის დროს ყოველთვის ჩემი და რეზოს ურთიერთობაზე ვფიქრობ. 29 წელია, ერთად ვართ და ეს ძალიან კარგი და საინტერესო წლები იყო, ემოციებით სავსე — მოკლედ, რეზოს გვერდით არ მოიწყენ.

— რატომ არ ყიდით თქვენს სიმღერებს?

— არც არასოდეს გავყიდი. დროის უქონლობის გამო, ბევრ სიმღერას ვერ ვწერ, ხოლო რასაც ვწერ, სხვისთვის მენანება და თავად ვმღერი. იყო პერიოდი, როცა საბავშვო მიუზიკლებს ვწერდი, დღეში სამი-ოთხი არია დამიწერია. „ზღაპარ ქალაქი-2“ ზუსტად 12 დღეში დავწერე. 1988 წელს მოსკოვში დავდგი ჩემ მონო-ოპერა „სინაზე“, რომელიც მოსკოვის ოპერეტის

შვიდი ტელემარათონი ჩავატარეთ და ამ ფორმამ საკუთარი თავი ამოწურა: ბოლო მარათონზე მხოლოდ 200 ლარი შეგროვდა...

თეატრმა დამიკვეთა. ამას ალბათ წინასწარ ვერასდროს წარმოვიდგენდი. ჩამოვიდნენ მოსკოვიდან და მკითხეს — შემთხვევით, ბარბიუსის „სინაზე“ წაკითხული ხომ არ გაქვსო?.. წაკითხული კი არა, ზეპირად ვიცოდი, რადგანაც ეს ჩემი ბავშვობის საყვარელი ნოველა იყო. ლიბრეტო დამიტოვეს და მთხოვეს, ოპერის დაწერა სცადეო. 10 დღეში დავწერე. რომ მოისმინეს, სწორედ ეს გვინდოდაო, — მითხრეს და ერთ თვეში მოსკოვში, ოპერეტის თეატრში დავდგით. მომავალში ალბათ აქაც დავდგამ, თუმცა ქართულ ენაზე რთულად ითარგმნება, რაღაც სხვანაირი მუსიკა გამომივიდა.

— ახლა სახელმწიფო ტელევიზიაში მიმდინარე რეორგანიზაციებზეც გაგვიმხილეთ რამე...

— ვიცი, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიად უნდა გადაკეთდეს — მეტი ჯერჯერობით, არაფერი ვიცი. ჩემს უფროს ქალიშვილს — სალომეს ორი „მაგისტრი“ აქვს დაცული, მათ შორის ერთი — ინგლისში, წარჩინებით, „მედიის თეორიულ ანალიზში“. რომ ვეკითხები — რა არის ეს საზოგადოებრივი ტელევიზია-მეთქი? — იცინის და მპასუხობს: თქვენ რას აკეთებთ, არ ვიცი, მაგრამ ისე, კარგი რამეაო... ვნახოთ, რა იქნება. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

■

ლელა ჭანკოტაძე

უახლოეს მომავალში რა ელით, რისი ეშინიათ და რას მალავენ ცნობილი და გავლენიანი ადამიანები? როგორი იქნება 2004 წელი ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილისა და კომპოზიტორ რუსა მორჩილაძისთვის?

„ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად, შიში არც მისთვისაა უცხო“

„ბადრი პატარკაციშვილი სულიერ სიმშვიდეს მალე მიაღწევს“

— მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანია. თუმცა მისი წონასწორობიდან გამოყვანა ძნელი სულაც არ არის. საკმარისია სულში ხელის ფათური დაუწყოთ, რომ ის გაშმაგდება. მხოლოდ ოჯახის წევრებმა იციან, როგორია გაცეცხლებული ბიზნესმენი.

— მის თვალებში რა შეგიძლიათ ამოიკითხოთ?

— მის თვალებში ბევრი რამ ჩანს, მაგრამ ყველაფრის თქმა, ცხადია, არ შეიძლება. მისი ცხოვრების წვრილმანებს თუ გამოვააშკარავებ, არ იქნება ლამაზი... მშვიდი ცხოვრება ნამდვილად არა აქვს. პირიქით, რთული სიტუაციებიდან თავის დაღწევა მისთვის ხშირად სერიოზულ პრობლემად ქცეულა. მისთვის ფული ისეთივე საფარველია, როგორც კუსთვის ჯავშანი.

— მისი ხასიათის უარყოფით და დადებით მხარეებზე თუ შეგიძლიათ რაიმე კონკრეტული გვითხრათ?

— გასული ორი თვე მისთვის საკმაოდ გაწელილი იყო და მძიმეც აღმოჩნდა. ამიტომ ფოტოსურათებზე აგზნებული თვალები აქვს. მაგრამ ეს დროებითია — ის სულიერ სიმშვიდეს მალე მიაღწევს და მომავალი თვიდან, შედარებით დაწყნარდება. ძალიან ჭკვიანია. ყოველთვის იცის, ვისთან და რატომ უნდა იმეგობროს. მოქეიფე კაციც არის. სუფრის გაშლა და მოლხენა ძალიან უყვარს. ისეთს, როგორიც სინამდვილეშია, არავინ იცნობს — გარდა ერთი, მასზე ბევრად უცნობი ადამიანისა, რომლისთვისაც სულსა და გულს არ დაიშურებს... დიდი სიყვარული და ერთგულება შეუძლია. საერთოდ, საკუთარი, სხვებისთვის ხშირად გაუგებარი პრინციპებით ცხოვრობს. ყურადღებიანი, მოსიყვარულე მამაკაცია, რომელიც ვერასდროს იშორებს იმაზე ფიქრს, რომ შეიძლება, ის ფულის გამო უყვარდეთ. ეს მას მოუცილებელ კომპლექსად ექცა და ამან ბევრჯერ დააშვებინა შეცდომა. შეცდომებს ხშირად უშვებს, ძირითადად — ადამიანებთან ურთიერთობისას. ხელგაშლილი არ არის, პირიქით — ყოველთვის სურს იცოდეს, რაზე იხარჯება მისი ფული. ეჭვიანია. ეს თვისება ავადმყოფობად ექცა: სულ ეჩვენება, რომ ღალატობენ. ამის გამო მოსვენებული და მშვიდი თითქმის არასდროსაა.

— რა არის მისი წარმატების საიდუმლო?

— იღბალი. დაიბადა თუ არა, იმ წუთიდანვე, მისი ბედის წიგნში ეწერა, რომ სიმდიდრე და ფუფუნება ელოდა, რომ კანონის წინაშე პირნათელი არასდროს იქნებოდა, მაგრამ ფულით ყველაფრის ყიდვას შეძლებდა. სიმდიდრე ბედისწერაა და ფუჭია იმის მტკიცება, თითქოს თუ მოვინდომებთ, ყველა სურვილს ავისრულებთ. რაც ბედის წიგნში არ გვწერია, ის არც ავისრულდება.

— მომავალში რა ელის?

— მშვიდი, სტაბილური ცხოვრება. უმნიშვნელო ხიფათი, დიდი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდება, მაგრამ უკვალოდ ჩაივლის.

— რისი ეშინია?

— ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად, შიში არც მისთვისაა უცხო. ეშინია, რომ ხელისუფლებასთან საერთო ენას ვერ გამონახავს, რომ ოდესმე, შეიძლება, ხელისუფლების მხრიდან დაცვა და მხარდაჭერა ვეღარ იგრძნოს...

— თუ შეგიძლიათ მის რეინკარნაციაზე გვითხრათ რამე?

— მისი სული ჯერ ახალგაზრდაა. მხოლოდ ერთხელ განიცადა რეინკარნაცია. მან XIX საუკუნეში ერთი ცხოვრება დაასრულა და ახლა მეორედ დაიბადა. ის ჭაბუკობის ასაკში გარდაიცვალა, დუელში მოკლეს. ასე რომ, ბევრი არაფრის თქმა არ შემიძლია მისი წინა ცხოვრების შესახებ.

„ზაზა ბეგაშვილისთვის ეს სავარძელი ტრამპლინად იქცევა“

— ენერგიული, მხიარული, მოქეიფე და გონებამახვილი ზაზა ბეგაშვილი თვალებით კეთილ ჯინს ჰგავს, რომელიც დატყვევებული იყო და ახლა, სიკეთის საკეთებლად ბოთლიდან ამოუშვეს. სულით და გულით რევოლუციონერია, დაუდგრომელი და მჩქეფარე ცხოვრებისთვის არის გაჩენილი. ერთფეროვანი და უღიმღამო ცხოვრება მისთვის მიუღებელია. გამჭრიახიცაა. ყოველთვის იცის, სად უნდა დადგეს, რომ ჩრდილში არ მოექცეს. ვის უნდა დაუჭიროს მხარი და როგორი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის დღეებში ახლობლები ურჩევდნენ — ერთი ნაბიჯით უკან დადექიო, — ის მაინც ჯიუტად ცდილობდა „ხავერდოვანი“ მიტინგების სახე გამხდარიყო. მან ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა და მისი აქტიურობა მომავალში, მისი პოლიტიკური ცხოვრებისთვის სტაბილურობის გარანტი რომ იქნებოდა.

— როგორ შეფასდება მისი მოლვაწეობა თბილისის საკრებულოში?

— ის მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო შენიშვნას მიიღებს პრეზიდენტისგან. საკმაოდ თბილი და მყარი სავარძელი, რომელშიც აღმოჩნდა, ერთგვარი ტრამპლინიც იქნება მისთვის: ზაზა ბეგაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში გადაინაცვლებს, კარგი მუშაობისათვის დააწინაურებენ.

— რისი ეშინია?

— ეშინია, რომ შეიძლება, მიუტევებელი შეცდომა დაუშვას. საერთოდ, შეცდომების დაშვების პანიკური შიში აქვს. ვერ იტანს, როცა შენიშვნას აძლევენ. მის მიმართ გამოხატული მსუბუქი ირონიაც კი მისთვის ძალზე მტკივნეულია. შეურაცხყოფას არავის აპატიებს. თუ ერთხელ აწყენინეთ, მისი შემორიგება ძალიან გაგიჭირდებათ. წყენა მხოლოდ წლების შემდეგ გაუნელდება.

„რუსა მორჩილაძე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომპოზიტორი გახდება“

— ხალისიანი, მუდამ მოცინარი და ერთი შეხედვით ბედნიერი რუსა მორჩილაძე სინამდვილეში, ძალზე სევდიანი, ნერვიული და სენტიმენტალურია. მასში თითქოს ორი ადამიანი სახლობს: ერთი, ცხოვრებით ძალიან უკმაყოფილოა, მეორე — პირიქით, ცხოვრებით ხარობს, ერთს ნერვები დაწყვეტაზე აქვს, მეორე — პირიქით, გაწონასწორებულია.

— ხასიათის ასეთი გაორება რითაა გამოწვეული?

— ეს რეინკარნაციის გავლენაა: რუსას ბებერი სული აქვს — ის ბევრჯერაა ამქვეყნად მოვლენილი, თანაც ბოლო ორი ინკარნაცია ერთსა და იმავე საუკუნეს უკავშირდება. ცხადია, ეს უკვალოდ არ ჩაივლიდა და რუსას უცნაური ხასიათი სწორედ ამითაა განპირობებული. ის იმ იშვიათ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც იოლად აცნობიერებენ საკუთარი ხასიათის თავისებურებებს და ცდილობენ, თავი ისეთებად წარმოაჩინონ, როგორიც მათთვის ხელსაყრელია. მაგრამ ოჯახში რუსა ტიპური ქართველი ქალია. ბუნებით შემგუებელია და ყველაზე მკაცრ მოთხოვნებსაც კი შეიძლება, მოთმინებით შეხვდეს, რადგან მისთვის ყველაზე მთავარი — ოჯახია.

— ეი. მყარი ოჯახი აქვს, არა?

— კი, სტაბილური ოჯახი აქვს. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, რუსა და მისი მეუღლე სულ ერთად იქნებიან. მათ შვილს დიდი მომავალი ელის. მისი თვალებიდან ჩანს, რომ ნიჭიერი, გონებაგახსნილი ბავშვია. ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვა და მწვერვალების დაპყრობა არ გაუჭირდება. რუსას მეუღლეს ჯერჯერობით, დიდი წარმატებების ხანა არ უდგას, ვერ გეტყვით, რომ ბიზნესში დიდი წარმატებები ექნება, მაგრამ მის ოჯახს მატერიალური პრობლემები არ შეაწუხებს. რუსას თვალებში ვხედავ, რომ მისი ქმარი არაჩვეულებრივი მამაკაცია, რაც გამუდმებით რუსას აღფრთოვანებას იწვევს. მართალია, სტაბილური ოჯახი აქვს, მაგრამ რუსას მაინც ვურჩევ, ქმარი ცოტა მეტად გააკონტროლოს. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვაძვირი კაცია და თითქოს პირქუშიც, ქალებმა იციან, რომ ამ თვისებების მიღმა, მათი იდეალი იმალება.

— რა ელის რუსას უახლოეს მომავალში?

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კონკურენტი გამოუჩნდა, ის მაინც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომპოზიტორი გახდება. ვხედავ, რომ ბრწყინვალე მომავალი ელის. თუმცა, მის ცხოვრებაში უხვად იქნება ინტრიგა, ჭორი და მითქმა-მოთქმა. ■

„ჩვენი პოდიუმი დედამიწაა“



კონკურსი „ქორთიარდში“, მიწვევა იტალიაში და ერთთვიანი ეთერი „ფეშენ ტი-ვიზე“

ნათია ქივიძე

გასულ კვირას ახალგახსნილ სასტუმროში — „ქორთიარდ მერიოტ“ მეოთხედ გაიმართა ახალგაზრდა დიზაინერთა ყოველწლიური საქველმოქმედო კონკურსი სახელწოდებით — „ჩვენი პოდიუმი დედამიწაა,“ რომლის ორგანიზატორიც იყო საქველმოქმედო ფონდი „ქალთა კლუბი — მეტეხი“ (პრეზიდენტი — მარინა გუნია), ხოლო თანაორგანიზატორი — ხელოვნებისა და მოდელების კავკასიის საგენტო „ამსა“ (ხელმძღვანელი — სოფო ჭყონია). სოფო აღნიშნული საღამოს წამყვანადაც მოგვევლინა და ამ, მისთვის ახალ ამპლუას კარგადაც გაართვა თავი.

კონკურსში 104 ახალგაზრდა მემოდელე-დიზაინერი მონაწილეობდა. პირველ ეტაპზე, მათ თავიანთი კოლექციები ესკიზების სახით წარმოადგინეს. საუკეთესოთა შერჩევის პროცესი რამდენიმე ეტაპად იყო დაყოფილი. საბოლოოდ, კონკურსში 20-მა დიზაინერმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენებაზე თითოეული მათგანის ხუთ-ხუთი კოსტიუმი სამოდელო საგენტო „ამსას“ მოდელებმა წარმოადგინეს.

ჟიურის თავმჯდომარე, სორბონისა და მოსკოვის უნივერსიტეტების პროფესორი, ალექსანდრ ვასილიევი გახლდათ, ხოლო ჟიურის წევრებად ქართველი დიზაინერები — გიორგი ნადირაძე და სალომე ტყაბლაძე, პარიზის მოდის ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ფრანსის პეიორონი, კონკურსის მთავარი ქორეოგრაფი ოლდრიხ ნეუმანი, მილანის მოდის აკადემიის პრეზიდენტი რაფაელ კორეალე და აკადემია „იტალიანას“ პროფესორი ვინჩენცო გიუბა მოგვევლინნენ. ამ უკანასკნელმა მოდელების კასტინგიც ჩაატარა და 16 საუკეთესო მანეკენი შეარჩია, რომლებსაც ფლორენციაში დაგეგმილ ჩვენებაზე წაიყვანს.

კონკურსზე წარმოდგენილი კოლექციები საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. აი, რამდენიმე მათგანის სახელწოდება: „ფრანგული სტილი“, „მარკესი და მარტოობის ასი წელი“, „მუზა“, „ლეგენდები“. მაყურებელს საშუალება ჰქონდა აგრეთვე, ეხილა აღმოსავლურ და დასავლურ მოტივებზე შექმნილი, ძველი თბილისური სტილისა და კონკიას სამოსში გამოწყობილი, „ამსას“ მოდელები.

საკონკურსო ჩვენებისა და ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ, ჟიურის გადაწყვეტილება გაგვაცნეს, რომლის თანახმადაც, გრან-პრი ახალგაზრდა დიზაინერმა ნინო აბესაძემ დაიმსახურა. პირველ ადგილზე რუსუდან მარგველაშვილი გავიდა, მეორე ადგილი ნინო ჭინჭარაულმა დაიკავა, რომელიც ასევე ნომინაციაში — „საუკეთესო ესკიზი“ — დაჯილდოვდა, მესამე ადგილი კი, თათო კაპანაძემ და თეა აკოფიამ გაიყვეს. ოთხივე გამარჯვებული რუსეთში გამართულ საერთაშოროსო კონკურსში — „სილუეტი“ მიიღებს მონაწილეობას.

საუკეთესო მოდელად ჟიურიმ თიკა სიხარულიძე დაასახელა, ხოლო მილანის მოდის აკადემიის პრეზიდენტმა რაფაელ კორეალემ კი კონკურსში მონაწილე ყველა დიზაინერი საკუთარ აკადემიაში სასწავლებლად მიიწვია.

შარშანდელისგან განსხვავებით, წელს, ტელეკომპანია „ფეშენ ტი-ვის“ პრეზიდენტმა ფრანსუა ტილემ ჩამოსვლა ვერ მოახერხა, თუმცა, იგი ორგანიზატორებს შეუთანხმდა, რომ პრიზის სახით კონკურსის ამსახველი სიუჟეტები „ფეშენ ტი-ვის“ ეკრანზე ერთი თვის მანძილზე, დღეში რამდენჯერმე იტრიალებს.

საღამო წინა კონკურსის გამარჯვებულის — გიორგი ამირეჯიბის კოლექციის ჩვენებით დასრულდა. ■

გამრავლება „სტახანოვურად"

ავთო მარგველაშვილი

არცთუ ისე შორეულ წარსულში, კომუნისტების ხანას რომ ვეძახით, ყველა წარმოება-დაწესებულებაში იყო გამოყოფილი სპეციალური ადგილი „წითელი დაფისთვის", რომელზეც ამ ორგანიზაციის მოწინავე თანამშრომელთა ფოტოსურათები იყო გამოკრული. „სტახანოვური მოძრაობის" გმირთა გელერეაში ნახავდით მოწინავე ზეინკლებს, მწველავებს, მეშახტეებს და ა.შ.

ერთ-ერთი დაბალმთიანი რაიონის სამშობიარო სახლის მოსაცდელ დარბაზში, რომელიც ამავდროულად, მშობიარეთა მისაღების ფუნქციასაც ითავსებს, კედელს დღესაც ამშვენებს წითელი დაფა ოქროსფერი წარწერით: „ჩვენი მოწინავენი". მაგრამ როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ამ დაფაზე ვერც მეან-გინეკოლოგის სურათს ნახავთ და ვერც ბებიაქალის. ამ დაფაზე ის ქალები არიან „გაკრული", ვინც სამშობიაროს „პასტაიანნი კლიენტებად" ითვლებიან და გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში ეხმარებიან დემოგრაფიაში მოკოჭლებულ რაიონს.

გმირ დედათა გალერეაში ქალბატონი თამარის სურათი ლიდერობს, რომელიც მეათე შვილის გაჩენის შემდეგაა გადაღებული. ქალბატონ თამარს სურათში ძალზე დამწუხრებული სახე აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ 10 ქალიშვილის შემდეგ, ქმარი მაინც არ მოასვენებს და ბიჭის გაჩენის ჟინით მალე შეაბრუნებს ცოლს სამშობიაროში...

ქმარი — ბატონი ჟორა რაიონის ცენტრში არსებული შერეული მაღაზიის გამგე, მომმარაგებელი, ბუღალტერი და გამყიდველი იყო. ვაჭრობაში კი, მოგეხსენებათ, „ერი-ორი კაპიკი" მაშინაც იშოვებოდა, მით უმეტეს, თუ „ხარისხის ნიშნის" ხუთკუთხა შტამპს გააჩალიჩებდი „ლევად" და ფეხსაცმლიდან დაწყებული, კვერცხით დამთავრებული, ამ ნიშანს დაარტყამდი ყველა საქონელს — მაღალ ფასში გასაყიდად...

ასე და ამგვარად, ჟორას ცოლ-შვილის რჩენა არ უჭირდა და არც გამრავლებაზე იხევდა უკან. მთელი რაიონი მას მეტსახელად „მარაზილკას" ეძახდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ დიდი მაცივარი ედგა მაღაზიაში, არამედ იმიტომ, რომ „მინუს 12" ჰქონდა თვალებში და საკმაოდ სქელი მინების მიღმა, თვალები გაყინულ სკუმბრიას მიუგავდა.

სკოლის დირექტორიც მეტისმეტად აფასებდა „მარაზილკას", რადგან მისი ათი შვილი სკოლის ათივე კლასში სწავლობდა. უფროსმა ქალიშვილმა სკოლა რომ დაამთავრა და დანარჩენმა დებმაც ერთი კლასით წინ გადაინაცვლეს, პირველ კლასში „ვაკანსია" გაჩნდა და ჟორამ ცოლს უთხრა:

— ქალო, რამდენი ხანია, შვილი არ შეგვძენია... აგე, ერთი კლასი უკვე გავაცდინეთ, გაისად მეორესაც გავაცდენთ. არაფერი ვქნათ?..

— ხომ არ შეიშალე?! საცაა, შვილიშვილს მოგვასწრებს უფროსი შვილი და რაღა დროს ჩემი ბავშვია?! — აღშფოთდა თამარი.

— სიძეები ვაბოგინო ჩემს ქონებაზე? ბიჭი მინდა, ბიჭი! — არ ცხრებოდა ქმარი.

მალე მართლაც, გაეპარა უფროსი ქალიშვილი და „მარაზილკა"—ჟორამ ჩინებული ქორწილი გადაუხადა — კახელი სიძის პატივსაცემად, ხაშლამაც კი უხვად დაყარა სუფრაზე.

— რისია, ჟორა, ეს ხაშლამა? „პაკრიშკის"? — ჰკითხა ერთმა მეზობელმა მასპინძელს, კარგა ხანს რომ აბურთავა ხორცი პირში, მაგრამ ვერაფრით რომ ვერ დაღეჭა.

— რას ამბობ, ბიჭო?! ჩემს შვილთან ძმასავით შეზრდილი მოზვერი დავკალი! — თავი გაიმართლა „მარაზილკამ". — ეგ რომ შემეძინა, მაშინ ვიყიდე და დავიფიცე, ამის ქორწილში დავკლავ-მეთქი...

მხოლოდ ირგვლივმყოფთა ხარხარზე მიხვდა ლამის 20 წლის დედოფლის მამა, რომ „პაკრიშკასა" და ხაშლამას შორის მეზობლის მიერ გავლებული პარალელი არცთუ ისე ულოგიკო იყო...

ქალიშვილის გათხოვების შემდეგ, ჟორამ კიდევ უფრო დაიჟინა, მანამ არ გაჩერებულიყო, სანამ ბიჭი არ შეეძინებოდა. საცოდავმა ცოლმა პროტესტის რომელ ხერხს არ მიმართა: ხან „მჯდომარე აქცია" მოაწყო (რომელიც ქმარმა მაინც „მწოლიარეში" გარდაქმნა), ხან შიმშილობა გამოაცხადა, მაგრამ არაფერმა უშველა და ბოლოს, „სტახანოველ" ქმარს განუცხადა:

— ტელევიზორში ვნახე, ასეთი პროტესტიც არსებობს თურმე: პირს ამოვიკერავ!..

— ამოიკერე მერე, პირი რაში მჭირდება?!. — გადაიხარხარა ჟორამ. — უკეთესიცაა: ნაკლებს ილაპარაკებ...

მიხვდა ბედკრული თამარი, რომ პირი კი არა, „ყველაფერი" რომ ამოეკერა, „მარაზილკა" მაინც არ მოისვენებდა და ბედს შეეგუა...

გავიდა ცხრა თვე. ჟორას მანქანამ სამშობიარო სახლს „მიაკივლა" და მთელი მედპერსონალი სრულ „საბძოლო" მზადყოფნაში დახვდა მონატრებულ პაციენტს; სიძე-სიმამრმა ორი მშობიარე ქალი — დედა-შვილი გადმოიყვანა.

— ნუ გეშინია, შვილო, — ამშვიდებდა ჟორა ქალიშვილს, — დედაშენს დააკვირდი და შენც ისევე მოიმოქმედე ყველაფერი. ხომ იცი, გამოცდილია.

მოლოდინი უსაშველოდ გაიწელა. როგორც იქნა, სანიტარი გამოვიდა და სიძეს ტყუპი ვაჟი მიულოცა.

— მაჯობე, ხომ, შე კახელო?! — გულში ჩაიკრა ჟორამ სიძე და სიხარულის ცრემლები სათვალის მინებზე შიგნიდან დაგებული „დვორნიკებით" მოიწმინდა. მაგრამ სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მეორე სანიტარმაც გამოყო თავი კარის „ფორთოჩკაში", ტყუპი გოგოო! — დაიძახა და ჟორას ხელში დეზდემონას ხვედრი რომ არ გაეზიარებინა, სასწრაფოდ უკუიქცა...

ერთი ღრმად ამოიოხრა კაცმა, მერე კი წამოიძახა — მაინც არ მოვეშვებიო! — და სამშობიარო სახლის გვერდით მდგომი რესტორნის მზარეულს პურმარილი შეუკვეთა...

რაიონის სკოლის კლასებში მეორე „კრუგზე" წამოვიდნენ ჟორას შვილები, ქალბატონი თამარის სურათი კი არც გამოუცვლიათ წითელ დაფაზე, რადგან ვინ იცის, ისევ როდის გამოადგებათ...

■

არასოდეს თქვა „არასოდეს“

საყვარელ ადამიანთან განშორება ძნელია, მაგრამ ზოგჯერ უფრო რთულად გეჩვენება ახალი ცხოვრების თავიდან დაწყება. „აღარ მჯერა მამაკაცების, არასოდეს, არასოდეს აღარ შევიყვარებ!“ ამბობთ სასოწარკვეთილი და ცდილობთ, წარსულს საბოლოოდ მიუხუროთ კარი, მაგრამ სანამ ამას გააკეთებთ, კარგად დაფიქრდით და იმ მამაკაცის უარყოფითი და დადებითი თვისებები, რომელთან დაშორებაც გადაწყვიტეთ, ობიექტურად შეაფასეთ. თუ მასში ნეგატიური თვისებები ჭარბობს და საბოლოოდ დარწმუნდით, რომ ეს მამაკაცი თქვენი შესაფერისი არ არის, ან გრძნობთ, რომ მას ისე ძლიერ აღარ უყვარხართ, როგორც უწინ, თუ გრძნობები მართლა გაცივდა, გირჩევთ, დროს ტყუილად ნულარ დაკარგავთ და თამამად თქვით სიტყვა „მშვიდობით“! შემდეგ კი შეეცადეთ, თქვენს ფიქრებთან მარტო არ დარჩეთ. ინტენსიურად იარეთ გასართობ ადგილებში, გაიცანით საინტერესო ადამიანები, გამხიარულდით, გახსენით გულის კარი და ახალი სიყვარულიც თავად მოგძებნით. თქვენ კვლავ შეიყვარებთ და დარწმუნდებით, რომ სიყვარულთან მიმართებაში არასოდეს არ უნდა თქვათ სიტყვა „არასოდეს“.

რას გვირჩევენ ფსიქოლოგები

საყვარელ ადამიანთან განშორებისას ქალები ცრემლებს „აფრქვევენ“ ხოლმე, მაგრამ თუ ემშვიდობებით მამაკაცს, რომელთან ცხოვრებაც აღარ გინდათ, ჯობს ზედმეტი ახსნა-განმარტებებისა და საყვედურებისგან თავი შეიკავოთ. მაგრამ თუ ატყობთ, რომ უსიამოვნო საუბარი არ აგცდებათ, მაშინ ფსიქოლოგის რჩევებით ისარგებლეთ და დამშვიდობების „ცერემონიაც“ ნაკლებად მტკივნეული იქნება.

პირდაპირობა – ქალისა და მამაკაცისთვისაც აუცილებელი პირობაა. ასევე აუცილებელია მშვიდად განიხილოთ, თუ რა არის მთავარი პრობლემა თქვენს ურთიერთობაში. გაითვალისწინეთ, რომ დანაშაული მხოლოდ მამაკაცს არ უნდა გადააბრალოთ. გაუსწორეთ სიმართლეს თვალი და საკუთარი შეცდომებიც აღიარეთ.

იყავით თავაზიანი – ეს ძალიან მნიშვნელოვანი პირობაა. თუმცა, თავაზიანმა ტონმა თქვენი სიმტკიცე არ უნდა შეარყიოს. შეეცადეთ ისე ისაუბროთ, რომ თქვენმა პარტნიორმა „არაში“ „ჰო“ არ იგულისხმოს. თქვენი პოზიცია მარტივად ჩამოაყალიბეთ. ნუ გაიხსენებთ წარსულს. არც დათმოთ და არც უკან დაიხიოთ. მოიქეცით მხოლოდ ისე, როგორც თქვენთვის არის უმჯობესი.

იყავით დიპლომატიური და ტაქტიანი – ეს აუცილებელია იმისათვის, რომ პარტნიორის თვალში კარგი ადამიანის რეპუტაცია შეინარჩუნოთ, მაგრამ ამისათვის არ არის საჭირო წარმოთქვათ სიტყვები: „მოდი, უბრალოდ, კარგ მეგობრებად დავრჩეთ“. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტნიორს ურთიერთობის აღდგენის ცრუიმედი დაუტოვოთ, რაც იმით დასრულდება, რომ რამდენიმე თვის შემდეგ, ის ხელახლა შეეცდება სიყვარულში დაგარწმუნოთ და თავგზა აგიბნიოთ. თქვენი გონება ახალი ურთიერთობებისა და ცხოვრების თავიდან დაწყებისათვის სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. თუ გრძნობთ, რომ განშორების შემდგომი პერიოდი თქვენთვის ძნელი გადასატანი იქნება, ჯობს სადმე გაემგზავროთ და ყურადღება სხვა თემაზე გადაიტანოთ. კარგი იქნება თუ რამდენიმე დღით მეგობარ ქალთან გადახვალთ საცხოვრებლად და დროს მხიარული ამბების გახსენებაში გაატარებთ.

წინ, ბედნიერების საძებნელად!

გწამდეთ, რომ აუცილებლად შეხვდებით ღირსეულ ადამიანს და მას მართლა შეხვდებით. რატომ უნდა გრძნობდეთ თავს უბედურად, როცა თქვენ ბედნიერებისთვის ხართ გაჩენილი? თუკი გეყოფათ ძალა, რომ გაწყვიტოთ კავშირი შეუფერებელ მამაკაცთან, ე.ი. იმის ძალაც გაქვთ, რომ ღირსეული მამაკაცის გვერდით თავიდან დაიწყოთ ცხოვრება. ამისათვის კი არასოდეს არ არის გვიან. ასე რომ, წინ, ბედნიერების საძებნელად. ვინც ეძებს, პოულობს კიდეც! ■

სპირტიანი სასმლის ყალიონი...



ალკოჰოლის მიღების წესის გამრავალფეროვნების სურვილმა მის მოყვარულს – ინგლისელ ქალს დომინიკ სიმლერს გამოგონებისკენ უბიძგა. მან ააგო ორიგინალური დანადგარი – **AWOL (Alcohol With Out Liquid** – „ალკოჰოლი სითხის გარეშე“), რომელიც ყალიონის პრინციპით მუშაობს, თუმცა გარეგნულად მტვერსასრუტს უფრო ჰგავს. მასში ასხამენ ალკოჰოლურ სასმელს, შემდეგ კი, სპეციალური მილის მეშვეობით, მის აირებს ჩაისუნთქავენ. ბუნებრივია, მანქანა ნებისმიერი სახეობის სასმელს „მიიღებს“. ინგლისში უკვე ბევრი ბარი სთავაზობს კლიენტებს, თითო ულუფა ალკოჰოლური ჰაერის ჩასუნთქვას. „სტაჟიანი“ მსმელები აღნიშნავენ, რომ **AWOL** სრულიად გამორჩეულ შეგრძნებას იწვევს, რადგან ერთდროულად სვამ და ეწევი: გარდა ამისა, დათრობის პროცესიც გაცილებით სწრაფია... ■

მხოლოდ ქალებისათვის

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი



კრიტიკული დღეები

ზოგჯერ ხდება, რომ მენსტრუაციული გამონადენი მეტისმეტად ჭარბია ან პირიქით – მცირდება, ციკლის პერიოდი კი შეიძლება გახანგრძლივდეს ან შემცირდეს. მენსტრუაციას თან ახლავს ქვედა მუცლის ტკივილი, დეპრესია, თავის ტკივილი, გაღიზიანება, სისუსტე. ყოველივე ეს ქალის ცხოვრებას კრიტიკულ დღეებში აუტანელს ხდის. ასეთი ნიშნები ორგანიზმში სერიოზულ ცვლილებებზე მეტყველებს. ხშირად, მათი მიზეზი ჰორმონული სისტემის დარღვევებია. მენსტრუაციის დროს ჭარბ სისხლდენას იწვევს ანთებითი პროცესები, შეგუბებები მენჯის არეში, მიომა, აგრეთვე მაღალი არტერიული წნევა, გულისა და თირკმლების დაავადებები. ციკლის გაიშვიათება ან გახშირება კი, შეიძლება, დაკავშირებული იყოს საკვერცხეების დისფუნქციასთან. მასზე გავლენას ახდენს აგრეთვე ფიზიკური დატვირთვა, გადაღლა, სტრესები, ფსიქიკური მდგომარეობა.

თუ დარღვევები რეგულარულია, მიზეზების გასარკვევად ექიმს უნდა მიმართოთ, ხოლო მათი ეპიზოდურად გამოვლენისას, სცადეთ, უსიამოვნო შეგრძნებებს, თავად დააღწიოთ თავი.

● ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე, განსაკუთრებით მენსტრუაციის დაწყებამდე. იმოძრავეთ, ივარჯიშეთ. ცდებიან ის ქალები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კრიტიკული დღეები სრულ სიმშვიდეში, წოლით მდგომარეობაში უნდა გაატარონ და ორგანიზმს ყოველგვარი დატვირთვა უნდა მოუხსნან.

● სულაც არ არის საჭირო ცხოვრების ჩვეული რიტმის შეცვლა. შეასრულეთ დილის ვარჯიში, ოღონდ შეამცირეთ მისი ხანგრძლივობა; ნუ გააკეთებთ იმ ვარჯიშებს, რომლებიც მეტისმეტ დაძაბვას მოითხოვს. თუ აერობიკას მისდევთ, შეამცირეთ მისი ინტენსივობა.

● მუცლის ძლიერი ტკივილის შემთხვევაში დაგეხმარებათ თბილი შხაპი, სათბურა, თბილი თეთრეული და 1 ჭიქა ცხელი რძე ძილის წინ. აუცილებლად შეიტანეთ რაციონში სოიის პროდუქტები, ცოცხალი ბოსტნეული და ხილი: კომბოსტო, ისპანახი, ბანანი.

● მენსტრუაციის დროს და მის დაწყებადე რამდენიმე დღით ადრე, ერიდეთ მარილიან საკვებს, კარგი იქნება, თუ დაიცავთ ორდღიან დიეტას, რომელიც გულისხმობს ხილს, ბრინჯისა და ნატურალური ხილის წვენების მიღებას. ■

მხოლოდ მამაკაცებისათვის

გარდამავალი პერიოდი

გარდამავალი პერიოდი მამაკაცებს 50-60 წლის ასაკში ეწყებათ. ამ დროს მცირდება სასქესო ჰორმონის – ტესტოსტერონის გამომუშავება, რასაც მოსდევს თირკმელზედა ჯირკვლების, ფარისებრი ჯირკვლის, ჰიპოფიზის ფუნქციის მოშლა და მამაკაცს კლიმაქსი უვითარდება.

როგორც წესი, კლიმაქსური პერიოდი მამაკაცებში 2-დან 4 წლამდე გრძელდება და თან ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორებიცაა: გულის ფრიალი, არტერიული წნევის მატება, თავბრუსხვევა, მეხსიერების გაუარესება, უძილობა, მკვეთრად ქვეითდება შრომისუნარიანობა. შეიძლება, მნიშვნელოვნად დაქვეითდეს სქესობრივი პოტენციაც.

ამ პერიოდში რეკომენდებულია ვიტამინების მიღება, ზოგადგამაძლიერებელი რეჟიმი, დიეტა. კლიმაქსის პათოლოგიური მიმდინარეობისას შესაძლოა, საჭირო გახდეს ჰორმონული პრეპარატები და ანტიდეპრესანტებიც. მაგრამ დასაწყისისთვის ხალხური საშუალებები გამოიყენეთ.

ნერვიული აგზნებისა და გულის ფრიალის დროს მოამზადეთ ნარევი, რომელიც შედგება თანაბარი რაოდენობით – ვალერიანის, შავბალახას, ძირას და დიდი კამისაგან. აიღეთ ნარევის 1 ს/კ, დაასხით 1 ჩ/ჭ ანადუღარი წყალი, დააყოვნეთ 30-40 წთ, შემდეგ გადაწურეთ, მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

გაღიზიანებისა და უძილობის დროს შეურიეთ თანაბარი რაოდენობით – ვალერიანი, პიტნა და გვირილის ყვავილები. დაამზადეთ იმავე წესით, როგორც წინა რეცეპტი და მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 2-ჯერ დღეში – დილით და ძილის წინ.

არტერიული წნევის მატებისას აიღეთ 2-2 წილი – კუნელი, მელისა, ფითრი, შავბალახა და თითო წილი უზანი და ხეჭრელი. ნარევის ერთი ს/კ-ს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 40 წთ, გადაწურეთ. მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 2-ჯერ დღეში, ჭამამდე ან ჭამიდან ერთი საათის შემდეგ.

კლიმაქსის დროს მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ნიკაპის შუა წერტილის მასაჟირება საჩვენებელი თითით, წრიული მოძრაობებით. ამ პროცედურისთვის საუკეთესო დრო, დილის საათებია. მასაჟი სრულდება სრული სიმშვიდის მდგომარეობაში, შესაძლოა, მაშინაც, როცა წევხართ. ■

ბრონქიტი — როგორ დავიცვათ თავი

ბრონქიტის სიმპტომები ბევრს არცთუ ისე სახიფათოდ მიაჩნია, მაგრამ ეს მცდარი შეხედულება გახლავთ. ძალიან მალე, პათოლოგიური პროცესი შეიძლება, ფილტვებზე გადავიდეს და მწვავე ბრონქიტს, პნევმონიის განვითარება მოჰყვეს. ქრონიკული ბრონქიტის შედეგად კი, ვითარდება ობსტრუქცია (სასუნთქი გზების გამავლობის შეფერხება) და ბოლოს — სუნთქვის უკმარისობა. ევროპელი ექიმები ქრონიკულ ბრონქიტს ფილტვების ქრონიკულ ობსტრუქციულ დაავადებას უწოდებენ. მისი ამოცნობა და მკურნალობა დროულადაა საჭირო.

რატომ მოსდევს გაცივებას ბრონქიტი

გაცივებისას ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა ქვეითდება, აქტიურდება მიკრობული ფლორა, ვირუსები და ბაქტერიები, რომლებიც წლის ნებისმიერ დროს პარაზიტობს ცხვირ-ხახის ლორწოვან გარსზე. ყველაფერი ზედა სასუნთქი გზების კატარული ანთებით იწყება. თუ მას სათანადოდ არ ვუმკურნალებთ, ინფექცია ბრონქებში გადაინაცვლებს. ასეთია დაავადების განვითარების მექანიზმი — ზევიდან ქვევით.

თუ იმუნიტეტი დაქვეითებული არ არის, სავლებების, ინჰალაციებისა და მსუბუქი ამოსახველებელი საშუალებების გამოყენებით ადამიანი იოლად ძლევს ხოლმე მწვავე რესპირატორულ ინფექციას. მაგრამ თუ ტემპერატურა 38 გრადუსზე მაღალია ან გაჩნდა მომწვანო ფერის ნახველი, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

შეიძლება, წინასწარვე ვივარაუდოთ, თუ რომელ პაციენტს განუვითარდება ბრონქიტი. როგორც წესი, იგი ემართება თამბაქოს მწეველებს, დასუსტებული იმუნიტეტის მქონე ადამიანებს, მათ, ვინც არაბალანსირებულად იკვებება და მეტისმეტად იტვირთება სამუშაოთი. ამიტომ ავადმყოფობის დროს უნდა გადადოთ ყველა საქმე და მხოლოდ ჯანმრთელობის აღდგენაზე იზრუნოთ. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კვების რაციონიც: გაამდიდრეთ იგი ხილ-ბოსტნეულით, მწვანილეულით. აუცილებლად გაესაუბრეთ ექიმს იმის გასარკვევად, თუ რომელი ვიტამინები და იმუნომოდულატორები უნდა მიიღოთ.

იქნებ, სიგარეტის ბრალია?

ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება შემთხვევათა 90-95%-ში სიგარეტის მოწევის შედეგად ვითარდება. სიგარეტის კვამლი იწვევს ლორწოვანის დამწვრობას, ტრავმირებას და სტრუქტურულ ცვლილებებს. შეცვლილი ლორწოვანი კი, ვირუსებისა და ბაქტერიებისათვის კარგ ნიადაგს წარმოადგენს. ამასთან, სიგარეტის შხამი ამცირებს ორგანიზმის დამცავ ძალებს.

მწეველისთვის მახასიათებელი მუდმივი ხველა ცვლის ბრონქების სტრუქტურას, მათში წარმოიქმნება გაფართოების ადგილები — ბრონქოექტაზიები, სადაც ჩირქოვანი ინფექცია გროვდება. ანთებითი პროცესი თანდათანობით ვრცელდება, ნახველის ამოღება ძნელდება და ირღვევა აირთა ცვლა.

ვიდრე დაავადება არ გაღრმავებულა, გირჩევთ, დაანებეთ თავი სიგარეტს, რადგან შემდგომში მისი განკურნება შეუძლებელი იქნება. მწეველისათვის ბრონქიტის მკურნალობა მხოლოდ დროებით და უმნიშვნელო შედეგს იძლევა.

მწვავე ბრონქიტის დროს

1. სტაფილოს 1 ჩ/ჭ ახალგამოწურულ წვენს შეურიეთ 1 ს/კ თაფლი. მიიღეთ თითო ს/კ 4-5-ჯერ დღეში.

2. მოამზადეთ ნაყენი 2-3 ჩ/კ ძირასა და 1 ჩ/ჭ მდუღარე წყლით. მიიღეთ დღის განმავლობაში.

3. კანიანად მოხარშული კარტოფილი დაჭყლიტეთ, დაუმატეთ 1 ს/კ ზეთი 2-3 წვეთი იოდი, ჩადეთ დოლბანდის ორ ფენას შორის და დაიდეთ მკერდზე, ყელის მახლობლად, ზევიდან კომპრესივით გადაიხვიეთ.

4. ახალგამოწურული კომბოსტოს წვენი დაატკბეთ შაქრით და სვით თითო ჩ/კ 5-6-ჯერ დღეში.

5. ახალგაწურული თალგამის წვენი სვით 1-2 ს/კ 5-6-ჯერ დღეში.

ქრონიკული ბრონქიტის დროს

1. გახეხეთ შავი თალგამი, გამოწურეთ წვენი. 1 ლ წვენს დაუმატეთ 400 გ თაფლი. სვით 2 ს/კ 2-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

2. აურიეთ 2 ს/კ ნაღების კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩ/კ ფქვილი, 2 ჩ/კ თაფლი. მიიღეთ 4-5-ჯერ დღის განმავლობაში.

3. ნახევარ ლიტრ წითელ ღვინოში ჩააწყვეთ ალოეს 4 მოზრდილი ფოთოლი, დააყოვნეთ 4 დღე. მიიღეთ ჩაროზის კოვზით 3-ჯერ დღეში.

■

შევებრძოლოთ ეგზემას

ეგზემას ახასიათებს კანზე სხვადასხვა ზომის წითელი ლაქების გაჩენა. მათ ზედაპირზე ჩანს გამჭვირვალე სეროზული ან სეროზულ-სისხლიანი სითხით სავსე, წვრილი ბუშტუკები, რომელთა გახეთქვისას გაშიშვლებული, ეროზიული ზედაპირი მოჩანს; ბუშტუკთა ნაწილი ხმება და ქერქად გადაიქცევა. დაავადების გახანგრძლივებისას, პროცესი კანის მნიშვნელოვან უბნებს მოიცავს და ამ ადგილებში კანი მკვრივდება. დაავადებას თან ახლავს ძლიერი ქავილი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ადამიანს – ქვეითდება მისი შრომისუნარიანობაც.

დაავადების განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნერვულ-ენდოკრინული და იმუნური სისტემების მოშლილობები, ნივთიერებათა ცვლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციონირება, დისბაქტერიოზი, აგრეთვე სხვადასხვა ალერგენისადმი (ოთახისა და ყვავილის მტვრის, მატყლის, სარეცხის საშუალებების) მომატებული მგრძნობელობა. ნერვული სტრესები, უარყოფითი ემოციები, ფიზიკური და გონებრივი გადაძაბვა, არასწორი კვება ართულებს მდგომარეობას. ამიტომ ეგზემით დაავადებული ადამიანის მკურნალობა კომპლექსური უნდა იყოს – ის დარღვეული პროცესების ნორმალიზებას უნდა მოიცავდეს.

თავდაპირველად, შინაგანი ორგანოებისა და სისტემების პათოლოგიათა გამოსავლენად, ავადმყოფი კარგად უნდა იქნას გამოკვლეული. მხოლოდ ამის შემდეგ ინიშნება კომპლექსური მკურნალობა, რომელიც ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს.

ეგზემის დროს რეკომენდებულია შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვა, სასარგებლოა ყოველდღიური გასეირნება, თუმცა, გაზაფხულზე სეირნობისას, უნდა მოერიდოთ ისეთ ადგილებს, სადაც აყვავებული მცენარეების სიჭარბეა. თუ მაინც მოგიხდებათ ასეთ გარემოში ყოფნა, შინ დაბრუნებისას აუცილებლად გამოივლეთ პირსა და ყელში თბილი წყალი, სველი დოლბანდით გამოიწმინდეთ ცხვირის ღრუ, გადაივლეთ შხაპი და ჩაიცვით ახალი საცვლები, რათა თავიდან აიცილოთ ყვავილის მტვრით გამოწვეული ალერგიული რეაქცია.

ოთახის მტვრის მავნე გავლენის თავიდან აცილების მიზნით კი, ბინის დალაგებისას, სველი ტილო უნდა გამოიყენოთ. ურიგო არ იქნება, თუ უარს იტყვით ხალიჩებზე, რომლებიც მტვერს აგროვებს, მათი დასუფთავებისას კი, ალერგიული რეაქციები ვითარდება. თქვენთვის არ არის სასურველი აგრეთვე შინ შინაური ცხოველებისა და ჩიტების ყოლა, რადგან მათი ბუმბული და ბეწვი აქტიურ ალერგენებს წარმოადგენს.

მოერიდეთ სარეცხ საშუალებებთან, წებოსთან, საღებავთან, ფეხსაცმლის საცხთან და სხვა საყოფაცხოვრებო ქიმიურ საშუალებებთან კონტაქტს. თუ მათ გვერდს ვერ აუვლით, მაშინ საქმიანობისას ჯერ ბამბის ხელთათმანები, მათ ზევიდან კი, პლასტიკური (და არა რეზინის) ხელთათმანები წამოიცვით.

დასაბანად უნდა იხმაროთ ინდიფერენტული საპონი („საბავშვო“, „ლანოლინის“). თავის დასაბანად ნუ გამოიყენებთ შამპუნ-საღებავებს.

ტანსაცმელი, რომელიც კანთან უშუალო შეხებაშია, აუცილებლად უნდა იყოს ბამბისა, ხოლო შალის ან სინთეტიკური ქსოვილის ტანსაცმელი მხოლოდ ზევიდან შეგიძლიათ ჩაიცვათ. სახლში, სადაც ეგზემით დაავადებულია, არ შეიძლება სიგარეტის მოწევა. ეგზემიანი ავადმყოფი არ უნდა მუშაობდეს ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც ქიმიური პროდუქტების დამზადებასა და ექსპლუატაციასთანაა დაკავშირებული.



ეგზემის დროს, შეძლებისდაგვარად უნდა მოერიდოთ სტრესულ სიტუაციებს. ეგზემიანისთვის რეკომენდებულია დამამშვიდებელი საშუალებების მიღება.

კარგ საშუალებას წარმოადგენს მცენარეული ნაყენი, რომელიც მზადდება ვალერიანის ძირებისგან, ორკბილასაგან, გვირილის ყვავილებისგან, კალენდულასაგან, ძირტკბილასაგან, უკვდავასა და ფარსმანდუკისაგან. ყველა ჩამოთვლილი კომპონენტი თანაბარი რაოდენობით უნდა შეურიოთ, შემდეგ ნარევის 1 ს/კ-ს დაასხათ 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ჭურჭელს დაახუროთ თავსახური და დააყოვნოთ 30-40 წთ. მიღებული ნაყენი უნდა მიიღოთ 0,5 ჩ/ჭ 2-ჯერ დღეში.

იგივე ნაყენი შეგიძლიათ გამოიყენოთ აბაზანის მისაღებადაც. ამ მიზნით გამოიყენეთ აგრეთვე ნარევი, რომელშიც შედის მცენარეები: ორკბილა, სალბი, კრაზანა, გვირილა, პიტნა და მრავალძარღვა. რეკომენდებულია აგრეთვე სახამებლიანი აბაზანები და მუხის ქერქის აბაზანები. მათი ხანგრძლივობა უნდა იყოს 15-20 წთ, ტემპერატურა კი – 36-37 გრადუსი.

ეგზემის გამწვავების პროფილაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტის დაცვას. დაავადებულის საკვები უნდა იყოს სრულფასოვანი და საკმაო რაოდენობით შეიცავდეს ვიტამინებსა და მიკროელემენტებს. რაციონიდან უნდა გამორიცხოთ: ციტრუსი, მარწყვი, ჟოლო, ანანასი, ნესვი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, რძე, შებოლილი პროდუქტი, მანანის ბურღულის ფაფა, მწარე და ცხარე კერძები, ალკოჰოლი.

მენიუში უნდა ჩართოთ ვეგეტარიანული საკვები, ძროხის ხორცი, რძემჟავა პროდუქტები (მაწონი, ხაჭო), მზესუმზირის ზეთი. ხილიდან ყველაზე სასარგებლოა ვაშლი, ქლიავი, ალუბალი. ყოველდღიურად უნდა მიირთვათ ბოსტნეულის სალათები.

მკურნალობის მნიშვნელოვანი ეტაპია ორგანიზმის გაწმენდა წიდებისა და ტოქსინებისგან. ამიტომ თვალყური უნდა ადევნოთ კუჭ-ნაწლავის მუშაობას. რძემჟავა პროდუქტები, ჭარხალი და ნიახური საამისოდ კარგი საშუალებაა. მოხარშული ჭარხლის პატარა ნაჭერი ყოველდღიურად მიირთვით. ნიახური საკვებშიც გამოიყენეთ და ამასთან, გამოწურეთ წვენი, რომელიც უნდა მიიღოთ 1 ჩ/კ 3-ჯერ დღეში.

ხშირად აინტერესებთ – სასარგებლოა თუ არა ეგზემის დროს მზის აბაზანები. უნდა აღინიშნოს, რომ დაავადების მწვავე პერიოდში ისინი უკუნაჩვენებია. მზეზე გასვლისას კანის დაზიანებული უბნები უნდა დაიფაროთ ბამბის ქსოვილით, მაგრამ რემისიის (ჩაწყნარების) დროს, მზის აბაზანა სასარგებლოა. ■

ჭაბორგნილი ადამიანების ამოსწრებული ჭაბუნობანები

მთავარ როლში

ერთმა დიდგვაროვანმა მანდილოსანმა მარკ ტვენი თავის ლოჟაში მიიწვია და მთელი სპექტაკლის განმავლობაში დაუსრულებელი ლაპარაკით გული გაუწყალა. წარმოდგენის შემდეგ კი შესთავაზა:

— იქნებ „ტოსკაზეც“ ერთად წავმოვსულიყავით?

— ო, ეს ფრიად საინტერესო იქნება. მე ჯერ თქვენთვის „ტოსკაში“ არ მომისმენია.

ვიოლინოს ახირებულობა

ვიღაც პეტერბურგელმა „ხელოვნების მფარველმა“ მდიდარმა, მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი პოლონელი მევიოლინე-ვირტუოზი და კომპოზიტორი ჰენრიკ ვენიავსკი ჭიქა ჩაიზე მიიპატიჟა და თითქოსდა სხვათა შორის უთხრა:

— ბარემ ვიოლინოც წამოიყოლეთ.

— ჩემი ვიოლინოს სახელით მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ის ჩაის არ სვამს, — მიუგო მუსიკოსმა.

ბუნებრივი მოვლენა

ოდესაში პეტრე ჩაიკოვსკის ჩასვლის დროს თეატრში ერთიმეორის მიყოლებით იდგმებოდა მისი ოპერები. ერთხელ რეპეტიციაზე მაესტრო ემანუელმა კომპოზიტორს უთხრა:

— იცით, პიოტრ ილიჩ, „მაზეპაში“ იგრძნობა „ევგენი ონეგინისა“ და „პიკის ქალის“ ნიუანსები.

— იცით, მაესტრო, — იმავე ტონით მიუგო ჩაიკოვსკიმ. — „მაზეპაც“, „ევგენი ონეგინიცა“ და „პიკის ქალიც“ ჩემი ოპერებია.

ანექდოტები

* * *

— წუხელ ღამით, ჩემს მეზობელთან საშინელი აყალმაყალი იყო... რაღაცას გაჰყვიროდნენ და ჩემი ოთახის კედელს ხელებს უბრაგუნებდნენ...

— მერე ვერ უჩივლე ბარამიძესთან?

— სიმართლე რომ გითხრა, სულაც არ მიშლიდნენ ხელს... მე ჩემთვის ვიჯექი წყნარად როიალთან და მთელი ღამე გამებს ვსწავლობდი.

* * *

სვანები ცაში იყურებიან:

— მაიზერ, ხედავ იმ ვერტმფრენს უშგულის თავზე?.. ათი წუთია არ განძრეულა.

— ჰოო...?!.. ალბათ ბენზინი გაუთავდა.

* * *

პარლამენტის გამოცდილი დეპუტატი რესტორანში სადილობს. მიმტანი ეკითხება:

— როგორ მოგწონთ ჩვენი მენიუ?

— კარგია, რომ ნაციონალური კერძები... აბსოლუტურ უმრავლესობაშია.

* * *

— კიდევ დალიე, არა?.. — უსაყვედურა ცოლმა ქმარს, — ექიმმა ხომ სმა აგიკრძალა...

— მაგ აკრძალვამ ძალა დაკარგა, ახალი მთავრობა ძველ კადრებს არ ენდობა.

* * *

კოკისპირულად წვიმს. მამა შვილს ეუბნება:

— დედაშენი შინიდან ისე გავიდა, რომ ქოლგა არ წაუღია.

— ნუ იდარდებ... მამი, სუპერმარკეტს შეაფარებს თავს.

— ეეჰ... მეც ეგ მადარდებს.

* * *

ორი ბერიკაცი ახალგაზრდობას იგონებს:

— ჩემ გამო ერთი მშვენიერი ქალიშვილი თავს საფრთხეში იგდებდა.

— როგორ?

— მითხრა, მირჩევნია, მტკვარში გადავხტე, ვიდრე ცოლად გამოგყვეო.

* * *

ერთი ქალი მეორეს შესჩივის:

— ჩემი ქმარი არასოდეს თავის ადგილზე არ დებს ნივთებს... გუშინ მისი საფულე საათ-ნახევარი ვეძებე.

* * *

— ვანო თვალი ჩალურჯებული რატომ გაქვს?

— ქალი ამოვიყვანე წყლიდან და ცოლმა მომისწრო.

— როგორ?!. ზღვიდან ამოიყვანე! გადაარჩინე და ამის გამო...

— ზღვიდან არაა... აბაზანიდან ამოვიყვანე.

* * *

რუსთაველზე ფეხმძიმე გოგონა მოდის.

— ნახეთ... მშვენიერება მოდის — აღფრთოვანდა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი.

— ჰოო... ოღონდ მაკედ არის... — თავი გამოიჩინა ზოოვეტელმა.

* * *

თბილისის ცირკს რუსეთიდან მოწვეული საცირკო დასი სტუმრობდა. სტუმრების დასახედად გამოსულმა ცირკის დირექტორმა დაინახა, როგორ შეხტა უცებ ერთ-ერთი მუშა ჰაერში, სამმაგი სალტო გააკეთა, ბატუტზე დახტა, შემდეგ თოკს ჩამოეკიდა, ორძელზე დატრიალდა და ლეიბზე დაემხო.

— ყოჩაღ! — დაიძახა აღტაცებულმა დირექტორმა — გადაუთარგმნეთ, რომ თუ ჩემთან დარჩება და იმავე ნომერს გაიმეორებს, 10-ჯერ მეტ ხელფასს გადავუხდი.

— Хоть 100 раз больше... — ძლივს სუნთქავდა მუშა — ни за что больше по яйцам не ударюууу...

* * *

დაქალი — დაღონებულ დაქალს:

— აბა, როგორ ჩაიარა პირველმა ღამემ?

— ცუდად... „ვაის“ მაგივრად, „ოპლა“ დავიძახე.

კვირის (12 - 18 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ძალიან სასიამოვნო კვირა გექნებათ. მართალია, განსკუთრებული არაფერი მოხდება, მაგრამ იმდენად გაწონასწორებული იქნებით, რომ თავადაც დადებითი ემოციებით დაიმუხტებით და გარშემომყოფთაც ოპტიმისტურად განაწყობთ.

მამაკაცი: ამ კვირაში დაუვიწყარი საღამო გელით. დიდი ხნის უნახავი ახლობლები შეგეხმიანებიან და დიდ სიურპრიზსაც შემოგთავაზებენ.

კრეტა – 21/IV-21/V

ქალი: ეს კვირა თქვენი წარმატებული კარიერის საფუძვლად შეიძლება იქცეს. სწორი სტრატეგიის შერჩევაში ანალიტიკური აზროვნება დაგეხმარებათ. სხვათა შორის, თქვენი პოზიციის სისწორეში გარშემომყოფთა დარწმუნებაც ძალზე გაგიადვილდებათ.

მამაკაცი: ჭკვიანურად გამოიყენეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია. ოჯახის წევრების საქმეებში ჩარევას კი, ამ კვირაში ნამდვილად არ გირჩევთ. მოერიდეთ ინტრიგან ადამიანებთან ურთიერთობას.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: გაითვალისწინეთ წარსულის შეცდომები და გააკეთეთ სწორი ანალიზი. კვირის ბოლოსათვის ფინანსური მდგომარეობა გამოგისწორდებათ, ამიტომ ჯობს მომავლისადმი იმედიანად განეწყოთ.

მამაკაცი: საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში დიდი მოწონებით სარგებლობთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა, მაგრამ სამსახურებრივი პრობლემები შეგაწუხებთ. გამოიჩინეთ ტაქტი ხელმძღვანელებთან ურთიერთობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა სამსახურის მოძებნა მოგიწევთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: გაუფრთხილდით ოჯახის ბიუჯეტს. ამ კვირაში ფულის ფლანგვისკენ გაქვთ მიდრეკილება. თავი შეიკავეთ მაღაზიებსა და გასართობ ადგილებში ხეტიალისგან. ნუ მისცემთ შენიშვნებს მეგობრებს.

მამაკაცი: საყვარელ ადამიანთან თითქოსდა უმნიშვნელო უთანხმოება, შესაძლოა სერიოზული ჩხუბის საფუძველი გახდეს. მისი შემორიგება კი ძვირი დაგიჯდებათ. ამიტომ ჯობს ემოციები დაიოკოთ და თქვენი რჩეული არ გაანაწყენოთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: სასიყვარულო ფრონტზე პრობლემებია მოსალოდნელი. სამაგიეროდ, საქმიან ასპარეზზე სრული იდილია სუფევს. თუ ხელოვანი ხართ, შრომას ნუ დაიზარებთ, შეიძლება ამ კვირაში შედევრი შექმნათ.

მამაკაცი: მეგობრები და თანამოაზრეები სასიამოვნო სიურპრიზს მოგიმზადებენ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოხვედრისას ეცადეთ, არ ჩაერიოთ კამათში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გავლენიანი კაცი გადაიმტეროთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ძალიან მხიარულად გაატარებთ ამ კვირას. ფინანსური მდგომარეობაც გამოგისწორდებათ და ახლობლებიც თქვენი ხელგაშლილობით ნასიამოვნები დარჩებიან. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები კი, თქვენით აღფრთოვანებულნი იქნებიან.

მამაკაცი: მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და აზარტულ თამაშებს. განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყარით საქმიან ქაღალდებს და ამ კვირაში გასაკეთებელ საქმეს სხვა დროისთვის ნუ გადადებთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ამ კვირაში შესაძლოა ძველმა სიყვარულმა შეგახსენოთ თავი. საქმეს მშვენივრად ართმევთ თავს და საწუწუნოც არაფერი გაქვთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და დაიცავით ჯანსაღი ცხოვრების წესი.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში წარმოქმნილი პრობლემები მალე მოგვარდება. მეგობრები სასიკეთო რჩევას მოგცემენ. დაუჯერეთ მათ და არ წააგებთ. გათხოვილ ქალებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ.

ღრიანცელი – 24/X-22/XI

ქალი: ემოციებითა და ვნებებით დატვირთული კვირა გელით. მღელვარე სასიყვარულო თავგადასავალი გარანტირებული გაქვთ. აუცილებლად შეიძინეთ რაიმე თქვენთვის, თუნდაც წვრილმანი – შენაძენი ცხოვრებას გაგიხალისებთ.

მამაკაცი: სხვისი თვალით შეხედეთ საკუთარ თავს და დარწმუნდებით, რომ მშვენიერ ფორმაში ბრძანდებით. წუწუნს თავი დაანებეთ და დატკბით ცხოვრებით.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ვარსკვლავები გპირდებიან, რომ ამ კვირაში ბევრ საინტერესო ადამიანს შეხვდებით. თუმცა, ისეთი პრობლემაც შეგახსენებთ თავს, რომელიც უკვე კარგა ხნის მოგვარებული გეგონათ.

მამაკაცი: ნაკლებად დატვირთული კვირა გელით. ეცადეთ, სიზარმაცემ არ დაგრიოთ ხელი და ამან საქმე არ გაგიფუჭოთ. თუ ვინმეს რამეს შეჰპირდით, აუცილებლად შეუსრულეთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: მეტი ყურადღებით მოეპყარით კოლეგებს. ნურც კომპლიმენტებს დაიშურებთ მათთვის. უქმე დღეებში მოინახულეთ მეგობრები, ოღონდ თავი შეიკავეთ ჭორაობისგან.

მამაკაცი: ამ კვირაში საოცნებო ადგილას გამგზავრების შანსი მოგეცემათ. გაითვალისწინეთ, ოჯახის წევრებს თქვენდამი პრეტენზიები დაუგროვდათ, ამიტომ კარგი იქნება, თუ მოგზაურობის დროს მათ თან წაიყვანთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: იღბლიანი და სიახლეებით აღსავსე კვირის მეორე ნახევარი გელით. ნუ ენდობით შემთხვევით გაცნობილებს. უქმე დღეები საყვარელ ადამიანს მიუძღვენით.

მამაკაცი: ამ კვირაში ელოდეთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს. წარმატება გელით საქმიანობაში, მაგრამ დიდი შანსია, ირგვლივმყოფებს უსამართლოდ მოექცეთ. ახლობლებთან ურთიერთობისას იყავით კორექტული.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ამ კვირაში მიღებულ გადაწყვეტილებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ამიტომ ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით. ყურადღებით მოისმინეთ ახლობლების რჩევა და თუ გაითვალისწინებთ, ნამდვილად არ წააგებთ.

მამაკაცი: თამამად შეუდექით საქმეს. წინ დიდი წარმატება გელით. შეეცადეთ, რომ კვირის ბოლოს ახლობლებთან მიღწეულით ტრაბახი არ დაიწყოთ და მათ თავი არ მოაბეზროთ.



- რემარკის გვიანდელი რომანი „შფ ...“
- სიტყვების პირობითი შემოკლება წერისას
- ქალაქი რემბრანდტის სახლ-მუზეუმით
- სიმე-ბიანი საკრავი
- საჭად-რაკო ფიგურა
- განთქმული ამერიკელი ჯაზის მომღერალი
- ფინური ლიტერატ-ფუძემდე-ბელი
- ხასიათი, ზნე
- თანხმობის გამომხ-ატველი ნაწილაკი
- სამახს-ოვრო ნივთი
- ანტონიმის საწინა-აღმდეგო
- იაპონური ფირმა
- მოჩვენება უდაბნოში
- „ყური-ჭამია მოკრივე“
- საგამოცდო პერიოდი ინსტ-ტუტში
- ცხენის სიმღლის ასათვლელი წერტილი
- იაპო-ნური ავტომო-ბილი
- დიდი ჩაქუჩი
- ორნახ-შირმუავა ნატრიუმი
- ტბა ჩრდ. ოეთ ამერიკაში
- სიმღერა ოპერაში
- მუზეუმი სანქტ-პეტერ-ბურგში
- ფარულავა
- ინდური რელიგიურ-ფილოსოფ. მოძრაობა
- ქალაქი თურ-ქეთში
- არასამ-უშაო დღე
- გერმანიის პრეზი-დენტი
- „მილანის“ ფეხბურთელ შეჩერების მეტსახელი
- კაპელოს გუნდი
- ხვებით მოსილი ადგილი
- ქართული მწერალ/ დრამატურგი ... ოსელიანი
- პუგაჩოვა
- ყავის მისართ-მევი ადგილი
- საკომუტა-ციო მოწყობილ.
- „.... მარია“
- დიდი, ბალახის მჭამელი ცხრველი



ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ

24-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ა.

ბრიუეი ნეფე და პატარძალი მამაკაცი

ჩინელმა ფერმერმა პომპეზური ქორწილიდან რამდენიმე დღეში აღმოაჩინა, რომ მამაკაცი შეურთავს ცოლად. დაუჯერებელია, მაგრამ ის ამაში მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, როცა მის გულის სწორს ხელოვნური მკერდი ჩამოუვარდა. მარტოხელა ფერმერმა ფუჯიანის პროვინციის მკვიდრ ქალთან დასაქორწინებლად 2.000 დოლარი დახარჯა. პირველი იმედგაცრუება ახალდაქორწინებულმა მაშინ განიცადა, როცა ცოლმა, უგუნებობის გამო, მასთან დაწოლაზე უარი თქვა. 6 დღის შემდეგ კი, ის ქმრის სახლიდან გაქცევას შეეცადა. ფერმერი მას დაედევნა, ახლომდებარე ქალაქში მიაგნო და სწორედ მასთან ძიძგილაობისას, ცოლს ხელოვნური მკერდი ჩამოსძვრა... პოლიციამ „ქალი" დააპატიმრა და მას თაღლითობით ფულის შოვნა დასდეს ბრალად. საპატარძლოების შერჩევა და ქორწინებათა ორგანიზება, ფრიად გავრცელებული ბიზნესია ჩინეთის სასოფლო რეგიონებში, სადაც მამაკაცები საგრძნობლად სჭარბობენ ქალებს. ■

ბიუჯეტისთვის შემოსაელიანი უხამსობა

რუმინული სოფლის დაბულენის ეკლესიის წინამძღვარმა საგანგებოდ მიმართა ახალგაზრდა მრევლს თხოვნით – თავი შეიკავონ სამრეკლოზე პაემნებისა და სექსუალური აქტებისაგან. მამა კრისტიან ტეოდორესკუს თქმით, ეკლესიაში მისულს (განსაკუთრებით – უქმე დღეების შემდეგ), მას გამუდმებით ხვდება ირგვლივ მიმოფანტული პრეზერვატივები. „ერთხელ რამდენიმე რეზინის ნაკეთობა ზარის თოკებზე დაკიდებულიც ვიხილე", – აღნიშნა წინამძღვარმა და პირველი გადაისახა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მღვდლის სიტყვები დაადასტურეს. არადა, პოლიცია, რომელმაც ასევე კარგად იცის აღნიშნული მოვლენის შესახებ, მიიჩნევს, რომ ეს ხელსაყრელია სოფლის ბიუჯეტისათვის: სამართალდამცავები „საეკლესიო სექსის" მოყვარულთ ყოველთვიურად, ასობით ჯარიმას ახდევინებენ... ■

36 წელი უსაკვებოდ

ქალაქ შაოსინის მცხოვრები ჩინელი, წლების განმავლობაში მხოლოდ ბრინჯის არყით იკვებება. დიახ – იკვებება, რადგან, აგერ უკვე 36 წელია, სხვა საკვები არ მიუღია. ეს რაციონი კი, თავადვე იმის გამო დაინიშნა, რომ კუჭი აწუხებდა: უცნაური დაავადების გამო, მას საერთოდ არ შეუძლია ჭამა, ამიტომ დღეში ორჯერ – სადილად და ვახშმად არაყს მიირთმევს და მისი თქმით, ჯერ არასდროს განუცდია შიმშილის გრძნობა. ■

პრივილეგიები სარეცლის გაყოფის საფასურად

კერძო ეგვიპტური სკოლის ადმინისტრატორი სამირ ვახდანი ფრიად ორიგინალურად იყენებდა საკუთარ სამსახურებრივ მდგომარეობას: ის სამუშაოდ ღებულობდა ახალ მასწავლებლებს და ამის სანაცვლოდ სთხოვდა, მისთვის თავიანთი ცოლები მიეყვანათ სექსუალური დროს ტარების მიზნით. „გასამრჯელოს" ეს ფორმა იმდენად მოეწონა ადმინისტრატორს, რომ მან გადაწყვიტა, მოსწავლეებზეც განევრცო იგი და სამი მათგანის დედას, სარეცლის გაყოფა შესთავაზა. მაგრამ ქალებს ამ ფასად შვილებითვის პრივილეგიების მინიჭება მაინცდამაინც არ ეჭაშნიკათ და მათ, მოხერხებულ „პედაგოგს" პოლიციაში უჩივლეს. სასამართლომ ავხორც ადმინისტრატორს 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, აქედან 7 წელი – უკვე მიღებული სექსუალური მომსახურებისთვის, რომელიც მას გაუწიეს, 5 კი – ახალ სიამოვნებათა მიღების მცდელობისთვის. ■

ცოლის გამუიდველი უკანონო რეკლამისთვის გასამართლეს

სანტიაგოს მცხოვრებმა, 55 წლის ალეხანდრო არაგონმა აუქციონზე გასაყიდად თავისი კანონიერი ცოლი მატილდა გამოიყვანა. ალეხანდროს თქმით, მას შეეძლო, სარგებელი მოეტანა საზოგადოებისთვის, თუკი მოსამსახურედ ან ჭურჭლის მრეცხავად იმუშავებდა. ქმრის გულისწყრომას თურმე, მატილდას უსაქმურობა იწვევდა: ცოლი მხოლოდ ტელევიზორს უყურებდა და ჩხუბსაც ტეხდა, როცა ალეხანდრო ბინის დალაგებასა და ჭურჭლის რეცხვაზე უარს ეუბნებოდა... ერთ დღეს კაცს ეს ყველაფერი მოჰბეზრდა, ის ქუჩაში გავიდა და სხვადასხვა ადგილას გააკრა განცხადება: „იყიდება ცოლი! შესაძლებელია შევაჭრება".

უცნაური ის გახლავთ, რომ მატილდამ მხარი დაუჭირა მეუღლის წამოწყებას და „საქონლის" სასარგებლო სარეკლამო კამპანიაც კი წარმართა: რამდენიმე დღის მანძილზე ის ჩილეს დედაქალაქის ქუჩებში ცეკვავდა და საკუთარი სხეულის ფლობის ხელოვნების დემონსტრირებას ახდენდა (წინათ ქალი ადგილობრივ საცეკვაო სკოლას ხელმძღვანელობდა).

„აუქციონში" 100-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მატილდა – ცხადია, მისი თანხმობით – ლათინურ ამერიკაში ცნობილმა ბიზნესმენმა ხორხე რამოსმა იყიდა, რისთვისაც მან 2.500 დოლარის ეკვივალენტი გადაიხადა. „ახალმა პატრონმა" ჯერ ქალი ბრიტანული ხელოვნების სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს წარუდგინა (მან თავის მხრივ, დასში მატილდას მიღება გადაწყვიტა), შემდეგ კი... პოლიციას მიმართა. ალეხანდრო არაგონი დააპატიმრეს. სასამართლომ მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა – უკანონო სარეკლამო საქმიანობის მუხლით... ■

გაქვთ თუ არა იმის ნიჭი, რომ მილიონერი გახდეთ?



ვისა აქვს ლეგალური გზით მილიონის შოვნის უნარი? სცადეთ, უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს, იქნებ, სწორედ თქვენ გაქვთ იმის ნიჭი, რომ მილიონერი გახდეთ.

1) რა გზით ჯობს ფულის კეთება:

ა) ბევრი იმუშაო, იყო კარგად ინფორმირებული; როცა საჭიროა გარისკო და რაღა თქმა უნდა, შენს ხელთ არსებული ფული საქმეში დააბანდო – 6;

ბ) მდიდარი „ბიძის“ მემკვიდრეობის იმედად იყო; ლატარიაში სცადო ბედი – 0;

გ) თანამიმდევრულად შეიქმნა კარიერა, გაიარო ყველა საფეხური ხელმძღვანელის პოსტის ჩათვლით; ანდა პოლიტიკურ ასპარეზზე სცადო ბედი – 3.

2) უოლტ დისნეის რომელი პერსონაჟი იწვევს თქვენში ყველაზე მეტ ღიმილს?

ა) დონალდ დაკი – 3;

ბ) გუსტავ ჰანსი – 0;

გ) დოგობერტ დაკი – 6.

3) თქვენი აზრით, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს რა რაოდენობის მოგებამ შეიძლება აღუძრას ხელშეკრულების დადების სურვილი?

ა) ნახევარ მილიონიდან ერთ მილიონამდე – 0;

ბ) ათ მილიონამდე – 3;

გ) ათეულობით მილიონმა და უფრო მეტმა – 6.

4) რომელ გამოთქმას ეთანხმებით:

ა) რაც მეტია ფული, მით მეტია სიამოვნება – 6;

ბ) ფული – ძალაუფლებაა – 3.

გ) დიდი ფულის ქონა ბევრ მოშურნეს გიჩენს – 9.

5) ცნობილია თუ არა თქვენთვის თამაში სახეობა, რომლის სახელიცაა – „წერილის მეშვეობით“? თქვენ მცირედენ თანხას ათავსებთ კონვერტში და ეძებთ მსხვერპლს, რომელიც ასევე იხდის. თავის მხრივ მსხვერპლიც ეძებს სხვა მსხვერპლს და თამაში გრძელდება... საბოლოო ჯამში, თქვენი კაპიტალდაბანდება მრავალგზის გაზრდილი თქვენვე გიბრუნდებათ. ამ თამაშში რა როლის შესრულებას ისურვებდით:

ა) მონაწილეობას არ მიიღებდით – 3;

ბ) ითამაშებდით და ფულსაც იშოვიდით – 0.

გ) თამაშის ინიციატორი იქნებოდით – 6.

6) მნიშვნელობა ექნება თუ არა თქვენთვის იმას, რომ თქვენ შესახებ დაწერონ სხვადასხვა გაზეთებმა და თანაც რუბრიკით – „მაღალი საზოგადოების ცხოვრება“:

ა) ეს ამბავი ძალზე გამახარებდა – 0;

ბ) არა – 6;

გ) ჩემ შესახებ ისედაც ხშირად წერენ – 3.

7) დოღზე რა გზით შეიძლება მოგება:

ა) რისკითა და მაღალი ფსონის დადებით – 0;

ბ) სასურველია, ფულის ეკონომია და დოღზე მხოლოდ დასწრებით შემოფარგვლა – 3;

გ) ჩემპიონი ცხენის ყიდვით – 6.

8) თქვენი აზრით, სწრაფად და საიმედოდ გამდიდრების ყველაზე დიდი შანსი ვისა აქვს:

ა) რეჟისორს, მსახიობს, მწერალს, მხატვარს, სპორტსმენ-რეკორდსმენს – 0;

ბ) ადვოკატს, ექიმს, მაკლერს, პოლიტიკოსს – 3;

გ) ფირმის ხელმძღვანელს, გამომცემელს – 6.

9) მეგობრებს შორის ბიზნესთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ:

ა) მზად ვარ, მეგობრებს ფული ვასესხო. იქნებ, ოდესმე მეც დამჭირდეს ფულის სესხება და მაშინ ისინი გამიმართავენ ხელს – 3;

ბ) ფული და მეგობრობა ერთმანეთთან შეუთავსებელია – 6;

გ) მზად ვარ, ვისესხო ფული მეგობრებისაგან, მაგრამ თავად არასოდეს ვასესხებ მათ ფულს – 0.

10) იყავით გულახდილნი! თუ შეძლებდით გამდიდრიყავით მილიონერი, ამის შეგრძნება სიამოვნებას მოგვრიდათ თუ არა:

ა) რაღა თქმა უნდა, ეს სიამოვნებას მომგვრიდა – 0;

ბ) ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვისაც ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდა ან ზემოდან დამყურებდა, მოვახდენდი ამ სიამოვნების დემონსტრირებას – 3;

გ) არა – 6.

11) სად დაბანდებდით თქვენს მილიონებს:

ა) უძრავ-მოძრავ ქონებაში, ხელოვნების ნიმუშების შეგროვებაში – 3;

ბ) აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდლებში – 6;

გ) მოვიქცევი ისე, როგორც ამას ჩემი ცოლი გადაწყვეტს – 0.

12) თუკი უკვე გაქვთ ორიოდე მილიონი, ეცდებით თუ არა დამატებითი შემოსავლების მიღებას:

ა) მცირე თანხას არ გამოვეკიდები, მაგრამ მსხვილ მოგებაზე უარს არ ვიტყვი – 3;

ბ) რაღა თქმა უნდა – 6;

გ) არა, ვინაიდან ეს თანხა მაკმაყოფილებს – 0.

დაანჯამეთ ქულები

0-23 ქულა: ამ რაოდენობის ქულების მოგროვების შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ პირადად თქვენთვის გამდიდრების საუკეთესო საშუალებაა ან ხელსაყრელი ქორწინება, ან მემკვიდრეობის მიღება. ბოლოს და ბოლოს იქნებ, ბედმა გაგიღიმოთ და ლატარიაში მაინც მოიგოთ რამე.

24-48 ქულა: სიმდიდრე თქვენთვის დაუღალავ შრომასთანაა დაკავშირებული. ერიდეთ ფინანსურ სპეკულაციას. თქვენთვის უმჯობესი იქნება, თუ კარიერის შექმნას მოჰკიდებთ ხელს და შეფის სავარძელში აღმოჩნდებით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სასურველ მილიონებს არ მოგიტანთ, ფინანსური თვალსაზრისით, უზრუნველყოფილი ცხოვრება გარანტირებული გექნებათ.

49-72 ქულა: თქვენ საუკეთესო შანსი გაქვთ იმისათვის, რომ ოდესმე მილიონერი გახდეთ (თუკი თქვენ უკვე არა ხართ მილიონერი). კომერსანტის უნარით გამოირჩევით. ფულსა და მეგობრობას ერთმანეთში არ ურევთ. მოპოვებული სიმდიდრითა და ფუფუნებით ტრაბახს არ აპირებთ. საკუთარი ქონების მოთმინებით გაზრდის უნარითაც გამოირჩევით.

ქალთევზა უფრო მეტისმეტად გახდა

პოლონეთის ქალაქ უსტკის მერიამ გადაწყვიტა, გაუზარდოს მკერდი და დაუვიწროოს თეძოები ქალთევზას, რომელიც ამ ქალაქის გერბს ამშვენებს. მოხელეთა აზრით, ეს გაზრდის უსტკის პრესტიჟს მის ფარგლებს გარეთაც. ბალტიის ამ ზღვისპირა ქალთევზის ფიგურის თავისებურებებმა მაშინ მიიპყრო მერიის ყურადღება, როცა ის ქალაქის შემდგომი განვითარების პრობლემებზე მსჯელობდა. „როცა გერბის საკითხს განვიხილავდით, ერთმა ექსპერტმა ქალმა ხუმრობით თქვა – ქალთევზა ძალზე მსუქანია, მკერდი კი მეტისმეტად მომცრო აქვსო“, –

უთხრა ჟურნალისტებს მერიის პრესმდივანმა. ხუმრობით ნათქვამი თანდათან, სერიოზული განხილვის საგნად იქცა და მალე ამით არა მარტო ადგილობრივი, არამედ ქვეყნის ცენტრალური მასმედია დაინტერესდა. უსტკის ქალთევზის შესახებ უამრავი საგაზეთო პუბლიკაცია და ტელეგადაცემა მომზადდა. „ახლა გადავწყვიტეთ, გავუზარდოთ მკერდი და დავუვიწროოთ თეძოები, – დასძინა პრესმდივანმა, – ამის შედეგად ჩვენი ქალთევზა გაცილებით მიმზიდველი გახდება და უსტკის პრესტიჟსაც აამაღლებს“. ■

იდუმალი წახნეხები Nestle-ს შოკოლადზე

მსოფლიოში ცნობილი კომპანიის ერთ-ერთ ფაბრიკაში მიმდინარეობს გამოძიება, რომელმაც უნდა დაადგინოს, თუ საიდან გაჩნდა Aero-ს სახელწოდების კანფეტის შესაფუთ ქაღალდზე წარწერა – „ნეხვის ნაჭერი“. არადა, წარწერა ათობით შესაფუთზეა გაკეთებული. – „მანამდე, სანამ ინციდენტის გამოძიება არ დასრულდება, ყველა დეტალის გახმაურებისგან თავს შევიკავებთ“, – განაცხადა კომპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, თუმცა ჟურნალისტებმა უკვე დაადგინეს, რომ ფაბრიკაში დაახლოებით 20 კონვეიერზე დაიბეჭდა ანტისარეკლამო წარწერა, რომელიც იმ ადგილას იყო მოთავსებული, სადაც ჩვეულებრივ, პროდუქციის ვარგისიანობის ვადაა მითითებული. ■

ბოსნიელი მამაკაცი უსაფრთხო სექსისადმი ეთაგულებას ემსხვერპლა



აფთიაქში უწყინარი ვიზიტი მართლაც, საბედისწერო აღმოჩნდა 33 წლის ბოსნიელისთვის, რომელსაც იქ აგრესიული პროვიზორი დახვდა. პოლიციელთა თქმით, ქალაქ მოსტარში პრეზერვატივების შეკვრის საყიდლად მისულ კაცს აფთიაქში უარი იმ მოტივით უთხრეს, რომ სამუშაო დღე დამთავრებული ჰქონდათ და ამ დროს, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისთვის განკუთვნილ წამლებს ყიდდნენ. ასეთმა პასუხმა მამაკაცი ძლიერ აღაშფოთა, მან პისტოლეტი ამოიღო და მოკვლით დაემუქრა გამყიდველს, მაგრამ ეს უკანასკნელიც კერკეტი კაკალი აღმოჩნდა – მან კვლავ უარი უთხრა აბეზარ მყიდველს და პოლიციასაც გამოუძახა. ადგილზე მოსულმა სამართალდამცავებმა მამაკაცი აფთიაქის შორიახლოს დააკავეს და შეიარაღებული ძარცვის მცდელობაშიც დაადანაშაულეს. ■

წვეულებობით ხეოხლმენი ბრიტანელი ქალი

ანეტ ლიმ ავტომობილისთვის საჭირო თანხის შესაგროვებლად საკუთარი რძის რეალიზაციას მიჰყო ხელი. 1 ლ რძეს ის 20 დოლარად ყიდდა, სულ 500 ლ-მდე გაყიდა და ამის შედეგად 7.000 დოლარი მოაგროვა. ანეტის თქმით, მან ამ საქმეს თითქმის მთელი წელი მოანდომა. მანქანის შეძენის შემდეგ მან აღფრთოვანება ვერ დაფარა: „აი, მანქანაც კი ვიყიდე. ყველა სიკეთეს, რაც გამაჩნია, საკუთარ რძეს ვუმადლი“, – და დასძინა, რომ წველადობა მას მშობლებმა გენებით გადასცეს: „დედაჩემსაც უხვად ჰქონდა რძე, ბებიაჩემზე კი ამბობენ – ლამისაა, მთელი ქალაქის ბავშვებს აწოვებდა ძუძუსო“. ■

ფოტოკუჩიოზები







წმინდა ცეცხლზე თავმომწვარი სანთელი იერუსალიმიდან

აპრილი, 2004

ფასი 80 თეთრი

ალბიჭი

მართლმადიდებლური ჟურნალი

აპრილის თემა:
უფლის ბრწყინვალე აღდგომა

მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე

ტელესერიალები და ბავშვები

გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვის

იუდას ცოდვა

ჟურნალში საჩუქარია:
დაუჯდომელი გალობა
ყოვლადტკბილისა
უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი და
სანთელი იერუსალიმიდან

სულდგმული საჩექრები „ალბიჭის“ ეკლესიებს

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ